საქართველო ბეჭედია ბაჯა... ...ოა თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში ®
№13(692) ...6 აპრილი ... ფასი 1,50 ლარ...
www. ...ebi.ge



გვ. 74
როგორ უვლიან ერთმანეთს ირინა ონაშვილი და გიორგი მახარაშვილი და რას უკონტროლებს ირინა თავის მეწყვილეს

გვ. 79
რატომ დაჰყვება შარი ლევან სუხიტაშვილს და რას დებდნენ საკუთარ ტოტალიზატორში ფსონებად ის და გიორგი სუხიტაშვილი

გვ. 14
სად მიაგნო ნათია მიქიაშვილმა სრულ იდილიას და როგორ ცხოვრობდა ის „იატაკქვეშეთში“

გვ. 2
რის მიხედვით არჩევს მონაწილეებს ნოე სულაბერიძე თავისი პროექტებისთვის და რა პასუხი აქვს მას „ორი ვარსკვლავით“ აღშფოთებული მაყურებლისთვის



გვ. 70
რატომ დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კიწნურაშვილმა 25 წლის ასაკში ყველაფერი თავიდან და როგორ მიაღწია მან თავბრუდამხვევ წარმატებებს



რატომ არასდროს უსაუბრია სექსზე სახალხოდ ხატია შამუგიას
გვ. 40



გვ. 18
ვისთვის შეიძინა ზაზა ფაჩულიამ NBA-ს ლეგენდარული მოედანი და რის გაკეთებას გეგმავს ის სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ



როგორ მოიხმარდნენ კაბის ქვეშ დამალულ დანას ქართველი ქალები და რატომ გადაწყვიტა ანი ცინცაძემ ქართული საბრძოლო ხელოვნების „შავფაროსნებში“ დაუფლება
გვ. 47

# მარხვის მადლმა გაგვაძლიეროთ!

# რის მიხედვით არჩევს მონაწილეებს ნოე სულაბერიძე თავისი პროექტებისთვის და რა პასუხი აქვს მას „ორი ვარსკვლავით“ აღშფოთებულ მაყურებელზე

**„ორი ვარსკვლავი“ – პროექტი, რომელსაც არა აზრთა სხვადასხვაობა, არამედ, კრიტიკის ცუნამი დაატყდა თავს პირველივე გადაცემის შემდეგ. როგორც პროექტის გენერალური პროდიუსერი, ნოე სულაბერიძე ყვება, მაყურებელთა დიდმა ნაწილმა გადაცემის არსი არასწორად გაიგო – ეს არ არის სასიმღერო კონკურსი, როგორსაც მიჩვეულები ვართ, ეს არ არის ტალანტ-შოუ. ეს გასართობი პროექტია, სადაც უნდა დაუმესიჯო იმას, ვინც უფრო მეტად პროგრესირებს და უფრო გართობს. როგორც ჩანს, ყველა ის ნიუანსი, რომელიც განსაკუთრებულ ხმაურსა და „ფეისბუქზე“ გადაჭრელებულ „ნიუს ფიდს“ იწვევს, ნოეს წინასწარ აქვს ჩაფიქრებული. ხალხი ლაპარაკობს, ხალხი იცინის და, მაინც, შოუს უამრავი მაყურებელი ჰყავს. ამის პარალელურად, ნოეს ჯგუფი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო სეზონს იწყებს.**

**ნოე სულაბერიძე:** ჩვენი გუნდის მიერ გაკეთებულ თითქმის ყველა პროექტს ყოველთვის თან სდევს მაყურებლის ნაწილის გაღიზიანება, დაწყებული ჯერ კიდევ „სიმართლის დროიდან“. შესაბამისად, გამოცდილება დაგვიგროვდა და, ზუსტად ვიცით, ამა თუ იმ ნაბიჯს რა მოჰყვება. ამ პროექტთან დაკავშირებითაც ხდება ის, რასაც ველოდით. მისი კეთების პროცესში თავიდანვე იყო ჩანაფიქრი, რომ ყოფილიყო რეზონანსული და ასეც მოხდა. ეს არის ბრიტანული შოუს ანალოგი და ფორმატი ითვალისწინებს კიდეც, რომ მონაწილეები ძალიან კარგად არ უნდა მღეროდნენ. პირიქით, მგონია, რომ ფორმატს გავცდი კიდეც და შედარებით უფრო კარგი სმენის მქონე მონაწილეები შევარჩიე, ვიდრე ეს ორიგინალ ვერსიაში იყო გათვალისწინებული – რაც უფრო უსმენოები არიან, მით უფრო სახალისოა შოუ და მით უფრო დიდია გამოხმაურება. მაგრამ, ჩვენ ამ ხაზს გადავუხვიეთ.

**– რომელიმე ქვეყანაში უსმენო ადამიანების მოსმენა მოსწონთ?**

– არა, უსმენო არა. რაღაც მონაცემი უნდა გქონდეს, მაგრამ, კარგად არ უნდა მღეროდე. პროექტი მოიაზრებს, რომ ტურიდან ტურამდე ვარსკვლავი სიმღერას უნდა სწავლობდეს. რაც აპრიორში გულისხმობს სმენის ქონას. ვერ დამისახელებ ვერც ერთ მონაწილეს, რომელსაც სმენა არ აქვს. თუ ვიღაცას რაღაც ეშლება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სმენა არ გააჩნია, უბრალოდ, სიმღერას სწავლა სჭირდება – ასე არ ხდება, რომ ფეხი დადგი სცენაზე და მომღერლის დონეზე იმღერეო. ჯერ ერთი, გამოცდილება აკლია ბევრს. სიმღერის სწავლა მცირე დროშიც შეიძლება. თუ ცეკვის სწავლაა შესაძლებელი, მით უმეტეს, უფრო შესაძლებელია სიმღერის სწავლა და, ვინც ამას უკეთესაც მოახერხებს, ის გაიმარჯვებს კიდეც.



**მაყურებლის დიდი ნაწილი და, ზოგადად, ქართული პუბლიკის სენია, რაღაც ცუდი აღმოაჩინოს, იპოვოს ის, რასაც გააკრიტიკებს. ჩასაფრებულის პოზიციაშია**

**– რატომ გადაწყვიტე ამ პროექტის გაკეთება?**

– ახალ გადაცემაზე მინდოდა მუშაობა. „ცეკვები“ უკვე კარგად იცის მაყურებელმა, თავისი დონე უჭირავს და მას მაყურებელი ელოდება. ძველმა პროექტებმა თავიანთი რესურსი ამოწურეს, ეს კი სრულიად ახალია. მაყურებელი ტალანტ-შოუებს არის მიჩვეული. ეს არ არის ტალანტ-შოუ, ეს მეგაფორმატის გასართობი შოუა.

**– რა არის კრიტიკის ნიაღვრიდან ის, რასაც იღებ და რასაც კატეგორიულად არ იღებ?**

– ზოგადად, კრიტიკას ყველანაირს ვიღებ, უბრალოდ, არ მიკვირს. ძალიან ბევრმა არ იცის, პროექტი რას მოიაზრებს და კრიტიკის ეს ტალღაც აქედან წამოვიდა. კრიტიკას არ და ვერ მივიღებ იმ ადამიანებისგან, ვისაც სუბიექტური დამოკიდებულებები ამოძრავებს. ძალიან ბევრი სტატუსი წავიკითხე თითქოს აღშფოთებული ადამიანის, რომლებსაც თუ ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვევდი, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, პირველები მოცვივდებოდნენ. ვარსკვლავების ასეთ კრიტიკასა და ცინიზმს ვერ მივიღებ, მაგრამ, ამაზეც მეცინება. თუმცა, ცნობილ ადამიანებს შორისაც არიან ისეთები, რომელთა კრიტიკაც მისაღებია და „ფეისბუქზე“ ვეხმიანები კიდეც. პირიქით, მათი აზრი ჩემთვის საინტერესოა. იუმორით აღსავსე სტატუსებზე მეც ვიცინი, რადგან ვხვდები, რომ მათ პროექტის არსი ესმით და ერთობიან. პროექტში ჩადებულია იუმორის ელემენტები – მაინცდამაინც სიმღერას კი არ უნდა მოუსმინო, უნდა იხალისო და გაერთო.

**– არიან მონაწილეები, ვინც იციან, რომ ძალიან კარგად არ მღერიან სცენაზე, მაგრამ, ყველა გამოსვლით ერთობიან, მაგალითად, ვახო რჩეულიშვილი; მაგრამ, ვიტანჯები იმ ადამიანების ცქერით, ვისაც არ გამოსდის და თან ძალიან ინდომებს, მაგალითად, დალი ჩიტალაძე...**

**სიმღერას სწავლა სჭირდება. ასე არ ხდება, რომ, დადგები სცენაზე და მომღერლის დონეზე იმღერებ**

– დალის არაჩვეულებრივად შეუძლია სიმღერა, ამაში ვერ დაგეთანხმები. საერთოდ, ყველა ინდომებს, მათ შორის – ვახოც. მონდომებით ვერავის გამოვარჩევ. დალიც ძალიან კარგად მღერის, უბრალოდ, არ აქვს სცენაზე დგომის, მით უმეტეს – სიმღერის გამოცდილება. გოგოლას მაგალითი ავიღოთ – პირველ ორ ტურში ძალიან დაიძაბა, ინერვიულა და ვერ იმღერა, მესამე ტურში კი ყველაზე მაგრად იმღერა. იმის გამო, რომ ადამიანს სცენაზე დგომის გამოცდილება არ აქვს, კი არ უნდა ლანძღო, უნდა უგულშემატკივრო.

**– არ ვლანძღავ, ვნერვიულობ.**

– მაყურებლის დიდი ნაწილი და, ზოგადად, ქართული პუბლიკის სენია, რაღაც ცუდი აღმოაჩინოს, იპოვოს ის, რასაც გააკრიტიკებს. მაყურებელი ჩასაფრებულის პოზიციაშია, რომ ვიღაც გამოიჭიროს, სხვაგან კი, პირიქით, მაყურებელი მონაწილეს გულშემატკივრობს.

**– გადაცემის რეიტინგი არ იცი?**

– პიპლმეტრების არა, მაგრამ, რეიტინგი ვიცი. უამრავი სხვა მეთოდი არსებობს, რომ რეიტინგი იგრძნო. მათ შორის – სოციალური ქსელები.

**– „ცეკვავენ ვარსკვლავებზეც“ მინდა გითხრა: ეს არის შოუ, რომელიც, მიუხედავად უკვე გასული სამი სეზონისა, აქტუალურობას არ კარგავს და მაყურებელი ელოდება.**

– პირველ ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ პირველად ხდება, როდესაც ერთი გუნდი პარალელურ რეჟიმში ორ მეგაპროექტს აკეთებს. სამი და ოთხიც მიკეთებია, მაგრამ, არა ამ მასშტაბის. ეს ორი მეგაპროექტის პარალელურ რეჟიმში კეთების პირველი პრეცედენტია და არ ვიცი, რა იქნება. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ და, იმედი მაქვს, მაინც ყველაფერი ძალიან კარგად გამოვა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს, ზურა ფანქველაშვილს, რუსა მორჩილაძეს... ამ ადამიანებს არ სძინავთ, საჭმელს არ ჭამენ, იმდენად დიდი დრო მიაქვს ყველაფერს. ჩვენი გუნდი არც ისე პატარაა, დავიჯერეთ, რომ ამის კეთება შეგვიძლია და შედეგი უკვე აპრილიდან გამოჩნდება, როცა „ცეკვები“ ეთერში შევა.

**– აპრილიდან იწყება? ესე იგი ყველაფერი მზად გაქვთ?**

– ჯერ არა. ბოლო ფაზაშია მონაწილეებთან მოლაპარაკებები.

**– ჟიურის წევრები ვინ იქნებიან?**

– გოჩა აუცილებლად იქნება. ამჯერად შორენა არ გამოვა, ჟიურის დანარჩენი წევრების ვინაობა კი ჯერჯერობით კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**– ახლა გავაცნობიერე, რომ საქართველოდან წასული დიდი ვარსკვლავების ჟიურის წევრად მოწვევა შენი დამკვიდრებული მოდაა.**

– ძალიან დიდი მადლობა. მიხარია, როდესაც რაიმე კარგს კონკურენტი მოყვება. ამას მხოლოდ მივესალმები.

**სალომე გველესიანი**

# დეველოპერულმა კომპანიამ – „m² უძრავი ქონება“ სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია და მის ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტი წარადგინა

*დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება,“ სამშენებლო პროექტების გარდა, სოციალურ პროექტებსაც წარმატებულად ახორციელებს. ამჯერად დეველოპერულმა კომპანიამ 126-ე საჯარო სკოლაში გაარემონტა და სრულად აღჭურვა კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სპორტული მოედანი, სატრენაჟორო სივრცე. კომპანიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია გააცნეს და მის ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტის პრეზენტაციაც მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიზანია, ყველა მიმდინარე და სამომავლო დეველოპერული პროექტის ფარგლებში მშენებლობების მიმდებარედ იზრუნოს ადამიანებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. შემთხვევითი არ არის, რომ კომპანია აქცენტს სწორედ გარემოს დაცვაზე, ჯანსაღი გარემოს შექმნასა და საგანმანათლებლო კერების მხარდაჭერაზე აკეთებს. ეს პირველი პროექტია, რომელიც განათლების სფეროში კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ ნუცუბიძის ქუჩაზე სამშენებლო პროექტების მიმდებარედ, თბილისის 126-ე საჯარო სკოლაში განახორციელა. კომპიუტერული კლასების გარემონტება ავეჯით აღჭურვასათან ერთად, სამკითხველოსა და ბიბლიოთეკის საცავი, ხოლო სკოლის ეზოში სპორტული მოედანიც მოაწყო. აღსანიშნავია, რომ ბავშვები ყოველთვის აქცევენ ყურადღებას ხალიჩიან და კომფორტულ ინტერიერს. სწორედ მოსწავლეებისთვის შეიქმნა დიზაინი და გაფორმდა სამკითხველო.*




**ირაკლი ბურდილაძე** *(„m² უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):* „m²-მა“ დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. პრიორიტეტი სამი მიმართულებაა, ესენია: ბუნების დაცვა, ბუნებაზე ზრუნვა, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და ზრუნვა განათლებაზე. მინდა, წარმოგიდგინოთ ამ ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტი, რომელიც 126-ე საჯარო სკოლაში გაკეთდა. აქ მოვაწყვეთ ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი; ბავშვებს, ასევე, მოვუწყვეთ სტადიონი და სატრენაჟორო სივრცე, სადაც ისინი ვარჯიშს შეძლებენ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და სკოლას ახლად გახსნილი ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადავცეთ წიგნები.




მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენი სამშენებლო კომპლექსი აღჭურვილია პანდუსებით და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის“.

**ქეთევან აბულაძე** *(126-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი):* „დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“ ჩვენთან ძალიან კეთილშობილური მისიით შემობრძანდა – ავეჯით აღჭურვა ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, გაგვიკეთა სტადიონი... ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეებისთვის – ისინი ესთეტიკურ გარემოში ისწავლიან, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლებას. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან წაადგება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. ჩვენ კი ამან დიდი სტიმული მოგვცა, განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტი, დავნერგოთ შემეცნებითი ღონისძიებები, სადაც წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია მოხდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კომპანია „m²-ს“ დიდი მადლობა გადავუხადო როგორც ასეთი კეთილშობილური საქმის ინიციატორს და, იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება“.

**სოფი ლორია**

# ფიქრები „დუმაში“

## მუქთამჭამელები

**რფ-ის გულის,** მოსკოვის საქალაქო **„დუმაში“ ახალი ინიციატივა მომწიფებულა,** რამაც, **მათ,** არც მეტი, არც ნაკლები, **იმ ბლოგერების მიმართ, რომლებიც ყირიმის მოსახლეობის მიმართ ქსენოფობიას აღვივებენ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გადააწყვეტინა.**

**„დუმელი“** ვინმე სვიატენკო **იმას შეუშფოთებია, რომ სოციალურ ქსელებსა და ბლოგებში ყირიმელების წინააღმდეგ აქტიური „პროვოკაციები“ დაწყებულა.**




„პროვოკაცია“ კი ამ კონკრეტულ პერსონას შემდეგნაირად ესმის: **უკმაყოფილების გამოთქმა ყირიმელებისთვის საბიუჯეტო თანამდებობების შეთავაზების, უმაღლეს სასწავლებლებში კვოტების გამოყოფის და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების გამო**, რაც რუსეთის დანარჩენ მოქალაქეებს დააზარალებს.

ხოლო, **რაკი თვით რუსეთის სპეცსამსახურებსაც კი არ შეუძლიათ ბლოგერების ტოტალური კონტროლი**, ხოლო **ბლოგერებს კი, თურმე, შეუძლიათ, იმოქმედონ უბრალო რუსების ცნობიერებაზე**, ამიტომაც იფიქრეს, რომ ასეთი **მოსაზრებების გამოთქმაზე სისხლის სამართლის კოდექსის ანტიექსტრემისტული მუხლი გაავრცელონ.**

ეს მუხლი კი, **რფ-ული კანონმდებლობით, ფულადი ჯარიმის გარდა, 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს**. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ **რფ-ს კიდევ ერთი მუქთამჭამელი დაემატება** (ამ ჩვენი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პარალელურად), **იმას გარდა, რომ არც საკუთრივ თავისებს უჩივის** (ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების უმეტესობა ცენტრის დოტაციაზეა), რაც, **ცხადია, რიგითი რუსების ტყავზე აისახება.** ასეა თუ ისე, საქმეს კოჭებშივე ეტყობა, რომ **სსრკ-მდე არც ისე შორია**...

# წოდებადასაბრუნებლები

## ვისი ავტონომია – ვის ფედერაციაში

შესაძლოა, იმიტომ რომ **მსოფლიო არეულობით ისარგებლა** (ჯერჯერობით **გაურკვეველია, ვისი ავტონომია ვის ფედერაციაში აღმოჩნდება**), 20 მარტს **თურქეთის ხელისუფლებამ**, თავისივე **პროკურატურის მოთხოვნით,** ჯერ იყო და, **„ტვიტერზე“ წვდომა დაუბლოკა თავის მოსახლეობას** (თუმცა **სტამბულის** საერთაშორისო **სასამართლომ აკრძალვა გააუქმა**), სულ **ახლახან კი ამჯერად Youtube გახდა მიუწვდომელი**. ეს **გადაწყვეტილება თურქეთის კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სამმართველომ მიიღო.**




ამის **მიზეზი**, თუ თურქულ მედიას ვერწმუნებით, **ბანალურია**, რადგან **სწორედ Youtube-ზე დაიდო თურქეთის ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა შეხვედრა, რომელზეც სირიის შესახებ საუბრობდნენ.** თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რას იტყვის თურქული სასამართლო.

მეორე მხრივ, **იქ** (ანუ ჩრდილო კორეაში), **სადაც არც „ტვიტერია“, არც Youtube** და **მტკიცედ სჯერათ, რომ მათი ასტრონავტები მზეზე დასხდნენ პირველად კაცობრიობის ისტორიაში**, გადაწყვეტილება მიიღეს, რომ **მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობამ** (ჩვილობიდან, ვიდრე სიკვდილამდე) **ზუსტად ისეთი ვარცხნილობა უნდა იქონიოს, როგორიც მათ მზესა და ბელადს კიმ ჩენ ინის თავს ამშვენებს.**

თუმცა **ვერც იმას დავაბრალებთ ჩრდილო კორეელებს, რომ აქამომდე ფრიად თავისუფლად ექცეოდნენ თავიანთ თავებს,** რადგან **მამაკაცებს არჩევნის გაკეთება** მათთვის სპეციალურად შექმნილი **10 ვარცხნილობიდან შეეძლოთ**, ხოლო **ქალებს – 18-დან**.



იმის გათვალისწინებით, რომ, სახელდობრ, **ჩვენ ჯერჯერობით ვარცხნილობებსაც თავად ვირჩევთ** და **„ტვიტერსა“ და Youtube-საც ერთობ თავისუფლად მოვიხმართ, ინფორმაციის დამახინჯებასაც ვაპროტესტებთ** და მედიის მიერ **ამა თუ იმ ამბის დამალვასაც განვიცდით,** წყალი არ გაუვა, **უნდა დაგვიბრუნდეს „დემოკრატიის შუქურის“ სტატუსი!**

# იმაზე დიდი...

## MADE IN USSR

მაშინ, როდესაც **უკმაყოფილების გამოთქმის გამო რფ-ში ბლოგერებს ციხეში 4 წლამდე ვადით უპირებენ გამოკეტვას**, 23 მარტს, **მარტამდე რომ იყო, იმაზე დიდ რუსეთში გამოკითხვა ჩატარდა**, რის მიხედვითაც, გაირკვა, რომ **რფ-ის მოქალაქეთა უმეტესობა ინფოს ტელევიზიების საშუალებით იღებს** (88 პროცენტი), თანაც, ძირითადად, **სახელმწიფო არხებს უცქერენ** და **მათი 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ ტელევიზიები ფრიად ობიექტურად აშუქებენ მოვლენებს** (რაკი ჩვენც გვაქვს **რუსული სახელმწიფო არხების საინფორმაციოებით ტკბობის საშუალება,** ზედმიწევნით ვიცით **მათი პროპაგანდისტულობის ხარისხი** და თანავუგრძნობთ რფ-ელ მაყურებელს). თუმცა **სასიხარულო ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით ინტერნეტიდან ინფოს მიმღებთა რაოდენობაც გაზრდილა** (32-დან 41 პროცენტამდე).




მაგრამ, ვაი რომ, **72 პროცენტი ამართლებს, როცა რუსული ელექტრონული მედია რფ-ელების ყურებისთვის უსიამო თემებზე დუმილს ამჯობინებს**, ხოლო **54 პროცენტი კი,** საერთოდაც, **დარწმუნებულია, რომ ტელევიზიებს,** სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, **ინფორმაციის დამახინჯების უფლებაც აქვთ.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, სავსებით **გასაგებია საქართველოს მოსახლეობის დასავლეთისკენ გაჭრის ჟინიანი სურვილი.**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com;
tbiliselebi2001@yahoo.com

# მე, ბებია და წილები

## შექსპირის დამჩრდილველი

შესაძლოა, იმიტომ რომ **მთავარმა პროკურატურამ** (რომელიც, სხვათა შორის, ძირითადად, თუ სრულად არა, ყოფილი ხელისუფლების დროინდელი კადრებითაა დაკომპლექტებული, ხოლო მათ კი, ვინ, თუ არა საქართველოს მოქალაქემ, იცის, რა ნიშნით ავსებდნენ გულდასმით) **ვერაფრით შემოიტყუა პრეზიდენტყოფილი მოწმედ დასაკითხად**, ბოლოს **ისიც კი შესთავაზა, დისტანციურად დაგკითხავთო** (დაახლოებით, **„ნდობის ტელეფონის“ სტილში** – ), თუმცა ბ-ნმა **სააკაშვილმა ცივი უარი განაცხადა (პუტინის ოცნებას არ ავასრულებო**! მეორე მხრივ, კაცმა რომ თქვას, **ჯობდა, ნებსით თუ უნებლიეთ, პუტინის ის ოცნება არ აესრულებინა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება რომ ჰქვია**).




ხოლო, რაკი **უარი ცივზე ცივი იყო, პროკურატურამ დისტანციური დაკითხვისთვის ვადა ერთ კვირამდე გაუხანგრძლივა** და ოფიციალურ განცხადებაში **იმედი გამოთქვა, რომ „ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავადაც სათანადოდ მოეპყრობა საკუთარ სტატუსს**, იმოქმედებს როგორც კანონმორჩილი მოქალაქე და **გამოძიებასთან მოწმის სახით თანამშრომლობით ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას და დამნაშავეთა დასჯას, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი**.“

თუმცა **ნაკლებ სავარაუდოა, უარის ყინული პროკურატურის თვით ამ თბილმა და ამაღელვებელმა სიტყვებმაც კი გაალღოს.** ხოლო, რომ ვერ გაალღობს, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ბ-ნმა სააკაშვილმა ვრცელი ინტერვიუ (ინტერვიუს ვამბობთ, თორემ, ჩვეულებისამებრ, მონოლოგი იყო) **თავის ძველ თანამებრძოლ „რუსთავი 2-ს“ კიევში მისცა** (ვინ-ვინ თუ არა მრავალრევოლუციაგამოვლილმა „რუსთავი 2-მა“ უწყის, რომ სწორედ მუჰამედი მიდის მთასთან – ).

**პრეზიდენტყოფილი**, როგორც წესი, **უხვსიტყვიანი იყო და ახალი ტერმინებითაც გაგვახარა** (მაგალითად, **„ქოცისტანით“),** საკუთარ **დამსახურებებზეც ვრცლად ისაუბრა**, გაკვრით **შეცდომებიც ახსენა**, საკუთარი **შეჭირვებული ყოფაც** და **პრეზიდენტის ფუნქციის უმწკივლოდ შესრულებაზეც შეგვახსენა** (ერთი ისაა, რომ **ბებიასთან დაკავშირებული წიწილების ამბავი მაშინვე გაირკვა**). უფრო მეტიც, სანდრო გირგვლიანის მკვლელებს მხეცებიც უწოდა. ზემოთქმული კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შექსპირს თანამედროვეობაში იმდენად ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა, რომ თვით მისი ტრაგედიებიც კი დაიჩრდილა...

# ალჩუზე დასმის მოლოდინში

## ძველი აღთქმის კვალდაკვალ

ის-ის იყო, გვეგონა, რომ **კოჭი,** როგორც იქნა, **ნანატრ ალჩუზე გვიჯდებოდა**, ჩვენი სულზე უტკბესი ოკეანისგაღმელი პარტნიორის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ მსოფლიო საზოგადოებას აუწყა, რომ სექტემბერში ვერც უკრაინა და ვერც საქართველო „ნატოში“ ვერ გაწევრიანდებიან**.

თუმცა ამის პარალელურად, **ევროკავშირი გვპირდება, რომ ასოცირების შეთანხმებაზე ხელს ახლა უკვე ივნისამდე ან იმაზე უფრო ადრე მოგვაწერინებს**. ერთი ისაა, რომ **ჩვენი პოლიტსპექტრი ვერ შეთანხმებულა ხელმომწერის ვინაობაზე**: პრემიერ-მინისტრი იქნება ეს, პრეზიდენტი თუ, სულაც, საგარეო საქმეთა მინისტრი. ადვილი მისახვედრია, რომ **სამივეს სურს ისტორიის ფურცლებზე მოხვედრა საკუთარი გვარ-სახელის უკვდავსაყოფად** (და მერე რა, რომ მთავარი ქვეყნის ბედია და არა კონკრეტული პერსონის იდენტიფიცირება – ), თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ **ამ სამყაროში მოვლენები ელვის უსწრაფესად იცვლება, შეიძლება, ისეც მოხდეს, ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო**.



აბრაამს თუ „ნატოს“, ყოველ შემთხვევაში, **ის მაინც ვიცით დაზუსტებით, რომ „ნატოს“ გარეშე მოგვიწევს რფ-სთან ჭიდაობა** (პათოსით: „ვირი ვარ თუ ვირის პატრონი“). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ყირიმის მიერთებამდე რფ-ის პრ. პუტინი გვარწმუნებდა, ყირიმში ჯარის შეყვანას არ ვაპირებო,** რეალურად კი, **ბაზებიდან საკუთარი ჯარიც გამოიყვანა და ყირიმიც თავისთან შეიყვანა**, არ არის გამორიცხული, **მისი ბლიცკრიგი ობამამაც გაიმეოროს** (გამოუსწორებელი ოპტიმისტის ლოგიკით).

მეორე მხრივ, **თუ ბიბლიური სიბრძნით ვიმსჯელებთ** (ხელს ის უშვებს, ვისაც უყვარს, თუმცა თავს ვერ დავდებ, რომ ძველი აღთქმა ბ-ნი ობამას სამაგიდო წიგნია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას), შეიძლება, **ვივარაუდოთ, რომ ამ უკანდახევით** (როცა ორმხრივ სიგიჟეს კატასტროფა მოაქვს) **რფ-ს აშშ-მა იმაზეც მიანიშნა, უკრაინასა და საქართველოს მეტს ნუღარ ავნებო** (ისევ გამოუსწორებელი ოპტიმისტის ლოგიკიდან).

# „შასძლებს თავმჯდომარეობას“!

## ინიციატივის მიმსალმებლები

**ყოფილი პრემიერ-მინისტრის საქმის გააქტიურებამ ყოფილი თანაგუნდელების პროტესტიც გამოიწვია** და **აღშფოთებაც,** თუმცა, **მოგვიანებით, მათ ხელისუფლებას „ნდობის ჯგუფის“ შექმნის ინიციატივით მიმართეს**, რომელმაც, მათი აზრით, **მონიტორინგი უნდა გაუწიოს ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას.**



თავის მხრივ, **არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივას მიესალმნენ.** თუმცა შეთავაზება **საკუთარი მოსაზრებებითაც გაამდიდრეს**. კერძოდ, მათგან ნაწილი ფიქრობს, რომ მსგავსი **ტიპის ჯგუფი მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებითა და საერთაშორისო ექსპერტებით უნდა დაკომპლექტდეს.**

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, **არიან ისეთებიც, რომელთაც სწორედაც რომ პოლიტიკური პარტიების გაერთიანება ხიბლავთ**. სახელდობრ, **„ლეიბორისტები“ მიესალმებიან ჯგუფის შექმნას, ოღონდ თავად მონაწილეობის მიღებას არ გეგმავენ**. იმავე გზას **ადგანან „ახალი მემარჯვენეებიც“:** საზოგადოებრივი კომისიის შექმნა მისაღებია, ოღონდ, ჩვენ გარეშეო.

აი, **მაგალითად, სრულად იზიარებს „ნდობის ჯგუფში“ პოლიტიკური პარტიების გაერთიანების პათოსს „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” თავმჯდომარე** ბაჩუკი ქარდავა. მეორე მხრივ, **რაც მთავარია, შეთავაზებას არ იზიარებს ხელისუფლება** და ფიქრობს, რომ **დამოუკიდებლადაც შეძლებს დაგროვილ შეკითხვებზე პასუხების გაცემას.**

თუმცა, **თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის რეაქციებით ვიმსჯელებთ**, როგორც ჩანს, ჯერჯერობით **ედპ-ა ერთადერთი, ვინც ფიქრობს, რომ „თავმჯდომარეობას“** ფრიად წარმატებით **„შასძლებს“.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**თუმცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს ადგილს დასავლურ სტრუქტურებში ხედავს, საზოგადოების გარკვეული წრეები ეკლესიას მაინც პრორუსულად ორიენტირებულად მოიაზრებენ. მეორე მხრივ, საქართველოს ეკლესიის ურყევად მაღალი რეიტინგი სახელმწიფობრივი სტრუქტურების სისუსტეზეც მიუთითებს, რაც, სარწმუნოებრივ მომენტს თუ გვერდზე გადავდებთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, რომ ისიც კარგია, თუ რომელიმე ინსტიტუტი მაინც სარგებლობს ამ ქვეყანაში ნდობითა და მაღალი ავტორიტეტით. ვისი ინტერესია საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაცია და იმიჯის შელახვა? – თემას „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარესთან, მამუკა გიორგაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# ვისი ინტერესია საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაცია, ვინ იხდის ამაში ფულს და რატომ არის ინდიფერენტული ხელისუფლება ეკლესიაზე შეტევის პროცესისადმი

– მივყვეთ ამ ძალიან სწორ მინიშნებებს: პირველი – საქართველოს ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა მკაფიო, ჩამოყალიბებული პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ადგილის შესახებ. უბრალოდ, ამ პოზიციის გვერდის ავლით ხდებოდა საპირისპიროს მტკიცება. რადგან სააკაშვილს სჭირდებოდა ეკლესიის წინააღმდეგ გაბრძოლება და ეძებდა იდეოლოგიურ-პოლიტიკურ საბაბს და ეს საბაბი იყო ყურით მოთრეული საქართველოს ეკლესიის პრორუსულობა, რათა გაემართლებინა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული თავისი ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ ამის მიმანიშნებელ ვერც ერთ დოკუმენტს ვერ ნახავთ.

**– მინდა, გავიხსენო პატრიარქის მილოცვა ვლადიმირ პუტინისადმი, როდესაც გაპრეზიდენტება მიულოცა, ინფორმაცია გაშუქდა ან შეფარულად ან აშკარად ნეგატიურ კონტექსტში, თუმცა ქართულ მედიას არ გაუშუქებია მილოცვის ის ნაწილი, სადაც პატრიარქი პუტინს სწერს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება და კარგია, თუ ეს მოხდება თქვენი პრეზიდენტობის დროსო.**

– სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ასევე, არ გააშუქა ქართულმა მედიამ 2011 წლის წმიდა სინოდის განჩინება, რომლითაც 1801 წლიდან რუსეთის მხრიდან ჩადენილი ქმედებები შეფასდა როგორც უკანანო და დანაშაულებრივი. პროდასავლურ ხელისუფლებას ეკლესიის ასეთი შეფასება უნდა აეტაცა და მიეწოდებინა საზოგადოებისკენ, რომ აი, ეკლესია, ყველაზე დიდი რეიტინგისა და ავტორიტეტის მქონე, ჩვენ გვერდითაა ამ საქმეში. უამრავი მსგავსი მაგალითის ჩამოთვლა შემიძლია: წმინდანად შეირაცხა კათალიკოსი ანტონ მეორე და მას ეწოდა „მრავალვნებული.“ ვისგან მიიღო ეს მრავალი ვნება საქართველოს კათოლიკოსმა?! ისევე, როგორც დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, საქართველოს ეკლესიის მიერ წმიდანებად შერაცხილები, რუსეთის მიერ იქნენ ვნებულნი. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველო, როგორც ევროპული ტიპის ქვეყანა და ევროპა, როგორც ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული გაერთიანება, სხვა თემაა, ზოგიერთი ქვეყანა როგორ აფასებს ამ ღირებულებებს...

**– ეს მაინც ქრისტიანული ცივილიზაციაა.**

– დიახ და საქართველოს ადგილი არის იქ. მეორე მომენტი: საქართველოს პატრიარქი იმ ღირებულებებს ამკვიდრებს, რასაც ჩვენ, რატომღაც, ვუწოდებთ ევროპულ ღირებულებებს, მაგრამ ეს არის ქართული ღირებულებები: პიროვნების პატივისცემა, პიროვნების ღირსების დაცვა, ადამიანის უფლებები, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანი სასამართლო, თვითმმართველობა. ეს ყოველივე ქრისტიანული ღირებულებებიდან მოგვდგამს, ქრისტემ მისცა კაცობრიობას არჩევნის თავისუფლების ცნება და, ბუნებრივია, მისი უწმიდესობა ამ ღირებულებების დაფუძნებას ცდილობს საქართველოში. გარდა სუფთა რელიგიური ღირებულებებისა და აღმსარებლობითი მიმართულებისა, ეკლესია, იმავდროულად, საქართველოში ამკვიდრებს ადამიანური განვითარების უმაღლეს სტანდარტებს. საქართველოს ხელისუფლებები კი ებრძვიან საქართველოს ეკლესიას. სამაგალითო უნდა გამხდარიყო მისი უწმიდესობისა და პუტინის შეხვედრა. ჩვეული ადამიანური სითბოს გაცემის პარალელურად, პრინციპულად უთხრა: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოა და, გირჩევნია, შენ თვითონ მოაგვარო ეს პრობლემაო. ეს პირში ვინმემ უთხრა პუტინს, მაშინ, როდესაც ანტირუსი სააკაშვილი ეუბნებოდა, კეთილი თვალები გვაქვსო. ხომ გახსოვს ყველას?

**– თვითონ გვიამბო.**

– დიახ. მისი უწმიდესობა მაგალითი უნდა გახდეს იმისა, რომ ერთმანეთთან თუ მტერთან მიმართებაში შევძლოთ, გავცეთ სითბო და სწორედ ეს სითბო და ავტორიტეტია იმის გარანტი, რომ მოწინააღმდეგე მხარე თუ პარტნიორი მიიღებს და დედის რძესავით შეირგებს იმ არგუმენტებს, რომლებიც გვაქვს. შესაბამისად, ამის გამოა, რომ საქართველოს საეკლესიო საზღვარი არ არის დარღვეული. ეკლესიის პოზიცია იცავს ჩვენს რელიგიურ საზღვრებს და ამავე დროს გარკვეულწილად ამ პოზიციის გამო უწევს ხოლმე მოწინააღმდეგეს თავისი აგრესიის ხარისხის შემცირება.

**– რატომ ვერ ანაცვლებს ნდობით და ავტორიტეტით ეკლესიას სახელმწიფო ინსტიტუტები?**

– ისტორიულად, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების სისუსტეა ქვეყანაში, ეკლესია, როგორც სახელმწიფოებრივი ინტერე-



**ანისის კრებაზე, როდესაც ძალიან გამწვავდა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი დამოკიდებულება, მეფე თხოვნით მივიდა მათთან, პირდაპირ წერია რუის-ურბნისის კრების ოქმში, როგორც მონა და სთხოვა, პოლიტიკურ სიტუაციას ნუ გამირთულებთო**

სების დამცველი ბოლო ინსტანცია, დროშას იღებს ხელში. ეს ეკლესიის შიდა ბუნებაა, მისი ვალდებულებაა. ეკლესია არის ის ქვაკუთხედი, რომელზეც დაფუძნდა ქართული სახელმწიფო. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ უღირსი საქციელის გამო ლაშა-გიორგის სასამართლო მოუწყო და, თუმცა დიმიტრი თავდადებულის საქციელის გამო ერთ-ერთი პატრიარქი გადადგა კიდეც პროტესტის ნიშნად, როდესაც იგივე დიმიტრი თავდადებული ურდოში მიდიოდა და ყველამ იცოდა, რომ ეს მისი თავგანწირვის გამოხატულება იყო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წაჰყვა მას მასთან ერთად სასიკვდილოდ. აი, ჩვენი საქართველოს ეკლესიის ბუნება. ანისის კრებაზე, როდესაც ძალიან გამწვავდა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი დამოკიდებულება, მეფე თხოვნით მივიდა მათთან, პირდაპირ წერია რუის-ურბნისის კრების ოქმში, როგორც მონა, ისე მივიდა და სთხოვა, პოლიტიკურ სიტუაციას ნუ გამირთულებთ და ძალიან ნუ გადააყოლებთ რელიგიურ საკითხებსო. აი, თანამშრომლობა. სხვანაირად ეკლესია ვერ მოიქცევა, იმითაა ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომ ყველაზე კრიზისულ დღეებში ასეთი ეკლესია გვყავს და არა ეკლესია, რომელიც პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილებაა ზოგიერთ ქვეყანაში და დამოუკიდებელი პოზიცია თითქმის არასდროს ჰქონია.

**– საქართველოს ეკლესიამ უფრო ადრე გამოაცხადა ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს, ვიდრე დამოუკიდებლობა გამოცხადდა.**

– რა თქმა უნდა, ეკლესიის გაძლიერებაა სახელმწიფოს ძლიერება. ძლიერი ეკლესიის პირობებში სახელმწიფო სტანდარტები იზრდება, რუის-ურბნისის კრებამ განაპირობა ის სტანდარტები, რის შემდეგაც ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში ოქროს ხანა დადგა. ებრძვიან იმიტომ, რომ ეს მაღალი სტანდარტები არ აძლევს ხელს, რადგან ბევრისთვის ეს სტანდარტები მიუღწეველია და ამის გამო ეკლესია დარტყმის ქვეშ ხვდება. თუნდაც, გავიხსენოთ, რომ ქართველმა საზოგადოებამ „გაატარა“ მისი უწმიდესობისა და შტეფან ფულეს შეხვედრა. შტეფან ფულე მივიდა სასაყვედუროდ და ამ დროს დახვდა პოზიცია: რა მჭირს დასარწმუნებელი, მე იქით ვარწმუნებ, რომ საქართველო ოდითგანვე ევროპული ქვეყანა იყო. საინტერესოა ერთი პასაჟი მისი უწმიდესობის გამოსვლიდან, თუ ვინ მიაწოდა შტეფან ფულეს ეს ინფორმაცია?! ესე იგი, სახელმწიფოში არის ინსტიტუტები, არიან ადამიანები, რომლებიც სხედან და იმაზე ფიქრობენ, როგორ გაავრცელონ ეკლესიაზე არასწორი ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორ შეუბღალონ ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას სახელი და როგორ გამოთიშონ სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ბალავარი საქართველოს ეკლესია ქართული საქმის კეთებისგან.

**– რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ? ათეისტები არიან თუ რა მიზეზი აქვთ?**

– ჩვენ ეს არ გვიკვირს, რადგან გვახსოვს მებრძოლი ათეიზმის პერიოდი. ჩვენ გვახსოვს 1932 წელი, როდესაც ყრილობაზე ითქვა, რომ 1937-ში ბოლო მორწმუნე მღდველი უნდა განადგურებულიყო. ამდენად, ჩვენ არ გვიკვირს მის გულში ჩასახული ეშმაკის არსებობა; არ გვიკვირს, თუ ეს ადამიანები ასრულებენ შულავერის კომიტეტის ფუნქციას. შულავერის კომიტეტის ფუნქცია იყო, რომ მცირე ჯგუფს მიეცა საბაბი გარე ძალებისთვის საქართველოს დაპყრობისთვის, თორემ თავისთავად შულავერის კომიტეტი ხომ არაფერს წარმოადგენდა?! ზუსტად ასე: დღესაც არსებობს ეს შულავერის კომიტეტი, განფენილი სხვადასხვა ფენაში: ხელისუფლება, ოპოზიცია, მედია, არასამთავრობო სექტორი და ასე შემდეგ და ასრულებს იმ ფუნქციას, რომ მოიპატიჟონ უცხო ძალები საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და ამაში ფულის გადამხდელი ბევრია. ამ ადამიანების ინტერესია ფინანსები: ამაში ფულს იხდიან, მაგრამ აქ დგება ხელისუფლების პასუხისმგებლობის მომენტი – თუ სამართლებრივი დევნა არ დაიწყო ყალბისმქმნელების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი აქტიურობა მაინც გამოეწვია, ასეთი რამ ხდებაო. „ოცნებამაც“ და „ნაცმოძრაობამაც“, რომლებიც თითქოს ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან, ამ საქმეში დუმილი ამჯობინეს, რითაც თავისი თავი ამხილეს, იმიტომ რომ, მათი წრიდან

გადის ეს ინფორმაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმალური, საკუთარი სახელმწიფოს პატივისმცემელი ხელისუფლება გამოიძიებდა, როგორ ხდება საქართველოდან დამახინჯებული ინფორმაციის გატანა-გავრცელება და ეს რომ ანტისახელმწიფოებრივი საქმეა, ამაზე სისხლის სამართლის კოდექსიც მოწმობს. იმის გამო, რომ ძალიან სუსტია სამოქალაქო საზოგადოება, საქართველოს ეკლესიამ აიღო თავის თავზე საქართველოს ინტერესების დაცვა და მთელ რიგ შემთხვევებში მიაღწია კიდეც შედეგს. შვიდი წელი ეკლესია ანათემას გადასცეს, რომ, თურმე, ეკლესიის პოზიციის გამო თურქეთში შესაძლოა, ჩვენი ტაძრები დაინგრეს. არადა, ხომ ყოფილა შესაძლებელი, თურქეთში ისე აღდგენილიყო ჩვენი ტაძრები, რომ სანაცვლოდ მეჩეთები არ აშენებულიყო საქართველოში?! თვითმმართველობის კოდექსში რეგიონალიზმის შემოტანა და საქართველოს რეგიონებად დაყოფა გააპროტესტა მთელმა რიგმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, „სახალხო პარტიამაც“ მოაწყო აქციები, მაგრამ არ ეყო ჩვენი ძალისხმევა და მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მკაფიო და მყარმა პოზიციამ განაპირობა, რომ შემცირებულიყო ამ ეტაპზე საქართველოს დაშლის საფრთხე. რატომ მიგვყავს აქამდე საქმე?! რატომ უნდა ვაკვირდებოდეთ გაფართოებული თვალებით ხელისუფლების ქმედებას, რამე სახელმწიფოს საზიანო საქმე ხომ არ კეთდებაო?! ან ამ „აი დი“ ბარათებთან დაკავშირებით რატომ იძლევი დაპირისპირების საბაბს? რადგან ითხოვს, მიეცი საზოგადოებას ალტერნატიული ვარიანტი.

**– ფულია ერთადერთი მოტივი?**

– მათ ორ რამეში უშლის ხელს ეკლესია: ეკლესია არის თავისუფალი, ზნეობისკენ მიდრეკილი, ცოდვის მომნანიებელი, მაღალი ღირებულებებისა და ღირსების მატარებელი ხალხის სამჭედლო და მეორე – არის სახელმწიფოეროვნული ინტერესების დამცველი, რაც, როგორც ჩანს, ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს. ალბათ, ემატება პიროვნული ფაქტორიც: ვიღაც-ვიღაცეებს მოსვენებას უკარგავს ის რეიტინგი, რომელიც დღეს ეკლესიას აქვს.

**– მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ ვაწყდებით ეკლესიის მსახურებს, რომლებიც ორთოდოქსების შთაბეჭდილებას ტოვებენ, რაც არც ჩვენს სარწმუნოებას უთავსდება და საერთოდ არც ქრისტიანობას. ვინ არიან ეს ადამიანები, მათი მიზანიც ხომ ეკლესიის დისკრედიტაციაა, თუმცა თავად ამას დაცვას უწოდებენ?**

– ყველა ცოცხალ ორგანიზმში თავს იჩენს გარკვეული პრობლემები, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური და ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნეიტრალიზებულია გარედან ჩარევა. როდესაც ვსაუბრობთ რუის-ურბნისის კრებაზე და ვამბობთ, რომ აღმაშენებელმა განწმინდა ეკლესია, არასწორია, რადგან დავით აღმაშენებელს ეკლესიაში არანაირი რეფორმა არ გაუტარებია. მან უბრალოდ მოაცილა საერო ზეწოლა ეკლესიას და ეკლესიის წმიდა მამებმა თავიანით ძალებით მოახერხეს საქართველოს ეკლესიის უმაღლეს დონემდე აყვანა. ბუნებრივია, საქართველოს ეკლესიაში, ისევე, როგორც საზოგადოებაში, სხვადასხვა ხედვის ადამიანები არიან და ეს არ არის გასაკვირი 70-წლიანი ათეიზმის შემდეგ.

> **ძლიერი ეკლესიის პირობებში სახელმწიფო სტანდარტები იზრდება, რუის-ურბნისის კრებამ განაპირობა ის სტანდარტები, რის შემდეგაც ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში ოქროს ხანა დადგა**

**– ორთოდოქსების გაჩენა მებრძოლი ათეისტების მეორე უკიდურესობაა?**

– დიახ და გარკვეული რადიკალიზმი შემოვიდა ჩვენს რელიგიურ ცხოვრებაში. ეს ბუნებრივია და ეკლესიური ცხოვრება ამას იტანს: ვიღაც უფრო მკაცრ მარხვაზეა, ვიღაცის ლიტურგიკა უფრო გამკაცრებულია, ვიღაც ცხოვრობს ერისკაცის ცხოვრებით, ვიღაცას აქვს სურვილი, რომ ბერული მიმართულებით განვითარდეს. ეს გასაგებია, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როდესაც ეს წინა პლანზე წამოიწევა სახელმწიფოსა და სპეცსამსახურების მხრიდან. გვახსოვს ბევრი სასულიერო პირის აქტიურობა, რომელთაგან ზოგი აღარც იყო საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში, ზოგი ისეთ რამეს სჩადიოდა, რაც სახელმწიფოს უნდა აღეკვეთა, მაგრამ, პირიქით, ხელს უწყობდა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს რადიკალური ჯგუფების დაპირისპირება. მაგალითად: ვხედავთ, როგორც ეჯახება დღეს საქართველოში ერთმანეთს ეგრეთ წოდებული ევრაზიული მიმართულების პრორუსული ჯგუფები „ნაციონალებისგან“ ორგანიზებულ ეგრეთ წოდებულ პროდასავლურ ჯგუფებს. არადა, არც ერთია პრორუსი და არც მეორე – პროდასავლელი, ორივე ერთი ცენტრიდან ფინანსდება, ორივესთვის ხელსაყრელია ხელოვნური დაპირისპირება საქართველოში, რათა მოხდეს შეჯახების ინსპირაცია. ეს ვნახეთ უკვე ერთხელ: როდესაც ლოთი ქობალია და თენგიზ კიტოვანი ერთმანეთს ეომებოდნენ, რომელსაც გაუჭირდებოდა, „ზაკვო“ მას აწვდიდა იარაღს. იმავე ეს ვუყურებთ ახლა.

**– ოღონდ მასშტაბებია მცირე.**

– მცირეა, მაგრამ ამით ცეცხლზე ნავთის დასხმა შესაძლებელია, გააჩნია, რა ამოცანას დაისახავს მიზნად მოწინააღმდეგე. მით უმეტეს, დამღუპველია ამ საფრთხის ეკლესიაში გადმოტანა და ამ კუთხით რელიგიური დაპირისპირების მოწყობა.

**ნინო ხაჩიძე**


# დაიცავით თქვენი და თქვენი შვილების ყურები!

**ბინძური ეკოლოგია, მტვერი, მომატებული გოგირდის გამოყოფა, მომატებული ქოლესტერინი, ყურსასმენების „ნაუშნიკების“ ხშირი ხმარება, ბამბის ჩხირების, ფონედოსკოპის (ექიმები) გამოყენება - ეს ყველაფერი იწვევს ყურის დაბინძურებას და სმენის დაქვეითებას.**

## საფრთხე ჩხირების გამოყენებისას



**აღიზიანებს სასმენი მილის კანს, იწვევს გოგირდის ჰიპერსეკრეციას, გოგირდის ნაწილი შეაქვს უფრო ღრმად და იწვევს სმენის დაქვეითებას, გოგირდის საცობების წარმოქმნას, ზრდის მიკროტრავმებისა და ინფექციების რისკს.**




## აუდისპრეი – უსაფრთხო

ეფექტური

ნატურალური

ყურის ჰიგიენის

საშუალება




**მარტივი გამოყენების წესი:**

3 წლიდან – კვირაში 2-3-ჯერ
1-2 შესხურება თითო ყურში.

## ყოფნის 6 თვე

ახალშობილები და ბავშვები
3 წლამდე –კვირაში ერთხელ
3-6 წვეთი თითო ყურში

***აუდისპრეი* შვეიცარიული ხარისხი თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე**

*იკითხეთ GPC-ის აფთიაქებში*

**მართალია, „ნატოზე“ უარი გვითხრეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე (თუმცა წევრობის სურვილი ჩვენი მხრიდან ისევ ძალაშია), მაგრამ, სამაგიეროდ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერას ივნისამდე ან უფრო ადრეც გვპირდებიან. ასეა თუ ისე, მაგალითად, რუსეთში სომეხთა დიასპორის პრეზიდენტი აგასი არაბიანი აცხადებს, რომ, თუკი საქართველო აირჩევს „ნატოსა“ და ევროკავშირს, რათა ჩვენს იდენტობას საფრთხე არ შეექმნას, ჯავახეთს კულტურულ-ეკონომიკური ავტონომია უნდა მიენიჭოსო. მეორე მხრივ, რუსულ პრესაში აქტიურად ჩნდება ინფორმაცია საქართველოს მომავალი ფრაგმენტაციის შესახებ, რისი საფრთხეც, თურმე, ევროსტრუქტურებში გაწევრიანების სურვილის პირდაპირპროპორციულია. ამის პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს სულ უფრო და უფრო ბევრი მოქალაქე იღებს რუსეთის ფედერაციის პასპორტებს, ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის მოქალაქე ნიშნავს რუსეთის ჯარის შემოსვლას, როცა იმ მოქალაქეს მოუნდება ან მოანდომებენ, საფრთხის მასშტაბი ადვილად წარმოსადგენია. აქვე გეტყვით, რომ რუსეთის მოქალაქეობის სინდრომი გავრცელებულია არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა ნაწილებშიც არ უჩივიან მის სიმწირეს. საიდან უნდა ველოდოთ ვითარების გართულებას, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მამუკა არეშიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რა ორი არჩევნის წინ დგას საქართველო და რატომ არის ერთი მეორეზე უარესი

**– რა მიმართულებებით იმოქმედებს რუსეთი ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერამდე?**

– ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, განსაკუთრებული გართულება არ იქნება, მით უმეტეს, როდესაც ტიგრან სარგისიანი, სომხეთის პრემიერი, აცხადებს, რომ სომხეთი ევროკავშირთან ასოცირების პოლიტიკურ ნაწილს მოაწერს ხელს.

**– და ფიქრობთ, რომ სომხეთი ამას შეძლებს? საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სომხეთის სახელმწიფოებრიობა საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია, იმას გარდა, მოინდომებს თუ არა ევროკავშირი საბაჟო კავშირის მსურველთან ასეთი შეთანხმების გაფორმებას?**

– ეს მეორე თემაა. ასე დავსვათ საკითხი, ივლის თუ არა ამ გზით სომხეთი? შეიძლება, ვაჭრობისთვის გამოიყენოს და ბოლოში გაჩერდეს, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ, იურიდიული თვალსაზრისით, შეძლებს. დავუბრუნდეთ იმას, თუ რა ტიპის საფრთხეები არსებობს საქართველოში რუსეთის მოქალაქეებთან დაკავშირებით: ჩვენ გვაქვს ასეთი ეჭვის უფლება, რადგან რუსეთმა თამაშის ისეთი წესი შემოიღო, როდესაც ის რუსეთის მოქალაქეებს იცავს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს, რომ იცავს, როცა უნდა. რადგან, მაგალითად, აფხაზეთში რუსეთის 4 000 მოქალაქე ითხოვს სამართლიანობის აღდგენას, რომლებიც აფხაზებმა ბინებიდან გამოყარეს, მაგრამ იქ ეს კანონი არ მუშაობს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რუსულ-აფხაზური შერეული კომისია ამ საკითხების მოსაგვარებლად ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. რამდენიმე ადამიანის საქმე გადაგზავნეს სასამართლოში განხილულებიდან, ყველას საქმე განხილულიც კი არ არის. ამდენად, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რუსეთს შეუძლია, მალაიზიაშიც დაიცვას კონკრეტული რუსი მოქალაქეების უფლებები, თუ ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ. სხვათა შორის, რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე ცხოვრობს მაიამიში და ამ კანონით, რუსეთს მაიამის მიერთებაც შეუძლია. ერთი სიტყვით, სადაც დასჭირდება, იქ გამოიყენებს და ამიტომ არიან შეშფოთებულები ბალტიისპირეთის ქვეყნები. იცით, რომ ლატვიის დედაქალაქ რიგის მოსახლეობის ერთი ნაწილი არ არის ლატვიის მოქალქე, არიან რუსეთის მოქალაქეები. რუსეთის მოქალაქეები კი იმიტომ არიან, ლატვიამ არ მოინდომა ასე, თუმცა ახლა ხვდებიან, რა შეცდომაც დაუშვეს. რუსეთის ხელისუფლებამ მომგებიანი პოლიტიკური ფორმატი შექმნა, როდესაც თავის მოქალაქეებს იცავს იარაღით და არმიით.

რაც შეეხება საქართველოს; საქართველოში რუსეთის მოქალაქეები გაფანტულები არიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: აჭარა, სამეგრელო, ყაზბეგის რაიონი, თბილისი, ქვემო ქართლი და ჯავახეთი. მაგრამ, პოლიტიკური კონიუნქტურის თვალსაზრისით, რუსეთისთვის მომგებიანია ჯავახეთი და ყაზბეგის რაიონი.

**– ყაზბეგელების იმედი არ გვაქვს?**

– ეს სხვა საკითხია: ეს არის კოდის ქვაბულისა და თრუსოს ხეობის საკითხი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ნაწილს მჭიდროდ ეკვრის ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია. სოფელ მლეთის ბოლო სახლიდან 20 მეტრია „სამხრეთ ოსეთის“ „საზღვრამდე“. ეს საბჭოთა დროს განსაზღვრული ადმინისტრაციული საზღვარია. ქედზე კი არ გაიყვანეს, არამედ – ფერდობზე. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, რუსეთს შეუძლია ვარირება სხვადასხვა ადგილას. რატომ არ შეუძლია აჭარაში ან სამეგრელოში, თუ მოინდომა?!

**– აჭარაში ნაკლებად მგონია, თუნდაც იმიტომ რომ თურქეთს თავისი ინტერესი აქვს.**

– ყარსის ხელშეკრულებით ასე მარტივად არ არის, კარგად უნდა გადახედოთ ყარსის ხელშეკრულებას, რომელსაც, სხვათა შორის, 2021 წელს გასდის ვადა. ამბობენ, გააგრძელა სააკაშვილმაო, მაგრამ მე ის დოკუმენტი არ მინახავს. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით კი 2021



**ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ ნიკო დადიანმა თავისი უფლებები სამეგრელოზე ერთ მილიონ მანეთად გადასცა რუსეთის იმპერატორს; რომ აფხაზეთი ცალკე შევიდა, გურია – ცალკე, იმერეთიც**

წელს იწურება მისი მოქმედების ვადა.

**– და ავტონომიას გავაუქმებთ?**

– ავტონომიის გაუქმება ისედაც შეიძლება, თუ ხალხმა მოითხოვა და რეფერენდუმი ჩაატარა.

**– მერედა, ჩავატაროთ. მგონია, რომ ყარსის ხელშეკრულება კარგად მაქვს წაკითხული: ავტონომიის გასაუქმებლად საჭიროა 5-ვე ხელმომწერი სუბიექტის თანხმობა და თურქეთს აქვს მთელი რიგი სავაჭრო უპირატესობები, რაც მას აქამდე არ გამოუყენებია.**

– აბსოლუტურად მართალი ხართ, იურიდიული თვალსაზრისით, ავტონომიის გაუქმება შეუძლიათ გარანტორებს, მაგრამ ხალხის ნება-სურვილით; რაღაც დროის გასვლის შემდეგ იურიდიული დოკუმენტი ძალას კარგავს. წარმოიდგინეთ, მოსახლეობის 80-მა პროცენტმა რომ მოითხოვოს ავტონომიის გაუქმება?! ერთი სიტყვით, რუსეთს ყველგან შეუძლია ამის გაკეთება, გგონიათ, თბილისში არ შეუძლია?!

**– და რას გააკეთებს მერე თბილისში? შემოვა და რა?!**

– დაიცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს.

**– და იმ ქართველებისა თუ არაქართველების, რომლებსაც აქვთ რუსული პასპორტები, საცხოვრებელ სახლებს მიიერთებს?**

– საქართველოს ფრაგმენტაცია თუ მოხდება, ამაში მთავარი დამნაშავე იქნებიან ქართველები და არა ვინმე სხვა. არ არის საქმე სომხებში: ქართულმა ისტორიოგრაფიამ შემოინახა, რომ არარატიანცმა კარი გააღო და ის მართლაც ცნობილი ჯაშუში იყო, მაგრამ ამასობაში დაგვავიწყდა თბილისის ამქარი, რომელთა შორის ბევრი თბილისელი სომეხი იყო, რომლებიც კრწანისის ბრძოლაში ქართველებთან ერთად დაიღუპნენ. თუ საქართველოს ფრაგმენტაცია შედგება, პირველი გამყიდველი იქნება ქართველი. ორჯონიკიძე არ იყო ქართველი, ფილიპე მახარაძე თუ მიხა ცხაკაია?! მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება ერთ ეთნოსზე კონცენტრირება და დავიწყება იმ დანაშაულის, რომლებიც ქართველებმა ჩაიდინეს და კიდევ ჩაიდენენ, საქმეს ისე ეტყობა. რაც შეეხება რუსეთის გეგმებს: ჩავთვალოთ, რუსულ პოლიტიკაში არსებობს საქართველოს ფრაგმენტაციის რამდენიმე ვარიანტი. აი, ამ კონტექსტშია ჯავახეთისა და თრიალეთის საკითხი.

**– ოსები ხომ არ ცხოვრობენ თრიალეთში?**

– არა, მაგრამ, ისინი გააძევეს გამსახურდიას დროს. ამავე კონტექსტშია მეგრელებისა და სვანების არაქართველობის საკითხი, აჭარის საკითხი, რომელიც ფაქიზი თემაა. ქვემო ქართლის საკითხი და კიდევ ერთი სერიოზული პაკეტი, რომ საქართველოს ამ ფორმით ბოლო ექვსი საუკუნის განმავლობაში არ უარსებია და ეს ჩვენ შევქმენითო.

**– ხშირად მომისმენია რუსი პოლიტოლოგებისგან, დაგტოვებთ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიით, როგორც მიგიღეთ გეორგიევსკის ტრაქტატითო.**

– ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ ნიკო დადიანმა თავისი უფლებები სამეგრელოზე ერთ მილიონ მანეთად გადასცა რუსეთის იმპერატორს; რომ აფხაზეთი ცალკე შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გურია – ცალკე, სოლომონი აიძულეს, მაგრამ იმერეთიც ცალკე შევიდა. სამცხე-ჯავახეთი და აჭარა ჩვენ დავუბრუნეთ საქართველოსო, რაშიც ვერ იტყვი, რომ არ არიან მართლები. თუ საერთაშორისო

# რა ღირს თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის, სევდია უგრეხელიძის როიალი და რა ავტომანქანით გადაადგილდება მისი ქალიშვილი

### სევდია უგრეხელიძე

აწ ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლისა და შემსრულებლობამდე მერის მოადგილე ქ-6 სევდია უგრეხელიძის ბიოგრაფია, სამწუხაროდ, არ იძებნება თბილისის მერიის ვებ-გვერდზე, თუმცა საჯარო სამსახურის ბიუროს ბაზაში მის მიერ 2013 წელს შევსებული ერთადერთი დეკლარაციის ნახვაა შესაძლებელი.



დეკლარაციის თანახმად, სევდია უგრეხელიძეს ჰყავს მეუღლე, 1947 წელს დაბადებული თენგიზ ჩაჩავა და 1976 წელს დაბადებული ქალიშვილი – ნინო ჩაჩავა.

ოჯახის უძრავი ქონება არ არის მრავალრიცხოვანი: ქ-ნი უგრეხელიძის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ვარლამიშვილის ქუჩაზე (35 კვადრატული მეტრი ფართობის) და ქალიშვილთან ერთად ფლობს 250 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ ბინას თბილისში, არაყიშვილის ქუჩაზე (ნინო ჩაჩავას წილის 75 პროცენტი ეკუთვნის, სევდია უგრეხელიძეს – 25). ასევე, ნინო ჩაჩავას ჰყავს 2002 წლის ავტომობილი PAJERO IO, ხოლო სევდია უგრეხელიძეს აქვს როიალი, რომლის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს.

ქ-6 უგრეხელიძეს ორი ანაბარი აქვს: „ლიბერთი ბანკში“ 21 000 ლარს ინახავს, „საქართველოს ბანკში“ – 13 422 ევროს. აგრეთვე, ორი ანაბარი აქვს თენგიზ ჩაჩავასაც, რომელზეც „ლიბერთი ბანკში“ 800 ლარი ერიცხება, „თი ბი სი ბანკში“ – 1 500 ევრო.

რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში სევდია უგრეხელიძემ, როგორც თბილისის საკრებულოს წევრმა, 20 400 ლარი აიღო, ხოლო, როგორც ააიპ თბილისის ადვოკატის პროექტების კოორდინატორმა – 22 800 ლარი. ნინო ჩაჩავას, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის პოლიტიკის ანალიზისა და პროგრამების სამმართველოს უფროსს, წლიურ ხელფასად 25 525 ლარი მიუღია.

### ირაკლი შიხიაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი 1972 წელსაა დაბადებული თბილისში და არც მისი ოფიციალური ბიოგრაფია იძებნება, თუმცა მის მიერ 2013 წელს შევსებული დეკლარაციით, მას ჰყავს მეუღლე – ეკატერინე ასათიანი და სამი შვილი: 1992 წელს დაბადებული ლევანი, 1993 წელს დაბადებული ლია და 2009 წელს დაბადებული გაბრიელი.

ირაკლი შიხიაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე (85 კვადრატული მეტრი ფართობის) და ნაკვეთი თეთრი წყაროს რაიონში (1 500 კვადრატული მეტრი ფართობის). ეკატერინე ასათიანს კი აქვს მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონში (600 კვადრატული მეტრი ფართობი) და ჰყავს 2008 წლის ატომანქანა nisani tiiba.



დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფულის სახით ირაკლი შიხიაშვილს 17 000 ლარი ჰქონდა, მის მეუღლეს – 10 000 ლარი.

რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში, ეკატერინე ასათიანმა, როგორც კავკასიის განვითარების ბანკი-საქართველოს დირექტორთა საბჭოს წევრმა, 29 819 ლარი აიღო, ხოლო ირაკლი შიხიაშვილმა, როგორც თბილისის საკრებულოს წევრმა და ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარემ – 23 897 ლარი.

სავარაუდოდ, შვილების სწავლაში ირაკლი შიხიაშვილმა 2012 წელს 5 400 და 1 250 ლარი გადაიხადა.

**ნინო ხაჩიძე**

---

დოკუმენტებზე მიდგა საქმე, ასე იქნებაო.

**– ჩვენც ვიბრძოდით აჭარისა და სამცხის დასაბრუნებლად და საერთოდაც, საზღვარი იქ გადის თურქეთთან, სადამდეც ჩვენი ჯარი მივიდა იმ დღეს, როცა ზავი დაიდო.**

– ჩვენც კი არა, ჩვენ ვიბრძოდით, თუ ვიბრძოდით და უამრავი ადამიანი შეაწყდა ახალციხის აღებას. მაგრამ ეს ყველაფერი არის ისტორიული კამათის თემა. როცა იწყებენ მუჰაჯირობაზე ლაპარაკს, კავკასიელებს არ ესმით, რომ მუჰაჯირობა დაიწყო საქართველოდან და არა ჩრდილო კავკასიიდან, როდესაც 1828-1829 წლებში ოსმალეთის იმპერიაში გაასახლეს მუსლიმანი ქართველები. ეს კამათის თემაა, უბრალოდ, მათ მოჰყავთ ასეთი არგუმენტი. ესეც პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, იმიტომ რომ ისინი ასე არ ელაპარაკებიან, მაგალითად, ყაზახეთს, სადაც არსებობს სემირეჩინსკის რაიონი, რომელიც არასდროს ყოფილა ყაზახეთის კონტროლის ქვეშ ფეოდალურ დონეზეც კი. ეს იყო კაზაკებით დასახლებული ძირძველი რუსული რაიონი, რომელზეც მანამდე არაყაზახური ტომები მომთაბარეობდნენ. არაფერს ეუბნებიან უზბეკებს, ყირგიზებს, თურქმენებს, რომლებსაც თვითონ შეუქმნეს სახელმწიფოები. ელაპარაკებიან მათ, ვისთანაც პრობლემები აქვთ. რა არის პრობლემა ჩვენს შემთხვევაში? რუსეთი ამბობს, რომ საქართველო არ უნდა იყოს „ნატოს“ წევრი. თუ საქართველო არ იქნება „ნატოს“ წევრი, მაშინ ვინ დაგვიცავს, ვინ აღადგენს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას? ამაზე პასუხი მოსკოვში არ აქვთ.

**– რატომ? მე მომისმენია ჩემი რუსი რესპონდენტებისგან, რომ ევრაზიულ კავშირში არ იქნება საზღვრები, ერთიან დიდ ოჯახად ვიცხოვრებთ, სადაც ცხინვალის რეგიონიც იქნება და აფხაზეთიცო.**

– მაგრამ ეს პასუხი არ არის. ეს არის თავის არიდება პასუხისგან. პასუხი იქნებოდა, თუ იტყოდნენ, დაიწყეთ ევრაზიულ კავშირში შესვლის დოკუმენტზე ხელმოწერა, მაშინვე ხელს ავიღებთ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მხარდაჭერაზე და თქვენ თვითონ მოაგვარეთ ეს საკითხი. აღადგინეთ კონსტიტუციური წესრიგი, ოღონდ ისე, რომ არ მოაწყოთ ეთნოწმენდა და გენოციდი. აი, ეს იქნებოდა პასუხი.

**– რომელსაც არ ამბობენ.**

– და რადგან არ ამბობენ, ბუნებრივია, ვინც უკეთეს პირობებს გთავაზობს, მასთან მიდიხარ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკური ნაწილი ამ ეტაპზე ჩვენთვის უკეთესი ვარიანტი არ არის.

**– მაგრამ არც კოლიბაქტერიებიანი პროდუქციის ჭამა მინდა და არც ამ კოლიბაქტერიებიან გარემოში ცხოვრება, ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ ამის გამოსწორება?**

– რასაკვირველია, ეკლოგიურად მომზადებული პროდუქცია იქნება პრიორიტეტი და ჩვენ გვაქვს ღვინის გამოცდილება, სანამ არ აკრძალა რუსეთმა, ღვინის ხარისხი არ გამოვასწორეთ, მანამდე ვუშვებდით მთხლეს.

**– ახლა მივირთმევთ მთხლეს, თუმცა გემრიელს.**

– დიახ და ასოცირების ხელშეკრულება გვაიძულებს, ის რესურსი გამოიყენოთ და პროდუქტი გამოვასწოროთ, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა დღეს არ არის მზად ევროკავშირთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობისთვის. უკრაინამ რატომ არ მოაწერა ხელი ეკონომიკურ ნაწილს? იმიტომ რომ ეს გამოიწვევდა უამრავი ფაბრიკა-ქარხნის დახურვას. ჩვენთან არაფერი არ გაკეთებულა და იძულებულები გავხდებით, გავაღოთ უცხოური პროდუქციისთვის კარი და არაფერი ვაწარმოოთ ჩვენ თვითონ. ყოველთვის მომყავს ხოლმე რუმინეთისა და სლოვენიის მაგალითი. რუმინეთი წავიდა ასეთი გზით: თავისი არაფერი, ყველაფერი სხვისი, ამიტომაც რუმინეთი დაქცეულია. სლოვენიამ კი ჯერ წელში გაამაგრა თავისი ეკონომიკა, მერე შევიდა ევროკავშირში და შესანიშნავი ქვეყანაა. ევროკავშირის პლუსები გამოიყენა და თავისი პლუსები დაამატა. რუმინეთმა თავის მინუსებს ევროკავშირის მინუსები დაამატა. თუმცა აქ არის მეორე საკითხი. გვაქვს შემდეგი ვარიანტები: რუსეთი არ იძლევა გარანტიას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება; ამ გარანტიას არ იძლევა არც დასავლეთი; აბა, რა უნდა ვქნათ? ვარიანტი გვაქვს შემდეგი: ან წავიდეთ დასავლური გზით და დაველოდოთ რუსეთის ეკონომიკურ დაჩაჩანაკებას, ან ჩავყვეთ რუსეთს ამ ეკონომიკურ დაჩაჩანაკებაში. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რომელ გზას აირჩევს.

**– ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკური ნაწილის ხელმოწერა არის ერთგვარი დაცვის გარანტია?**

– არა, ეს არ არის იმ ტიპის დოკუმენტი, რომელიც დაგიცავს. დღევანდელ მსოფლიოში დაგიცავს მხოლოდ კარგად შეიარაღებული არმია.

**– „ნატოს“ ამბავი გაირკვა: სექტემბერში მაფს არ მოგვცემენ; თეორიულ ვერსიას ვიტყვი: შესაძლებელია, ამერიკის სამხედრო ბაზები რომ განთავსდეს ზუგდიდსა და გორში, ეს იქნება უსაფრთხოების გარანტია?**

– უსაფრთხოების გარანტია არის მხოლოდ „ნატო“. უსაფრთხოების ორი სისტემა არსებობს: „ნატო“ და „ოდეკაბე“ და, მესამე – ნეიტრალიტეტი.

**– ოღონდ ამაზე ისინი უნდა შეთანხმდნენ.**

– შენი ნეიტრალიტეტის გარანტები უნდა იყვნენ დიდი სახელმწიფოები.

**– რომლებიც იოლად ხევენ ამ გარანტიებს.**

– სხვათა შორის, ტრადიციული ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყანა შვეიცარია ევროპაში ყველაზე მილიტარიზებულია. 600 000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავთ. 100 000 არის მუდმივ ჯარში, 500 000 – მუდმივ რეზერვში, ისე, რომ იარაღი სახლში აქვთ, არა მხოლოდ მსუბუქი, არამედ საბრძოლო მანქანებიც კი. რადგან იციან, რომ მათი ნეიტრალიტეტი ვერ იქნება აბსოლუტური.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**მართალია, საქართველოს მოქალაქეებმა ჯერაც ვერ შეიტყვეს, თუ რა ტიპის ინფორმაცია ინახება მათზე „სადაც ჯერ არს“ და არც ის იციან, კანონიერადაა ისინი მოპოვებული თუ უკანონოდ, თუმცა საქართველოს პარლამენტმა მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით ინსპექტორის აპარატიც შექმნა, კანონიც დაამტკიცა და პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორიც დაამტკიცა. უწყება თავად არ ფლობს არანაირ მონაცემს, მისი ფუნქცია იმის გაკონტროლებაა, თუ რამდენად კანონიერად გროვდება და მუშავდება მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები. რა ინფორმაციას ფლობენ ჩვენ შესახებ სახელმწიფო, საჯარო სტრუქტურები თუ კერძო და იურიდიული პირები და რა უფლებებს გვანიჭებს კანონი ჩვენივე საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვისთვის, თუმცა ჯერჯერობით ჩვენი პირადი ცხოვრება ბატკანივით დაუცველია. საკითხს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი განგვიმარტავს.**

# როგორ გროვდება ადამიანის პერსონალური მონაცემები, სად ინახება ისინი და რა უნდა ვიცოდეთ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენივე მონაცემების ბოროტად გამოყენება

**– რა ტიპის ინფორმაციას გულისხმობს ადამიანზე პერსონალური მონაცემები?**

– პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი მონაცემი მოქალაქეზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იძლევა ადამიანის იდენტიფიცირების შესაძლებლობას: სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო ანგარიშის ნომერი, თანხის ოდენობა ამ ანგარიშზე, ავტობიოგრაფია, ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და ასე შემდეგ.

**– ანუ ყველანაირი ინფორმაცია, რაც კი კერძო თუ სახელმწიფო უწყებაში დამიტოვებია ჩემ შესახებ?**

– დიახ, ეს მონაცემები შეიძლება თავმოყრილი იყოს ერთად ან სხვადასხვა უწყებაში. არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, რითაც შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ ეს მონაცემი უკავშირდება ადამიანს, არის პერსონალური მონაცემი. მთავარი ფოკუსია ადამიანი. პერსონალური მონაცემი აქვს ადამიანს, იურიდიულ პირს აქვს სხვა ტიპის მონაცემები. ჩვენი ერთადერთი მთავარი ფუნქციაა, გავუწიოთ ზედამხედველობა ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვასა და მათი დამუშავების კანონიერებას. ჩვენ არ ვართ მაკონტროლებელთა მაკონტროლებელი, ჩვენ ვიცავთ ადამიანის უფლებებს, თუ ადამიანები ჩათვლიან, რომ მათი მონაცემები სადღაც უკანონოდ ინახება, ვინმე მათ მოიპოვებს უკანონოდ, არაპროპორციულად და ასე შემდეგ.

**– ვინ არიან ამ პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებლები?**

– ყველა, ვინც ამუშავებს მონაცემებს: იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება ან ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს პირადი მიზანი. თქვენ გექნებათ თქვენი მეგობრების უამრავი ფოტო პირადი მოტივით.



**თუ თქვენი მონაცემები გამჟღავნდა უკანონოდ და გინდათ, რომ ისინი წაიშალოს და განადგურდეს, მოგვმართავთ განცხადებით და ჩვენ ვახდენთ რეაგირებას**

**– ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მონაცემთა ბაზები, სადაც მოქალაქეების შესახებ უამრავი ინფორმაციაა და ეს გასაგებია, რომ უკავშირდება სახელმწიფოს უსაფრთხოებას, სხვადასხვა დონის თანამდებობის პირს აქვს სხვადასხვა დონის წვდომა ამ მონაცემებთან. ვის და რა დონით აქვს ამ მონაცემების გაცნობის უფლება?**

– კანონი ამბობს, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემები უნდა დაამუშაოს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც სჭირდება კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და კანონის მიერ დადგენილი მოტივით. კანონი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების დაახლოებით 12 საფუძველს, მათ შორის, თუკი მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია პირდაპირ კანონით, მაგალითად, საარჩევნო სიის შედგენისას. მეორე საფუძველია, თუ არსებობს ადამიანის თანხმობა, ვთქვათ, ატარებთ სოციოლოგიურ გამოკვლევას და მოქალაქე თავისი ნებით გაწვდით ამ მონაცემს. მონაცემთა დამუშავება შეიძლება, ასევე, მოქალაქისთვის მომსახურების გაწევისას: თუ თქვენ გინდათ პასპორტის გამოცვლა, თქვენი მონაცემები უნდა დამუშავდეს. ანუ კანონი განსაზღვრავს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისთვის იმ ჩარჩოს, თუ როგორ და რა მოცულობით უნდა დამუშავდეს ადამიანის პერსონალური მონაცემები. მიზანი უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი და არ უნდა იწვევდეს ადამიანის ღირსების შელახვას.

**– ვინ ამოწმებს არის თუ არა კანონიერი, სამართლიანი და მილახავს თუ არა ღირსებას?**

– აი, სწორედ ეს არის ჩვენი ფუნქცია. სასამართლომაც შეიძლება, შეამოწმოს იგივე, მაგრამ დამატებითი მექანიზმი შექმნა ევროპულმა გამოცდილებამ და თქვა, რადგან სასამართლოში ბევრი საქმეა და აქ კი სისწრაფე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვით შესაძლოა, ბევრი ზიანი მოგადგეთ როგორც მატერიალური, ისე მორალური: საჭიროა დაცვის სხვა მექანიზმიც. ახლახან გაიხსნა კიბერდანაშაული, როდესაც მზადდებოდა ყალბი პლასტიკური ბარათები, რითაც მოქალაქეები იღებდნენ მატერიალურ ზარალს. ჩვენ დანაშაულს არ ვიძიებთ, მაგრამ შეგვიძლია, მოვახდინოთ ფაქტის იდენტიფიცირება თუ ამა თუ იმ მოქალაქის პერსონალური მონაცემები უკანონოდ გამოიყენეს, მოვახდინოთ სწრაფი რეაგირება და, თუ გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, ვაცნობოთ სამართალდამცველ ორგანოებს. მეორე ასპექტია მორალური ზიანი: ჩვენ ვერ ავანაზღაურებთ მორალურ ზიანს, ეს სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ, თუ თქვენი მონაცემები გამჟღავნდა უკანონოდ და გინდათ, რომ ისინი წაიშალოს და განადგურდეს, მოგვმართავთ განცხადებით და ჩვენ ვახდენთ რეაგირებას. შემდეგ, შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება, სასამართლოს გზით მოითხოვოთ მორალური ზიანის კომპენსაცია.

**– ვინ ადგენს, რა ტიპის პერსონალური ინფორმაციის გავრცელებაა აკრძალული?**

– თავისი პერსონალური მონაცემების მესაკუთრე არის ის ადამიანი, რომელსაც ეკუთვნის ეს მონაცემები. ამდენად, მე უნდა განვსაზღვრო, რის გავრცელება მინდა და რის – არა.

**– ვთქვათ, გამოქვეყნდა წვეულების ამსახველი ვიდეო ან ფოტომასალა და მე არ მინდოდა, რომ გამჟღავნებულიყო ჩემი იმ წვეულებაზე ყოფნის ფაქტი?**

– მთავარია, რომ თქვენ არ გინდოდათ, ეს გამხდარიყო საჯარო საგანი. ამას გარდა, არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც, რომლებიც დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს. მაგალითად, ჯანმრთელობის მონაცემები. თქვენ არ გინდოდათ, რომ თქვენი სამედიცინო ისტორია გასცდენოდა სამედიცინო დაწესებულების ფარგლებს. იგივე ეხება ნასამართლობის შესახებ ინფორმაციასაც. თქვენ არ გინდათ, რომ თქვენმა დღევანდელმა დამსაქმებელმა იცოდეს, რომ ოდესღაც იყავით ნასამართლევი, მიუხედავად იმისა, რომ ნასამართლობა მოგეხსნათ. იგივე ეხება თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებსაც, რელიგიურ მრწამსსა და ეთნიკურ წარმომავლობას. თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქე და, სულაც არ გინდათ, ვინმემ იცოდეს, წარსულში რა ხდებოდა. თქვენი გადასაწყვეტია, გინდათ თუ არა თქვენი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემების გამჟღავნება, თუ არ ხართ საჯარო ფიგურა. იმიტომ რომ საჯარო სფერო გამონაკლისია. როდესაც ადამიანი არის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, მას აქვს თმენის უფრო მაღალი ვალდებულება და მათ მიმართ ნაკლები შეზღუდვა მოქმედებს, მაგალითად, თქვენს ქონებას არავინ ეძიება, მაგრამ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები საჯაროა. ეს კანონი უფრო მეტად ორიენტირებულია რიგითი მოქალაქეების ინტერესების დაცვაზე. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, როგორ ეპყრობიან მათ მონაცემებს.

**– გასაგებია, რა ტიპის ინფორმაცია აქვს, ვთქვათ, იუსტიციის სახლს; ბანკს, რომელშიც მაქვს ანგარიშები, მერიცხება ხელფასი და ვსარგებლობ პლასტიკური ბარათით – იცის, სად რა შევიძინე როგორ ფასად; პოლიციამ იცის, რა დავარღვიე და რამდენი გადავიხადე ჯარიმა; საბაჟომ – რამდენჯერ გადავკვეთე საზღვარი; შესაბამისმა კომპანიებმა – რამდენს ვიხდი კომუნალურ გადასახდელებში და ასე შემდეგ. ეს ინფორმაცია სად არის თავმოყრილი ერთიანად და ამას გარდა, რა ტიპის ინფორმაციაა კიდევ?**

– არ მგონია, არსებობდეს ასეთი ერთიანი ბაზა, სადაც მოქალაქეების შესახებ ყველა მონაცემია. შეიძლება, კონკრეტული პიროვნებების შესახებ რაღაც კონკრეტული ინფორმაცია გროვდებოდეს კონკრეტული სტრუქტურების მიერ. შეიძლება, კონკრეტული ადამიანი გახდეს საგამოძიებო სტრუქტურების თვალთვალის ან ინფორმაციის შეკრების ობიექტი. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: ეს კანონი არ არეგულირებს ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო საქმიანობისთვის, სასამართლოში წარდგენილ საქმეებზე და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემების დამუშავებას. ეს კანონი არეგულირებს სამოქალაქო სფეროს.

**– ანუ, თუ შეხება მექნა საგამოძიებო ორგანოებთან, ეს კანონი ჩემს დამცველად ვერ გამოდგება?**

– იქ სხვა კანონმა უნდა დაგიცვათ და საუბარია იმაზე, როგორ უნდა გაუმჯობესდეს იმ სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გარკვეული დოზით კონტროლი. განისაზღვროს ჩარჩო, რომ ძალიან დიდი აცდენა არ იყოს სამოქალაქო და არა-

# თბილისის კამპუს ლაიონს კლუბმა დედაქალაქის მასშტაბით 35 საჯარო ბაღსა და 3 ბავშვთა სახლში „ლეგოს" სათამაშოების დარიგება დაიწყო

„კამპუს ლაიონს კლუბი თბილისი" (CLCT) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს ისეთი დიდი პარტნიორები, როგორებიცაა Danish Lions Club და LEGO toys. ჩვენი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, 2014 წლის მარტში, დანიიდან თბილისში 33 000 ლარამდე ღირებულების 822 ყუთი „ლეგოს" სათამაშო ჩამოვიდა.



სათამაშოების დისტრიბუციასა და შენახვაში „კამპუს ლაიონს კლუბ თბილისს" მხარდაჭერა გამოუცხადა თბილისის მერიამ. პროექტის ფარგლებში, დედაქალაქის მასშტაბით, 35 საჯარო ბაღსა და 3 ბავშვთა სახლს – თბილისის ბავშვთა კრიზისულ ცენტრს, კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლსა და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს, დაურიგდებათ „ლეგოს" სათამაშოები. ამ ღონისძიებაში ბაღებისა და ბავშვთა სახლების ჩართვა მოხდა შერჩევითობის პრინციპზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ „კამპუს ლაიონს კლუბი თბილისი" რამდენიმე თვეა, რაც დაარსდა, მისთვის ეს პროექტი რიგით მეოთხეა და გამოირჩევა თავისი მასშტაბურობით. აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისთვის დიდი როლი აკისრია სათამაშოებს. სწორედ ამ მიზნით, ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „ლეგოსთან" თანამშრომლობით გადაწყვიტა ევროპული სტანდარტების მქონე მაღალი ხარისხის სათამაშოების თბილისში ჩამოტანა და ბავშვების დასაჩუქრება. რამდენიმე კვირის წინ სასტუმრო „ამბასადორში" გაიმართა Lions Club International-ის კონფერენცია, სადაც მოხდა „კამპუს ლაიონს კლუბი თბილისის" პრეზენტაცია და, აგრეთვე, შეიქმნა შავი ზღვის ქვეყნების კომიტეტი.

**მარიამ დვალიშვილი** ***(დამფუძნებელი):*** „კამპუს ლაიონს კლუბი თბილისი" სტუდენტურ ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია სწორედ მსგავსი პროექტების განხორციელება, მოსახლეობაში ქველმოქმედების პოპულარიზება და იმ ადამიანების დახმარება, რომლებსაც ეს ძალიან სჭირდებათ. მე მჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაციის თითოეული წევრის აქტიური მონაწილეობით, სხვადასხვა სახის ღონისძიებებით შევძლებთ, მივაღწიოთ ორგანიზაციის მთავარ მიზანს. მართალია, ორგანიზაცია ახლახან დაარსდა, მაგრამ, ის აქტიურად ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ორგანიზაციის საერთაშორისო სტატუსი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევიძინოთ რაც შეიძლება მეტი უცხოელი პარტნიორი. ჩვენი კლუბის სათავო ოფისი გახლავთ ჩიკაგოში. Lions International, თავისი სიდიდითა და ბიუჯეტით, მსოფლიოს წამყვან საქველმოქმედო ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც 206 ქვეყანაში ფუნქციონირებს და მასში დაახლოებით მილიონზე მეტი ადამიანია გაწევრიანებული. ეს გახლავთ ერთ-ერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გაეროს ასამბლეის სრულუფლებიანი წევრია. სწორედ მათ ფილიალს წარმოვადგენთ ჩვენ და ვგეგმავთ გაფართოებას.



**საბა კარანაძე** ***(დამფუძნებელი):*** „ლეგოს" პროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა სრული პასუხისმგებლობა ავიღეთ ჩვენს თავზე და ამ პროექტის განხორციელებით მოვუწოდებთ სტუდენტებს, აქტიურად ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში, რათა ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება ადამიანების დასახმარებლად, გარემოს დასაცავად, მოსახლეობაში განათლების დონის ასამაღლებლად და სხვა საქველმოქმედო აქციების განსახორციელებლად. დღესდღეობით, „კამპუს ლაიონს კლუბი თბილისისთვის" „ლეგოს" პროექტი პრიორიტეტს წარმოადგენს. დისტრიბუციის ფარგლებში, კლუბის წევრები დასაჩუქრებულ ბავშვებს ასწავლიან სათამაშოების აწყობას და დანიშნულებისამებრ მათ მოხმარებას. აღსანიშნავია, რომ „ლეგოს" სათამაშოები განსაზღვრულია ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის და ხელს უწყობს მათ გონებრივ განვითარებას, რადგან, ბავშვებს უწევთ ფიგურების აწყობა გარკვეული კანონზომიერების დაცვით. „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ლეგოს სათამაშო" ***(იცინის).*** გასულ ორშაბათს „ლეგოს" სხვადასხვა სახის სათამაშოები გადავეცით ავლაბარში არსებულ ბაღს, სადაც ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომელთა მეურვეობა იკისრა აღმზრდელმა ქალბატონმა ლია ტაბიძემ და შვილებივით უვლის მათ. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რამაც ჩვენც დიდი სტიმული მოგვცა შემდგომი საქველმოქმედო საქმიანობისთვის. „ლეგოს" პროექტსა და სხვა საქველმოქმედო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ CLCT-ის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე.

**მაია უკლება**

---

სამოქალაქო სექტორებს შორის.

**– თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენ უამრავ ინფორმაციას საკუთარი ნებით და სიხარულით გავცემთ ჩვენ შესახებ.**

– ეს კიდევ ცალკე თემაა, რადგან საჯარო სფეროდან მონაცემთა დამუშავება ნებადართულია, თუმცა სხვა საკითხია, რომ ის, რასაც ეუბნებით თქვენს 200 მეგობარს, გინდათ თუ არა, რომ საჯაროდ გავრცელდეს. თუმცა ჩვენ თვითონ ძალიან დიდი დოზით ვასაჯაროებთ საკუთარ მონაცემებს. ამას წინათ საინტერესო ექსპერიმენტი ვნახე: ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტი შეხვდა რამდენიმე ადამიანს, რომელთა შესახებ ინფორმაცია ამოიკითხა სოციალურ ქსელებში და ისინი დაიბნენ, საიდან იცოდა უცხო ადამიანმა ამდენი რამ მათზე. ბუნებრივია, ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციას, სოციალური ქსელების ფართოდ გავრცელებას მოჰყვება გარკვეული საფრთხეები და, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ადამიანს არ უნდა, გახდეს დაკვირვების ობიექტი ყოფით ურთიერთობაში, იცოდეს, რა მინიმალური ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ უფრო მეტად დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პირადი სფერო.

**– და რა ნაბიჯები უნდა გადადგან საამისოდ?**

– პირველი, რაც საჯარო და კერძო დაწესებულებების შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, არის თანხმობის თემა: მე უნდა ვიცოდე, რისთვის გაძლევთ ამ ინფორმაციას. მეორე, რაც, ასევე, უნდა ვიცოდე მოქალაქემ, არის ის, რომ, როდესაც ვაძლევ თანხმობას მონაცემთა დამუშავებაზე, შემიძლია, ეს თანხმობა ნებისმიერ დროს გამოვიხმო უკან. ასევე, მე შემიძლია, ვიცოდე, ვის რა მონაცემები აქვს ჩემ შესახებ. დავუკავშირდე ამა თუ იმ ორგანიზაციას, რომლებსაც ვვარაუდობ, რომ აქვთ ჩემი მონაცემები და ვთხოვო, გამაცნონ, რა ინფორმაცია აქვთ ჩემ შესახებ. აგრეთვე, გაქვთ უფლება, თუ ჩავთვლით, რომ თქვენი მონაცემები მცდარია, უკანონოდაა მოპოვებული, მოითხოვოთ მათი წაშლა ან დაბლოკვა.

**– ვინ მიდასტურებს ეჭვს, რომ უკანონოდაა მოპოვებული?**

– ეს უკვე ჩვენი ფუნქციაა. თქვენი განაცხადისა თუ მედიიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ თვითონაც შეგვიძლია, შევაფასოთ, იყო თუ არა კანონიერად მოპოვებული ესა თუ ის ინფორმაცია. ამავე დროს, ჩვენი ფუნქციაა კონსულტაციის გაწევაც შესაბამისი ორგანოებისთვის, რადგან ჩვენთან არ არსებობს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვის ტრადიცია. მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება ემსახურებოდეს ძალიან კარგ მიზნებს: მომსახურების გაუმჯობესებას, ახალი პროგრამების, ხარისხიანი პროდუქტის შექმნას. ამას ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს, მაგრამ ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ეს არ ხდება მათი უფლებების შელახვის ხარჯზე.

**– ეს მოსაბეზრებელი სატელეფონო გზავნილები როდის შეწყდება მობილურ ტელეფონებზე?**

– ამ თვალსაზრისით, არსებობს საკანონმდებლო პრობლემაც. ისეა დაწერილი კანონი პირდაპირი მარკეტინგის შესახებ, რომ, არ გვაძლევს ინსპექტირების საშუალებას, შევამოწმოთ და დავადგინოთ, საიდან მოხვდა თქვენი მობილურის ნომერი მათთან.

**– მაგრამ შემიძლია, მივმართო და ვიკითხო, საიდან აქვთ ჩემი ნომერი?**

– დიახ, მაგალითად, ზოგიერთმა კომპანიამ დაამატა თავისი ნომერი, რომელზეც შეგიძლიათ, დარეკოთ, თქვენი მობილურის ნომერს ამოიღებენ და აღარ მოგივათ შემოთავაზება მობილურ ტელეფონზე. მაგრამ საკანონმდებლო პრობლემა რჩება. ჩვენ უკვე მოვამზადეთ პროექტი და, ალბათ, მთავრობა მოახდენს მის ინიცირებას პარლამენტში. როგორც კი გადაიჭრება საკანონმდებლო პრობლემა, მოგვარდება ინსპექტირების პრობლემაც.

**– თუ მოგმართეს უკვე მოქალაქეებმა და, ძირითადად, რას უჩივიან?**

– მიღებული გვაქვს 12 განაცხადი და ძალიან ბევრი გვიკავშირდება კონსულტაციისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება. მოქალაქეები მოითხოვენ, შეწყდეს მათი მონაცემების დამუშავება, მოხდეს საჯაროდ განთავსებული მათი მონაცემების წაშლა. ზოგიერთს აქვს ეჭვი, რამდენად კანონიერი იყო ის ვიდეოჩანაწერი, რომელიც მათ ეხებოდათ. კანონი სპეციფიკურად არეგულირებს იმავე ვიდეოთვალთვალის პროცესს. უნდა იყოს განსაზღვრული, რამდენად მიზანშეწონილია ამ მეთოდის გამოყენება.

**– გარშემო არის უამრავი ვიდეოკამერა კერძო დაწესებულებებზე, საჯარო დაწესებულებებზე, ქუჩაში. ეს ძალიან კარგია უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაგრამ გასცემს ინფორმაციას ჩემი გადაადგილების შესახებაც.**

– როდესაც შევდივარ ვიდეოკონტროლირებად ტერიტორიაზე, მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია.

**– მაქვს, მაგრამ, ვთქვათ, მოვიტყუე ყოფით ურთიერთობაში, რომ არ ვიყავი აფთიაქში, ამ დროს კი ვიყავი.**

– ვიდეოჩანაწერი უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რა ვადითაც არის მიზანშეწონილი. თუ მიზანი ობიექტის უსაფრთხოებაა, იმ დღეს კი არაფერი დაკარგულა, ისე დაიხურა ოფისი, ეს მონაცემები უნდა წაიშალოს. კანონი ადგენს, რამდენ ხანს უნდა ინახებოდეს ჩანაწერი, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. იმავდროულად, მონაცემები შეიძლება იყოს დეპერსონალიზებული: თუ თქვენი ვინაობა არ არის მითითებული და იდენტიფიცირება შეუძლებელია, არანაირი პრობლემა არ არის არც ამ მონაცემების დამუშავება და არც უვადოდ შენახვა.

**ნინო ხაჩიძე**

# იზრუნე მომავალზე „ნატახტარის ლიმონათთან" ერთად!

*კომპანია „ნატახტარმა" 2011 წლის ნოემბერში დააფუძნა „ფონდი ნატახტარი" და დაიწყო საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე მომავალზე" განხორციელება. პროექტი, როგორც ყოველთვის, ხორციელდება „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველოს" მხარდაჭერით და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით. ფონდის არსებობის განმავლობაში შეგროვილი თანხა თითქმის ნახევარ მილიონ ლარს აღწევს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგ საქმეს ხმარდება. პრესკონფერენციის მიზანი, რომელიც „ფონდმა ნატახტარმა" გამართა, ის იყო, რომ საზოგადოებისთვის გაეცნო მესამე ტალღის შედეგად შეგროვილი თანხის რაოდენობა; ასევე, ფონდის მიერ 2012-2013 წლებში განხორციელებული პროექტები და მისი სამომავლო გეგმები. აღსანიშნავია, რომ თანხის ნამდვილობა დადასტურებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია pricewater House Cooper-ის მიერ.*



**თორნიკე ნიკოლაიშვილი**
**კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი**

*„ფონდმა ნატახტარმა" თანხის შეგროვების მესამე ეტაპი დაასრულა. სამი თვის განმავლობაში „ნატახტარის ლიმონათის" გაყიდული თითოეული ბოთლიდან ფონდში ირიცხებოდა 1,3 და 5 თეთრი (შეფუთვების შესაბამისად). პრესკონფერენციას კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი* ***თორნიკე ნიკოლაიშვილი*** *და ორგანიზაცია „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველოს" ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი* ***მანანა ომარაშვილი*** *უძღვებოდნენ.*

**თორნიკე ნიკოლაიშვილი** *(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი):* თანხის შეგროვების მესამე ტალღა დასრულდა „ფონდი ნატახტარის" ფარგლებში და, ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ შემოვიდა რეკორდული რაოდენობის თანხა – 183 742 ლარი. სამი წლის განმავლობაში კი, ჯამში – 420 000 ლარზე მეტი. რა თქმა უნდა, თანხა ფონდის მიზანს მოხმარდება, რომელიც მოიცავს მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელის შეწყობას.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომელიც გვერდში უდგას „ფონდ ნატახტარს," პირველ ყოვლისა კი ჩვენს მომხმარებელს, რომელთა აქტივობის გარეშეც ეს პროექტი არ იარსებებდა. ფონდის განსაკუთრებულობა და უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მოზარდი არის ცალკე აღებული „ქეისი" და მიდგომა თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურია. ჩვენს რეალობაში ეს ერთადერთი პროექტია, რომელიც სერვისსა და მომსახურებას არ წყვეტს, როდესაც მოზარდები 18 წლის ხდებიან. პროექტი მათ მიჰყვება მანამდე, სანამ ისინი მზად იქნებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. „ფონდი ნატახტარის" სახელით, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს პატრიარქს ლოცვა-კურთხევისა და ამ პროექტის თანადგომისთვის; ასევე, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს" და, განსაკუთრებით – ფსიქოლოგთა გუნდს, რომლებიც დაუღალავად შრომობენ იმისთვის, რომ ეს პროექტი იყოს წარმატებული და კეთილი საქმე განხორციელდეს.

**მანანა ომარაშვილი** *(ორგანიზაცია „ასოციაცია – ჩვენი სახლი საქართველოს" ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი):* საქველმოქმედო „ფონდი ნატახტარი" და ორგანიზაცია „ასოციაცია ჩვენი სახლი – საქართველო" 2012-2013 წლების განმავლობაში ზრუნავდა დაახლოებით 162 მოზარდზე. რა თქმა უნდა, წელს დაგვემატება მოზარ-

**თორნიკე ნიკოლაიშვილი: „ფონდი ნატახტარის" ფარგლებში თანხის შეგროვების მესამე ტალღა დასრულდა და ძალიან სასიხარულოა, რომ რეკორდული რაოდენობის თანხა – 183 742 ლარი შემოვიდა**

დების რაოდენობა და გახდება 35-ით მეტი. რაოდენობას განსაზღვრავს მათი ასაკი, რადგან, როცა მოზარდი ცხოვრობს მცირე საოჯახო სახლში და ხდება 15 წლის, ის ავტომატურად ერთვება ჩვენს საქმიანობაში და ამ პროექტში. თვითონ ფონდი ზრუნავს არა მხოლოდ იმ მოზარდებზე, რომლებიც მცირე საოჯახო სახლში ცხოვრობენ, არამედ, მათზეც, ვინც



**მანანა ომარაშვილი**
**ორგანიზაცია „ასოციაცია – ჩვენი სახლი საქართველოს" ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი**

უკვე გახდა 18 წლის და დატოვა სახელმწიფო ზრუნვის სისტემა. მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ ფონდის დახმარება, რათა შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება.

**მარიკა ხიდურელი**

*სერტიფიცირებულია*

**„კამელინი" ქართული წარმოების უნიკალური, ორიგინალური სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი ნაერთების ერთობლიობას და მზადდება საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში გავრცელებული თაფლისგან. „კამელინი" ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეიქმნა, დღეს კი უკვე არაერთი ქვეყნის ფარმაცევტებისა და მედიკოსების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. დიდი ხანია, ინფორმაცია მისი სამკურნალი თვისებების შესახებ საქართველოს ფარგლებს გასცდა. დღეს არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის – „კამელინის" დარეგისტრირება და შეტანა, რადგან „კამელინი" ნამდვილად არის უდიდესი პოტენციალის მქონე პრეპარატი. ის ეფექტური საშუალებაა როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, ასევე, სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველადაც.**

# როგორ ეხმარება სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს „კამელინი" და რა განაპირობებს მის გასაოცარ სამკურნალო თვისებებს

*კობა გურიელიძე (კომპანია „კამელინის" აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):* კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ „კამელინი" შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია და მისი გამოყენება პროფილაქტიკის მიზნით იდეალურია. ადრეული კვლევები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის" შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები. „კამელინი" მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა და მათ შორის უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი" იყო ის უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1" ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში; ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4" – სანთლების (იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2" – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე; აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი" აბსოლუტურად არატოქსიკურია და არანაირ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

*დღეს ონკოლოგების გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს „კამელინ მ1-ისა" და „კამელინ მ2-ის" გამოყენებით მიღებულ იმ შედეგებზე, რომლებიც მიღწეული იყო სხვადასხვა სიმსივნის მქონე პაციენტებში. შედეგი ასეთია: ზოგადი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება; ნარკოტიკული საშუალებების შემცირება, რიგ შემთხვევებში – დროებით მოხსნა; სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება და გახანგრძლივება; მადისა და ენერგიის მატება; დეპრესიული ფონის მოხსნა; მეტასტაზური სიმსივნის რეგრესი. რაც მთავარია, ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ქალბატონს, რომელსაც საბერძნეთში ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. იქვე გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ, წლების განმავლობაში საშინელი ტკივილები აწუხებდა. მოგვიანებით ჩაიტარა „კამელინით" მკურნალობის 4 კურსი და როდესაც თბილისში ჩამოსულმა გაიკეთა სრულფასოვანი გამოკვლევა, აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი იყო და სიმსივნე აღარ ჰქონდა.*

**ნ. ქ:** 2007 წელს ჩავედი საბერძნეთში, კრიძოდ, ქალაქ ათენში და დავიწყე მუშაობა. ოთხ თვეში მარცხენა მკერდზე რაღაც გამომივიდა, გამაგრებული იყო. რა თქმა უნდა, გადავიღე მასტოგრაფია და მითხრეს, რომ სასწრაფოდ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. რადგან საბერძნეთში ვალებით ვიყავი ჩასული, ამიტომ, ოპერაცია ვერ გავიკეთე – ვიფიქრე, ვაითუ, ვეღარ ვიმუშაო და ვალები ვეღარ გავისტუმრო-მეთქი. მოკლედ, ექვსი თვის განმავლობაში ვერ გავიკეთე ოპერაცია და სიმაგრე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. 2008 წლის ოქტომბერში კი გამიკეთეს ოპერაცია და ამომკვეთეს სიმსივნე. დიაგნოზი: მეორე სტადიიდან მესამეში გარდამავალი ავთვისებიანი სიმსივნე. დავიწყე მკურნალობა: გავიკეთე ქიმიოთერაპია, სხივები. ხუთი წლის განმავლობაში ყოველ 6 თვეში ერთხელ ვიკეთებდი ანალიზებს. არ მქონდა მაინცდამაინც კარგი პასუხები. მოკლედ, ისევ ცუდად ვიყავი, ტკივილები მაწუხებდა. ერთ დღესაც, ჩემმა ძმიშვილებმა დამირეკეს თბილისიდან, მომაწოდეს ინფორმაცია „კამელინის" შესახებ და მირჩიეს, იქნებ, გაიკეთოო, მალევე გამომიგზავნეს და დავიწყე „კამელინის" კაფსულების დალევა, სანთლებიც გავიკეთე. მოკლედ, მალე კარგად ვიგრძენი თავი, ამიტომ, მკურნალობის ორი კურსი ჩავიტარე და გავჩერდი. მოულოდნელად, მარჯვენა მხარეს, არა მხოლოდ მკერდში, ზეჭშიც დამეწყო ძლიერი ტკივილი. ისეთი საშინელი ტკივილები მქონდა, საერთოდ არ მაძინებდა, ერთი წუთით არ ჩერდებოდა. შევშინდი, ვიფიქრე, ალბათ, მეორე მკერდზეც გადავიდა სიმსივნე და მაშინვე გადავიღე მასტოგრაფია. დამამშვიდეს – ისეთი არაფერიაო. არ დავუჯერე და დავიწყე „კამელინის" დალევა. მეხუთე კაფსულის მიღებიდან დღე-ნახევრის შემდეგ საერთოდ გამიქრა ტკივილი. ჩავამთავრე მკურნალობის კურსი და შევისვენე, მაგრამ, ისევ დამეწყო ტკივილები, ამიტომ, კვლავ განვაგრძე „კამელინით" მკურნალობა და, მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ დღემდე კარგად ვარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ „კამელინის" ვილებდი, სხვა არაფერი მიმიღია და, შემიძლია, დავიფიცო კიდეც, რომ ის მოულოდნელი შედეგი, რაც მაქვს, მხოლოდ ამ პრეპარატის დამსახურებაა. ყველანაირი გამოკვლევა ჩავიტარე ჯერ ტატიშვილის კლინიკაში, შემდეგ სანდრა რულოვსის კლინიკაში და, რადგან ვერაფერი მიპოვეს, მითხრეს, სრულიად ჯანმრთელი ხარო. არ ვიცი, სად გაქრა სიმსივნე! ონკოლოგიურში ჩემი ექიმი ჩემი ყოფილი მოსწავლეა. მასთან მივედი და ვუთხარი: ბევრი ექიმი არ ცნობს ასეთ წამლებს, შეიძლება, შენც გაგეცინოს, მაგრამ, აქ ვარ ცოცხალი მაგალითი: რაც „კამელინით" მკურნალობა დავიწყე, არც არაფერი მტკივა და არც არაფერი მაწუხებს-მეთქი. საბერძნეთიდან წამოსვლამდე დაახლოებით ექვსი თვით ადრე ჩავიტარე გამოკვლევები. იმ დროს უკვე დაწყებული მქონდა „კამელინის" მიღება და ორგანიზმი ნელ-ნელა დგებოდა მწყობრში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თვითონვე ვიგრძენი თავი კარგად, ანალიზებშიც უკვე იყო ცვლილებები. თავიდან ცუდი პასუხები მქონდა, „კამელინის" მიღების შემდეგ კი ანალიზების პასუხები უკეთესი იყო. ანუ, „კამელინის" მიღებამდე საკმაოდ ცუდად ვიყავი: მქონდა ტკივილები, ვერც მარცხენა მხარეს ვწვებოდი, ვერც მარჯვენა მხარეს. გულაღმა თუ დავწვებოდი, მერე ზურგში მტკიოდა რაღაც და, შესაბამისად, ნორმალურად ვერ ვიძინებდი. ამ პრეპარატის გარდა, სხვა არაფერი მიმიღია, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ პირველი კურსის ჩატარების შემდეგ ვიგრძენი დიდი შვება. სამაგიეროდ, მეორე კურსის დაწყებისთანავე, აშკარად მქონდა პროგრესი, შვება, მესამე კურსზე კი საერთოდ გაქრა ტკივილები. გამოკვლევების დროს ეძებდნენ, იქნებ სადმე რამე არისო, მაგრამ, ვერაფერი იპოვეს. „კამელინმა" მართლაც სასწაული მოახდინა. ამიტომაც, ყველას, ვისაც რამე აწუხებს, ვურჩევ მის მიღებას, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სიმსივნე აქვს. ყველანაირი ანალიზი გავიკეთე, ვერსად ვერაფერი იპოვეს: აღარც ჯირკვალია, აღარც მეტასტაზები.



ახალგაზრდა ქალბატონს ჰქონდა სიმსივნე საშვილოსნოზე და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. მისი ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინის" ნემსების გაკეთება. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები, ამჟამად შრომისუნარიანია და ცხოვრებას ჩვეულ რიტმში განაგრძობს. პროფილაქტიკისთვის როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლებიც, ყოველთვის იყენებენ „კამელინს".

40 წლამდე ასაკის ქალბატონს ათი წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სიმსივნე, ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, თუმცა, უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსიკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ვეღარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების დახმარებით შეიტყო „კამელინის" სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს და ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს.

***P.S.** ვისაც გსურთ, ამ უნიკალური პრეპარატის შესახებ უფრო მეტი გაიგოთ ან გაიაროთ კონსულტაცია, დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.*

**ნათია უტიაშვილი**

**მისი ჟურნალისტური კარიერა ორ ნაწილად ნოემბრის ცნობილმა მოვლენებმა გაყო, რამაც არა მხოლოდ მისი პროფესიული გზა, არამედ, მისი პირადი ცხოვრებაც რადიკალურად შეცვალა. ნათია მიქიაშვილს ოპოზიციური ჟურნალისტის იარლიყი სწორედ მაშინ „მიაკრეს" და საკმაოდ დიდხანს მოუწია საყვარელი საქმის „იატაკქვეშეთში" კეთება. დღეს, მის მიერ დაარსებული სტუდიის პროდუქცია „ტვ 3-ზე" გადის, ძალიან მალე თავადაც ახალ ამპლუაში წარდგება მაყურებლის წინაშე, თუმცა, ამ თემას დროებით სიურპრიზად ტოვებს და იმაზე გვიამბობს, რაც მის ცხოვრებაში „კადრს მიღმა" იყო და დღემდე ღირებულად რჩება.**

# სად მიაგნო ნათია მიქიაშვილმა სრულ იდილიას და როგორ ცხოვრობდა ის „იატაკქვეშეთში"

**– ნათია, იმ ჟურნალისტთა შორის ხარ, ვინც „დისლოკაციის" ადგილს ხშირად იცვლის, რატომ ამ ეტაპზე ტელეკომპანია „ტვ 3," რომელიც არცთუ დიდ სივრცეს ფარავს?**

– მეც, ალბათ, „მოგზაურ" ჟურნალისტთა შორის ვარ. ყოველთვის ვცდილობ, ვიყო იქ, სადაც საჭირო ვარ. არასდროს მიჭირს, ადამიანებს შევთავაზო საკუთარი პროდუქტი, არასდროს მიჭირს ადამიანებთან კომუნიკაცია, შესაბამისად, სხვადასხვა ტელევიზიაში მუშაობა ჩემთვის ბუნებრივი ფორმაა. სტუდია „ანატომიას", სადაც ცხრა ადამიანი მყავს დასაქმებული, თავისი პროდუქტი შეუძლია შესთავაზოს ნებისმიერ არხს, ეს არის საუკეთესო საშუალება იმ დროს, როცა 21-ე საუკუნის წამყვანი ტელევიზიები ძირითადად გადასულია აუთდორზე, გარე წარმოებაზე. არც ერთ წამყვან ტელევიზიას, გარდა საინფორმაციო სამსახურებისა, შიდა წარმოებაში უკვე არაფერი აღარ აქვს. ეს ურთიერთობის ბევრად მოსახერხებელი ფორმაა მათთვისაც და იმ კომპანიებისთვისაც, ვის მიერ წარმოებულ პროდუქტსაც ისინი ყიდულობენ. რაც შეეხება „ტვ 3-ს", შესაძლოა, ამ ტელევიზიის რეიტინგი ნაკლები იყოს სხვა ტელევიზიებთან შედარებით, მაგრამ, ეს არის სტაბილური რეიტინგი და, იმ ახალი პროექტებით, რომლებიც ამ ტელევიზიაში დაიწყება ძალიან მალე, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გუნდი, რომელიც ამ ტელევიზიაში დამხვდა. მათ შორის არიან ის ადამიანები, ვისთან ერთადაც მე ვმუშაობდი „მეცხრე არხზე", რომელიც მოულოდნელად დაიხურა. იმ დროს ამ ტელევიზიაში მუშაობდა ინგა გრიგოლია, რომელიც ჩემი ახლო მეგობარია და შემიწყო ხელი, რომ გადავსულიყავი „ტვ 3-ში". ძალიან დავუმეგობრდი კახა ბაინდურაშვილს, რომელიც იყო ამ ტელევიზიის დირექტორი, როცა მე იქ მივედი. სხვათა შორის, კახა იყო ერთადერთი მინისტრი მიშა სააკაშვილის ხელისუფლებიდან, რომელზეც „ანატომია" არ მქონდა გაკეთებული. ფანტასტიკური ადამიანია გრიგოლ ბაიბურთი, რომელთანაც ძალიან კომფორტული ურთიერთობა მაქვს. როდესაც ურთიერთობა გიწევს ჯანმრთელ ადამიანებთან, რისი დიდი დეფიციტიც არის ქართულ სატელევიზიო სივრცეში, ეს დიდი ფუფუნებაა, რომელზეც უარს ვერ ვიტყვი.



მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ყველას ეგონა, რომ გვქონდა ძალიან ბევრი ფული

**– დღეს როგორ იქმნება პროდუქტი, რომელზეც სტუდია „ანატომია" მუშაობს?**

– დღეს ბევრად უფრო მარტივია ჟურნალისტურ გამოძიებაზე მუშაობა, ვიდრე იყო მაშინ, როცა მე არალეგალურად, „იატაკქვეშეთიდან" მიწევდა მუშაობა. დღეს ბევრად უფრო იოლია ურთიერთობა სხვადასხვა უწყების პრესსამსახურებთან. ადრე ვინ შემიშვებდა ან პროკურატურაში, ან შინაგან საქმეთა სამინისტროში?! ჩემთვის ყველა კარი ჩარაზული იყო, იქ შეღწევა და ინფორმაციის მოპოვება ფანტასტიკის სფერო იყო. იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემის მომზადებისთვის მჭირდებოდა თვე-ნახევარი, ერთი თვე. ეს დრო ძირითადად მიჰქონდა დოკუმენტების, მტკიცებულებების მოგროვებას, რაც აუცილებელია, როცა ჟურნალისტურ გამოძიებაზე მუშაობ. ის წლები, რომლებიც ნამდვილად ჯოჯოხეთურ პირობებში გავატარე, ადამიანურადაც უმძიმესი იყო.

**– დღეს შენთვის ბევრად იოლი იქნება ინფორმაციის მიღება, ვიდრე სხვისთვის. ოპონენტები გსაყვედურობენ ხოლმე, რომ მხოლოდ ექსჩინოვნიკებს ეძლვნებათ „ანატომია".**

– არც მასე არაა. ხომ იცი შინაური მღვდლის ამბავი *(იცინის)*, დღეს მთავარი ისაა, რომ არ მიწევს „ჭიდაობა" თემებზე, იმ დოკუმენტების მიღებაზე, რაც საჯაროა და გავრცელებას ექვემდებარება. რაც შეეხება ექსჩინოვნიკების თემას, მაგალითს მოცემული ვითარებიდან მოვიყვან: მიხელ სააკაშვილი პროკურატურაში დაიბარეს დაკითხვაზე, არ გავაკეთო ეს თემა?! ეს ადამიანები ხომ საკუთარი სიტყვებით აკეთებენ პროვოცირებას, რომ მათზე იმუშაო?! რაც შეეხება ახლა მოქმედ ჩინოვნიკებს, მოდი, ჯერ ვაცალოთ, გააფუჭებენ თუ არა რამეს, რაშიც ეჭვი ძალიან მეპარება და, მერე მესაუბრონ ოპონენტები „ანატომიის" პერსონაჟებზე. ვინ-ვინ და, ძალიან კარგად ვიცი, რა ხდებოდა იმ უწყებებში, სადაც მე ცხრა წელი არავინ მიშვებდა. მე ხომ, მათი გაგებით, ვიყავი ოპოზიციური ჟურნალისტი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ვიყავი ობიექტური იმ მოვლენებთან მიმართებაში, რაც იმ წლებში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა.

**– ნოემბრის მოვლენებმა შენი პროფესიული კარიერა ორ ნაწილად გაყო.**

– მე თავადაც ასე მაქვს გაყოფილი: „წიგნის" ერთი ნაწილი დაიხურა ნოემბრის მოვლენების დროს და დაიწყო მეორე. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, რომ „იმედის" პერიოდი იყო ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის „რენესანსი." მე იქ ჩამოვყალიბდი იმ ჟურნალისტად, როგორც მიცნობს საზოგადოება. იმის მიუხედავად, რომ ძალიან აქტიურად ვარ ჩართული ჩემს პროფესიულ საქმიანობაში, ხშირად მენატრება რეპორტიორობა, ნიუსი. „ახალი ამბები" ჩემთვის არის მუდმივი უკმარისობა; მიმაჩნია, რომ რეპორტიორობა არის საუკეთესო რამ, რაც შეიძლება ადამიანმა გამოიაროს თავის ცხოვრებაში – ეს ძალიან დიდ პროფესიულ გამოცდილებას აძლევს ჟურნალისტს. დღეს, ასევე, ძალიან კარგად მახსოვს „მაესტროს" პერიოდი. ამ ტელევიზიამ ძალიან ბევრი სატელევიზიო კადრი გადაარჩინა. საუბარი არ იყო ფინანსურ დაინტერესებაზე, ეს იყო საკუთარი თავის, პროფესიის გადარჩენის გზა, რაშიც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მამუკა ღლონტს – ერთ-ერთი „სმარტ ტვინის" პატრონს და არაჩვეულებრივ ადამიანს.

**– ბევრი კოლეგის მსგავსად, შენ არ აღმოჩნდი სახელმწიფო სამსახურში.**

– მე არ მიყვარს სახელმწიფო სამსახური, შინაგანად არ ვარ საჯარო მოხელე და ჩინოვნიკი. შემიძლია, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში გავუწიო დახმარება ადამიანებს, თუნდაც დილის ექვსი საათი იყოს, მაგრამ, ჩარჩოებში ვერ მოვექცევი. როცა ჩემს საქმეს სჭირდებოდა, ღამეებს ვათენებდი „ანატომიაში", ცხრა თვის ფეხმძიმეც კი. ეს ჩვეულებრივი რამ იყო იმ პერიოდში. ჩემთვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არც ერთ საჯარო სამსახურზე არ გავცვლი. მე არ მაქვს სუბორდინაციის პრობლემა, არასდროს არავისთან არ ვარღვევ სუბორდინაციას, რადგან, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს ვცემ პატივს, მაგრამ, რა ვქნა, ისეთი თავისუფლებისმოყვარე ვარ, ჩინოვნიკურ საქმიანობას ვერასდროს შევეგუები *(იცინის)*. არ გეგონოთ, რომ ეს თვისება პროფესიულად გამიმძაფრდა, არა, დაბადებიდან ასეთი ვარ. ეს, უპირველესად, ჩემი მშობლების დამსახურებაა – ჩვენს ოჯახში ყველა თანასწორი იყო, ჯერ კიდევ 8-9 წლის ასაკში ხმის ისეთივე უფლებით ვსარგებლობდი, როგორც დედა და მამა.

**– მამაზე მინდა გკითხო, რომელიც როგორც ვიცი, იარაღის საწარმოს მფლობელი და ავტომატ „ივერიას" ერთ-ერთი ავტორი იყო. როგორ მოხვდა ის ამ სფეროში?**

– ოო, მამა ძალიან საინტერესო ადამიანი იყო – ნიჭიერი, ცნობისმოყვარე. ერთნაირი წარმატებით საუბრობდა მეტაფიზიკაზე, თეოლოგიაზე და, დავუშვათ, დურგლობაზე. ყველაფერში შეეძლო ადამიანის დეტალურად გარკვევა. პროფესიით ინჟინერ-არქიტექტორი იყო, მაგრამ, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. ამბობდნენ, რეზო ქვაზე რომ დასვა, მაინც იშოვის ფულსო. კომუნისტების დროს ჰქონდა საკუთარი ბენზინგასამართი სადგურები, ჰყავდა „ჯიპი" „ვრანგლერი", რაც მაშინ იშვიათობა იყო. მამა, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, იყო აპოლიტიკური ადამიანი და არასდროს ყოფილა მაღალჩინოსანი, მას ჰქონდა ბიზნესის ნიჭი. ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ურთიერთობა ბადრი პატარკაციშვილთან, როცა ის „ლადას" უფროსი იყო. მამა 1991 წელს გარდაიცვალა სამოქალაქო ომში, რომელშიც, იმის მიუხედავად, რომ ათასობით ჩემნაირი ბავშვი არსებობს, ომად არ არის აღიარებული. მამა დაიღუპა მაშინდელი მთავრობის სახლში, პარლამენტის შენობაში – მას ხელში აუფეთქდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი. როდესაც მამას ოთახში შეუტანეს ეს ჭურვი – ჩვენ ვერაფერი გავუგეთ და, იქნებ, გაგვარკვიოო, მან ჭურვს მოხსნა ხრახნი, რომელიც, წესით, არ უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭურვი სიძველისგან იყო გაფუჭებული და დაიწყო წიკწიკი. ათი წამი ჰქონდათ დრო. ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, მიჭირს. ოთახში დაახლოებით 11 კაცი იყო. მამამ მხოლოდ იმის დაყვირება მოასწრო – მერაბ, ვფეთქდებითო და ეს ჭურვი ჩაიხუტა. მის გვერდით მდგარი არაჩვეულებრივი ბიჭი, მამუკა ნიკოლეიშვილიც მასთან ერთად დაიღუპა. მახსოვს, სახლში მამას ბათიკნები მოიტანეს – მისგან არაფერი დარჩა. მამას ჰქონდა ქარხანა, სადაც კეთდებოდა ერ-

თტარიანი ავტომატი „ივერია". მას ჰყავდა ძალიან კარგი მეგობრები გერმანიაში, ისინი ჩამოვიდნენ თბილისში, ჩამოიტანეს ჩარხები და დაიწყეს ამ იარაღის წარმოება. მის გარდაცვალებას მე მაინც ამ საქმეს ვაბრალებ: როცა იარაღთან გაქვს საქმე, ან პოტენციური მკვლელი ხარ, ან – მკვდარი, რაც, საბოლოოდ, ასეც მოხდა. როცა მამა გარდაიცვალა, „მხედრიონმა" ძალიან ბევრი იარაღი გაიტანა ქარხნიდან.

**– იარაღთან არც შენ არ ხარ მწყრალად?**

– 10 წლის ვიყავი, როცა ავტომატს ვშლიდი და ვაწყობდი. მამას პირველი ქორწინებიდან ორი ბიჭი ჰყავდა, ანუ, მე ორი უფროსი ძმა მყავს და ვგიჟდები მათზე. წარმოიდგინეთ, ბიჭებში გაზრდილი გოგო ავტომატს ვერ დავშლიდი?! მამასგან გენეტიკურად გამომყვა ესეც და ხასიათის ბევრი სხვა თვისებაც – მოუწესრიგებლობა, ქაოტურობა. სულ არეული ვარ დროში *(იცინის)* დედა ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა დაქვრივდა და 10 წლის ბავშვთან ერთად აღმოჩნდა მარტო, უამრავი პრობლემის წინაშე. მაგრამ, „იკაცა" – ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კარგი განათლება მიმეღო, რაც საკმაოდ მძიმე იყო იმ პირობებში. ყველას ეგონა, რომ გვქონდა ძალიან ბევრი ფული. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ჩვენს სახლში მოვიდა ერთი პიროვნება, რომელმაც გატეხა მამას სეიფი იმ იმედით, რომ იქ ბევრი ფული იქნებოდა. სეიფში დახვდა ერთი ავტომატი და ერთი მაკაროვის სისტემის პისტოლეტი. მერე დადგა პერიოდი, როცა ძალიან გაგვიჭირდა. იყო დრო, როცა მე და დედა სოფლიდან გამოგზავნილ ვაშლსა და თაფლზე ვცხოვრობდით – ალბათ, მეტი არაფერი ჰქონდათ. ვაშლი და თაფლი იმიტომაც მეზიზღება *(იცინის).* ტყუილად არაა ნათქვამი – „ნეტ ხუდა ბეზ დობრა". დედამ ყველაფერი გაყიდა, რომ კარგი განათლება მიმეღო, 14 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე ამერიკის კვლევით სამეცნიერო გაცვლების საბჭოში – „აირექსში" და სასწავლებლად გადავედი ზურა ოშხნელის საყმაწვილო სატელევიზიო სტუდიაში, რასაც ჩემი მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

**– „პირად ანატომიაზე" გკითხავ: როგორ ცხოვრობ დღეს, ორი ბიჭის დედა?**

– ვერ წარმომიდგენია, როგორ ვცხოვრობდი და რას ვაკეთებდი, სანამ შვილები მეყოლებოდა. ზუსტად ისევე ვარ შერყეული ამ ბავშვების განათლებაზე, როგორც დედა იყო ჩემზე. მინდა, რომ ჩემმა შვილებმა ჩემზე ნაკლები იწვალონ, მე კი იმდენი მოვასწრო, რომ ისინი ჩემსავით არ გახდნენ იძულებულები, 14 წლის ასაკში დაიწყონ მუშაობა. სანდრიკა ჩემი ცხოვრების ძალიან რთულ პერიოდში დაიბადა და მის მიმართ განსაკუთრებული ემოციები მაქვს. ალბათ, მან უფრო გამიადვილა იმ პერიოდის გადატანა. სანდრო, ფაქტობრივად, „მაესტროში" გაიზარდა. „კალიასკით" მიმყავდა ხოლმე და იქ ეძინა; ხან ვინ დაათრევდა, ხან – ვინ. სანდრო უცნაური ბიჭია, სახლში რომ შევალ, მეტყვის: „დე, დღეს ძალიან დავიღალე!" თუ მძიმე დღე მაქვს, ამას ხვდება და ისე იქცევა, როგორც დიდი კაცი. უკვე სკოლაშიც დადის და დილის 7 საათზე უწევს ადგომა, რის გამოც ჩვენს სახლში გაუთავებელი ომია *(იცინის).* რომ არა დედაჩემი, რომელიც, თავისი მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მაინც ძალიან მეხმარება ბავშვების გაზრდაში, ჩემთან სახლში კატასტროფა იქნებოდა. მეხმარება ჩემი მეული, რომელიც ჩემზე ადრე ბრუნდება სახლში და ჩვენი ძიძა. დემეტრეს იმდენი მომვლელი სჭირდება, აბა, რა გითხრათ. წლინახევრისაა, ყველაფერს ყრის, ამტვრევს, ქოთნებიდან ყვავილების მიწას იპარავს და ჭამს, მოკლედ, ბიჭებს სახლში დიდი დავიდარაბა აქვთ.

**– როცა გათხოვდი, ისე გაასაიდუმლოე შენი რჩეულის ვინაობა, მისი სახელის გასაგებად ლამის ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებდნენ.**

– ჩემი ქმარი პოლიციელია და, მისი პროფესიიდან გამომდინარე, არ უყვარს აფიშირება. შესაბამისად, მის ამ „მოთხოვნას" ყოველთვის ვუფრთხილდებოდი. მე თვითონაც ძალიან მომბეზრდა „ხელისგულზე" ცხოვრება. სანდრო 2 თვის იყო და ჟურნალებში იბეჭდებოდა უკვე. ეს ჩემთვის უკვე გავლილი ეტაპია. ჩემი მეუღლე აჭარაში მუშაობს, რეგიონს ვერ ტოვებს და თბილისში იშვიათად ახერხებს ჩამოსვლას. შაბათ-კვირას გვაქვს პაემნები თბილისი-ბათუმს შორის, სამტრედიაში, სადაც ჩემი დედამთილ-მამამთილი და სოსოს ბაბუა ცხოვრობენ. ვგიჟდები სამტრედიაზე, ამ ადამიანებზე, რომლებიც თავისი პროგრესულობით 21-ე საუკუნის შვილები არიან. ამ სახლში არის ბევრი წიგნი და სრული იდილია. სულ ვოცნებობ, ისეთი პერიოდი დამიდგეს, როცა შევძლებ, ერთი კვირა ჩავიდე იქ და ადამიანურად, მშვიდად ვიცხოვრო.

**– დისტანციურად ოჯახური ცხოვრება რთული არაა?**

– რთულია, მაგრამ, თავისებური ხიბლიც აქვს. 500 კილომეტრი სიყვარულს ვერაფერს აკლებს *(იცინის).* როცა ერთმანეთი ძალიან მოგვენატრება, ჩავისვამ ხოლმე ჩემს ბიჭებს, ავავსებ მანქანას მათი „ატრიბუტიკით" და ყველა ერთად ორი დღით მივდივართ სამტრედიაში. როცა ვინმე ვერ მპოულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე იქით ვარ, სიმშვიდეში – თბილისურ შფოთსა და აურზაურს გარიდებული და „დამალული" *(იცინის).*

**თამუნა სამადაშვილი**

# აზა დავითაშვილი - ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

***აზა დავითაშვილი** თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას" უწოდებდნენ. მოგვიანებით მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად" დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა" შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით თქვენ შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

**აზა დავითაშვილი**: „რამდენიმე ათეული წელია, რაც ამ საქმეს ვემსახურები. ბოლო პერიოდში ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ყველაზე ხშირად მათ ოჯახის აღდგენა, დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ჯადოს მოხსნა, ბედის გახსნა, საქმიანი წარმატებები სჭირდებათ – ეს არის მთავარი საკითხი ჩემთან მათი ვიზიტის დროს. ბევრს არ სჯერა ჯადოს არსებობის. ზუსტად ასეთ ადამიანებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. იცით, რამდენი ოჯახი ინგრევა სწორედ ამ გზით? რამდენ წარმატებულ ადამიანს მოეცარა ხელი საქმეში? ჯადო ძალიან რთული ფენომენია, მაგრამ არა დაუძლეველი. ზოგიერთი ძალიან იოლად იღებს თვალს. დღეს ესეც დიდი პრობლემაა, თუმცა მისი მოგვარება სხვადასხვა პროცედურით იოლად შესაძლებელია."

**მალხაზ გ-შვილი** *(62 წლის, გორი):* „ამ ქალბატონის შესახებ ტელევიზიით გავიგეთ. ცოლი გადამეკიდა და ძალით მომიყვანა აქ. საგვარეულო ჯადო გვქონდა გაკეთებული მამაკაცებზე: მე სულ ცუდად ვიყავი; ჩემს ვაჟს არაფერი აკლდა, მაგრამ ცოლი 40 წლამდე ვერ მოიყვანა. ქალბატონმა აზამ სპეციალური თილისმები მოგვცა, ეს რის მომწრე გავხდი ამ ასაკში! ჩემი აქ მოსვლიდან ერთ თვეში ჩემი ბიჭი დაქორწინდა, ჩემი უცნაური დაავადებებიც ისე გაქრა, პატარა ბიჭივით ვგრძნობ თავს."



**ლეილა ზ-ძე** *(46 წლის, ბათუმი):* „ჩემს ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა – მოულოდნელად გარდამეცვალა დედა და და, დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს. დავრჩი სულ მარტო. შოკში ვიყავი ამ ტრაგედიისგან. ერთ დღეს, ჩემი სახლის შესასვლელთან, ძაღლმა მიწის თხრა დაიწყო. უცნაური ორგანო ვიპოვე მიწაში ჩაფლული. მაშინვე ქალბატონ აზასთან წამოვედი – მასზე ბევრი რამ გამეგონა. მითხრა, მგლის გულია, ამით საშინელი, სასიკვდილო ჯადო კეთდებაო. მეორე პროცედურაზე იმ ადამიანის სახე დამიხატა, ვინც ჯადო გააკეთა. გული გამისკდა, თეთრ ტილოს რომ შევხედე – მასზე ბიცოლაჩემის სახე იყო გამოსახული. არ ვიცი, რა გითხრათ, საკუთარ თავზე დავრწმუნდი, რომ ქალბატონ აზას ბადალი არ ჰყავს."

**მარინა ბ-ძე** *(49 წლის, თბილისი):* „წლებია, რაც ვაჭრობის სისტემაში ვმუშაობ. რამდენიმე წლის წინ ბიზნესის გაფართოება გადავწყვიტე, კრედიტი ავიღე, თუმცა, არ გამიმართლა და საშინელ ვალებში ჩავვარდი. ბინის გაყიდვა მინდოდა, მაგრამ, ისეთი დათარსული ვიყავი, ბინაც ვერ გავყიდე. მევალეები სახლში მაკითხავდნენ. აქ რომ მოვედი, ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ვიყავი. ქალბატონი აზა დამპირდა, აგერ ნახე, თუ ბინა ძალიან მაგარ ფასში არ გაგაყიდინოო. ორ თვეში შემისრულა სიტყვა – ბინა ისეთ ფასში გავყიდე, მე თვითონ მიჭირდა დაჯერება. ცოტა ხანში, აზა დავითაშვილის პროცედურების დახმარებით, ახალი საქმეც წამოვიწყე და ვალებსაც დავაღწიე თავი. მას შემდეგ ამ ქალზე ახლობელი და ძვირფასი არავინ მყავს! მისი ყველა ნათქვამი სიტყვასიტყვით მიხდება!

***ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08; 593 56-10-39; მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის ქუჩა №42.***

**თამარ ჩხენკელი**

**მარხვა ის მდგომარეობაა, როცა ადამიანი დათმენას სწავლობს და ერთგვარ სულიერ კათარზისს განიცდის. საქართველოში ოდითგანვე ყველა მარხულობდა – დიდიც და პატარაც. ისტორიამ შემოგვინახა ცნობები დაკარგული კულტურების, რეცეპტებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ჩვენი რესპონდენტია პროფესორი, ისტორიის დოქტორი როზეტა გუჯეჯიანი.**

# რომელ სარიტუალო საკვებს ამზადებნენ ჩვენი წინაპრები მიცვალებულთა მოხსენიების დღეს და იკრძალებოდა თუ არა მარხვის პერიოდში ღვინის სმა

**– ქალბატონო როზეტა, დიდმარხვის დღეებია და, ჩვენი საუბრის თემაც, რა თქმა უნდა, მარხვის დღეებში კვებას დაუკავშირდება. რა ცნობები მოგვეპოვება ამ კუთხით?**

– ქართული კვებითი სისტემის შესახებ მოგვეპოვება არაერთი საისტორიო წყარო. არსებობს მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც ალვადგენთ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის ტრადიციულ კვებით რაციონს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

**– როგორი იყო ჩვენი წინაპრების კვებითი რაციონი?**

– მრავალფეროვანი იყო, რადგან, საქართველო გეოგრაფიულად საინტერესო რეგიონია და შეიცავს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონას, რაც განაპირობებს ამ მხარეებში ლოკალური კულტურულ-სამეურნეო ტიპის არსებობას. საქართველოში ყველგან – მთაშიც, ბარშიც და მთისწინეთშიც, განვითარებული იყო ინტენსიური მიწათმოქმედება. ადგილობრივი კვებითი პროდუქცია კარგად იყო შეხამებული სიცოცხლისთვის აუცილებელ ინგრედიენტებთან. საქართველოში იყო შესანიშნავი ხალხური ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა გამოკვებილიყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. საინტერესო ემპირიული ცოდნა არსებობდა ზემო აჭარაში, სადაც, მოსახლეობა, როგორც კი შუა ხნის ასაკს გადასცილდებოდა, იწყებდა თავისებურ კვებას, ანუ, ხანდაზმულისთვის სპეციალური, მსუბუქი, მაგრამ კალორიული რაციონი დგებოდა, სიცოცხლისთვის აუცილებელი ყველა ელემენტით გაჯერებული, რისი შედეგიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობის მრავალი შემთხვევა ზემო აჭარაში. ამგვარ ცოდნას აფხაზეთის მოსახლეობაც ფლობდა და იქაც არსებობდა განსხვავებული კვების რაციონი ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ასევე, არსებობდა კვებითი რაციონი, რომელიც მხოლოდ ჩვილებისთვის, გასათხოვარი ან დასაცოლშვილებელი ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. ცალკე არსებობდა მონადირისა და მეომრის კვების რაციონი, რომელიც შედგებოდა განსაკუთრებით მაწიერი ანუ კალორიული, გამძლე და მცირე მოცულობის მქონე საკვებისგან. ამ შემთხვევაში გამოსადეგი იყო ჩურჩხელა, ფეტვის კვერი. ტრადიციულ ყოფაში დიდი ადგილი ეკავა დღეისთვის, ფაქტობრივად, გამქრალ კანაფის კულტურას. მისი ფქვილისგან ცხვებოდა ხაჭაპური, კვერები. გამხმარი კვერი დროში გამძლე იყო და ადუღებულ წყალში ჩაგდებით, წყალში გაქნით, მისგან მზადდებოდა მაწიერი საკვები.

ძალიან მაღალ დონეზე იდგა მეფუტკრეობა. თაფლი მუდმივად გამოიყენებოდა საკვებად და სამედიცინო დანიშნულებაც ჰქონდა.



**საქართველოში იყო შესანიშნავი ხალხური ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა გამოკვებილიყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები**

**– თაფლს ხშირად იყენებდნენ დასატკბობადაც, ისევე, როგორც გამხმარ ხილს.**

– სწორად ბრძანეთ, საკვების დატკბობა, შაქრის შემცველობის ანაზღაურება ხდებოდა თაფლით და, აგრეთვე, გამხმარი ხილით, ჩირეული კულტურებით, რომლის დამზადებაც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ზოგან ჩირს ამზადებდნენ იქ, სადაც, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, მებაღეობის მაღალი კულტურა იყო (ვაშლის, მსხლის, ლეღვის, ატმის, ქლიავის, გარგარის და ასე შემდეგ). ჩირი იცოდნენ მთაშიც – ტყიდან მოჰქონდათ ტყის ვაშლი, ტყის მსხალი: მაჟალო, პანტა და მათგან უგემრიელესი ჩირი მზადდებოდა. ჩირს მხოლოდ მშრალ საკვებად არ იყენებდნენ, მისგან წვნიანსაც ამზადებდნენ. მაგალითად, პანტა მსხლის ჩირისგან შესანიშნავი წვნიანი მზადდება, რომელიც არის უაღრესად სურნელოვანი, გემრიელი საკვები. ის გამოიყენებოდა გაციებისა და სხვადასხვა ვირუსის სამკურნალოდაც. ავადმყოფობის დროს პანტა მსხლის ჩირის ნახარშს დიდი დოზებით ასმევდნენ ავადმყოფს; ასევე, შეექცეოდნენ მოხარშული ჩირის ნაყოფსაც, რაც ავადმყოფის გამოჯანმრთელებას უწყობდა ხელს.

განვითარებული ინტენსიური მიწათმოქმედების ქვეყანა ვართ და, შესაბამისად, არსებობდა მრავალი სახის მარცვლეული, რომელიც ასევე მარხვაში იყო ბუნებრივად გამოსაყენებელი.

საქართველოში არსებობდა ზეთის გამოხდის დიდი ტრადიციები. თავდაპირველად ეს იყო სელისგან გამოხდილი ზეთი, რომელიც ყველაზე მეტად ჯავახეთში იყო გავრცელებული; შემდეგ იყო ზეთისხილის კულტურა, რომელიც, სამწუხაროდ, მოგვიანო ხანებში გაქრა საქართველოდან (ძირითადად ის მოქცეული იყო დღევანდელი ართვინის რეგიონის ისტორიულ ნიგალის ხეობაში); ასევე, ფართოდ გამოიყენებოდა კანაფის თესლის, ნიგვზის ან სიმინდისგან გამოხდილი ზეთები.

მნიშვნელოვანია ის სხვადასხვა მხალეული, რომელსაც საკვებად იყენებდნენ ქართველები. ეს ყველაფერი იყო შეზავებული ან ზეთით, ან ნიგვზით ან თხილით... ხშირ შემთხვევაში, მარხვის დროს დაშვებული იყო თევზეული. მეთევზეობით საქართველო განთქმული იყო არა მარტო შავიზღვისპირეთის სანაპიროზე, არამედ, ყველა მდინარეს თავისი ჯიშის თევზი ჰყავდა. უმრავლეს შემთხვევაში, მთებში ეს იყო კალმახი, რომელსაც, გარდა სარეწი მნიშვნელობისა, კონკრეტულად მარხვის პერიოდში ჰქონდა ყველაზე დიდი გამოყენება.

მარხულობდა საქართველოში ყველა, მათ შორის – ბავშვებიც, განსაკუთრებით კი იცავდნენ დიდმარხვის პერიოდს, რომლის დროსაც გონივრულად უსადაგებდნენ კვების რაციონს ერთმანეთს. საკვებად იყენებდნენ ისეთ კულტურებს, როგორიცაა: მუხუდო, ცერცვი, ფეტვი, ქერი – მათგან შესანიშნავი წვნიანი მზადდებოდა.

**– მაგალითად, რომელი?**

– ძალიან ძვირფასი იყო ქერის შეჭამანდი, რომელიც თანამედროვე სუპს წააგავდა, მაღალი კალორიებიც ჰქონდა და ჯანმრთელობისათვისაც სასარგებლო იყო, რადგან, სხვადასხვა საკაზმ სანელებლებსაც უმატებდნენ, რითაც ოდითგანვე მდიდარი იყო ქართული სამზარეულო. აგრეთვე, მიირთმევდნენ ქერის, ცერცვისა და მუხუდოს ნაზავს, რომელისგანაც, ასევე, წვნიანი კერძი მზადდებოდა; სხვადასხვა მხალეულს, მათ შორის, არა მხოლოდ კულტივირებულ მხალეულს, არამედ, ტყეში ან ტყისპირებიდან მოკრეფილ მჟაუნას, რომლისგანაც ძალიან გემრიელი და მაწიერი შეჭამანდი მზადდებოდა; აქტიურად გამოიყენებოდა ხახვი, ნიორი, პრასი, ნიახური, ოხრახუში, ქინძი.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ამერიკიდან შემოვიდა ლობიო და სიმინდი, უკვე ეს ხდება წამყვანი კულტურები, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კვებით რაციონში. იქ ეს არის ყოველდღიური საკვები, უფრო ძველად არსებულ ღომის კულტურასთან ერთად.

საქართველოში არსებობდა მწნილეულის, მჟავეების დამზადების მაღალი კულტურაც. ასევე, საკვებად იყენებდნენ კენკრას; სვამდნენ ასკილის, ცაცხვის ნაყენს.

**– ალკოჰოლური სასმელის მიღება რა სიხშირით ხდებოდა?**

– აღსანიშნავია, რომ ღვინის სმა არ იკრძალებოდა მარხვის პერიოდში. ერთი, მაქსიმუმ – სამი ჭიქა მაღალი ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო სადილის თანმხლები ატრიბუტი იყო ძველ საქართველოში.

**– სოკოს რა ადგილი ეკავა ქართველი კაცის რაციონში?**

– სოკოს მრავალფეროვანი ჯიშები არსებობდა საქართველოში და, მის საკვებად ვარგის ჯიშებს, ბუნებრივია, იყენებდნენ კიდეც.

**– ალბათ, არაერთ დაკარგულ, დღევანდელობისათვის უცხო რეცეპტებს ინახავს ისტორია.**

– ძალიან ბევრს. სამწუხაროდ, დღეისთვის ქართული ტრადიციული სამეურნეო დარგები მივიწყებულია, განუვითარებელია ქართული სოფლის მეურნეობა, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ძალიან ბევრი ქართული კერძის გაქრობა. ყოფიდან თითქმის გაქრა ძირძველი ქართული ენდემური კულტურები, მაგალითად: ქერის საკვებად გამოყენების ტრადიცია, ქართული ხორბლის ჯიშები, ღომის კულტურა და სხვა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფეტვის კულტურა, რომლისგანაც მზადდებოდა შეჭამანდიც და ცხვებოდა მჭადის მაგვარი პურიც, რომელსაც ხსნილ დღეებში ყველს ურევდნენ და მარილით აზავებდნენ. დღევანდელი სიმინდის ჭვიშტრის ნაირსახეობის წინაპარი იყო ფეტვისაგან დამზადებული ამგვარივე ტიპის მჭადი. ამავე დროს, მას იყენებდნენ ფაფეულის მოსამზადებლადაც.

განსაკუთრებით დასანანია ქართული ენდემური ხორბლის ჯიშების გაქრობა. საქართველოს ტერიტორიაზე ხომ მრავალი ჯიში არსებობდა: მთის, ბარის ჯიშები, საგაზაფხულო, საშემოდგომო ხორბალი, რომელთაგანაც, გარდა პურის ცხობის ტრადიციისა, სარიტუალო კერძები – კორკოტი და წანდილი მზადდებოდა.

**– კორკოტისა და წანდილის დამზადების ტრადიცია დღესაც ხომ არსებობს?**

– კი, მაგრამ, ისინი კვებით რაციონში უფრო აქტუალიზებული იყო ძველ ყოფაში.

მიცვალებულთა მოხსენიების დღეებს, რომელბიც, ხშირად, მარხვის პერიოდს ემთხვეოდა, აუცილებლად ახლდა თანმხლები სარიატუალო საკვებიც. აქ, პირველ ყოვლისა, გვახსენდება კორკოტისა და წანდილის დამზადების წესი, ხოლო სვანეთში, ამას ერქვა „თესლი". სვანეთში

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# ინტიმური საუბრები

### დაუჯერებელი ამბავი

ერთი იმდენად საოცარი ისტორია გავიგე, გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა.

ერთ ოჯახში ვიყავი სტუმრად წვეულებაზე. სტუმრებს შორის იყო ხანდაზმული ქალბატონი ქმართან და დაახლოებით 13 წლის გოგონასთან ერთად. მე მსგავსი ურთიერთობა ბებია-ბაბუასა და შვილიშვილს შორის არ მინახავს. ჯერ იმან გამოაცა, რომ ეს 13 წლის გოგო დარბაისელი ქალივით იქცეოდა. საოცრად სათნო, ზრდილობიანი, დინჯი საქციელით იმდენ ხალხში მაშინვე მიიპყრო ყურადღება. ბებია და ბაბუა სიყვარულით შესციცინებდნენ თვალებში. სუფრაზე სწორედ მათ წინ ვიჯექი. ვერ შევიკავე თავი და ჩემი აღფრთოვანება გამოვხატე მათი შვილიშვილით – დღეს ასეთ აღზრდილ ბავშვს, ალბათ, ვერსად ნახავს კაცი-მეთქი. ბაბუას სახე გაუბრწყინდა და მითხრა: ეს ხომ ჩვენი სიამაყე და სიხარულია, მაგრამ, თქვენ ამისი უმცროსი ძმა უნდა ნახოთ, ვინ არის; ენაცვალოს ბაბუა ჩემს პატარა ყაჩაღსო. რატომღაც, ვკითხე, თქვენი ქალიშვილის შვილები არიან თუ ვაჟის-მეთქი. ვაჟისო. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ, ამათი მამაც სამაყო შვილიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში შემხვდა ის ახლობელი, რომელთანაც იმ დღეს წვეულებაზე ვიყავი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ის ცოლ-ქმარიც ვახსენე – რა არაჩვეულებრივი ხალხი იყო-მეთქი. შენ არ იცი მაგათი ისტორიაო? – მკითხა ახლობელმა და მერე ისეთი დაუჯერებელი ამბავი მიამბო, გაოგნებული დავრჩი.

ამ ცოლ-ქმარს ჰყოლია ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც შეჰყვარებია ძალიან კარგი ბიჭი. ის ბიჭიც გიჟდებოდა თურმე ამ გოგოზე. მოკლედ, ახალგაზრდები დაქორწინებულან და, რადგან ბიჭს ბინა არ ჰქონდა, ამათთან ჩასიძებულა. ძალიან კარგი ბიჭი გამომდგარა – მშრომელი, მეოჯახე, ცოლის მოყვარული და ყველას პატივისმცემელი. სიდედრ-სიმამრს მართლა საკუთარი შვილივით შეუყვარდა და, მოკლედ, ბედნიერად ცხოვრობდნენ. დაახლოებით ორი წლის შემდეგ გოგო დაფეხმძიმებულა და მთელი ოჯახი ბავშვის მოლოდინით ხარობდა, მაგრამ, გოგოს ნაადრევი მშობიარობა დასწყებია, მერე რაღაც გართულება დამართნია და, ვერც დედა გადაურჩენიათ და ვერც შვილი. ერთი წლის გლოვის შემდეგ ბიჭმა ოჯახიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ, სიდედრ-სიმამრმა არ გაუშვა – შენ მეტი აღარავინ დაგვრჩა და ნუ მიგვატოვებო. სამი-ოთხი წლის შემდეგ კი გადაეკიდნენ – ცოლი შეირთე, ასე მარტო ხომ არ დარჩები, ახალგაზრდა კაცი ხარო. მერე სიძისთვის ვიღაც კარგი გოგო გაუცნიათ, ახალგაზრდებს ერთმანეთი მოსწონებიათ და დაქორწინებულან. სიმამრის კატეგორიული მოთხოვნით, ბიჭს მეორე ცოლი მათთან მიუყვანია. ქორწილიც კი გადაუხადეს, როგორც ერთადერთ ვაჟიშვილს, ის გოგო კი რძლად მიიღეს. ის გოგონა, ჩემს ახლობელთან რომ ჰყავდათ მოყვანილი და ის პატარა ბიჭი, რომლითაც ასე ამაყობდა ბაბუა, სწორედ იმ სიძის შვილები ყოფილან, რომლებიც მოხუცებმა საკუთარი შვილიშვილებივით გაზარდეს. ახლა რძალი მესამე ბავშვზე ყოფილა ფეხმძიმედ. ბიჭს ელოდებიან და დედ-მამას გადაწყვეტილი აქვს, მესამე შვილს გამზრდელი ბაბუას გვარი მისცენ...

თურმე, ასეთი დაუჯერებელი ამბებიც ხდება საქართველოში.

**მარიამი, 47 წლის.**



### ტყუპისცალი ძმა 40 წლის შემდეგ ვიპოვე

სულ ახლახან, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ მყოლია ტყუპისცალი ძმა, რომელიც გაუშვილებიათ, ჩემი მშობლები კი მოუტყუებიათ, რომ ერთი შვილი დაგეღუპათო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არც ისეთი ახალგაზრდა ვარ (40 წლის ვხდები), ამ ამბავმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ჯერ თავისთავად როგორი გადასატანია, როცა 40 წლამდე დედისერთა გგონია თავი და, მით უმეტეს, როცა გაიგებ, რომ შენი ტყუპისცალი მოჰპარეს მშობლებს, გაუყიდეს და, თანაც, სხვა ქვეყანაში. საქმე ისაა, რომ ჩემი მშობლები იმ პერიოდში ერთ-ერთ „ძმურ" საბჭოთა რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ (მამა იქ განაწილებით გაუშვეს სამუშაოდ და ახალშერთული ცოლიც თან წაიყვანა) და დედას იქ მოუწია მშობიარობა, მაგრამ, თურმე, იმ ქალაქის სამშობიაროს მთავარი ექიმის ძმა უშვილო ყოფილა და ბავშვის აყვანა სდომებია, ჰოდა, კარგი მომენტიც ჩავარდნია ხელში ექიმს – ახალგაზრდა, „უპატრონო" ცოლ-ქმარს, თანაც, სხვა რესპუბლიკიდან, ტყუპები შეეძინა და, მანაც, ისარგებლა ამ მომენტით, მით უფრო, რომ დედაჩემს მძიმე მშობიარობა ჰქონია და ეს მოუმიზეზებიათ, ანუ, ვითომ ამიტომაც გარდაიცვალა ტყუპისცალი.

სად, როგორ და ვისგან გავიგე ეს ამბავი, ვერ ვიტყვი, რადგან, შესაძლოა, მას ამისთვის ცუდად მოსთხოვონ პასუხი, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ჩემმა „ინფორმატორმა" ჩემი ძმის მერე შერქმეული სახელი და გვარიც მითხრა, ის ქვეყანაც და ის ქალაქიც, სადაც ცხოვრობს, მისამართის დადგენას კი რა უნდოდა!

ახლა იმ ქალაქში წასასვლელად ვემზადები. ვიზის საკითხი და სხვა ტექნიკური მხარეები უკვე მოვაგვარე. მე და ჩემი უფროსი ბიჭი მივდივართ – 18 წლის კაცია და ყველაფერში გვერდში მიდგას. ჩემმა ძმამ ჯერ არაფერი იცის და, ალბათ, ძალიან დიდი შოკი იქნება მისთვის ამ ყველაფრის გაგება, მაგრამ, გამორიცხულია, ამ მიზეზის გამო ერთადერთ ძმაზე, თანაც ტყუპისცალზე, უარი ვთქვა. დარწმუნებული ვარ, განცდების მიუხედავად, მასაც გაუხარდება ჩემი ნახვა და გაცნობა.

ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ასეთ ბედნიერებას განვიცდიდი. შვილების შეძენის მერე ეს ყველაზე დიდი სიხარულია, რაც კი ცხოვრებაში მქონია.

**ნოდარი, 40 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

**ყველასთვის გამორჩეულად საყვარელი და წარმატებული ქართველი კალათბურთელი, ზაზა ფაჩულია, როგორც ყოველთვის, სასურველი რესპონდენტია. მისი გამოჩენა პრესასა და ტელევიზიაში, რა თქმა უნდა, არა მარტო საქართველოში, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. მიუხედავად გადატვირთული სპორტული რეჟიმისა, ის არასდროს აკლებს ოჯახს სათანადო ყურადღებას, არის კარგი მამა და მეუღლე. როგორ ცხოვრობს, რა გეგმები აქვს და ბავშვობის რა ოცნება აისრულა ზაზა ფაჩულიამ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვისთვის შეიძინა ზაზა ფაჩულიამ NBA-ს ლეგენდარული მოედანი და რის გაკეთებას გეგმავს ის სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ

**– ზაზა, როგორც ყოველთვის, ძალიან დატვირთული გრაფიკი გაქვს, რა ხდება შენს სპორტულ ცხოვრებაში და სპორტის პარალელურად როგორ ახერხებ, რომ ოჯახსაც სათანადო ყურადღება დაუთმო?**

– 78 თამაში უკვე ვითამაშეთ, წინ კიდევ 11 თამაში მაქვს. ხშირად მიწევს გასვლითი თამაშები, შესაბამისად, ისეც ხდება ხოლმე, რომ ოჯახის წევრებს ერთი კვირა ვერ ვნახულობ. ამ გრაფიკს შეგუებული ვარ და უკვე თიკაც შეეგუა, სხვა გზა არ აქვს. ბავშვები ჯერ პატარები არიან, მაგრამ, თიკას ძალიან კარგად ესმის, რომ კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა. შესაბამისად, ისიც ყოველთვის გვერდში მიდგას. კი, ძნელია ოჯახისგან ხშირად შორს ყოფნა, მაგრამ, ამასაც თავისი ხიბლი აქვს. ძალიან ხშირად გვენატრება ერთმანეთი, მაგრამ, სახლში რომ ვბრუნდები, მერე სულ ერთად ვართ მთელი ოჯახი და მონატრებას ასე ვიკლავთ.

**– ოჯახში მხოლოდ შენ კი არა, თიკაც ძალიან აქტიურად ვარჯიშობს.**

– ყველა აქტიურ სპორტზე გადავიყვანე. პირველ ყოვლისა, თიკას ძალიან სიამოვნებს სპორტი და უკვე ველარც წარმოუდგენია, ვარჯიშის გარეშე როგორ უნდა იყოს. უფრო ენერგიულია და კარგად გრძნობს თავს. როცა სადმე მივდივართ და ამის გამო ვარჯიშს აცდენს, ძალიან ნერვიულობს.

**– ცოტა ხნის წინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საქართველოში შენი სახელობის კალათბურთის აკადემიის გახსნას გეგმავ. წინა ინტერვიუებში კი გვისაუბრია იმის შესახებ, რომ ძალიან დიდი სურვილი გაქვს, აკადემია გახსნა, მაგრამ, ამ ეტაპზე რამდენად ახლოს არის ეს ყველაფერი რეალობასთან?**

– ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რომ ჩემი სახელობის აკადემია გახსნილიყო საქართველოში, მაგრამ, გამოცდილებამ მიმიყვანა ერთ დასკვნამდე: ეს რომ განვახორციელო, საქართველოში უნდა ვიყო, თავად ვაკონტროლო და ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც სწორად მიმაჩნია. აქედან კი ამის გაკეთება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ღმერთმა ქნას, კიდევ დიდხანს ვითამაშო, თუმცა, რაც უფრო ვუახლოვდები კარიერის დასასრულს მით უფრო ბევრს ვფიქრობ ამაზე. უკვე ვემზადები აკადემიის გახსნისთვის. გაიგებდი, რომ სპორტული მოედანი შევიძინე (პარკეტი) და ესეც ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია სპორტსკოლის გასახსნელად. თუ არ გავხსენი, მაშინ NBA-ს მოედანს საჩუქრად გადავცემ რომელიმე სკოლას. ძალიან კარგი იქნება, როცა საქართველოში NBA-ს ლეგენდარულ მოედანზე შეეძლებათ ვარჯიში. ძალიან ბევრ ვარსკვლავს აქვს ამ პარკეტზე ნათამაშები. სიმართლე გითხრა, ახლა კიდევ უფრო მეტად მინდა აკადემიის გახსნა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**– წლების წინ იმასაც ამბობდნენ, რომ კალათბურთის მანეჟის შეძენა გინდოდა, მაგრამ, უარი გითხრეს. ეს სიმართლეა?**

– დეტალებზე არ ყოფილა მაშინ საუბარი, უბრალოდ, სურვილი გამოვთქვი, მაგრამ, როგორც მახსოვს, მაშინ იყიდებოდა. სიმართლე გითხრა, მაშინ მზად არც ვიყავი ამისთვის, ეს, უბრალოდ, სურვილის დონეზე იყო. ჩემი საკალათბურთო კარიერა სწორედ დიდუბის საკალათბურთო მანეჟში დაიწყო და ამიტომაც არის ეს ადგილი ჩემთვის განსაკუთრებული. გასულ წელს რომ ვიყავი ჩამოსული, გული ჩამეწვა, როცა ვნახე, ბავშვები რა პირობებში ვარჯიშობდნენ. ძალიან დამწყდა გული, რადგან, ქართველი ბავშვები უკეთესს იმსახურებენ. არ მინდა, პირობების არქონის გამო ჩვენი ახალგაზრდობა დაიჩაგროს.

**– პარკეტის ჩამოტანას როდის გეგმავ?**

– წლის ბოლოს იგეგმება მოედნის გამოგზავნა, რაც, რა თქმა უნდა, რთული პროცესია და დრო სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ზაფხულს მოგვარდება ეს ამბავი.

**– ერთმა ჩემმა რესპონდენტმა, რომელსაც ძალიან წარმატებული სპორტული კარიერა აქვს, თქვა, პატარა რომ ვიყავი, ვოცნებობდი, წარმატებული ვყოფილიყავი და ბევრი ცნობილი და წარმატებული ადამიანი გამეცნოო. ეს ოცნება მან წლების შემდეგ აიხდინა. შენ თუ გქონდა მსგავსი ოცნება ბავშვობაში?**



**გასულ წელს რომ ვიყავი ჩამოსული, გული ჩამეწვა, როცა ვნახე, ბავშვები რა პირობებში ვარჯიშობდნენ**

– ბავშვობიდან ჩემი ერთადერთი ოცნება იყო NBA-ში მოხვედრა. სხვა მიზნებიც მქონდა, მაგრამ, ისევ სპორტის ფარგლებში. ჩემი კარიერის განმავლობაში მქონდა პატარა გადახვევები და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ, იმაზე მაგარ სიამოვნებას, რაც შეიძლება კალათბურთის თამაშის დროს მივიღო, სხვაგან ვერსად მივიღებდი. კალათბურთი და ოჯახი ჩემთვის უპირველესია. ყოველი წუთით, ყოველი ჩაგდებული ბურთით, თუნდაც მგზავრობითა და დატვირთული გრაფიკით, ვცდილობ, მაქსიმალური სიამოვნება მივიღო. დრო იმდენად სწრაფად მიდის, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებ. უკვე თერთმეტი წელია, NBA-ში ვარ. მთავარია ჯანმრთელობა, რომლის ფასიც არაფერია. რასაც არ უნდა აკეთებდე, მაქსიმალურად უნდა ისიამოვნო შენი საქმით. თუ შენი საქმე არ გიყვარს, არაფერი არ გამოვა.

> **ჩემი კარიერის განმავლობაში მქონდა პატარა გადახვევები და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ, იმაზე მაგარ სიამოვნებას, რაც შეიძლება კალათბურთის თამაშის დროს მივიღო, სხვაგან ვერსად მივიღებდი**

**– სიმართლე გითხრა, ძალიან გამიკვირდა, როცა ამ დროს სოციალურ ქსელში შემთხვევით წაგაწყდი, რადგან ახლა ამერიკაში მოსახლეობის უმეტესობა ღრმა ძილშია. თავად რატომ არ გძინავს?**

– თამაში მქონდა დღეს და, როგორც ყოველთვის, მერე ვერ ვიძინებ. როგორი თამაშიც არ უნდა იყოს, მოვიგებთ თუ არა, არ აქვს მნიშვნელობა, აჟიტირებული და ემოციებში ვარ. თამაშის დაწყებას მთელი დღე ველოდები, სულ კალათბურთზე ვფიქრობ. ჯერ ვარჯიში, მერე ვისვენებთ, საღამოს კი მივდივართ და ოთხ-ხუთ საათს დარბაზში ვატარებთ. კი ვიღლები ფიზიკურად, მაგრამ, ფსიქოლოგიურად მაინც იქ ვარ და მაინც რაღაცეები მიტრიალებს თავში. თამაშის ყველა დეტალზე ერთად ვფიქრობ: რა გავაკეთე კონკრეტული თამაშის მიმდინარეობის დროს, როგორ გავართვი თავი და ასე შემდეგ. ასე რომ, ჩემთვის თამაშის შემდეგ უძილო ღამე ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

**– თამაში რა შედეგით დასრულდა?**

– სამწუხაროდ, დღეს წავაგეთ.

**– ანუ, ხელი არ შემიშლია ინტერვიუს ჩაწერით.**

– ნამდვილად არ შეგიშლია ხელი. თან, ახლა „ორი ვარსკვლავის" ჩანაწერს ვუყურებდი, ოღონდ, არ მითხრა, ვინ დატოვა პროექტი. თვალს ხშირად ვადევნებ საქართველოში მიმდინარე შოუ-პროგრამებს და სხვა გადაცემებს. თან, ამ პროექტში ჩემი რამდენიმე ახლობელიც მონაწილეობს და მათ ვგულშემატკივრობ.

**– ევროპის ჩემპიონატსა და საქართველოს ნაკრებს მინდა შევეხო. სამწუხაროდ, გასულ ზაფხულს, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძელი საქართველოს ნაკრებში თამაში. წელს თუ იქნები შემადგენლობაში?**

– შარშან ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, რასაც დღემდე ვერ ვინელებ. ვცდილობ, დრო მაქსიმალურად გამოვიყენო და არც ერთი თამაში არ ჩავაგდო, გასულ წელს კი მთელი ზაფხული ჩამივარდა. მართალია, თითქმის მთელი წელი გავიდა, მაგრამ, დღემდე გული მწყდება ამაზე, დროს კი უკან ვერ დააბრუნებ. რაც შეეხება ამ ზაფხულს, რა თქმა უნდა, სურვილიც მაქვს, ნაკრებს გვერდში დავუდგე, ეს ყველანაირად მინდა და გეგმაშიც მაქვს. უბრალოდ, ამაზე წინასწარ ბევრს არ ვილაპარაკებ – შარშან რომ ვილაპარაკე, ხომ ნახეთ, რაც მომივიდა. ცრურწმენის გამო კი არ ვამბობ ამას, უბრალოდ, ზაფხულამდე დიდი დროა. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანია, აქ ეს სეზონი ჩავამთავრო და დარჩენილი 11 თამაში ვითამაშო. სეზონის დასრულების შემდეგ კი ზაფხულზე ვიწყებ ფიქრს. ასე რომ, ნაკრების თამაშებამდე ბევრი რაღაც მექნება გასაკეთებელი. ძალიან მიხარია, თბილისში ჩამოსვლის დრო რომ მოდის და ჩემს საყვარელ ხალხს ვნახავ.

**მარიკა ხიდურელი**

**ქართველები რომ ნიჭიერი ხალხი ვართ, ამაზე არავინ დავობს. თუმცა, ერთმანეთის ნიჭის აღიარება, ცოტა არ იყოს, გვიჭირს. ის, რომ 12 წლის ქართველი, ირაკლი ინწკირველი ქართულ საბავშვო „ვოისში" დაიწუნეს, მისთვის კიდევ უფრო მეტი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა. ჩვენდა გასახარად, ახლა ის რუსული „ვოისის" ფავორიტია. კარგად მახსოვს, ქართველი მწვრთნელების კომენტარი, ისე მოვიხიბლეთ ირაკლის ნამღერით, ისე გავერთეთ, შემობრუნება ვერ მოვახერხეთ და მთელი ცხოვრება ამას ვინანებთო. თუმცა, ეს ირაკლისთვის დაიმედება, ნამდვილად არ იყო. მან ცრემლის გარეშე, ვაჟკაცური შემართებით დატოვა ქართული კონკურსი და ასეთივე ვაჟკაცურობით, ენერგიულობითა და შესრულების თავისებური მანერით, ისე მოხიბლა რუსი ჟიურის წევრები, რომ ყველა შემოუბრუნდა. მას კი ასარჩევად დაუტოვა საქმე.**

# როდის ჩავა მშობლიურ ოზურგეთში „ოსკარით“ ხელში ირაკლი ინწკირველი და როგორ გახდა ის რუსეთის „ვოისის“ ყველაზე საყვარელი კონკურსანტი

**– ირაკლი, გილოცავ წარმატებებს. იმედია, იმის გამო, რომ ქართულ საბავშვო „ვოისში" ვერ დავაფასეთ შენი ნამღერი და კონკურსის მიღმა დარჩი, არ გვიბრაზდები.**

– ის, რომ ქართულ საბავშვო „ახალ ხმაში" მონაწილეობა მივიღე, დავიხარჯე, მაქსიმალური დავდე სცენაზე და არ დამიფასდა, ფაქტია. ჟიურის არც ერთი წევრი არ შემოუბრუნდა ჩემს ნამღერს. თუმცა, ეს ჩემთვის ერთგვარი სტიმული იყო და ამის გამო, არც კი მიფიქრია, სიმღერისთვის თავი დამენებებინა. ოჯახი მიდგას გვერდით და მათი დამსახურებაა, სტიმული რომ მაქვს, ვიბრძოლო და დასახულ მიზნებს მივაღწიო. უბრალოდ, მოსკოვში ვცხოვრობ, უფრო სწორად, ქალაქ კარალოვაში, პოდმოსკოვიეში. მე ქართველი ვარ, ყოველ წელს ჩამოვდივარ ზაფხულში ოზურგეთში დასასვენებლად. ვიფიქრე, გავალ კონკურსზე, ჩემი ერი უფრო დააფასებს და მიხვდება ჩემს ნამღერსმეთქი, მაგრამ შევცდი. არ დაგიმალავთ, ძალიან დამწყდა გული, მაგრამ რას ვიზამთ. თან, დიდ სცენაზე პირველად ჩემს ქვეყანაში ავედი. პირველი კონკურსი იყო – არც გამოცდილება მქონდა და პირველივე ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, იურმალაში, მაინც წავედი და გამოვედი საქართველოს სახელით საბავშვო „ახალ ტალღაზე".

**– როდესაც პირველად დადექი სცენაზე, გქონდა იმედი, რომ მწვრთნელების შემობრუნებას შეძლებდი?**

– დიახ, სწორედ ასე ვფიქრობდი და გადაწყვეტილი მქონდა, სტეფანე ამერჩია. მაგრამ, ასარჩევად არ მქონდა საქმე ***(იცინის).*** საკუთარი თავის იმედი რომ არ მქონოდა, არც მივიღებდი მონაწილეობას. თუმცა, ყველაფერი ბედია და ღმერთის წყალობით, შევძლებ, ჩემი ნამღერით ბევრს მოვაწონო თავი. ამასობაში, წლებიც გავა და წყენაც დამავიწყდება. თუმცა, ის რომ ადამიანს ატკენ, არ დააფასებ და მერე იტყვი ვნანობო, ცოტა რთული დასაჯერებელია. მეწყინა, მაგრამ არც ცრემლი გადმომიგდია და არც ყურები ჩამომიყრია. ცხოვრება გრძელდება, უნდა გაიღიმო და იფიქრო ამაზე.

**– მოდი, ძველი წყენა დავივიწყოთ და ახლა მითხარი, როგორ გახდი რუსული საბავშვო „ვოისის" ჟიურის ყველაზე მომხიბვლელი წევრის, პელაგიას ფავორიტი და მეწყვილე ცეკვაში?**

– ჟიურის ყველა წევრი რომ შემობრუნდა და ასარჩევად მქონდა საქმე, როგორც ჯენლტმენმა, პელაგია ავირჩიე ***(იცინის).*** თუმცა, ცეკვა, ნამდვილად არ იყო დადგმული, უბრალოდ, ემოცია ველარ მოვთოკე. პელაგიამ მომილოცა კონკურსანტობა, გადამკოცნა, ქართული საცეკვაო წაიმღერა, ხელი გაშალა და მე გამაჩერებდა?! ***(იცინის)*** ასე გავხდი მისი პარტნიორი ცეკვაში. ქართულმა წარუმატებელმა გამოცდილებამ მიბიძგა ამ წარმატებისკენ და მჯეროდა, ჩემი ენერგიით, ქართული ტემპერამენტითა და ნამღერით, მოვხიბლავდი დარბაზში მყოფთ. ასეც მოხდა. ჯეიმს ბრაუნის სიმღერამ მართლაც გამხადა პუპულარული. ცხოვრებაში მიზანი უკვე დასახული მაქვს და იმედია, გამიმართლებს.

**– იქნებ გამიმხილო, რა მიზანი გაქვს დასახული, თუ საიდუმლოა?**

– არა, საიდუმლო არ არის. მიზნად დავისახე, გავხდე ვარსკვლავი, ნამდვილი ვარსკვლავი და დიდხანს ვიკაშკაშო დიდ სცენაზე. აი, მერე ჩამოვალ საქართველოში, გავმართავ კონცერტებს და ვიმღერებ იმ ქართველ კოლეგებთან დუეტში, ვინც დამიწუნა. მომავალში, ასევე, მინდა, ჩემს უფროს მეგობრებათან – ირაკლი ფირხალავასა და ქეთა თოფურიასთან ერთად, გავიდე სცენაზე.



თუ ნიჭიერი ხარ, ეროვნება, სადაც არ უნდა იყო, ხელს არ შეგიშლის

**– ირაკლი ფირცხალავა და ქეთა თოფურია რას გეუბნებიან?**

– მეუბნებიან, კარგად მღერი, აუცილებლად გახდები ვარსკვლავი და შოუბიზნესში შენს სათქმელს სიმღერით იტყვიო. ძალიან ვუყვარვარ და დიდ ყურადღებას მაქცევენ. ზოგი მეუბნება, ქართველი რომ ხარ, რუსეთში ეს ხელს არ შეგიშლისო? ჩემი აზრით, თუ ნიჭიერი ხარ, სადაც არ უნდა იყო, ეროვნება ვერ შეგიშლის ხელს. მთავარია, საქმეში, რასაც აკეთებ, მთელი შენი სიყვარული, ემოცია და განცდა ჩადო.

**– მიუხედავად იმისა, რომ ასაკით პატარა ხარ, მოზრდილივით ლაპარაკობ. ეს უფროსი ძმების გავლენა ხომ არ არის?**

– რა ვიცი, შეიძლება ასეცაა. მაგრამ მე, ბუნებრივად ვარ ასეთი ***(იცინის).*** ჩემი ძმები 23 და 22 წლის არიან და ძალიან მიდგანან მხარში – მგულშემატკივრობენ, მათამამებენ. მე ნაბოლარა ვარ ოჯახში და „მაფოფინებენ". ყველაზე დიდი გულშემატკივარი ჩემი ოჯახია და მათი თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი წარმატებული მომავლისთვის. ის, რომ სცენაზე ემოციური ვარ, ვმოძრაობ და ვხტუნაობ, დადგმული არ არის. უბრალოდ, რასაც იმწუთას განვიცდი, ისე ვიქცევი.

**– მიუხედავად იმისა, რომ გამხდარი არ ხარ, საკმაოდ მოქნილი ხარ. ალბათ, ამას ბევრი გეუბნება. არა?**

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი წონა მაქვს, ეს ხელს სულაც არ მიშლის სცენაზე ემოცია გამოვხატო. როცა ხალხის წინაშე ვდგავარ და ვმღერი, ორიენტირებული ვარ მსმენელზე და თან „კაიფსაც" ვიჭერ ***(იცინის).*** სხვათა შორის, ვცურავ და აუზშიც კომფორტულად ვგრძნობ თავს. ზედმეტი წონა არც ამაში მიშლის ხელს. მომავალში მინდა, ჰოლივუდი დავიპყრო და მსახიობობაზეც ვოცნებობ. რა ვიცით, იქნებ მეც გავიარო წითელ ხალიჩაზე და „ოსკარით" ხელში დავბრუნდე მშობლიურ ოზურგეთში. ამ ზაფხულსაც ვაპირებ საქართველოში ჩამოსვლას, მართალია, „ოსკარით" ვერა, მაგრამ იქნებ რუსეთის „ვოისის" გამარჯვებულის სახელით ჩამოვიდე. მჯერა დადგება დღე, როცა ჩემით იამაყებთ. ამის იმედი მაქვს. რუსული „ვოისის" წყალობით, სკოლის ყველა გოგოსთვის სასურველი ბიჭი გავხდი. ჩემს ასაკში, ესეც ხომ წინ წადგმული ნაბიჯია? ***(იცინის).***

**– გეთანხმები, ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. ირაკლი, მინდა, გამარჯვება გისურვო და იმედი მაქვს, პირველად დიდ სცენაზე, საქართველოში გადადგმული წარუმატებელი ნაბიჯის წყენაც მალე გაგივლის.**

– რასაკვირველია, დრო გავა და წყენა გამივლის. მე თავს არ დავზოგავ და თუ რუსული „ვოისი" მოვიგე, ამ გამარჯვებას ჩემს მშობლებს მივუძღვნი. ყველას დიდი მადლობა, ვინც მგულშემატკივრობს და უხარია ჩემი წარმატება. მე ყველა ქართველი მიყვარს და ვეცდები, ჩვენი პატარა ერი ყველგან ვასახელო.

**ნონა დათეშიძე**

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

## შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“ 2 364485, www.cancer.ge**

# რის სტიმულია ზოგიერთი ქალისთვის ყოფილი შეყვარებული და გამოდგება თუ არა ის ქმრად

**ცხოვრებაში სტიმულს ზოგჯერ სრულიად წარმოუდგენელი რაღაც გვაძლევს. არავინ იცის, რა გვექცევა პოზიტივად. ცხოვრებაში ხშირია გაუთვალისწინებელი მოვლენა ან ისეთი შემთხვევა, რომლის პროგნოზირება წინასწარ ძალიან ძნელია. თუ ადამიანი ძლიერია, მისთვის წინააღმდეგობა ან იმედგაცრუება, სტიმულად იქცევა და ზოგჯერ ბედისწერის ბორბლის მის სასარგებლოდ შემობრუნებასაც შეძლებს. ბრძოლა ბედნიერებისთვის ყოველთვის ღირს...**



**ლიზა** ***(37 წლის):*** ჩემი ცხოვრება მე შევქმენი. ახლა უკვე თამამად შემიძლია ამისი თქმა. ათი-თორმეტი წლის წინ კი, საერთოდ, სხვანაირად იყო ყველაფერი. ბევრი ცრემლი და ტკივილი მქონდა და დაცემული კვლავ ფეხზე წამოვდექი. ძალიან სერიოზულად ვიყავი შეყვარებული ერთ მამაკაცზე, ჩემი დაქალის მაზლზე.

**– სერიოზულ სიყვარულში სერიოზული ურთიერთობაც იგულისხმება?**

– ჩემთვის იგულისხმებოდა. მიყვარდა და არაფერს გავუწიე ანგარიში. ათი წლის წინ, ბოიფრენდის ყოლა ან დაუქორწინებლად ცხოვრება მამაკაცთან, თითქმის გმირობის ტოლფასი იყო. მე ეს გავბედე და ოჯახმა ლამის ანათემას გადამცა. დიდი შეხლა-შემოხლა გვქონდა. გაჭირვებით შეეგუენ ჩემს „თავისმომჭრელ“ ყოფას, იმ იმედით, რომ ბოლოს მაინც ვიქორწინებდით.

**– თქვენც ხომ გქონდათ ამისი იმედი, გულახდილები რომ ვიყოთ?**

– კი. ვიქნები გულახდილი იმიტომ რომ, ვერაფერს ვხედავ ცუდს იმაში, ქალს გათხოვება და ოჯახის შექმნა უნდოდეს. სხვათა შორის, კაცებსაც ძალიან უნდათ ოჯახი, მაგრამ, როცა ქალი დაასწრებთ ამ სურვილის გამოხატვას, არ ვიცი, რა ემართებათ. რა არის იმაში ცუდი, როცა ვიღაცას უყვარხარ. ეს რატომ უნდა აგივარდეს თავში და ირონიის სურვილი რატომ უნდა გაგიჩნდეს? ერთი სიტყვით, როცა ჩემი შეყვარებული მიხვდა, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარდა, ყველაფერს გავაკეთებდი მისთვის და სხვას არ შევხედავდი, შეიცვალა. გაცივდა ჩემ მიმართ და ისე მექცეოდა, თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ რომ მოექცევა ქმარი ცოლს.

**– იმის თქმა გინდათ, რომ ერთად ცხოვრება იყო მიზეზი, რამაც თქვენი სიყვარული გაანელა?**

– ჩემი არ განელებულა, იმას კი არც ვყვარებივარ. ერთად ცხოვრებაზე იქამდე იყო თანახმა, სანამ მეგობრებმა და ახლობლებმა მას ოფიციალურობის ელფერი არ შესძინეს.

**– ეგ რას ნიშნავს?**

– იმათ თავისით დაგვაქორწინეს. გვეპატიჟებოდნენ ოჯახურ თავყრილობებსა და წვეულებებზე. ისე გვექცეოდნენ, როგორც ცოლ-ქმარს. შეიძლება, ამ ყველაფერმა გააღიზიანა და მითხრა: ამ ყველაფერში შენი ხელი ურევიაო. შენ ეუბნები მათ, რომ ასე მოიქცნენ. მიმანიშნებ, რომ ცოლად შეგირთოოო. ამის მიზეზით ძალიან მაგრად ვიჩხუბეთ. ისე მაგრად, რომ საქმე დაშორებამდე მივიდა.

**– ის დაგშორდათ?**

– დიახ. დიდი სკანდალით წავიდა. ვერ ვიცხოვრებ ქალთან, რომელიც რაღაცის გაკეთებას მაიძულებსო. მე რა უნდა მექნა? ბევრი ვინერვიულე, ძალიან ბევრი... ვტიროდი, ცხოვრება აღარ მინდოდა... სიყვარული ჩემგან არსად წასულა. გადავიტანე უმძიმესი პერიოდი და ჩემში უცნაური ცვლილება მოხდა – გადავწყვიტე, ყველაფერი გამეკეთებინა იმისთვის, რომ ჩემს ყოფილ შეყვარებულს ენანა თავისი საქციელი. ექვსი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა ჩემ სიახლოვეს. თითქოს მის ცხოვრებაში არც არასოდეს ვარსებობდი. მის შესახებ ხმები მაინც მომდიოდა საერთო ნაცნობებისგან. ძალიან მალე ცოლიც მოიყვანა...

> **კაცებსაც უნდათ ოჯახი, მაგრამ, როცა ქალი დაასწრებს ამ სურვილის გამოხატვას, არ ვიცი, რა ემართებათ**

**– თქვენ ფიქრობთ, რომ მაშინაც ჰყავდა „სხვა“, როცა თქვენ გხვდებოდათ და ეს ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რატომაც დაშორდით?**

– ამის მტკიცება არ შედის ჩემს ინტერესებში. მნიშვნელობა არ აქვს, ჩემს დროსაც ჰყავდა ალტერნატიული „ქალი,“ თუ მერე იპოვა სწრაფად, ჩემს ჯიბრზე. მთავარი ის არის, რომ ცუდად მომექცა. ძალიან ცუდად. თუ მისთვის კანონიერი ოჯახი მიუღებელი იყო, ცოლი რატომღა შეირთო?

**– ანუ, თქვენ იყავით მისთვის მიუღებელი...**

– არ ვიცი. გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი, მაშინ ჩვენი დაშორების რეალური მიზეზი რა იყო. ბუნებრივია, საშინლად ვიყავი მასზე გაბრაზებული. საკუთარ თავს ვუთხარი: ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემთან შესახვეწად გაუხდეს საქმე, მაგრამ მერე სიახლოვეს არ გავიკარებ-მეთქი. რომანის გაბმას ვგეგმავდი, ოღონდ ისეთის, რომელიც ლოგიკურ დასასრულამდე არ მივიდოდა. მინდოდა პირში ჩალაგამოვლებულის პოზაში დამეტოვებინა. მიზანდასახულობა სერიოზული იარაღი ყოფილა. მე მართლა არ მეგონა, თუ ამდენს მივაღწევდი.

**– პროფესიულ წინსვლას გულისხმობთ?**

– დიახ. საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებში დარწმუნებული არასდროს ვყოფილვარ. ამ სტრესმა უდიდესი ენერგია და სტიმული მომცა. მეც არ მჯეროდა, ისე სწრაფად დავიწყე წინსვლა და ორ წელიწადში საკუთარი, საკმაოდ წარმატებული ფირმა გავხსენი. მატერიალური კეთილდღეობა ჩემს ვიზუალზეც აისახა. ხომ იცით, მთავარია, ფული გქონდეს და შეუძლებელი არაფერია. კარგი მანქანა, ძვირფასი ტანსაცმელი... გემოვნებით შერჩეული აქსესუარები და ძალიან შევიცვალე. მამაკაცები გულგრილნი აღარ რჩებოდნენ ჩემ მიმართ. ამ ხნის განმავლობაში იმას არსად შევხვედრივარ. თუმცა, რა ხდებოდა მის ცხოვრებაში – ამ ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი. ვიცოდი, რომ პრობლემები ჰქონდა ცოლთან... საქმეებიც არ მისდიოდა კარგად...

**– და გიხაროდათ?**

– ვერ ვიტყვი, რომ მწყინდა. რატომ მოგატყუოთ? ბოროტი არ ვარ, მაგრამ ბუნებრივად მოდის ემოცია, რომელსაც წინ ვერ აღუდგები. ერთი ქალი, თუნდაც კაცი, მანახეთ, რომელიც ყოფილი ცოლის, ქმრის, შეყვარებულის გამო ინერვიულებდა. მით უმეტეს, როცა ის ცუდად მოექცა. თუმცა, არც დამიწყევლია, არც ცუდი მისურვებია მისთვის. ჩემს გეგმას მივყვებოდი.

**– ცოლი რომ ჰყავდა... ოჯახი უნდა დაგენგრიათ მისთვის?**

– არანაირად. რა დამიშავა მისმა ცოლმა? ხომ გითხარით, რომანი მარტო იმიტომ უნდა დამეწყო მასთან, რომ მიმეტოვებინა ყველაზე საინტერესო მომენტში... მაგრამ ამასობაში ცოლს გაშორდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ეს ერთი წლის წინ მოხდა. უკვე ხელი მქონდა აღებული ჩემს გეგმაზე. იმდენი საქმე დამიგროვდა, იმდენი სიახლე იყო ყოველდღე, რომ ნამდვილად აღარ მეცალა შურისძიებისთვის. აღარ ვფიქრობდი ამაზე. მოულოდნელად, სრულიად დაუგეგმავად და შემთხვევით, შევხვდით ერთმანეთს ავტოგასამართ სადგურზე. მეგობრის მანქანაში იჯდა. მეც საწვავს ვასხამდი. იმ მეგობარმა მიცნო. რომ მოვიდა და გამომელაპარაკა, ისიც მოვიდა. იდგა და გაშტერებული მიყურებდა... ძლივს ამოღერღა – ეს შენ ხარო? მე ვარ და ახლა მეჩქარება-მეთქი. იმ დღის მერე, არ ვიცი საიდან გაიგო ჩემი კოორდინატები, დღე არ ჩაუგდია – კუდში დამდევდა. აჩრდილად მექცა. მეც მყავდა თაყვანისმ-

# როგორ დაკარგეს ნათესავებმა ერთმანეთი და ვინ ეძებს ბიძაშვილს და მის შვილს ბელორუსიიდან საქართველოში

**72 წლის რიმა ნიკოლოზის ასული კრუკი *ეძებს: 65 წლის დინა რომუალდის ასულ ლაშუკევიჩს (ქალიშვილობის გვარი) და 33 წლის ქეთინოს (გვარი უცნობია)***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ბიძაშვილს (დედის ძმის შვილს) – 65 წლის დინა რომუალდის ასულ ლაშუკევიჩს (ქალიშვილობის გვარი) და მის შვილს – 33 წლის ქეთინოს (გვარი უცნობია). სამწუხაროდ, არც ბიძა მყავს ცოცხალი და არც დედა, მაგრამ ნათესავების მოძებნა ძალიან მინდა. მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, ყველაფერს მოგითხრობთ. ასევე, მაქვს მათი ფოტოები. იმედია, მათ პოვნაში დამეხმარებით. თავად მე, ბელორუსიაში, ქალაქ მინსკში ვცხოვრობ და თქვენი იმედიღა დამრჩა.



**– როგორ დაკარგეთ ნათესავებმა ერთმანეთი?**

– დედაჩემს, ლეოკადია კაზიმირის ასულ ლაშუკევიჩს (დაბადებული 1922 წელს, გარდაიცვალა 2000 წელს) ჰყავდა ძმა, რომუალდი კაზიმირის ძე ლაშუკევიჩი (დაბადებული 1914 წელს). ჩვენი ოჯახი მინსკში ცხოვრობდა, მაგრამ შემდგომ ბიძაჩემი საქართველოში წავიდა საცხოვრებლად, სადაც ცოლად შეირთო იქაური ქალი, სახელად ნიურა. საქართველოში ბიძას შეეძინა ორი შვილი (ანუ ჩემი ბიძაშვილები): ვაჟი – ანატოლი რომუალდის ძე ლაშუკევიჩი (დაბადებულია 1940 წელს) და გოგონა – დინა რომუალდის ასული ლაშუკევიჩი (დაბადებული 1949 წელს). რამდენადაც გავარკვიეთ, ჩემი ერთ-ერთი ბიძაშვილი, ანატოლი, მინსკში ცხოვრობს. მე მას დავუკავშირდი და ავუხსენი, რომ ჩვენ ნათესავები ვართ. ვიკითხე მისი დის ამბავი, მაგრამ მან თავადაც არაფერი იცის. ანუ, მასთან კავშირი დაკარგული ჰქონია. ამჟამად მეც ველარ ვუკავშირდები ანატოლის. მისგან მხოლოდ და მხოლოდ ის გავიგე, რომ მისი და, დინა საქართველოში ცხოვრობს, სავარაუდოდ, სამეგრელოში. მაგრამ, ანატოლიმ საუბრის დროს ისიც აღნიშნა, დინა შეიძლება, ზემო სვანეთშიც იყოს, ან ფოთში, სადაც მას მეუღლის ნათესავები ჰყოლია. დინას ჰყავს შვილი ქეთინო (ვიცი, რომ ის დაბადებულია 1980 წელს). სანამ ჩვენ შორის კავშირი დაიკარგებოდა, დინა მწერდა წერილებს და მიგზავნიდა თავის და შვილის ფოტოებს. მე, რა თქმა უნდა, შენახული მაქვს ჩემი ბიძაშვილისა და მისი შვილის ფოტოები, რომლებსაც გიგზავნით.

**– ბიძაშვილთან მხოლოდ წერილობით გქონიათ კავშირი და ერთმანეთი არასდროს გინახავთ?**



– როგორც გითხარით, მინსკში ვცხოვრობ. ადრე ვცხოვრობდი ბელიანსკის ქუჩაზე და სწორედ მაშინ ჩამოვიდნენ ჩემთან სტუმრად დინა და დედამისი, ნიურა. მახსოვს, მათ საქართველოდან ჩამოიტანეს რაღაც უცხოური ხილი, რომელიც ჩვენ არასდროს გვინახავს და არც გვსმენია მის შესახებ. არასდროს დამავიწყდება იმ ხილის გემო, ასეთი ხილი ჩვენთან არ მოდის და გემოც შეუდარებელი ჰქონდა.

**– თქვენ შეგიცვლიათ საცხოვრებელი მისამართი.**

– დიახ. დინამ ჩემი ამჟამინდელი მისამართი არ იცის. მოხდა ისე, რომ უცებ მოგვიწია ბინის გაყიდვა და საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა. ასე დავკარგეთ ერთმანეთთან კავშირი. მას შემდეგ სულ ვეძებ ჩემს ბიძაშვილს. არ მინდა, ნათესავებთან კავშირის დაკარგვა. დარწმუნებული ვარ, დინასაც გაუხარდება ჩემი გამოჩენა. ჩემს შვილებს, მაგალითად, სულ აინტერესებთ დინასა და მისი შვილის ამბები. იმედია, ვიპოვით და ერთმანეთის ნახვასაც მოვახერხებთ.

**– ბიძაშვილის მეუღლის შესახებ თუ იცით რამე?**

– სამწუხაროდ, დინას მეუღლის შესახებ არაფერი ვიცი. მისი გვარიც კი ჩემთვის უცნობია. ვიცი მხოლოდ, რომ ის ეროვნებით ქართველია და ნათესავები ჰყავს სამეგრელოსა და ფოთში. ანატოლისთან კავშირი რომ არ დამეკარგა, აუცილებლად გავარკვევდი მისი დის მეუღლის ამბავს. დინას პოვნაში ხომ მისი მეუღლის შესახებ ინფორმაციაც გამომადგებოდა.

**– როგორ ფიქრობთ, ახსოვხართ თქვენს ბიძაშვილს?**

– რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ვახსოვარ, ღვიძლი ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ და პირადად, მე მიმაჩნია, რომ ახლო ნათესავები ვართ და არ გვაქვს ერთმანეთის დაკარგვის უფლება. ტერიტორიულად შორს კი ვართ ერთმანეთისგან, მაგრამ ახლა იმდენი საშუალება არსებობს, კავშირი რომ არ დაკარგო, რომ ტერიტორიული სიშორის არ მეშინია. ჩემი შვილები და შვილიშვილი მეუბნებიან, რომ თუ დინას ან მის შვილს ვიპოვი, მათთან ინტერნეტითაც შევძლებ საუბარს.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ცემელი, რომელზეც სერიოზულად ვფიქრობდი. როცა ყოფილის ასეთი აქტიურობა დავინახე, ვიფიქრე – რადგან თვითონ წამოეგო ანკესზე, გამეკეთებინა ის, რაც ჩავიფიქრე.

**– ცოლად გაყოლას არ გეგმავდით?**

– არა, რა თქმა უნდა. შურისძიება მინდოდა.

## რომანის გაგმას ვგეგმავდი. ოღონდ ისეთს, რომელიც ლოგიკურ დასასრულამდე არ მივიდოდა, პირში ჩალაგამოვლებული უნდა დამეტოვებინა

**– მამაკაცები ამბობენ, თუ ქალს უნდა, კაცზე შური იძიოს, ცოლად უნდა გაჰყვეს მასო...**

– ეს მათი ლოგიკაა და არ მიკვირს, ერთუჯრედიანები არიან. მაგრამ, ჩვენ მაინც გვიყვარს ისინი. სამწუხარო რეალობაა ეს თუ, უბრალოდ, ფაქტი – ჩვენ მაინც ვთმობთ და უკან ვიხევთ. დავარქვათ ამას ქალური სისუსტე და გრძნობა, რომელიც ჩვენ უფრო ძლიერი გვაქვს, რატომღაც.

**– მამაკაცებს არ ვუყვარვართ? არ იციან სიყვარული?**

– როგორ გითხრათ? რთული თემაა. ახლა ჩემს „ყოფილს" რომ ვუყურებ, ანუ უკვე ქმრის რანგში, მეღიმება. ოღონდ არ მკითხოთ, რატომ გავყევი ცოლად?.. მიყვარს! ამით ყველაფერია ნათქვამი.

**– არ არის ყველაფერი ნათქვამი. თქვენ ხომ შურისძიება გინდოდათ მასზე?**

– არ გამომივიდა. მივხვდი, რომ ისევ მიყვარდა. ძალიან მიყვარდა... სისულელეა, უგუნურებაა, მაგრამ... ისეთი მორჩილი და ლაქუცაა, ზოგჯერ მაღიზიანებს. როგორ არ დაგაფასეო, ეს რა მომივიდაო, რა სულელი ვიყავიო... ერთი სიტყვით, აღარ იცის, რა ქნას.

**– ფიქრობთ, რომ გულწრფელია?**

– არ ვიცი და არც მაინტერესებს. მთავარია, რომ კარგად ვარ. ხელს არაფერი მიშლის და ის ადამიანი მყავს გვერდით, რომელიც მართლა ძალიან მიყვარს. რატომ მიყვარს, არ ვიცი, მაგრამ მიყვარს!

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ძალიან მომწონს ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი... რაღაც პერიოდი დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც მოვწონდი. აქტიურად მეფლირტავებოდა და ყურადღებას მაქცევდა. მაგრამ გავიგე, რომ თითქმის ოფიციალურად ხვდება სხვა ქალს. არადა, როცა ჩემ გვერდითაა ისე იქცევა, ყურებამდე შეყვარებული გეგონება. ხშირად მწერს მესიჯებს და დღე არ გავა, არ დამირეკოს სხვადასხვა მიზეზით. ველარ გავიგე, რა უნდა – მე ვარ მისი რჩეული თუ ის?! როგორ მოვიქცე, მკაცრად და სერიოზულად დაველაპარაკო?**

**გამოხმაურება:** თქვენი წერილით რთულია გაიგო თქვენი თაყვანისმცემლის ზრახვები. შეეცადეთ, პასუხი შეკითხვაზე თავად მიიღოთ... მოძებნეთ ხელსაყრელი სიტუაცია და დაელაპარაკეთ. ჰკითხეთ, რას წარმოადგენთ თქვენ მის ცხოვრებაში. ნუ მოგერიდებათ, უთხარით ისიც, რომ არ გინდათ, თავი უხერხულად იგრძნოთ იმ ქალის წინაშე და გირჩევნიათ, სიტუაცია ბოლომდე იყოს გარკვეული.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**გოგა ბარბაქაძისა და მაია დობორჯგინიძის ოჯახს მაისის ბოლოს ახალი წევრი შეემატება. ეს სასიამოვნო სიახლე, ალბათ გაახარებს ამ სამსახიობო წყვილის თაყვანისმცემლებს. სანამ მაია ფოტოსესიით იყო დაკავებული, მე და მისმა 5 წლის გაბრიელმა ვისაუბრეთ. თურმე გაბრიელი რომ გაიზრდება, „ცურვის კაცი" უნდა გამოვიდეს, ხოლო კითხვაზე, რას დაარქმევს მის მომავალ დას ან ძმას, გვიპასუხა: თუ გაუჩნდება დედიკოს მუცელში ბიჭი – სანდროს დავარქმევ, გოგოს – ელენეს.**

# რა სასიამოვნო სიახლეა მაია დობორჯგინიძისა და გოგა ბარბაქაძის ოჯახში



**პერიოდულად რაღაცეები შემიყვარდება, შემდეგ – გამივლის. ისე, რომ ვთქვა, კაპრიზული ორსული ვარ-მეთქი, მოგატყუებთ**

**მაია დობორჯგინიძე:** ღვთის წყალობით ჯანმრთელად ვარ. ძირითადად, გაბრიელზე ვზრუნავთ. ამ ეტაპზე პაუზა მაქვს ყველაფერში და ძირითადად, გაბრიელითა და გოგას შემოქმედებით ვარ დაკავებული. პირად შემოქმედებას, ალბათ, სექტემბრიდან აქტიურად დავუბრუნდები.

**– ამ პაუზის მიზეზი რა არის?**

– მიზეზი ძალიან საპატიო, სასიხარულო და საბედნიეროა. რაღაცა მძიმედ ვარ... ფეხმძიმედ ვარ ***(იცინის).*** მაისის ბოლოს ველოდები მეორე ბავშვს, რომლის სქესიც ჯერ არ ვიცით. მანამდე, დიდ დროს ვატარებ გაბრიელთან, ჩემს შვილთან, ეს პროცესი ძალიან მომწონს. ყოველთვის ნაკლები დრო მქონდა მასთან ურთიერთობისთვის. თურმე, როგორი ბედნიერებაა, როცა ბევრი დრო გაქვს შვილისთვის. არ ვიცოდი და ახლა შევიგრძენი.

**– რთული ორსულობა გაქვს?**

– თავიდან საშინელი ტოქსიკოზი მქონდა, სახლიდან ვერ გავდიოდი ვერც ერთი წამით. ახლა, შედარებით უკეთ ვარ, მაგრამ დიდად შრომისუნარიანი ვერ ვარ. გაბრიელზე ფეხმძიმობის პერიოდში უფრო ყოჩაღად ვიყავი. იმიტომ რომ „შუა ქალაქის" გადაღება მქონდა და კვირაში 3 დღე, ფაქტობრივად, ტელევიზიაში ვიყავი, თუმცა ამ პროცესს არ შევუწუხებივარ.

**– ძალიან ბედნიერი პერიოდი გაქვს. ხასიათის ცვლილებები, განებივრების სურვილი, ამ დროს უფრო ძლიერდება ხოლმე.**

– რომ გითხრათ, ამ მხრივ პრეტენზიული გავხდი-მეთქი, მოგატყუებთ. ორსულობის პირველ პერიოდში ძალიან მინდებოდა ნაყინი, რომელიც მანამდე არც მაინცდამაინც მიყვარდა. ახლაც მინდება რაღაცეები – მინდა ზეთისხილი, სულ იყოს სახლში, სალეჭი რეზინიც ჩემი მშველელია. პერიოდულად, რაღაცეები შემიყვარდება, შემდეგ – გამივლის. ისე, რომ ვთქვა, კაპრიზული ორსული ვარ-მეთქი – არ ვიქნები მართალი.

**– პრინციპში, ეს ალბათ, გოგას უფრო უნდა ვკითხო?**

– ჰო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გოგაც იგივეს გეტყვის. უფრო გადართული ვარ იმაზე, რომ მშვიდად და მხნედ ვიყო. წონაში საკმაოდ მოვიმატე – 13 კილო. თუმცა, ეს არ მიმაჩნია ნერვიულობის მიზეზად. მთავარია, კარგად და ჯანმრთელად ვიყოთ მეც და ბავშვიც, წონა კი ჩემთვის დიდი ტრაგედია არ არის, არ მეშინია – დავიკლებ! მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს. წონას და სხვა რაღაცეებს, რაც ორსულობას ახლავს სხეულის ცვლილებების მხრივ, ეშველება და მეორეხარისხოვანია ჩემთვის აბსოლუტურად.

**– თვითონ როგორი ბავშვი იყავი, გგავს გაბრიელი?**

– გაბრიელი პრინციპული ბავშვია, თავისი შეხედულებები აქვს. მეც, როგორც დედაჩემი იხსენებს, ასეთი ვყოფილვარ და სასაცილო გარეგნობა მქონია. დიდი შავი თვალები, პატარა ცხვირი და ხვეული თმა, რის გამოც, თურმე ხალხის გარემოცვაში დიდ ყურადღებას ვიქცევდი.

**– თამამი ბავშვი იყავი?**

– კომპლექსიანი, მგონი, არ ვიყავი. რუსულ ბაღში დავდიოდი ვაკეში, ირინა ალექსეევნასთან. ახლა ბევრი კერძო ბაღია, მაშინ კი ჩემი ბაღი იშვიათობას წარმოადგენდა. როცა მთხოვდნენ, ლექსებსაც ვამბობდი და ვმღეროდი კიდეც. თან, სულ კლასიკოსების ლექსებს გვასწავლიდა ჩვენი მასწავლებელი. გაბრიელი ვალიდორფის ბაღში დადის, მართლა შესანიშნავი ბაღია. გიჟდება თავის მეგობრებსა და პედაგოგებზეც და კაცურად მიდის და მოდის. დაჰყავს მამაჩემს, მისი სამსახურიც იმ ბაღთან ახლოსაა. დილით, ჯარისკაცებივით ჩქარ-ჩქარა ვემზადებით და მერე ბაბუს მიჰყავს. რაც შეეხება გოგას ბავშვობას, ცირა ბებოს გადმოცემით, გოგა ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა. ამით დაიმგვანა გაბრიელი, მაგრამ გაბრიელი აჭარბებს.

**– გაბრიელმა „ცურვის კაცი" მინდა, გამოვიდეო, მისი დედიკო რა პროფესიაზე ოცნებობდა?**

– ბავშვობიდანვე მსახიობობა მინდოდა. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ირგვლივ ყველა ექიმია. მამაჩემმა შემიწყო ხელი. ბელინსკის ქუჩის ბოლოში ბავშვთა თეატრი იყო – „საფეხურები" და იქ მიმიყვანა. თეატრალურში ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე ჩავაბარე.

**– გოგა ჯგუფელი იყო?**

– არა. ჩვენ ერთი პედაგოგი გვყავდა – ბატონი შალვა გაწერელია, რომელმაც ბევრი თაობა გაზარდა. მე რომ ვამთავრებდი, გოგამ მაშინ ჩააბარა. ბატონი შალვა ჩვენი გაბრიელის ნათლია იყო.

**– მესამე შვილზე ფიქრობთ?**

– რა ვიცი. რომ გითხრათ, ისეთ ასაკში ვარ... თუმცა, არც პატარა ვარ. ჯერ ერთი, მე მივეკუთვნები ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მარტივად არ უყურებენ არც შვილის გაჩენას და არც მით უმეტეს, მის აღზრდას. ისეთი ცხოვრებაა, მნიშვნელოვანია განათლება მისცე. მალე სკოლაში იქნება გაბრიელი წასასვლელი. მარტო იმიტომ, რომ გააჩინო და ბევრი შვილი გყავდეს... მაგაზე ბედნიერება, მგონი, არაფერია, მაგრამ არსებობს კიდევ რაღაცეები, რაზეც თავიდანვე უნდა ზრუნვა... მე მგონია, რაღაცა უნდა შეგეძლოს, რამდენზეც „ქაჩავ" იმდენი უნდა გააჩინო.

**– თქვენ რამდენზე „ქაჩავთ"?**

– მეორეს რომ გავაჩენ, მერე უკვე არ ვიცი ***(იცინის).*** რთული ამბავი იქნება კიდევ მესამე. შვილი იმხელა პასუხიმგებლობაა და ისე ცვლის შენს ცხოვრებას, ფაქტობრივად, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი. ვფიქრობ, მეორეს რომ გავაჩენ, სამსახურში როგორ უნდა ვიარო-მეთქი, იმდენი ზრუნვა სჭირდება შვილს. არ ვიცი, ალბათ, უნდა დაჯდე სახლში, ზარდო შვილები და იყო მარტო დედა. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ბევრი შვილები მყავდეს, ასე მოვიქცეოდი. ისეთი მარიფათიანი და ენერგიულიც არა ვარ – სასახურშიც ჩავდო რაღაცა დროის ნაწილი, ბავშვთანაც... ამდენ შვილს რომ ვუარო და თან, სამსახურში ვიარო, შეიძლება გავგიჟდე. ვნახოთ, ვიცხოვროთ, ჯანმრთელად ვიყოთ და რა იქნება, კაცმა არ იცის. ორ შვილზე თავიდანვე ვფიქრობდი.

**– გაბრიელი ხომ არ ეგოისტობს?**

– არა. მერე, რა იქნება არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან მზრუნველობას იჩენს. სულ ელოდება და როდის გამოხვალო, ეკითხება, თან მუცელზე ყურს მადებს – ელაპარაკება, რაღაცეებს უყვება. ძალიან ელოდება.

**– დიდ ოჯახად ცხოვრობთ.**

– კი. ვცხოვრობთ: მე, გოგა, გაბრიელი, დედაჩემი და მამაჩემი. განსხვავება არ არის, გოგაც ისეთივე შვილია ჩემი მშობლებისთვის, როგორიც მე. დედაჩემი საჭმელს რომ აკეთებს, ჯერ გოგას სურვილებს ითვალისწინებს და მერე მეკითხება მე.

**– ახლაც?**

– ახლაც კი. თბილად და კარგად ვცხოვრობთ. თუმცა, ცაკლე ცხოვრებაც კარგია და საჭირო. მიუხედავად იმისა, არც კომფორტი და არც არაფერი გვაკლია, არანაირი კონფლიქტიც არ გვაქვს, მაინც ვიტყვი ხოლმე, ჩემი სახლი მინდა-მეთქი. რადგან მგონია, რომ ოჯახი უნდა ცხოვრობდეს მაინც ცალკე. ამას რაღაც ხიბლი აქვს. ამ ეტაპზე ასე არ არის და არც ამაში ვხედავ პრობლემას. მთავარია, ჯანმრთელობა. სახლი იმხელაა, ყველას გვყოფნის, ერთმანეთს ვეხმარებით.

**– გაბრიელს თქვენ შეურჩიეთ სახელი?**

– კი, და მერე მამამაც მოიწონა. მიმაჩნია, რომ ძალიან ლამაზი სახელია და თვითონაც ძალიან მოსწონს, რაც მთავარია.

**– მეორე შვილზე, სქესი არ ვიცითო და ესე იგი, ორმაგად იტვირთებით სახელის მოფიქრებისას?**

– არც გაბრიელზე ვიცოდით. მაშინ არ მინდოდა რატომღაც სქესის წინასწარ გაგება. მეორეზე დავინტერესდი, მაგრამ გოგას არ უნდოდა და მეც სოლიდარობა გამოვუცხადე. სახელების არჩევა ძალიან მიჭირს ბიჭისაც და გოგოსიც. ჯერჯერობით, აზრზე არა ვარ, რას ვარქმევ. იმედია, მაისის ბოლოსკენ მოვიფიქრებ.

**ეკა სალაღაია**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

**როგორც ამბობენ, ადამიანის ხასიათი, ყველაზე კარგად ცეკვის დროს ჩანს, როცა ის მთელს ენერგიას ხარჯავს და ცდილობს, შინაგანი სამყარო სამსჯავროზე, მაყურებლის წინაშე გამოიტანოს. რთულია, ემოციის გარეშე უყურო ლათინოამერიკულ ცეკვებს, სადაც წყვილი საოცარი ჟესტებით ცეკვავს და უსიტყვოდ უხსნის ერთმანეთს სიყვარულს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი, რომელიც ცეკვავს სულ ფორმაშია, ასევე სულიერადაც ძლიერია და მისთვის მუსიკის რიტმზე აყოლა, ერთგვარი თერაპიული საშუალებაცაა. ლათინოამერიკული ცეკვების უბადლო შემსრულებლის, მაესტრო მორისისთვის ცეკვა ერთგვარი რიტუალია, რომლის საშუალებითაც, ის ადამიანებს სიყვარულს უსიტყვოდ უხსნის.**

# რაში დაამყარა რეკორდი მაესტრო მორისმა და როგორ ახერხებს ის ცეკვით პარტნიორისთვის სიყვარულის ახსნას

**მაესტრო მორისი**: უპირველესად, ადამიანი თავის სულიერ მდგომარეობას უნდა გადმოსცემდეს ცეკვის დროს და არა იმას, თუ როგორ აქვს ნასწავლი ილეთები. შესრულების ტექნიკა აქ მთავარი სულაც არ არის. როცა ვცეკვავ, ენერგიას ვხარჯავ, მაგრამ იმდენივე ენერგიით ვიმუხტები. ასე რომ, ამ დროს ჩემი ენერგიების ცირკულაცია ხდება. იყო დრო, რეკორდიც დამიმყარებია და დღეში ხუთი საათი შეუჩერებლად მიცეკვია. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ენერგია დამიხარჯავს და ასევე, მიმიღია.

**– ამ რეკორდის დამყარების დროს, მეწყვილემ როგორ გაგიძლო?**

– ***(იცინის).*** ერთი მეწყვილე რას გაუძლებდა ჩემს ხუთსაათიან ტემპერამენტიან ცეკვას? ამიტომ, მათი ცვლა მიწევდა. ამდენი წელია, ცეკვა-ცეკვით მოვდივარ. ახლა საკუთარი სტუდიაც მაქვს და სხვებსაც მთელი მონდომებით ვასწავლი, ვუზიარებ იმ გამოცდილებას, ემოციას და ენერგიას, რაც წლებია დამიგროვდა.

**– ამბობენ, პარტნიორის შერჩევა, მამაკაცებს ძალიან უჭირთ, რადგან, ზუსტად ხვდებიან ვისთან ერთად იცეკვებენ უფრო კარგად და, თუ პარტნიორი გოგონა არ მოეწონათ, შესაძლოა, საერთოდ დაანებონ ცეკვას თავიო. ხშირად, წყვილები ცხოვრებასაც ერთმანეთს უკავშირებენ. შენს შემთხვევაში, თუ იყო ეს პრობლემა?**

– თუ პარტნიორი არ მოგეწონა, მასთან ვერ იცეკვებ, ვერც ენერგიას დახარჯავ და ვერც სხვას ასიამოვნებ სანახაობით. მეწყვილის პოვნა მეც გამიჭირდა და, ამიტომ ჩემს დასთან ვარჩიე ცეკვა. არაჩვეულებრივი პარტნიორია და მასთან ცეკვა ერთი სიამოვნებაა. რაც შეეხება მეწყვილეების დაოჯახებას, მეტწილად ასე ხდება. როცა, დროს, ენერგიას, წარმატება-წარუმატებლობას მასთან ერთად იზიარებ, შენთან ახლოსაა და მის ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას გრძნობ, რთულია, იქ სიყვარულის ძაფები არ გაიბას (***იცინის).*** რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის არ ცეკვავს. თუმცა, სიამოვნებით უყურებს ჩემს გამოსვლებს. მე რომ ჩემი მეუღლე გავიცანი, მაშინ საქართველოში ისეთი გაჭირვება იყო, ვის ეცეკვებოდა? ამიტომ, არ მივაქციე, მის ცეკვის ნიჭს ყურადღება, ემოციებს და სიყვარულს მივენდე. ახლა ორი შვილი გვყავს და თავს ბედნიერად ვგრძნობ მათ გვერდით.

**– ლათინოამერიკული ცეკვები საკმაოდ ცეცხლოვანია და ამბობენ, მათი შესრულება მხოლოდ შეყვარებულ წყვილს გამოსდის კარგად. რადგან ამ დროს, მოცეკვავეებს შორის გრძნობების გაცვლა-გამოცვლა ხდება. დასთან ამ ცეკვების შესრულება არ გიჭირს?**

– პირიქით, მასთან ისე კომფორტულად ვგრძნობ თავს, თვალდახუჭული ვენდობი – ცეკვის დროს, სულაც არ მიჭირს, ვიყო ცეცხლოვანიც და ამავდროულად, ტექნიკურიც. დაძმური სიყვარული, სულ სხვა ჩარჩოში ჯდება. თუმცა, დაგეთანხმებით, ლათინოამერიკული ცეკვები საკმაოდ ცეცხლოვანია და მათი შესრულებისას პარტნიორს შესაძლოა, სიყვარულიც კი აუხსნა და შენი გრძნობა იმ ენერგიით გადასცე, რასაც მოძრაობაში დებ. როცა სხვა პარტნიორთან მიცეკვია, ასეც მომხდარა და ორივეს თავბრუ დაგვხვევია ***(იცინის).*** ეს უფრო ახალგაზრდობაში ხდებოდა.

**– ამბობენ, რომ საკუთარი ტბა გაქვს და იქ ხშირად დადიხარ. თუ არ ვცდები, ბუნებაში ცეკვების ჩემპიონატის გამართვასაც გეგმავ მომავალში. ეს სიამრთლეა?**

– მართალია, საკუთარი ტბა მაქვს მარნეულისკენ და ეს მამისგან მერგო მემკვიდრეობით. ეს ტბა საკუთარი ხელით მაქვს გათხრილი. დიდი ხანი მოვუნდი, მაგრამ ძალიან ლამაზი სანახავია და ეს ამ დაღლად ღირდა. ამ ტბის ფსკერი კენჭებითაა მოპირკეთებული, ოქროს თევზები დაცურავენ და ძალიან მიყვარს მათი ყურება. ძალიან ლამაზი ადგილია და მინდა, იქ, მომავალში ლათინოამერიკული ცეკვების ჩემპიონატი ჩატარდეს. ვფიქრობ, ბუნებაში ცეკვა უფრო მეტად სანახაობრივი იქნება.



**ერთი მეწყვილე რას გაუძლებდა ჩემს ხუთსაათიან ტემპერამენტიან ცეკვას? ამიტომ, მათი ცვლა მიწევდა**

**– ამ ბოლო დროს, საკმაოდ მოიმატა ცეკვის მსურველთა რიცხვმა. თუმცა, როგორც ვიცი, ადრე მამაკაცები თავს არიდებდნენ მსგავს სტუდიაში სიარულს და სამეჯლისო თუ ლათინოამერიკული ცეკვების სწავლას.**

– გეთანხმებით, ბოლო დროს საკმაოდ იმატა ცეკვის მსურველთა რიცხვმა, თუმცა ამ მხრივ მამაკაცებს ცოტა უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. გული იცით, რაზე მწყდება? უამრავი მეგაშოუ კეთდება და არც ერთ მათგანში არ მიწვევენ, როგორც მსაჯს. თუმცა, დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც მსგავს პროექტებს აკეთებს და ცეკვის პოპულარიზაციას ეწევა, მით უმეტეს, ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძეს, რომელმაც არაერთი ძლიერი მოცეკვავე აღზარდა. „მამბო" და „სალსა" განსხვავდება სამეჯლისო ცეკვებისგან, არაკლასიკური, უფრო კლუბური სტილია. უამრავ ადამიანს მოსწონს ეს ცეკვები და ამ მეგაპროექტებმა, ხალხში უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვია. ცეკვა ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. თუმცა, მქონია პერიოდები, როცა საერთოდ არ მეცეკვებოდა. მაგალითად, წინა დღეს მეგობარი დამისაფლავებია და მეორე დღეს მიცეკვია. ცეკვის დროს, მოდის ისეთი ემოცია, თითქოს დედამიწას ვცილდები, სხვა განზომილებაში გადავდივარ, გალაქტიკაში ვმოგზაურობ და ის, რაღაც ოთხი წუთი, არარეალური, არაამქვეყნიური ვარ. ეს საოცარი განცდაა, როცა ზებუნებრივ ძალებთან გიხდება კონტაქტი.

**– „სალსა" და „მამბო" საკმაოდ ცეცხლოვანი ცეკვებია. მათ შესრულებას ქართული ტემპერამენტი უხდება?**

– ქართულ ცეკვებში, იმხელა ტემპერამენტი დევს, რომ ეს ამოუწურავი თემაა და ალბათ, ბევრი ქვეყნის მამაკაცებს შეშურდებათ, ამ მხრივ ჩვენი ტემპერამენტის. თუმცა, ქართველი მამაკაცის ბუნებაში არ დევს ის, რომ გაპრანჭულმა იცეკვოს, პოზა და სტილი დაიჭიროს. მაგრამ, ამ „გაპრანჭვაშიც" შეიძლება, კაცმა კაცურობა შეინარჩუნო. ეს შენზეა დამოკიდებული. ლათინოამერიკული ცეკვები კი გაპრანჭვას არ მოითხოვს, მათში უფრო მაჩოს ტემპერამენტი ჩანს. რუსები, სლავები და ევროპელები ლათინურ ცეკვებს უფრო ხისტად და მოუქნელად ცეკვავენ, ვიდრე ქართველები. ცეცხლოვანი გენი ჩვენში ზის და ჩვენ ემოციით ვცეკვავთ და არა ტექნიკით. ასე რომ, ჩვენი ტემპერამენტი გვაძლევს საშუალებას, უფრო ეშხიანად ვიცეკვოთ ცეცლოვანი ლათინურ-ამერიკული ცეკვები, ვიდრე ამას რუსი ან ევროპელი შეძლებს. თუმცა, „სალსას" კუბელი რომ იცეკვებს, მასთან ქართველის ტემპერამენტი სად მივა ***(იცინის).*** ცეკვა მათი სტილია. სხვათა შორის, სადმე რომ ვხვდებით და ყველა გოგო მე მეცეკვება, მერე კი სწყდებათ გული მამაკაცებს, რა მაგარია, ყველა გოგო რომ შენ გეცეკვებაო ***(იცინის).*** მოდი ბატონო, იარეთ, გასწავლით და მერე აღარ შეგშურდებათ ჩემი-მეთქი, – ყველას ვეუბნები. ცეკვამ ბევრი ადამიანი გამაცნო და დამაახლოვა. ცეკვა-ცეკვით უფრო ადვილია კომუნიკაცია უცხო ადამიანებთან. ეს აურა ნამდვილად აქვს ცეკვებს. მაგალითად, ნებისმიერი ცეკვით შეიძლება, გამოხატო ადამიანის მიმართ სიმპათია, მეგობრობა, სიყვარული, სიძულვილი ან გაბრაზება. სხვათა შორის, მიღებულია, რომ „რუმბა" სიყვარულის ასახსნელად, ყველაზე კარგი საშუალებაა, მაგრამ ნებისმიერ ცეკვაში შეიძლება, ეს გრძნობა გამოხატო. დამიჯერეთ, ცეკვით და მოძრაობით ქალთან ურთიერთობა გაცილებით იოლია, ვიდრე სიყვარულის სიტყვიერად ახსნა. ასე რომ, შეიძლება ჩათვალოთ, ქალთან ასეთი ურთიერთობა უამრავ მამაკაცს ვასწავლე ***(იცინის).***

**– აუცილებლად უნდა გკითხოთ, წონას თუ აქვს მნიშვნელობა, როცა საქმე ცეკვას ეხება?**

– ბევრი ადამიანი მინახავს, შეხედავ, გამხდარია, მოცეკვავის ტანზე „დგას", მაგრამ ხისტი და მოუქმელია. ასევე, ბევრი მინახავს, ხორციანი და ძალიან მოქნილი. წონას, ცეკვის დროს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, მონდომება, სულიერი მდგომარეობის გამოხატვა და ტექნიკა. ბევრი გამხდარი გოგო მინახავს, როგორ „იჩხლართება" და ბევრიც ჩაფსკვნილი, სასწაულად მოცეკვავე. ცეკვის დროს თავის გამოჩენაზე კი არ უნდა იფიქრო, ინდივიდუალურობას უნდა გაუსვა ხაზი და ყველაფერი გამოგივა.

**ნონა დათეშიძე**

**„წმიდა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია, ჩვენ კი სიწმიდეს მისგან ვიღებთ მისივე სიწმიდეში მონაწილეობით. ეს, სხვა რამესთან ერთად, ევქარისტიის წყალობით ხდება, ხოლო ევქარისტიაში მონაწილეობის მთავარი პირობა – სინანულია“. როგორც ცნობილია, არსებობს შვიდი საეკლესიო საიდუმლო, რომელთა შორის ორი – ევქარისტიისა და ზეთისცხების საიდუმლოა, რომელთა შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის არ არის ქრისტიანისთვის შვიდგზის ზეთისცხებაში მონაწილეობა კარგი და რისთვის არის ხშირი ზიარება აუცილებელი

– ძველ დროს ქრისტიანები მარხვისას სიჩუმისა და დუმილის გარემოცვაში ცხოვრობდნენ, რაც მათ შინაგან ცხოვრებაზე სრული კონცენტრირების საშუალებას აძლევდა. თანამედროვე ქრისტიანებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ იმისთვის, რომ არსებითად აუცილებელი სიჩუმე და მდუმარება მოიპოვონ, რათა უზენაეს რეალობასთან კავშირი იგრძნონ. ადამიანის სული ლოცვით საზრდოობს, მაგრამ, საკვები გონებასაც სჭირდება. მამები გვირჩევენ, რომ მარხვის დროს სულიერი ძალისხმევა რაღაც წმინდა სულიერზე მივმართოთ. კარგი იქნებოდა, წინასწარ შეგვედგინა მარხვაში წასაკითხი სასარგებლო წიგნების სია. არ არის აუცილებელი, ყველა წიგნი რელიგიური შინაარსის იყოს – ყველას არ აქვს საღვთისმეტყველო მოწოდება; ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებშიც დიდი საღვთისმეტყველო ნიჭია ჩაქსოვილი. ის, რაც უფლისგან არის კურთხეული მისი მართებული აღქმის შემთხვევაში, სულიერ ღირებულებას იძენს. ზოგჯერ ადამიანები არ ინახავენ მარხვას ერთი მიზეზით, რომ თითქოს მარხვა ვნებს ჯანმრთელობას. მაგრამ, მარხვა არათუ არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ, პირიქით, განამტკიცებს მას. რა თქმა უნდა, აქ საუბარია ზომიერ მარხვაზე. წმიდა თეოფანე შეყენებულის შეგონება ასეთია: „მარხვა პირქუში გეჩვენება თავიდან, ვიდრე არ შეუდგები მას, მაგრამ, დაიწყე და დაინახავ, რომ ის სინათლეა ბნელი ღამის შემდეგ. მარხვას უჯანყდება მხოლოდ ვნების მოყვარული სხეული, სულს კი უყვარს ის... როდესაც მოიპოვებ საღმრთო შეგონებას და პასუხისმგებლობას იგრძნობ ღვთის წინაშე, მაშინ უცნაური და სასაცილოც კი ჩანს ყველა ის დათმობა სხეულის მიმართ, რომლითაც ასე სავსეა ჩვეულებრივი ცხოვრება“.



**დღეს ასეთი შეხედულება, სწავლება არსებობს, რომ, თითქოს, ადამიანს დავიწყებული ცოდვები ამ დროს ეპატიება. ეს არ არის ეკლესიური სწავლება, ეს ხალხური გადმოცემაა. როგორ შეიძლება, ადამიანს რაღაც დაავიწყდეს და ის ეპატიოს?!**

**– დიდმარხვაში ერთ-ერთი გამორჩეულია ზეთისცხების საიდუმლო, რომელიც მხოლოდ აღდგომის მარხვაში აღესრულება. ეს საიდუმლო სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა დღეს ტარდება, რათა მორწმუნე მრევლმა მასში მონაწილეობის მიღება მოასწროს. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ადამიანების დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის ამ საიდუმლოს სწორი მნიშვნელობა.**

– ზეთისცხების საიდუმლო სათავეს იღებს წმიდა წერილიდან, კერძოდ კი – იაკობ მოციქულის ეპისტოლედან. აი, რა წერია იაკობის ეპისტოლეს მეხუთე თავის მე-14 და მე-15 მუხლებში: „თუ იყოს თქვენ შორის ვინმე ავად, მოუხმონ ეკლესიის ხუცესს, ილოცონ მასზე, სცხონ ზეთი უფლის სახელით და რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ რამე ცოდვა ჩაუდენია, მიეტევება“. აქ საუბარია არა ეკლესიის გარეთ მყოფ, არამედ, ეკლესიის შიგნით მყოფ ადამიანზე, რომელიც არის ეკლესიის წევრი, მართლმადიდებელი ქრისტიანი. როდესაც ადამიანი გახდება ცუდად, მისმა ახლობლებმა უნდა მოუხმონ ეკლესიის ხუცესს, ნებისმიერ მოძღვარს, რომელიც მასთან მიბრძანდება, წაუკითხავს ზეთისცხების ლოცვებს და ის სარწმუნოებით განიკურნება. ეკლესიამ განაჩინა, რომ დიდმარხვაში, როდესაც მორწმუნეები არიან სინანულში და მარხულობენ, ეკლესიაში ერთიანი ლოცვით იღებენ ზეთისცხებაში მონაწილეობას. იდეალური ვარიანტია, როდესაც შვიდი მოძღვარი სცხებს ზეთს, მაგრამ, შეიძლება, ეს საიდუმლო ერთმა სასულიერო პირმაც აღასრულოს. ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში, თუ ადამიანი ავად იყო, კვირეულის შვიდი დღის განმავლობაში შვიდი მოძღვარი მიდიოდა მასთან, უკითხავდა ლოცვებს და სცხებდა ზეთს. დღეს, შეიძლება, შვიდივე მოძღვარი ერთ დღეს შეიკრიბოს და სცხონ ღვინოში გარეული ზეთი. ხშირად ქრისტიანები ამ საიდუმლოში რამდენჯერმე იღებენ მონაწილეობას: ჯერ ერთ ეკლესიაში იცხებენ ზეთს, მერე მეორე ეკლესიაში. ბუნებრივია, არავინ უკრძალავს მათ ამ საიდუმლოში მონაწილეობას, მაგრამ, ძველად, გამოცდილი მოძღვრები ზეთს ერთხელ სცხებდნენ, რადგან, საკმარისია, ღვთის ნება ერთხელ გამჟღავნდეს. თუ ერთხელ იცხე ზეთი და არ განიკურნე, ესე იგი, ჯერჯერობით არ არის უფლისგან დაშვებული შენი განკურნება, ამიტომ, მეორედ და მესამედ ზეთისცხებაზე მისვლა ნიშნავს უფლის გამოცდას, ეჭვის შეტანას ღვთის განგებულებაში. ამიტომ, სასურველია, ერთხელ მივიღოთ ამ საიდუმლოში მონაწილეობა რწმენით, მარხვითა და ლოცვით და არა ურწმუნოებით ან მცირედმორწმუნეობით, სინანულის გარეშე. პრაქტიკაში ცნობილია, რომ, ტაძართან, რომელიც გზასთან ახლოს მდებარეობს, ჩერდება სამარშრუტო ტაქსი ან ავტობუსი, ჩამოდის ხალხი, რომელსაც არ უმარხულია, არ ულოცია, არ ჰყავს მოძღვარი, მაგრამ, ხედავენ ტაძარში ხალხმრავლობას

**„ის მღვდლები, რომლებიც არ აზიარებენ საღმრთო ზიარების შიშითა და სარწმუნოებით მიახლებულ ქრისტიანებს, განისჯებიან ღმრთისგან, როგორც მკვლელები“**

და იგებენ, რომ იქ „რაღაც“ ზეთისცხება ხდება, რომელიც კარგია ადამიანის სულის განსაკურნებლად. მიდიან და ყოველგვარი კურთხევის გარეშე იცხებენ ზეთს. რა თქმა უნდა, ეკლესია ამ შემთხვევაშიც არ გვეუბნება უარს, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გაუცნობიერებელმა ზეთისცხებამ, შეიძლება, ცუდი შედეგი გამოიწვიოს. ბევრი ქრისტიანი დიდ საიდუმლოებებში მაგიურად, გაუცნობიერებლად, ლოცვის გარეშე იღებს მონაწილეობას, რაც, შეიძლება, მისთვის სავალალო აღმოჩნდეს. ყველას არ ვურჩევთ ამ საიდუმლოში მონაწილეობის მიღებას. ვინც მარხულობენ, აღსარებას ამბობენ და ეზიარებიან, მათ უნდა მიიღონ ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობა, რადგან, როგორც ევქარისტიული კანონი დამოკიდებულია სინანულის საიდუმლოზე, აღსარებაზე, ისე ზეთისცხების საიდუმლოში მონაწილეობის უფლება აქვს იმ ქრისტიანს, რომელიც მარხულობს და გააჩნია სინანული. დღეს ასეთი შეხედულება, სწავლება არსებობს, რომ, თითქოს, ადამიანს დავიწყებული ცოდვები ამ დროს ეპატიება. ეს არ არის ეკლესიური სწავლება, ეს ხალხური გადმოცემაა. როგორ შეიძლება, ადამიანს რაღაც დაავიწყდეს და ის ეპატიოს?! თუ ქრისტიანმა გააზრებულად არ აღიარა თავისი ცოდვები, მას შენდობა არ ექნება. ამიტომ, მინდა, ყველას ვუთხრა: როდესაც ისინი ამა თუ იმ საიდუმლოში იღებენ მონაწილეობას, მოემზადონ სათანადოდ, ჰყავდეთ მოძღვარი, თქვან აღსარება და შემდეგ მიიღონ ლოცვა-კურთხევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საიდუმლო ერთმანეთისგან გამომდინარეობს, რადგან, თუ ნათელღებული არ ხარ, მაშინ სინანულში ვერ იქნები; თუ სინანულში არ ხარ, ზიარებას ვერ მიიღებ; თუ სინანული და ზიარება არ გაქვს მიღებული, მაშინ, ბუნებრივია, ვერც ზეთისცხების საიდუმლოში მიიღებ მონაწილეობას და, რაც მთავარია, ცხონებაზე პრეტენზია ველარ გექნება. ყველა ეს საიდუმლო დადგენილია ცხონებისთვის, განახლებისთვის.

**– ქრისტიანების გარკვეული ნაწილი მხოლოდ მარხვის დროს მონაწილეობს ზიარების საიდუმლოში, სხვა დროს კი ისინი უარს აცხადებენ ევქარისტიაში მონაწილეობაზე და ხშირად ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ, რადგან იმ დროს წელიწადში ოთხი მარხვიდან არც ერთი არ არის, ამიტომ, არ არიან ღირსი უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარებისა.**

– ევქარისტია ორი ნაწილისგან შედგება: პურისა და ღვინის გადაქცევა უფლის ხორცად და სისხლად და ამ წმიდა ძღვენის ზიარება. სწორედ ამიტომაც ეწოდება მას საიდუმლო, უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი. ამ საიდუმლოში, ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეწოდება „ზეციური პური და სასმელი სიცოცხლისა,” „უსისხლო მსხვერპლი.” ეს უდიდესი საიდუმლო ქრისტემ მანამდე აღუთქვა ადამიანებს, სანამ პირველად აღასრულებდა მას საიდუმლო სერობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ვინც გულწრფელად, სათნოებით, უფლის მცნებების დაცვით ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ექნება საუკუნო ცხოვრება და ბოლო ჟამს აღდგება დიდების სასუფევლისთვის. წმიდა ნიკოდიმოსი კარგად პასუხობს თქვენს კითხვას თავის წიგნში – „ქრისტეს ყოვლაწმიდა საიდუმლოთა ხშირი ზიარებისთვის“: ადამიანი მხოლოდ ზიარებით ხდება ზიარების ღირსი, რადგანაც, ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღების გარეშე არ ძალგვიძს, ვძლიოთ ჩვენსავე ვნებებს და სული განვიწმიდოთ მისგან. ამგვარად, ის, ვინც გამუდმებით არ ეზიარება, კარგავს ყოველივე ზეციურ და საღმრთო სიკეთეს. მოციქულთა მერვე და მეცხრე კანონები, რომლებიც მეექვსე მსოფლიო კრებამ დაადასტურა, გვაუწყებენ და ამტკიცებენ ხშირი ზიარების აუცილებლობას. „ზიარებისას მღვდელს ერისკაცთაგან და მონაზონთაგან სხვა არაფერი განასხვავებს, გარდა იმისა, რომ მღვდელი აზიარებს, ერისკაცი კი ეზიარება. ის მღვდლები, რომლებიც არ აზიარებენ საღმრთო ზიარების შიშითა და სარწმუნოებით მიახლებულ ქრისტიანებს, განისჯებიან ღმრთისგან, როგორც მკვლელები“.

**ნათია უტიაშვილი**

## სასწაული ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში

„მინდა, გიამბოთ ერთ სასწაულზე, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში მოხდა. იმხანად ეკლესიის წინამძღვარი იყო მამა დავით ფიფია. ერთხელ ილორის ტაძარში მოვიდა ერთი ოჯახი და მათ ახლდათ ერთი ქალი, რომელსაც აბრალებდნენ, რომ თავისი მეზობლის ვაჟს უსამართლოდ დასდო ბრალი ქურდობაში. ამის გამო ეს ქალი წმიდა გიორგის ხატზე უნდა გადაეცათ. ქალი მწარედ ტიროდა და თავს იმართლებდა: მე არ მითქვამს და თუ მართლა ვთქვი ასეთი რამ, მაპატიეთო! – და ცრემლად იღვრებოდა. ამ ხმაურზე ტაძრის წინამძღვარი, მამა დავითი გამოვიდა და უთხრა იმ ოჯახის წევრებს – დედასა და მის ორ ვაჟს: „ხომ ხედავთ, ქალი სინანულშია და აპატიეთ“. ისინი არ ცხრებოდნენ: „არა, ვერ ვაპატიებთ და თუკი ტაძრის კარს არ გაგვიღებ, მაშინ აქვე, კართან მოვკლავთ ამ ქალს“. მამა დავითმა ტაძრის კარი გაუღო მათ და უთხრა: „უფლისგან დაისჯებით, წმიდა გიორგი დაგსჯით, რადგან ეს ქალი სინანულშია და თქვენ მას არ პატიობთ”. ოჯახს თან თხა ჰყავდა მოყვანილი შესაწირად. ტაძარში შევიდნენ – დედა, მისი ორი ვაჟი და ეს საცოდავი ქალი, რომელიც ხატზე უნდა გადაეცათ. და აი, ამ ოჯახის დედამ რისხვა და წყევლა რომ დაიწყო ხატის წინ, უეცრად მიწაზე დაეცა და აგონიაში ჩავარდა. ისე ცუდად შეიქნა, რომ სულთმებრძოლი გახდა. მაშინ მამა დავითმა მიმართა ვაჟებს: „ხომ ხედავთ, რა სასჯელი მოიწიეთ?! ახლა მაინც არ დაიჯერებთ, რომ თუ ადამიანი სინანულშია, არ შეიძლება, მისი დასჯა და უნდა აპატიოთო.” და ის მომაკვდავი ქალბატონი ტაძრიდან გამოასვენეს და სასწრაფოდ ექიმებს მოუხმეს. ექიმებმა ასეთ მდგომარეობაში რომ ნახეს, თქვეს: მას ვერაფერი უშველის, მოკვდებაო. მაშინ მამა დავითმა შენდობის ლოცვის კითხვა დაიწყო და როცა დაასრულა, ეს ქალი უმალ მოსულიერდა. გონს რომ მოვიდა, სინანული გაუჩნდა: „რატომ ვერ მივიღე ამ ქალის სინანული, შევცდი, ასე არ უნდა მოვქცეოდიო. მისი შვილებიც ღრმა სინანულში იყვნენ. შემდეგ ეკლესიას ის ამოყვანილი თხა შესწირეს და ყველანი მშვიდობიანად დაბრუნდნენ შინ.

აი, ასეთია წმიდა გიორგის ძალა. ასეთია მისი მადლი, რომელიც მას უფალმა მიანიჭა. ეს მადლი გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ამინ!“

**კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ქადაგებიდან (2011 წლის მაისი)**

## როგორ დააჩქარა ღირსმა ხარიტონ აღმსარებელმა სკიტის მშენებლობა

ძალიან მინდოდა, სკიტი (განმარტოებულ ბერთა მყუდრო სავანე. სკიტის წესდება საერთო სამონასტრო წესდებისგან განსხვავდება განსაკუთრებული სიმკაცრით) მომეწყო, რის შესახებაც მიტროპოლიტ ფილარეტს მოვახსენე.

მეუფემ მაკურთხა, რომ ამისთვის წყნარი და განმარტოებული ადგილი შემერჩია.

ამ მიზნით ბეთანიაში ჩავედი და გარემოს დათვალიერება დავიწყე. ჩემი მზერა ტყეში ერთ ადგილზე შეჩერდა და, გადავწყვიტე, რომ სწორედ აქ უნდა მომეწყო სკიტი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემს სენაკში დავწექი და, ჩაძინება ვერც კი მოვასწარი, რომ სინათლე დავინახე; მანტიაში შემოსილი არცთუ მაღალი ბერი მომიახლოვდა და მითხრა:

– სასწრაფოდ დაიწყე იმის მშენებლობა, რაც ჩაიფიქრე; ღვთის კურთხევითა და ნებითაა ეს.

– ვინ ხართ? – ვკითხე მე.

– ეკლესია დღეს მიხსენიებს, – მიპასუხა ბერმა და უხილავი შეიქნა.

28 სექტემბერი იყო ღირსი ხარიტონ აღმსარებლის ხსენების დღე.

მიტროპლიტმა ფილარეტმა არქიმანდრიტ ანტონის ეს მონათხრობი მოისმინა და სკიტის მშენებლობა აკურთხა.

სამი წლის შემდეგ, აღნიშნულ დღეს, მოხდა ხის ტაძრის კურთხევა და მას შემდეგ 28 სექტემბრის წინა დღეს მიძინების ტაძარში ღამისთევის ლოცვა აღესრულება, თვითონ ეს დღე კი სკიტის დაარსების დღედ ითვლება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როდიდან არის შემოღებული მარხვა და როგორ იცავდნენ მას წინათ?**

**პასუხი:** მარხვა ჯერ კიდევ სამოთხეში იყო დაწესებული, როდესაც უფალმა ადამს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან ნაყოფის ჭამა აუკრძალა. ძველ აღთქმაშიც ძალიან ბევრი მარხვის მაგალითია მოყვანილი. მოსეს დადგინებით, განწმენდის დღე მარხვასთან იყო დაკავშირებული. მაცხოვარმა,ვიდრე ქადაგებას დაიწყებდა აკურთხა მარხვა თავისი ორმოცდღიანი მარხულობით უდაბნოში.

**კითხვა: მარხვის დროს სახლში სახსნილი სადილების კეთებაც მიწევს, რადგან დიასახლისი ვარ. ჩამეთვლება თუ არა ცოდვად, მარხვის დარღვევად გაკეთებული სადილის გემოთი გასინჯვა?**



**პასუხი:** ამგვარი საქციელი ცოდვად არ ჩაგეთვლებათ. შეგიძლიათ, მშვიდად აკეთოთ თქვენი საქმე.

**კითხვა: ცნობილია, რომ არის ქვეყნები, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაშვებულია. როგორ უყურებს ამას მართლმადიდებლური ეკლესია?**

**პასუხი:** ეს იმდენად დიდი ცოდვაა, რომ ამის გამო ბიბლიური ქალაქები – სოდომი და გომორი, უფალმა საშინელი სასჯელით დასაჯა. სწორედ ამ ქალაქებში არ იყო გარჩევა ქალთა და კაცთა, ერთი სქესის ადამიანები გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრებით იყვნენ აღრეული. ახლა ისრაელის ამ მიწაზე მკვდარი ზღვაა. თუმცა, უფალი თავისი გულმოწყალებით ნებისმიერ ცოდვილს მიუტევებს, თუ ის გულმხურვალედ მოინანიებს და აღარ დაუბრუნდება ცოდვას.

**კითხვა: საჭიროა თუ არა ეკლესიაში სურათის გადაღების დროს კურთხევა მოძღვარს ვკითხოთ?**

**პასუხი:** ეკლესიაში სურათის გადაღების დროს მოძღვრისგან კურთხევის აღება აუცილებელია.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## „რაოდენ დიდი ყოფილა მონაზვნობის პატივი!“

ერთმა თებელმა ბერმა საძმოს უამბო: „მე წარმართი ქურუმის ვაჟი ვიყავი. ბავშვობაში მამას წარმართულ ტაძარში დავყვებოდი და ხშირად მინახავს, როგორ სწირავდა მამა კერპებს მსხვერპლს.

ერთხელ, ფარულად ვუთვალთვალებდი მას და ვიხილე სატანა, მჯდარი ტახტზე და მთელი მისი ჯარი, მის წინაშე მდგომი. უეცრად მივიდა მასთან ერთ-ერთი დემონი, თაყვანი სცა და უთხრა: „ამა და ამ ქვეყანაში ვიყავი, იქ დიდი მღელვარება და სისხლისღვრა მოვაწყვე და ახლა მოვედი, რომ გაცნობო ამის შესახებ“. სატანამ ჰკითხა: „რა დრო მოანდომე ამას?“ „30 დღე,“ – მიუგო დემონმა. მაშინ სატანამ ბრძანა, ეცემათ იგი, რადგან, ამდენი დრო დასჭირდა ასეთი საქმისთვის. და, აი, მოვიდა მეორე დემონი, თაყვანი სცა მას და უთხრა: „ზღვაში ვიყავი და საშინელი ქარიშხლები ავტეხე, გემები ჩავძირე და მრავალი ადამიანი დავხოცე, ახლა კი მოვედი, რათა გაცნობო ამის შესახებ“. სატანამ ჰკითხა: „რა დრო მოანდომე ამ საქმეს?” „ოცი დღე“, – იყო პასუხი. სატანამ მისი გვემაც ბრძანა, რადგან, ამდენი დრო მოანდომა ასეთ საქმეს. შემდეგ მოვიდა მესამე დემონი, თაყვანი სცა სატანას და უთხრა: „ქორწილში ვიყავი, ნეფე-დედოფალი ერთმანეთს დავაშორე და დიდი სისხლისღვრა მოვაწყვე, ახლა კი შენ გეახელი, რათა ყოველივე გაცნობო“. სატანამ იკითხა, თუ რამდენი დღე მოანდომა დემონმა ამ საქმეს და, როდესაც პასუხად მოისმინა, 10 დღეო, მისი გვემის ბრძანებაც გასცა. ბოლოს კიდევ ერთი დემონი ეახლა სატანას და თაყვანი სცა: „40 წელი ვიყავი უდაბნოში, ერთ ბერს ვებრძოდი, წუხელ კი სიძვის ცოდვაში ჩავაგდე იგი“. როდესაც სატანამ ეს მოისმინა, ფეხზე წამოდგა, დემონი გადაკოცნა, თავისი გვირგვინი მოიხსნა, თავზე დაადგა, ტახტზე გვერდით მოისვა და უთხრა: „შენ დიდი გამარჯვება მოიპოვე!“

ყოველივე ეს რომ ვიხილე, გადავწყვიტე, ბერი გავმხდარიყავი ვთქვი: „რაოდენ დიდი ყოფილა მონაზვნობის პატივი!” – და, მას შემდეგ, ღვთის განგებით, ბერობას შევუდექი და ვეძიებ ცხონების გზას“.

## სიმშვიდე არც მარტოობაშია და არც სხვებთან ერთად ცხოვრებაში

ერთი ბერი, რომელიც სენაკში ცხოვრობდა, მარტოობამ შეაწუხა, მივიდა ამბა თეოდორესთან და თავისი გულისტკივილი გაუმხილა. ხუცესმა უთხრა:

– დაშოშმინდი – მორჩილება მიიღე და სხვებთან ერთად იცხოვრე.

ის წავიდა წმიდა მთაზე და ბერ-მონაზონთა შორის იწყო ცხოვრება. მოგვიანებით ისევ მივიდა ხუცესთან და უთხრა:

– მამაო, კაცთა შორისაც ვერ ვიპოვე სიმშვიდე.

– თუკი ვერც მარტო მშვიდდები და ვერც ადამიანებთან, მაშ, რად აირჩიე მონაზონებრივი ღვაწლი, თუ მწუხარების დათმენა არ გსურდა? – უთხრა ხუცესმა, – რამდენი წელია, რაც ბერი ხარ?

– რვა წელია, – უპასუხა ძმამ.

ხუცესმა მიუგო:

– მე სამოცდაათი წელია, რაც ბერი ვარ და ერთი დღეც კი არ გამიტარებია სიმშვიდეში, შენ კი რვა წელიწადში გსურს სიმშვიდის მოპოვება?

**მოამზადა რევაზ ტომარაძე**

# NBA-ს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავები

*ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავებისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო ლიგა დღემდე მიიჩნევა ყველაზე შემოსავლიან პროექტად სპორტის სამყაროში.*



### კობე ბრაიანტი

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" – შემოსავალი: 64,5 მილიონი დოლარი**

„ლეიკერსის" ცოცხალი ლეგენდა კონტრაქტის მიხედვით ბოლო სეზონს ატარებს ლიგაში. მაიკლ ჯორდანის შემდეგ კობე ბრაიანტი პირველი კალათბურთელია, რომელიც სეზონში 30 მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს; ამას ემატება სარეკლამო კონტრაქტებისგან მიღებული თანხა. გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბრაიანტთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება, რაც მას დამატებით 48 მილიონ დოლარს მოუტანს. სარეკლამო კონტრაქტები ბრაიანტს გაფორმებული აქვს მსოფლიოს ისეთ ცნობილ ბრენდებთან, როგორებიცაა: „თურქიშ ეირლაინსი", „ლენოვო", „ნაიკი", „პანინი" და საათების გიგანტი კომპანია „ჰუბლოტი".

### ლებრონ ჯეიმსი

**„მაიამი ჰითი" – შემოსავალი: 61,1 მილიონი დოლარი**

„მეფე ჯეიმსი" რამდენიმე მილიონით ჩამორჩება კობე ბრაიანტს. ჯეიმსს კონტრაქტები აქვს „მაკდონალდსთან", „კოკა-კოლასთან", „სამსუნგთან", „ნაიკთან" და სხვა. კომერციული თვალსაზრისით, ლებრონ ჯეიმსი ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოთამაშედ ითვლება.

### დერიკ როუზი

**„ჩიკაგო ბულსი" – შემოსავალი: 38,6 მილიონი დოლარი**

2010-2011 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ბოლო დროს ტრავმებისგან იტანჯება. ამის მიუხედავად, ის შემოსავლის მხრივ, ტოპ-სამეულის წევრია. როუზს 13 წლით აქვს გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტი „ადიდასთან", გარდა ამისა, იგი თანამშრომლობს „ჯორდანისთან", „უილსონთან" და „ფაუერეიდთან".

### კევინ დიურანტი

**„სიეტლ სუპერსონიქსი" – შემოსავალი: 31,8 მილიონი დოლარი**

„ლიგის სნაიპერის" ტიტულის სამგზის მფლობელი კევინ დიურანტი NBA-ს პირველი კალათბურთელია, რომელიც რეპერ ჯეი-ზის სააგენტო „როკნეიშენ სპორტის" სარეკლამო სააგენტოს კლიენტი გახდა.

### დუეინ უეიდი

**„მაიამი ჰითი" - შემოსავალი: 30,7 მილიონი დოლარი**

დუეინ უეიდი სპორტულ წარმატებებს ასევე წარმატებულ სარეკლამო საქმიანობას უთავსებს. ის „ჰუბლოტის", „დავის", „გეთორეიდისა" და „ლი-ნინგის" სარეკლამო სახეა და, ასევე, თავად აწარმოებს ჰალსტუხებსა და ბაფთებს.

### კარმელო ენტონი

**„ნიუ-იორკ ნიქსი" – შემოსავალი: 30,4 მილიონი დოლარი**

„ნიქსის" ვარსკვლავური ფორვარდი, 2014 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, ახალ კონტრაქტს გააფორმებს კლუბთან. მისი ძირითადი სარეკლამო კონტრაქტი კი „ნაიკს" უკავშირდება.




### ამარე სტადმაიერი

**„ნიუ-იორკ ნიქსი" – შემოსავალი: 28,2 მილიონი დოლარი**

ყველა ვარსკვლავის მატჩის 6-გზის მონაწილე სტადმაიერს „ნიქსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ხოლო სარეკლამო სფეროდან მისი ძირითადი შემოსავალი „ნაიკია".

### დუაიტ ჰოვარდი

**„ჰიუსტონ როკიტსი" – შემოსავალი: 26,5 მილიონი დოლარი**

„ლეიკერსში" ტრავმების თანხლებით გატარებული სეზონის შემდეგ ჰოვარდი თავისუფალი აგენტის სტატუსით ჰიუსტონელებს დაუკავშირდა კონტრაქტით. „ადიდასთან" გაფორმებული კონტრაქტის გარდა ჰოვარდი ხელფასის სახით 88 მილიონ დოლარამდე აიღებს.

### დირკ ნოვიცკი

**„დალას მავერიქსი" – 23,2 მილიონი დოლარი**

35 წლის გერმანელი კალათბურთელი „მავერიქსის" ერთ-ერთ ლიდერად და მთლიანად ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. ნოვიცკის ბრაიანტის შემდეგ საუკეთესო სახელფასო კონტრაქტი აქვს, ხოლო სარეკლამო სფეროში იგი „ნაიკთან" თანამშრომლობს. ცნობისთვის ნოვიცკის არ ჰყავს საკუთარი სარეკლამო აგენტი.

### კრის პოლი

**„ლოს-ანჯელეს კლიპერსი" – შემოსავალი: 22,7 მილიონი დოლარი**

2013 წელს კრის პოლმა „კლიპერსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის მანძილზე იგი ხელფასის სახით 107 მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა კრის პოლი გასული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა და ასევე NBA-ს მოთამაშეთა პროფკავშირის თავმჯდომარე გახდა.

# სასტუმრო – ქურდებისთვის

ავსტრალიის ოტელების ქსელმა Art Series-მა, სტუმართა მოზიდვის მიზნით, არაორდინარული აქცია წამოიწყო: მელბურნის ერთ-ერთ სასტუმროში მთელი თვის განმავლობაში გამოიფინება ასევე არაორდინარული მხატვარ-გრაფიტისტის, ბენქსის 10 ათას ფუნტ სტერლინგად შეფასებული ნახატი „უბურთო თამაში" (სხვათა შორის, მსოფლიოში ცნობილი ამ მხატვრის პიროვნება აქამდე დაუდგენელია). სტუმრებს სთავაზობენ, მოიპარონ ეს ტილო... პირობა კი ასეთია: თუ ქურდს ფაქტზე წაასწრებენ, მას, უბრალოდ, სთხოვენ, მოპარული ნივთი თავის ადგილზე დააბრუნოს. ის კი, ვინც ამას შეუმჩნევლად გააკეთებს, ოფიციალურად გახდება ამ ტილოს მფლობელი.

# სამირ ნასრის მეგობარი გოგო

„მანჩესტერ სიტისა" და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელმა სამირ ნასრიმ „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე თავისი მეგობარი გოგოს ფოტოები განათავსა. 25 წლის ბრიტანელი მოდელი ანარა ატანესი ეგზოტიკური გარეგნობის ლამაზმანია. მოძღერალი და მოდელი ნახევრად პორტუგალიელი და ნახევრად ესპანელი გახლავთ, თუმცა ინგლისში ცხოვრობს და საქმიანობს. ანარა ჯგუფ „ფანფეირში" მღეროდა, ხოლო ამჟამად სოლო კარიერით არის დაკავებული. ცნობისთვის, ანარას წარსულში რომანი ჰქონდა „არსენალის" შვედ ლეგიონერთან, ფრედრიკ იუნგბერგთან.

# ადრიან მუტუ სნუპ დოგის კლიპში

სკანდალებით განთქმული რუმინელი ვარსკვლავი ადრიან მუტუ, ცნობილი ამერიკელი რეპერის, სნუპ დოგის ახალ კლიპში გამოჩნდება. ცნობილია, რომ სნუპ დოგი ფეხბურთის მოყვარულია, ის თავად დაუკავშირდა ადრიან მუტუს და თავის კლიპში შესთავაზა როლი. კოკაინთან



დაკავშირებული სკანდალით განთქმული მუტუ ამჟამად რუმინული „პეტროლულის" ღირსებას იცავს და სნუპ დოგმა უკვე ჩაწერა რუმინული კლუბი თავისი საყვარელი გუნდების ჩამონათვალში.

# ანდრეი შევჩენკო მამობისთვის ემზადება

დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ანდრეი შევჩენკო მეოთხედ ემზადება მამობისთვის. შევჩენკოს, რომელსაც ზურგს უმაგრებს „მილანში", „ჩელსიში", კიევის „დინამოსა" და უკრაინის ნაკრებში გატარებული წარმატებული პერიოდი, სამი ვაჟი ჰყავს: 9 წლის ჯორდანი, 7 წლის კრისტიანი და ერთი წლის ალექსანდრი. ბავშვის სქესი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, უკრაინაში უკვე ხუმრობენ, რომ შევჩენკო დევიდ ბექჰემთან გაჯიბრებას აპირებს, რომელიც ასევე მრავალშვილიანი მამაა.

# ჩოგბურთელი და გოლფისტი დაოჯახებას აპირებენ

ჩოგბურთელი კაროლინ ვოზნიაცკი და ცნობილი გოლფისტი რორი მაკილროი ახლო მომავალში დაქორწინებას აპირებენ. ცერემონია სექტემბერში, ნიუ-იორკში შედგება, თუმცა ზუსტი თარიღი ჟურნალისტებისთვის ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია, რომ ქორწილზე დაპატიჟებულები იქნებიან სპორტის სამყაროში ცნობილი ადამიანები და, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ ქლინთონი, რომელიც მაკილროის პირადი პარტნიორია გოლფის თამაშის დროს. კაროლინასა და რორის ნიშნობა იანვარში შედგა და საქმრომ საცოლეს მაშინ 120 ათას დოლარად ღირებული ბეჭედი აჩუქა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# იულია ტიმოშენკო – ქარიზმატული ქალი პოლიტიკოსი და უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი

***2011 წლის აგვისტოდან, იულია ტიმოშენკო, პოსტსაბჭოთა სივრცის სავარაუდოდ ყველაზე ქარზიმატული ქალი პოლიტოკოსი და უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, დაპატიმრებული იყო და დასავლეთი მას „ვიქტორ იანუკოვიჩის პირად პატიმარს" უწოდებდა. უკრაინაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების ფონზე, მისი გათავისუფლება იანუკოვიჩის რეჟიმის რღვევის ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა. ალბათ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ოდიოზური და ქარიზმატული ქალი პოლიტიკოსის შესახებ გავრცელებული ცნობების გაცნობა.***



* გადმოცემის თანახმად, 1980-იანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, იულია ტიმოშენკო და მისი ქმარი, ალექსანდრ ტიმოშენკო, „პირატული" (არალიცენზირებული) ვიდეოპროდუქციის ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებით იყვნენ დაკავებულები. მათ ვიდეოკასეტების გაქირავებისა და ვიდეოსალონის რამდენიმე ობიექტი ჰქონდათ გახსნილი კიევში, საიდანაც სოლიდური ფინანსური მოგება ჰქონდათ. ოჯახის თავდაპირველი კაპიტალი, რითაც შემდგომში ტიმოშენკოებმა საკუთარი ენერგობიზნესი ააწყვეს, სწორედ ვიდეოკასეტების გაქირავებით დააგროვეს.

* დაპატიმრებამდე ქალბატონი ტიმოშენკო დიდ ყურადღებას უთმობდა თავის საფირმო ვარცხნილობას. პარიკმახერი, რომელიც ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს, ყოველდღიურად დადიოდა ყოფილ პრემიერ-მინისტრთან და 40 დოლარად „ლესია უკრაინკას" ნაწნავს უკეთებდა. სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა მითქმა-მოთქმა ტიმოშენკოს ვარცხნილობაზე, თითქოს ის არაბუნებრივი იყო. ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს, ინგლისელმა ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა ექსპრემიერ-მინისტრს, ნამდვილი იყო თუ არა მისი ნაწნავი, რაზეც ტიმოშენკომ ჟესტით უპასუხა – მან, უბრალოდ, ნაწნავი გაიშალა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ევრომაიდანზე ინვალიდის ეტლში მჯდარი იულია ტიმოშენკო თავისი საფირმო ვარცხნილობით გამოვიდა ხალხის წინაშე და მიმართა მათ. როგორც ჩანს, ლეგენდარული „ნაწნავი" ისევ დაბრუნდა დიდ პოლიტიკაში.

* იულია ტიმოშენკო ცნობილია, როგორც კარგი მზარეული. ყველაზე მეტად მას ნამდვილი უკრაინული ბორშჩისა და რუსული ბლინების მომზადება უყვარს. ტიმოშენკო მრავალჯერ იყო სტუმრად ტელევიზიებში და კერძების მომზადების თემაზე შექმნილ შოუებში იღებდა მონაწილეობას. უცხოეთში ყოფნისას კი ტიმოშენკო ესპანურ სამზარეულოს ამჯობინებს. მის საყვარელ კერძად კი პაელია ითვლება. კერძი ბრინჯისგან, ზღვის პროდუქტებისგან, ძეხვეულისა და ქათმის ხორცისგან მზადდება. პაელია ფლავის ერთგვარი სახეობაა.

* იულია ტიმოშენკოს ეთნიკურ წარმომავლობაზე უკრაინაში დღემდე ბევრს კამათობენ. თავად იულია ტიმოშენკო საზოგადოების წინაშე ყოველი გამოსვლის დროს თავის უკრაინულობას უსვამს ხაზს, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული ენა 1999 წელს ისწავლა. დნეპროპეტროვსკში დაბადებულ იულია ტიმოშენკოს, ერთ-ერთი უკრაინული წყაროს ცნობით სომხურ-რუსული წარმომავლობა აქვს. მისი დედის გვარია ტელეგინა, ხოლო მამის – გრიგიანი. დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა ლაპარაკი ტიმოშენკოს სომხურ წარმომავლობაზე, მაგრამ, ერთ-ერთი გამოსვლის დროს იულიამ აღნიშნა, რომ მის ძარღვებში ლატვიური სისხლი ჩქეფს. საქმე ისაა, რომ, იმ დროს, როდესაც მამამისი პასპორტს იღებდა, საპასპორტო განყოფილების თანამშრომელს შეცდომა მოუვიდა და ლატვიური „გრიგიანისის" ნაცვლად პასპორტში სომხური „გრიგიანი" ჩაწერა. სხვათა შორის, მკვლევრებს გაუჭირდათ „გრიგიანისის" გვარის წარმომადგენლების მოძებნა ლატვიაში. ასეთი გვარის ადამიანები იქ, უბრალოდ, არ ცხოვრობენ, სამაგიეროდ, ბევრი იყო გვარად „გრიგიანსი". თავად ტიმოშენკო ამტკიცებს, რომ მისი გვარი საკმაოდ გავრცელებულია ლატვიაში და მამამისის გვარში ყველა ლატვიელია, ხოლო თვითონ, გრიგიანისების მეათე თაობის წარმომადგენელია. სომეხ მკვლევრებს განსხვავებული ვერსია აქვთ, კერძოდ, ეთნოგრაფ ლევ აზატიანის მტკიცებით, იულია ტიმოშენკო წარმოშობით მთიანი ყარაბახიდან არის – სწორედ ამ რეგიონში არის გავრცელებული გრიგიანების გვარი. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმად, გრიგიანების გვარის წარმომადგენლები ბესარაბიელი ებრაელები ან ბოშები არიან. სულ ბოლო ინფორმაციით კი ცნობილი გახდა, რომ იულია ტიმოშენკოს მამის ნამდვილი გვარი კაპიტელმანი იყო – აბრამ კელმანის ძე კაპიტელმანმა გვარი სტალინის რეპრესიების შიშით შეიცვალა და გრიგიანი გახდა.

# მხოლოდ ფაქტები

* კოლუმბიაში აკრძალულია მოტოციკლზე ორის დაჯდომა, აგრეთვე ისეთი ჩაფხუტის გამოყენება, რომელიც სახეს ფარავს, რადგან ასე მაფიის მიერ დაქირავებული მკვლელები ინიღბებოდნენ. მძღოლებს კი საათები მარჯვენა ხელზე უკეთიათ, რომ ქურდებმა არ წაგლიჯონ.

* ქირურგ-კოსმეტოლოგების მიერ პლასტიკური ოპერაცია მაშინაა მაღალი კლასის, როცა კვალი არ რჩება. თუმცა, პლასტიკური ოპერაციების „გარიჟრაჟზე" მდიდარ „დეიდებს" თავი რომ მოეწონებინათ ამ სიახლით, ექიმებს სპეციალურად სთხოვდნენ, რომ ნაოპერაციები შესამჩნევი ყოფილიყო.

* არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი სამ წელიწადში ერთხელ ოქროს მედლით აჯილდოებს ქალაქს, რომელიც საუკეთესოდაა შეთავსებული ადამიანის დასახლებისთვის უვარგის ბუნებრივ პირობებს. ასეთი მედალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ქალაქ შევჩენკოს მიაკუთვნეს.

* მეთვრამეტე საუკუნეში საქსონიის მეფის, ავგუსტის ბრძანებით, ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მათ დამამზადებლებს არკანისტებს უწოდებდნენ – ლათინური სიტყვიდან „არკანი", რაც საიდუმლოს ნიშნავს.

* ერთ-ერთ ნაშრომში ლენინმა ხალხი სამ კატეგორიად დაჰყო: დამნაშავეებად, სასარგებლო იდიოტებად და კომუნისტებად.

*1990 წელს ლივერპულელმა ყასაბმა ფრენკ ჰორბნმა შექმნა პირველი საბავშვო კონსტრუქტორი და მას „მეხანო" უწოდა. გამომგონებელი მილიონერი გახდა და წიგნიც კი დაწერა: „ფრენკ ჰორბნი: ადამიანი, რომელმაც სათამაშოთი მილიონი გამოიმუშავა."

* რუსი სამხედრო უწყება ალექსანდრ მეორის გადაწყვეტილების – ალასკის ამერიკისთვის მიყიდვის სასტიკი წინააღმდეგი იყო. თუმცა, არაფერი გამოუვიდა. ამიტომ, ამერიკელების „გაწვალება" გადაწყვიტეს და მათთვის ალასკის არც ერთი რუკა არ გადაუციათ. ამერიკელები იძულებული გახდნენ, ახალი რუკები შეედგინათ.

* მეოცე საუკუნის ბოლოს, ჰოლანდიასა და ინგლისში მოწევის წინააღმდეგ საბრძოლველად, სპეციალურად გამოუშვეს სიგარეტები, სახელწოდებით „სიკვდილი". კოლოფზე გამოსახული იყო თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით. აქციამ უკურეაქცია გამოიწვია – ახალგაზრდებში მწეველთა რიცხვი გაიზარდა.

* ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ორი რობოტი მოქმედი ვულკანის კრატერში სამუშაოდ და სახელად მათ „დანტე" და „ვირგილიუსი" უწოდეს.

# როდრიგო სანტორო – ჰოლივუდის ბრაზილიელი ვარსკვლავი

***მსოფლიოს კინოეკრანებზე გახმაურებული ფილმის, „300 სპარტელის" გაგრძელება – „300 სპარტელი: იმპერიის აღორძინება" გამოვიდა, სადაც მთავარ პერსონაჟად არა გმირი სპარტელები, არამედ, სისასტიკით განთქმული მეფე ქსერქსე მოგვევლინა. ქსერქსეს როლი ბრაზილიელი ვარსკვლავის, როდრიგო სანტოროსთვის, ჰოლივუდში ყველაზე წარმატებულად ითვლება. სწორედ ამ ქარიზმატული ისტორიული პერსონაჟით გაიცნო სანტორო მსოფლიომ, თუმცა, მანამდე ქართველი მაყურებლისთვის ის ბრაზილიური „საპნის ოპერებიდანაც" იყო ცნობილი.***

* როდრიგო სანტორო დაიბადა 1975 წლის 22 აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში. სკოლის დამთავრების შემდეგ როდრიგომ სწავლა ჟუნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო პაპის კათოლიკურ უნივერსიტეტში, თუმცა, მალევე გადაწყვიტა, რომ კინომსახიობობა სურდა და სწავლა ტელეარხ „რედე გლობოს" სამსახიობო სკოლაში განაგრძო, საიდანაც შემდგომ ტელესერიალებში თამაში დაიწყო.

* როდრიგოს მშობლები: მამა, ფრანჩესკო სანტორო – ინჟინერია, ხოლო დედა, მარია ხოსე ჟანქეირა დოს რეიესი – პლასტიკური ქირურგი. მამა წარმოშობით იტალიელია, დედა კი – ბრაზილიელი.




* 4 წლის ასაკში როდრიგომ ბაბუასგან მიიღო საჩუქარი, რომელიც დღემდე საუკეთესოდ მიაჩნია – ბაბუამ მას ცხენი აჩუქა.

* როდრიგო სანტოროს საყვარელი მსახიობები არიან ალ პაჩინო და რობერტ დენირო.

* კინოს პარალელურად, როდრიგოს რეკლამებშიც იწვევენ. იგი ჟიზელ ბიუნდჰენთან და ნიკოლ კიდმანთან ერთად არის გადაღებული სარეკლამო რგოლებში, მათ შორის, განთქმული „შანელ №5-ის" რეკლამაში.

* როდრიგო სანტორო აქტიურადაა ჩართული ქველმოქმედებაში. იგი „იუნისეფის" მიერ ორგანიზებულ საფეხბურთო მატჩებში იღებს მონაწილეობას ფეხბურთის სმსოფლიო ვარსკვალვებთან ერთად. მაგალითად, 2008 წელს სანტორო ერთ გუნდში თამაშობდა ლუიშ ფიგუსა და ალან შირერის გვერდით.

* როდრიგო რიოში ცხოვრობს და უარს აცხადებს ლოს-ანჯელესში გადასვლაზე.

* როდრიგო სანტორო უილიამ შექსპირის და „ზი დორსის" შემოქმედების თაყვანისმცემელია.

* როდრიგო სანტორო ერთ-ერთ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა გახმაურებულ ამერიკულ ტელესერიალში „დაკარგულები".

* როდრიგო 4 წლის განმავლობაში ხვდებოდა ბრაზილიელ მოდელ ელენ ჟაბურს, თუმცა, წყვილი 2008 წელს დაშორდა. მას შემდეგ როდრიგოს გული თავისუფალია.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## რა იწვევს შაქრიანი დიაბეტის და პანკრეატიტის დაავადების განვითარებას

პანკრეასი, ანუ კუჭქვეშა ჯირკვალი, ენდოკრინულ სისტემას ეკუთვნის. ის გამოყოფს ჰორმონ ინსულინსა და მის საწინააღმდეგო გლუკაგონს. აქვს მეტად მნიშვნელოვანი გარეგანი სეკრეციის ფუნქცია, კერძოდ, მის მიერ გამოიყოფა საჭმლის მონელებაში მონაწილე ფერმენტების: ტრიფსინის, ლიპაზისა და ამილაზის შემცველი წვენი. პანკრეასის წვენის უკმარისობის დროს ძნელდება ცხიმების მონელება.

პანკრეასის ინსულარული აპარატის დაზიანება იწვევს შაქრიან დიაბეტს, ფერმენტული ნაწილის ანთება კი – პანკრეატიტს. პანკრეატიტი, შესაძლოა, იყოს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობის. ეს იმ ადამიანებს უვითარდებათ, ვისაც აქვთ ნაღველკენჭოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, ქოლანგიტი და ასე შემდეგ. დაავადების მაპროვოცირებელ ფაქტორად ითვლება დიეტის დარღვევა, მწარე და ცხიმიანი საჭმლის, ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღება, არასრულფასოვანი კვება და ასე შემდეგ. პანკრეატიტის განვითარების მექანიზმი დაკავშირებულია ნაწლავებში მისი წვენისა და ნაღვლის გადასვლის პროცესის დარღვევასთან, რასაც შედეგად მოჰყვება პანკრეასის ქსოვილის თვითმონელება.

მწვავე პანკრეატიტი მუცლის შეტევით, მწვავე ტკივილით იწყება. ავადმყოფს აღენიშნება ხშირი ღებინება. ამ დროს მდგომარეობა ძალიან რთულია და სერიოზული. ეს ყველაფერი, შესაძლოა, ნაწლავთა გაუვალობის მიზეზიც კი გახდეს.

დღეს მეტად ხშირია ქრონიკული პანკრეატიტის შემთხვევები. ადამიანს ამ დროს აწუხებს მუცლის შებერვა, ბოყინი, შეკრულობა, ან, პირიქით – ფაღარათი; აღინიშნება ტკივილი მუცლის ზედა ნაწილში და მარჯვენა ფერდქვეშ. თუ ქრონიკული პროცესი გამწვავდა და ადამიანმა დროულად არ უშველა თავს, შესაძლოა, განვითარდეს მწვავე პანკრეატიტი.

ქრონიკული პანკრეატიტის მკურნალობის ძირითადი პრინციპი სათანადო დიეტის დაცვაა. ამ დროს საკვები უნდა იყოს ნაკლებად ცხიმიანი, მაგრამ, ცილებით გაჯერებული; ასევე, ის უნდა შეიცავდეს ვიტამინებსა და ნახშირწყლებს.

ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაღველკენჭოვანი დაავადებისა და ქოლეცისტიტის სათანადო მკურნალობის კურსის ჩატარებას. ცხიმიანი და ცხიმში შემწვარი პროდუქტები იწვევენ დაავადების გამწვავებას. ამიტომ, გირჩევთ, მოერიდოთ მსგავსი საკვების მიღებას. თუ სხვა გამოსავალი არ გაქვთ და მოგიწიათ მათი ჭამა, სასწრაფოდ დააყოლეთ ფერმენტული პრეპარატი, რათა მოხდეს ცხიმის დროული ნეიტრალიზაცია. ქრონიკული პანკრეატიტი, სათანადო დიეტისა და ექიმის მითითებების დაცვის შემთხვევაში დუნედ, ხანგრძლივად მიმდინარეობს და ამ დროს სერიოზული გართულებები მოსალოდნელი არ არის.

## ენის კუნთების გაძლიერება საჭმლის უკეთ ათვისებაში დაგეხმარებათ

საჭმლის მომნელებელი ტრაქტი პირის ღრუდან იწყება – სწორედ აქ ხდება საჭმლის დაქუცმაცება, ნერწყვით დასველება და დაგემოვნება. ორგანიზმის მიერ საკვების ათვისება ბევრადაა დამოკიდებული პირის ღრუს სწორ მუშაობასა და საკვების გადასამუშავებელი სისტემის მდგომარეობაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ჯანმრთელობასთან. ენის ზედა მხარეს, ფუძესთან ახლოს, მკვდარი ეპითელიუმის ნაწილაკები გროვდება, რომლებიც პირის ღრუში საკვების ნარჩენებსა და მავნე ნივთიერებებს აყოვნებს. გახრწნის პროცესში ეს უკანასკნელი გამოყოფს ტოქსინებს, რაც სისხლში შეიწოვება და ჯანმრთელობისთვის საშიში და საზიანოა და, ასევე, ხდება პირის ღრუში ცუდი სუნის მიზეზი. ამიტომ, საჭიროა სისტემატურად მოიშოროთ ენიდან ნადები. ენის გაწმენდა შეიძლება ჩაის კოვზითაც. გაწმენდის შემდეგ კი ენაზე მზესუმზირის ზეთი წაისვით. ენა დილა-საღამოს უნდა გაიწმინდოთ, კბილების გახეხვის შემდეგ.

ენის კუნთების გასაძლიერებლად და სისხლის უკეთ ცირკულაციისთვის კარგია სპეციალური ვარჯიშის შესრულება: ენა მაქსიმალურად ასწიეთ ზემოთ და ძლიერად მიაჭირეთ სასას, შემდეგ კი მოადუნეთ (გაიმეორეთ რამდენჯერმე); ასევე, დახარეთ თავი და ენა მაქსიმალურად გამოყავით გარეთ, შემდეგ კი მოდუნდით და თავი მაღლა ასწიეთ.

სასას ისევე ესაჭიროება გასუფთავება, როგორც ენას. ორგანიზმში მოხვედრილი საკვების შეწოვის პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. სასა კბილებისა და ენის გაწმენდის შემდეგ უნდა გაისუფთაოთ. გამოსავლებად კარგია კალენდულას სპირტხსნარი, მუხის ქერქის, სალბისა და გვირილის ნაყენი.

## როგორ შევიმსუბუქოთ გაზაფხულზე მცენარის მტვერზე ალერგია

მცენარეების ყვავილობის დაწყებასთან ერთად, ალერგიულ ადამიანებს დისკომფორტი ეწყებათ. პოლინოზი მცენარეთა მტვრის მიმართ ალერგიული რეაქციაა. მისი სიმპტომებია: სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსის ანთება, სურდო, თვალის ჩასისხლიანება და წვა, ყელის ტკივილი, ხველა. ავადმყოფის რეაქცია, სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ვითარდება ჭინჭრის ციება, ქსოვილის შეშუპება, ასთმა, ხშირად კი, შესაძლოა, პოლინოზი სერიოზულ ქრონიკულ დაავადებაში გადაიზარდოს.

ნებისმიერი ალერგია იმუნური სისტემის რეაქციაა ამა თუ იმ ალერგენის მიმართ. იმუნიტეტი კი ადამიანის ორგანიზმს იცავს ვირუსებისა და ბაქტერიებისგან. ის, ასევე, მკვეთრად რეაგირებს ნებისმიერ გამღიზიანებელზე. როცა ადამიანი ალერგენებთან კონტაქტს ამყარებს, იმუნური სისტემა ამზადებს ანტისხეულს, კერძოდ, E იმუნოგლობულინს, რომელიც აიძულებს უჯრედებს, გამოიმუშაონ ჰისტამინი და სხვა ნივთიერებები, რაც ალერგიულ სიმპტომებს იწვევს. თუ ჰისტამინი ცხვირის ქსოვილში გამოიყოფა, იწყება სურდო; თუ ფილტვებსა და ბრონქებში – ასთმა; კანის ქსოვილში ჰისტამინის გამოყოფის დროს – ჭინჭრის ციება, ნაწლავებში კი – კვებითი ალერგია.

ზოგადად, ალერგიას იწვევს ცილა, რომელიც მტვრის შემადგენლობაშიც შედის. ეს ცილა კვების პროდუქტებშიც გვხვდება, ამიტომ, პოლინოზი ხშირად კვებით ალერგიასთანაა კავშირში. განსაკუთრებით აქტიური კვებითი ალერგენებია: კაკაო, კვერცხი, შოკოლადი, ყავა, რძე, თევზი, ბანანი, თაფლი, ჰალვა, ციტრუსები, მიწის თხილი, მარწყვი და ასე შემდეგ.

ალბათობა იმისა, რომ ყვავილთა მტვრის ან კვებითი პროდუქტების მიმართ ალერგია დროთა განმავლობაში გაივლის, ილუზიაა. შორს წასული და უყურადღებოდ დატოვებული პოლინოზი, ზოგ შემთხვევაში, ახალი სიმპტომებით ვლინდება – ყალიბდება ასთმა, ამიტომ, მისი მკურნალობა დროულად და შესაბამის სპეციალისტთან უნდა მოხდეს.

## რატომ უნდა ჭამოთ ხშირად პომიდორი და ყოველდღე სვათ მისი წვენი

პომიდორი C, B, $B_1$, $B_{12}$, PP და D ვიტამინებს, ასევე, ფოლის მჟავას, მინერალურ მარილებსა და ორგანიზმისთვის საჭირო სხვა ვიტამინებს და მინერალებს შეიცავს.

ყოველდღე ერთი ჩაის ჭიქა პომიდვრის წვენის დალევით თქვენ A ვიტამინის დეფიციტს შეივსებთ. დაახლოებით 200 მილილიტრი პომიდვრის წვენი 1 მილიგრამ კაროტინს შეიცავს, რომლის დღიური ნორმა სამი მილიგრამია. კაროტინი ადამიანის ორგანიზმში A ვიტამინად გარდაიქმნება.

პომიდორში მცირე რაოდენობით გვხვდება ცილები, გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა, ორგანული მჟავები, სხვათა შორის, ვაშლისა და ლიმონის მჟავაც. რაც აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, ამცირებს ნაწლავური ბაქტერიების ზრდას. სწორედ ამ თვისებების გამო, პომიდორი

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 28 წლის მამაკაცი. მარცხენა ფეხზე, მუხლის ოდნავ ზემოთ უკანა მხარეს, მაქვს ჩალურჯებული კანი და პატარა სიმაგრეები. ასევე, სიმაგრის გარშემო კანი ოდნავ აქერცლილია. სიმაგრეზე ხელის შეხებისას კი მსუბუქ ტკივილებს ვგრძნობ. ზოგჯერ მექავება და ოდნავ სისხლიც მომდის. რა შეიძლება, იყოს ეს სიმაგრეები?**

**პასუხი:** საინტერესოა, ხომ არ განვითარდა ეს ჩალურჯება რაიმე ტრავმის შემდეგ. თუ ტრავმა არ გქონიათ, საჭიროა, ექიმთან დროული ვიზიტი და დაზიანების კერის დათვალიერება. უნდა გაკეთდეს სისხლის საერთო ანალიზი სისხლის სისტემის შესამოწმებლად. აგრეთვე, უნდა გამოირიცხოს კანის პათოლოგია, ვენების თრომბოზი. ზეპირად ძნელია კონკრეტული დასკვნის გაკეთება.

**კითხვა: ერთი კვირის წინ გადამიბრუნდა ფეხი. ექიმმა მყესები გაქვს დაჭიმულიო და თაბაშირში ჩამისვა. ორი კვირის განმავლობაში ასე გქონდესო. გუშინ მოვიხსენი (კიდევ ერთი კვირა უნდა მკეთებოდა, მაგრამ არ მტკიოდა და სახლიდან უნდა გავსულიყავი) და დიდად დასიებული არ იყო. დღეს დილით გუშინდელთან შედარებით უფრო დასიებულია. არ მტკივა საერთოდ, მაგრამ სიარულის დროს მეჭიმება და კოჭთან ძალიან დასივდა. რა ვქნა? რომ ვიარო, სერიოზულად გავიმიზეზებ?**

**პასუხი:** კარგი იყო, ექიმის მითითება შეგესრულებინათ. დასიება რამდენიმე დღეში გაგივლით, მანამდე ეცადეთ, დიდხანს ნუ იდგებით ფეხზე. პერიოდულად, ფეხი მაღალზე შემოდეთ და დაასვენეთ. თუ მხოლოდ დაჭიმულობა იყო, ყველაფერი მალე გაივლის.

**კითხვა: რეკომენდებულია თუ არა კალცი D3 ნიკომედის მიღება 65 წლის ასაკში?**

**პასუხი:** ამ ასაკში კალციუმის პრეპარატების მიღება ნამდვილად რეკომენდებულია, მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ არის რძისა და რძის პროდუქტების სათანადო რაოდენობით გამოყენების ჩვევა.

**კითხვა: 22 წლის ბიჭი მომენტალურად კარგავს ფერს. რისი ბრალი შეიძლება, იყოს?**

**პასუხი:** თუ ბიჭი ზედმეტად ემოციურია, შესაძლოა, ფერის დაკარგვა ამას უკავშირდებოდეს. თუმცა, ყურადღებით იყავით და თუ სხვა საგულისხმო სიმპტომსაც შეამჩნევთ, აუცილებლად გამორიცხეთ სხვა შესაძლო მიზეზებიც, მაგალითად ანემია, გულის პათოლოგია და ასე შემდეგ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

კარგი სამკურნალო და პროფილაქტიკური პროდუქტია.

პომიდორი განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, გაცხიმოვნებისა და მარილოვანი ცვლის დარღვევის დროს. კალციუმისა და C ვიტამინის შემცველობის გამო, ის აუცილებელია ორსულებისთვის.

პომიდვრის რბილობი კი უებარი საშუალებაა ჩირქოვანი იარების მოსაშუშებლად.

## ოხრახუში სამკურნალო მცენარეა

ოხრახუში, თავისი უნიკალური თვისებების გამო, ოდითგანვე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც სამკურნალო მცენარე. ის ეხმარება სისხლის შედედებას, ასევე, მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.

შეშუპების დროს, 1 ჭიქა ოხრახუშის დაჭრილ ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში მთელი ღამით, დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის შემდეგ შეისვენეთ და 3 დღის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.

ჰემოგლობინის ასამაღლებლად საჭიროა ოხრახუშის ქორფა ფოთლებისა და ფესვების მიღება. ის მოქმედებს როგორც უებარი საშუალება.

ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ, მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასასუფთავებლად.

200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების შემთხვევაში, როგორც შარდმდენ საშუალებას; ასევე, ისეთი ინფექციური დაავადებების დროს, როგორიცაა წითელა, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

თუ გსურთ, თირკმლები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.

## გაზაფხულზე აუცილებლად ჭამეთ შოკოლადი, ვაშლი, ბანანი და კივი

გაზაფხულზე მთავარი საკვები შოკოლადია, თანაც, მწარე და არა თეთრი ან რძიანი. ის საგრძნობლად აუმჯობესებს გუნება-განწყობას და სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. შოკოლადი შეიცავს თეობრომინს, რომელიც ეხმარება ორგანიზმს სეროტონინის გამომუშავებაში; ზრდის იმუნიტეტს და შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ასე რომ, თუ ზომიერად ჭამთ შოკოლადს, ჯანმრთელობას ნამდვილად კეთილ სამსახურს გაუწევთ. შოკოლადი, აგრეთვე, ამაგრებს იმუნიტეტს და დადებითად მოქმედებს სისხლძარღვებზე.

იმუნური უჯრედების დაახლოებით 60-70 პროცენტი ნაწლავებშია თავმოყრილი და, ამიტომ, გვჭირდება ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც ეხმარება მას სწორად მუშაობაში. აუცილებელია, მივიღოთ ბიფიდოკეფირები, ბოსტნეული და ხილი, რომელიც შეიცავს უჯრედისს.



გაზაფხულზე დღის განმავლობაში უნდა მიირთვათ 2 ციტრუსი, 2 ვაშლი, 2 ბანანი და 2 კივი. თუ გრძნობთ, რომ გაციებული ხართ, დალიეთ დარიჩინიანი ჩაი.

ნაწლავების ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს მისი არასწორი მუშაობა, ნერვული სტრესი, დისბაქტერიოზი და, რასაკვირველია, არასწორი კვება. ამიტომ, ნაწლავების ნორმალური მუშაობისთვის აუცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკა დისბაქტერიოზზე. გაზაფხულზე მიირთვით ბევრი ბოსტნეული, ყოველდღიურად მიიღეთ რძის პროდუქტები, ორ ლიტრამდე სითხე. ასევე, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ ჰაერზე და მეტი ივარჯიშეთ.

სისხლძარღვების გასამაგრებლად საჭიროა 3 ცალი ლიმონი, 250-300 გრამი ნატურალური თაფლი და სამი კბილი ნიორი. ეს პროდუქტები ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მოათავსეთ ქილაში, კარგად, მჭიდროდ დაახურეთ თავზე და შედგით მაცივარში. მიირთვით ყოველდღე, უზმოზე, 1 სადილის კოვზი და დააყოლეთ ერთი ჩაის ჭიქა ცივი წყალი, ოღონდ, აუცილებლად ანადუღარი. ეს კურსი ორი თვე გრძელდება.

მომატებული მჟავიანობის დროს კი მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა გადადუღებულ წყალში გახსნილი 2 სადილის კოვზი თაფლი, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ დააყენეს რეზო ჩხეიძე სტალინის კუბოსთან და როგორ ტიროდა ბერია მის წინ

*რეზო ჩხეიძე ერთ-ერთი იმ რეჟისორთაგანია, ვინც ქართული კინოს გემო გვაგრძნობინა. დღეს ბატონი რეზო 87 წლისაა. სპეციალურად ჩვენ მკითხველს იგი ექსკლუზიურად უამბობს ყველაფერ იმაზე, რის შესახებაც მათ ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არაფერი იციან.*



**– ბატონო რეზო, ახალგაზრდობის წლების გახსენებით დავიწყოთ: როგორ შემოიჭრა თქვენს ცხოვრებაში კინო, როგორ გახდით მოსკოვში „ვგიკის" სტუდენტი, სადაც მოხვედრა, როგორც ვიცი, საკმაოდ რთული იყო?**

– ერთხელ შევამჩნიე, როგორ მოიხსნა მამას მეგობარმა, გრიშა კოსტავამ ***(ცნობილი მსახიობი, მედეა ჯაფარიძის პირველი მეუღლე – ავტორი),*** მიწებებული ულვაშები და წვერი. ცუდად გავხდი, წარმოუდგენელი იყო ჩემთვის ასეთი სწრაფი გარდასახვა, მაგრამ ამავე დროს, საოცრად საინტერესო და მეც მომინდა თეატრალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ალბათ, ამან განაპირობა ჩემი შემდგომი გატაცება.

**– თენგიზ აბულაძე იყო ადამიანი, რომელსაც თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა: ერთმანეთს ძმებივით ედექით გვერდში, ერთად სწავლობდით, ერთად იღებდით ფილმებს, თითქოს ჰგავდით კიდეც ერთმანეთს ბევრ რამეში. როდის და როგორ აღმოჩნდა ის თქვენ გვერდით?**

– მე და ჩემი თანაკლასელები სპექტაკლებს ვდგამდით ხოლმე. ამ პერიოდში თბილისის სხვა სკოლაშიც შეიქმნა თეატრალური წრე, რომელსაც თენგიზ აბულაძე ედგა სათავეში. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, მგონი, ვორონცოვზე, ერთმანეთის სპექტაკლები ვნახეთ და ორივემ გადავწყვიტეთ, ერთად ჩაგვებარებინა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე. ორივეს კინო უფრო გვაინტერესებდა, მაგრამ, თბილისში მაშინ კინოფაკულტეტი არ იყო. მე და თენგიზი ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში და კინოზე ვოცნებობდით. გადავწყვიტეთ „ვგიკში" ჩაბარება. მე მამის ბიბლიოთეკა გავყიდე – სხვა საშუალება ოჯახს არ ჰქონდა. თენგიზის ოჯახმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოსკოვში წავსულიყავით. მოსკოვში რომ ჩავედით, ღამის გასათევიც არ გვქონდა და რამდენიმე ღამე ტაქსის მძღოლთან გავატარეთ. მერე გავიგეთ, რომ მოსკოვში ქართველი სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი იხსნებოდა და იქ მივედით. საბუთები „ვგიკში" შევიტანეთ, ინსტიტუტის დირექტორმა (მაშინ ასე იწოდებოდა) შემოგვთავაზა: თქვენი საბუთებით, შეიძლება, მესამე კურსზე დაგსვან, რატომ გინდათ გამოცდების თავიდან ჩაბარება, ეგებ, ვერ აბარებთ და დარჩებით ინსტიტუტის გარეთო. მე და თენგიზმა ერთმანეთს გადავხედეთ და ერთხმად განვაცხადეთ, რომ ჩვენ გვინდა კინოს საფუძვლიანად შესწავლა და, ამიტომ, ამ შემოთავაზებაზე უარი განვაცხადეთ.



**– თქვენი თაობის სტუდენტებს, ვინც მოსკოვში ცხოვრობდით, ძალიან გიჭირდათ ფინანსურად. ამ დროს თქვენს ოჯახებსაც უჭირდათ, ზოგი ახერხებდა შვილისთვის რაღაც გაეგზავნა, ზოგი – ვერა...**

– სტუდენტობის პერიოდში ხშირად მშივრები ვიყავით. მახსოვს, ერთ დღეს, ვწევართ და ვერ ვდგებით – მეორე დღეა, არაფერი გვიჭამია. ჩვენს ოთახში შემოდის ჩვენი მეზობელი გია მარგველაშვილი, ლიტერატურული ინსტიტუტის სტუდენტი, იდეით – გაზაფხული მოვიდა, ჩავაბაროთ პალტოები და საჭმელი ვიყიდოთო. ავდექით და წავედით ლომბარდში, რომელიც პროკურატურის წინ მდებარეობდა. ზამთარია, რიგია. ყველას ჩემოდნები და ფუთები უჭირავს ხელში, ყველას რაღაცის ჩაბარება სურს. ვდგავართ ჩვენ, ხუთი სტუდენტი, ჩვენი პალტოებით. როგორც იქნა, მოაღწია ჩვენმა რიგმაც. გავიხადეთ პალტოები. რიგში მოხუცები გვეხვეწებიან – ეს არ გააკეთოთ, ზამთარი ჯერ კიდევ წინააო. გამოვედით ლომბარდიდან და თოვლიც წამოვიდა. პალტოები აღარ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს ფული და, როგორც ნამდვილი ქართველები, რესტორანში წავედით. სანამ ცოცხალი ვარ, ეს დღე სულ მემახსოვრება.

## ჩემი ქალიშვილის დაპატიმრების ამბავი ძალიან მიჭირდა, მაგრამ ამ საქმეში ვერ ჩავერეოდი

აი, ამ ბიჭებიდან დღეს მხოლოდ მელა დავრჩი. სტუდენტური წლები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი გახლდათ. ჩვენ მუდამ უფულოდ ვიყავით, თუმცა, სტუდენტურ თავყრილობებზე ჩარლი ჩაპლინის სადღეგრძელოს ყოველთვის პირველს და ფეხზე ადგომით ვსვამდით.

**– ბევრი საინტერესო, ისტორიული მნიშვნელობის ნივთი ინახება თქვენს სახლში,**



**მაგალითად, სამგლოვიარო ლენტი რომელიც სტალინის გასვენებაში გაგიკეთეს.**

– 1953 წლის 8 მარტს რადიოთი გამოაცხადეს სტალინის გარდაცვალების შესახებ. საღამოს საერთო საცხოვრებელში საბჭოთა კავშირის კომკავშირის „ცეკადან" დარეკეს და გვითხრეს, რომ საქართველოდან დელეგაცია მოსკოვში უამინდობის გამო ვერ გამოფრინდა და ჩვენ დაგვევალა დიდი ბელადის უკანასკნელ გზაზე გაცილება. გვირგვინი უნდა მიგვეტანა სვეტებიან დარბაზში, სადაც სტალინი გახლდათ დასვენებული და საპატიო ყარაულშიც ჩავმდგარიყავით. ჩვენ სამგლოვიარო ლენტები გაგვიკეთეს და ბელადის ცხედრისკენ წაგვიყვანეს. შევჩერდი, მინდოდა, მისი სახე კარგად დამემახსოვრებინა. ჩვენ შემდეგ საპატიო ყარაულში ცენტრალური კომიტეტის წევრები დადგნენ. კარგად ვხედავდით, როგორ ტიროდნენ მალენკოვი, ბერია და ხრუშჩოვი. დილით სტალინი მავზოლეუმში გადაასვენეს.



**– „მაგდანას ლურჯას", რომელიც თქვენი და თენგიზ აბულაძის პირველი ერთობლივი ნამუშევარია, თურმე, სხვა ცნობილ რეჟისორს აძლევდნენ. რატომ?**

– „ვგიკის" შემდეგ თბილისის კინოსტუდიაში დავბრუნდით. ძალიან თბილად მიგვიღეს. სამი თვის შემდეგ გოგოძემ თავისი სცენარი შემოგვთავაზა – „მაგდანას ლურჯა". მე და თენგიზმა ფილმზე მუშაობა დავიწყეთ. ჩვენ ყველაზე ახალგაზრდები ვიყავით კინოსტუდიაში, რჩევებს გვაძლევდნენ, გვეხმარებოდნენ, თუმცა, მოულოდნელად გადაწყდა, რომ ფილმი უფრო ცნობილი რეჟისორისთვის გადაეცათ. შეიკრიბა სპეციალური კომისია. ჩვენს დასაცავად გალაკტიონ ტაბიძე გამოვიდა. მან თქვა: „ამ ეკრანს ბევრი კარგი ფილმი უნახავს, მაგრამ, ასეთი – არა. მიეცით საშუალება ახალგაზრდებს, ფილმი დაამთავრონ. ეტყობათ, რომ ძალიან ნიჭიერები არიან." მოკლედ, ფილმი გადავიღეთ და მის სანახავად მოვიდა საქართველოს კომპარტიის „ცეკას" მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელსაც აშკარად შეეტყო, რომ ფილმი არ მოეწონა. არადა, ერთი თვით ადრე ნახა ფილმი „ცისკარა" და აღფრთოვანებული დარჩა. მე და თენგიზი გაოცებულები ვიყავით – ვერ მივხვდით, რა მოხდა.

**– „ჯარისკაცის მამასაც" ახლავს პატარა ისტორია.**

– მე და ჩემი თანაკურსელი სულიკო ჟღენტი კინოსტუდიის ეზოში ვიდექით. ლიბრეტოს მხოლოდ რვა გვედრი მომცა, რომელიც, ფაქტობრივად, ავტობიოგრაფიული იყო. ამას არანაირი მნიშვნელობა არ მივანიჭე, მაგრამ, ტრამვაიში ჩაჯდომისთანავე კითხვას შევუდექი. ვერც კი შევამჩნიე, რომ ეს რვა გვერდი რამდენჯერმე მიყოლებით გადავიკითხე. კინოსტუდიაში მისვლისთანავე სერგო ზაქარიაძესთან შევედი საგრიმიოროში. სულმოუთქმელად მოვუყევი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გაემგზავრა კახელი გლეხი ჰოსპიტალში დაჭრილი შვილის მოსანახულებლად. სერგო თითქოს არ მისმენდა, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ მის თვალებზე ცრემლი შევამჩნიე, მკითხა, ამას მე რატომ მიყვებიო. მინდა, მამის როლი თქვენ შეასრულოთ-მეთქი. ყველაზე ბედნიერი მსახიობი ვიქნებოდიო, – მომიგო. ჩემს გადაწყვეტილებას, მთავარ როლზე სერგო ზაქარიაძე ამეყვანა, კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხელმძღვანელობა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. მათ სურდათ, რომ ეს როლი სპარტაკ ბაღაშვილს ეთამაშა, რადგან, იმ

# ოზონოთერაპია ქრონიკული კოლიტის, გასტრიტისა და გასტროდუოდენიტის დროს

*„აინო" – ოზონოთერაპიის კლინიკა, რომელიც თბილისში, მცხეთის ქუჩაზე, №8/90-ში მდებარეობს, სწორედ ის ადგილია, სადაც თქვენს ჯანმრთელობაზე სათანადოდ ზრუნავენ პროფესიონალი ექიმები. უამრავი ადამიანი უკავშირდება მათ კლინიკაში, ტელეფონის ნომრებზე: 225 31 39 / 571 25 55 33. ისინი, ვინც ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის, მედიკამენტურ მკურნალობას, სწორედ ოზონოთერაპიას ამჯობინებს და შედეგიც სახეზეა. დღეს უამრავი მადლიერი ადამიანია, რომლებმაც ამ გზით ჯანმრთელობის პრობლემები მოიგვარეს და თავს ძალიან კარგადაც გრძნობენ. როგორც ამბობენ, ოზონოთერაპია გასტროენტეროლოგიაშიც ძალიან ეფექტურია. ამის გადასამოწმებლად კი „აინო"-ოზონოთერაპიის კლინიკის ექიმს, ქალბატონ ადა მჭედლიძეს გავესაუბრეთ.*



**– ქალბატონო ადა, ოზონოთერაპიის სიკეთეზე არაერთხელ გვისაუბრია. უამრავ ადამიანს აინტერესებს, ქრონიკული კოლიტის, გასტრიტისა და გასტროდუოდენიტის დროს როგორია მისი ეფექტი?**

– არასპეციფიკური კოლიტის გამომწვევი ამ დრომდე უცნობია და მკურნალობა ძირითადად, სიმპტომატურად ტარდება. ოზონის ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და სოკოს საწინააღმდეგო მოქმედების გათვალისწინებით, ოზონოთერაპია ეფექტურია ქრონიკული კოლიტის მკურნალობისას. სისხლში მოხვედრისთანავე, ოზონი ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, ნაწლავის კედელში ოზონი ჟანგავს და ორგანიზმიდან გამოდევნის საჭმლის არასრული მონელების პროდუქტებს, ანეიტრალებს მჟავე, ჰიპოქსიურ გარემოს და აღადგენს ნაწლავების ეპითელს.

ოზონი აღადგენს ჰომეოსტაზს – მჟავა-ტუტოვან წონასწორობას ორგანიზმში და აცხრობს ანთებით პროცესს. სისხლში ჟანგბადის პარციალური წნევა იმატებს და ძლიერდება ნაწლავების პერისტალტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზონოთერაპიას აქვს ზოგადი მასტიმულირებელი ეფექტი, რაც დადებითად აისახება კოლიტით დაავადებული პაციენტების ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

**ოზონოთერაპია წარმატებით გამოიყენება ხანდაზმულ პაციენტებშიც, როდესაც კოლიტის ერთ-ერთი მიზეზია პერიტონიუმის სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება**

**– დასაშვებია თუ არა ამ შემთხვევაში, ოზონოთერაპია ხანდაზმულ პაციენტებში?**

– ოზონოთერაპია წარმატებით გამოიყენება ხანდაზმულ პაციენტებშიც, როდესაც კოლიტის ერთ-ერთი მიზეზია პერიტონიუმის სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება.

ოზონი ეფექტური სამკურნალო საშუალებაა ჰელიკობაქტერ პილორთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტებისა და გასტროდუოდენიტების დროს. ოზონი მოქმედებს პათოგენური პროცესის ყველა რგოლზე. ოზონი არის ანტიბაქტერიული აგენტი და კონტაქტისას უშუალოდ ანადგურებს ნებისმიერ ბაქტერიას, ოზონს ახასიათებს აგრეთვე ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება.

**– რას მოიცავს მკურნალობის კურსი?**

– სამკურნალო კურსი მოიცავს ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენურ ინფუზიას. პაციენტს უტარდება აგრეთვე დიდი აუტოჰემოთერაპია და ის მიირთმევს ოზონირებულ წყალს ნაწლავების მიკროფლორის აღსადგენად. თერაპიის დაწყებიდან უკვე მეორე-მესამე დღეს ხდება აუტოინტოქსიკაციისა და ენდოტოქსემიის, აგრეთვე ტკივილისა და დისპეპსიური სინდრომის კუპირება.

**– რატომ უნდა მიანიჭოს ოზონოთერაპიას უპირატესობა ამ შემთხვევაში პაციენტმა?**

– ოზონოთერაპიის ერთ-ერთი უპირატესობა აღნიშნული დაავადებების დროს არის ის, რომ მიიღწევა ხანგრძლივი რემისია შედარებით მოკლე დროში.

**მარიკა ხიდურელი**

---

დროისთვის ის იყო ყველა მთავარი როლის შემსრულებული. მე და სცენარისტმა ეს როლი სერგოსთვის დიდი ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ.

**– ვიცი, რომ „ღიმილის ბიჭები" თქვენს თანაკლასელებს მიუძღვენით, „მაია წყნეთელი" და „ჩვენი ეზო" დღესაც უყვარს ქართველ მაყურებელს; ბოლო ფილმს – „ქრისტეს საფლავზე დანთებულ სანთელს" ექვს ქვეყანაში ათი წლის განმავლობაში იღებდით და მასზე 36 000 მეტრი კინოფირი დაიხარჯა და ამ ყველაფერზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ, პირად ცხოვრებაზეც უნდა დაგისვათ კითხვები და, იმედია, არ გამიბრაზდებით. თქვენ დაქორწინდით თქვენს თანაკურსელზე, თინა ლამბაშიძეზე, მაგრამ შემდეგ მეორე ოჯახი შექმენით...**

– თინასთან ბიძინა და თამრიკო შემეძინა. თინა ჩემი თანაკურსელი იყო, მერე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თამაშობდა, მაგრამ, თამრიკოს შეძენის შემდეგ მიატოვა სამსახური. 1959 წელს დავასრულე მუშაობა ფილმზე „განძი." ამ ფილმით ჩვენ ინდოეთს ვეწვიეთ და პრიზი თვით მაჰათმა განდის ხელიდან მივიღეთ. აი, ამ ფილმის („განძი") შემდეგ დადგა ჩემი ცხოვრება თავდაყირა. ფილმში მთავარ როლს ახმოვანებდა თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი რუსიკო ფარემუზაშვილი. შემიყვარდა, მაგრამ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რადგან, უკვე ორი შვილის მამა ვიყავი. გრძნობები მოსვენებას არ მაძლევდა. გადავწყვიტე, თავი მთლიანად სამუშაოსთვის მიმეცა და დავიწყე მუშაობა ფილმზე „ზღვის ბილიკი". მამაკაცის, ზღვის კაპიტნის როლს სერგო ზაქარიაძე ასრულებდა. ქალის როლს სხვისთვის ვეღარ გავიმეტებდი, თუ არა ჩემი რჩეულისთვის. მაშინ მივხვდი, რომ მის გარეშე ვერ ვძლებდი. მორიგი საზღვაო ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემი გიჟური სიყვარულის ამბავი ჩემთვის ყველაზე ახლობელ ადამიანს, დედაჩემს ვუამბე. მისთვის ეს დიდი დარტყმა იყო, რადგან, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა მარტოხელა ქალისთვის შვილების გაზრდა და, სიტყვა ჩამომართვა, რომ არასოდეს მივატოვებდი თინასა და ბავშვებს.



**– და, როგორ გახდა ქალბატონი რუსიკო თქვენი მეუღლე?**

– დედაჩემის წინაშე პასუხისმგებლობამ 44 წლის განმავლობაში არ მომცა უფლება, წავსულიყავი საყვარელ ქალთან. მისი სახლის ზღურბლს სამუდამოდ გადავაბიჯე მხოლოდ ჩემი მეუღლის, თინას გარდაცვალების შემდეგ. ჩვენ შეგვეძინა ქალიშვილი – ხათუნა.

**– თქვენს უფროს ქალიშვილზეც მინდა გკითხოთ. მისი სახელი და გვარი საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ეროვნულ ლიდერებს შორის წერია. როგორ აღმოჩნდა მათ გვერდით თამრიკო ჩხეიძე და როგორ უყურებდით შვილის ქმედებებს პოლიტიკურ ასპარეზზე?**

– ეს იყო 1978 წელი. პრესაში ჩნდება ინფორმაცია ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. სტუდენტებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება და მიტინგების ორგანიზება, რომელსაც თამრიკო ხელმძღვანელობდა. საქართველოს კომპარტიის „ცეკას" მეორე მდივანს, კოლბინს, დაურეკა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის მდივანმა სუსლოვმა: „მანდ რა ხდება? რას ითხოვენ სტუდენტები? მათ მოთხოვნებში არის რამე ანტისაბჭოური? სტუდენტები გამოდიან ტრანსფარანტებით, რომლებზეც ქართული ანბანის მხოლოდ პირველი ასოები „აი ია" წერია. თუ მათ მეტი მოთხოვნა არ აქვთ, დაუტოვეთ ქართული ენა სახელმწიფო ენად!" იმ დღიდან 14 აპრილი ქართველებმა ქართული ენის დღედ გამოაცხადეს, ჩემი ქალიშვილი კი დისიდენტობას განაგრძობდა. 1881 წელს თბილისს ბრეჟნევი ეწვია. აქტიური სტუდენტები ჩემს ქალიშვილთან ერთად თბილისს 150 კილომეტრით დააშორეს და შენობაში ჩაკეტეს. 1983 წელს მე ესპანეთში, „დონ კიხოტის" გადაღებაზე ვიყავი. სახლში ათი დღის განმავლობაში ვერ დავრეკე. თბილისში ვბრუნდებოდი მოსკოვის გავლით, სადაც საბჭოთა კავშირის კინოს მინისტრს შევხვდი, რომელმაც შემატყობინა ჩემი ქალიშვილის დაპატიმრების ამბავი. ძალიან მიჭირდა, მაგრამ ამ საქმეში ვერ ჩავერეოდი. მაშინ თამრიკოს სამი წელი მიუსაჯეს. 1989 წელს თბილისში დაიწყო საშინელი მიტინგები. საკმაოდ აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას მიტინგებში და საქართველოს პატრიარქთან ერთად ვთხოვდი ახალგაზრდებს, მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. არავის სჯეროდა, რომ ქალაქში ტანკები შემოვიდოდნენ. ამდენი ახალგაზრდა დახოცეს... ამის შემდეგ მე ჩემი ლენინური პრემია და 2 500 მანეთი გორბაჩოვს უკან დავუბრუნე.

**ეკა პატარაია**



**ბევრი ადამიანისგან გამიგია, ბედი არ მაქვს, ნეტავ სულ არ დავბადებულიყავიო. ასე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგან ამით საკუთარ თავს თვალავთ. ამას ჯობია, არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც უკან ცუდად დაგიბრუნდებათ და ცხოვრებას გაგიმწარებთ. გახსოვდეთ, რომ ამქვეყნად წარუმატებელი ადამიანი არ არსებობს. უბრალოდ, არ ვითვალისწინებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას, რაც სწორედ უიღბლობას განაპირობებს და გუნება-განწყობას გვიშხამავს. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა ამბობს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარ თავს დაეხმაროს, გახდეს წარმატებული, სასურველი და ფულიანი. ასე რომ, გაითვალისწინეთ ქალბატონი ნანას რჩევები, იფიქრეთ საკუთარ კეთილდღეობაზე და ნურასდროს იტყვით, რომ თქვენს დაბადებას იღბალი და ბედი არ დაჰყვა.**

# რაზე მეტყველებს საათის გაჩერება და ფეხსაცმელზე ქუსლის მოტეხა და არის თუ არა ეს ერთგვარი მინიშნება

**ნანა:** ყოველი ჩვენგანი ოცნებობს, იყოს წარმატებული, ჰქონდეს ბევრი ფული, მოიწყოს ოჯახური იდილია და სასიამოვნო კომპანიონიც გახდეს. ბევრისთვის, სამწუხაროდ, ეს ოცნება ცხოვრების ბოლომდე ოცნებად რჩება, ბევრიც გარკვეული პერიოდის შემდეგ აღწევს სანადელს. მინდა გითხრათ, რომ არსებობს დღეები, როცა ადამიანი ფიქრობს, ეტყობა, მარცხენა ფეხზე ავდექი, არაფერი გამომდის, დათარსული ვარო. სახლიდან გასულს კი, შესაძლოა, უამრავი უსიამოვნო ფაქტი შეემთხვას. ამ უსიამოვნებებისგან თავის დაღწევა რეალურად შესაძლებელია, რადგან მფარველი ანგელოზი ადამიანს ყოველთვის აძლევს მინიშნებას და წინასწარ აფრთხილებს.

**– როგორ უნდა მივხვდეთ წინასწარ, რა საფრთხე გველის და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?**

– ეს მეთოდები საუკუნეებს ითვლის და არაერთ ეზოთერულ წიგნში ამოიკითხავთ. ზოგს სჯერა, ზოგს – არა, მაგრამ, ეს სხვა საკითხია. ჩემი აზრით, ჯობია, ნებისმიერ მინიშნებას მიაქციოთ ყურადღება და თავადვე აიცილოთ უსიამოვნებები. ერთი ასეთი მინიშნება არსებობს: თუ საათი გაჩერდა ან დროს ჩამორჩა, ამ დღეს ნუ წახვალთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე, ნურც ფულს ისესხებთ და გაასესხებთ, ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ. ასევე, თუ ქუჩაში გასულს პირველად ხეიბარი ადამიანი შემოგხვდათ, ის დღე წარუმატებელი აღმოჩნდება. გირჩევთ, ასეთ დროს ყოველდღიური საქმიანობით შემოიფარგლოთ და სამსახურიდან არსად გადაუხვიოთ, პირდაპირ სახლში წახვიდეთ. თუ ყველაფერი ხელიდან გიცვივდებათ, ნუ დატოვებთ სახლსა და ჩანთას უყურადღებოდ დიდი ხნით, რადგან, დიდი შანსია, გაგქურდონ. თუ წერის დროს კალმისტარი გაგიჩერდათ, მოერიდეთ უფროსებთან ურთიერთობას, სტუმრად წასვლას, საპირისპირო სქესთან შეხვედრასა და მშობლებთან კამათს, რადგან ეს კარგ შედეგს არ მოგიტანთ. თუ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიდიხართ და მანქანა გაგიფუჭდათ ან ფეხსაცმლის ქუსლი მოგტყდათ, გირჩევთ, უკან დაბრუნდეთ და თავი აარიდოთ შეხვედრას. ასევე, ამ დღეს ნუ მოაწერთ ხელს მნიშვნელოვან საბუთზე, ნურც ხელშეკრულებას გააფორმებთ და ნურც მსხვილ შენაძენს გააკეთებთ.

**– რეალურად თუ არის შესაძლებელი ეზოთერიკული მეთოდებით მომავლის გაგება?**

– რაც შეეხება იმას, თუ როგორ გავიგოთ, რა გველის მომავალში, გამოგვადგება უძველესი მეთოდი, კერძოდ, წითელი სანთლის ალის მიხედვით მომავლის დანახვა. მაგიის კანონების თანახმად, წითელი სანთლის შუქი იზიდავს სიმდიდრეს, ადამიანს ეხმარება ძალების აღდგენასა და მობილიზებაში. მერწმუნეთ, ის ბევრ რამეს გიწინასწარმეტყველებთ. ვისაც დაკვირვებული თვალი აქვს და სჯერა მსგავსი რამეების, ის აუცილებლად შეიტყობს თავის მომავალს წითელი სანთლის ალის მეშვეობით. ოღონდ, ეს რიტუალი აუცილებლად სავსე მთვარეზე, ღამის 12 საათზე უნდა ჩაატაროთ. ჩაბნელებულ ოთახში მარტო უნდა იყოთ. სანამ სანთელს აანთებთ, აუცილებლად უნდა მოემზადოთ ფსიქოლოგიურად – დაახლოებით ნახევარი საათი ჩაბნელებულ ოთახში მარტო უნდა დარჩეთ და იმაზე იფიქროთ, რისი ახდენაც გსურთ ცხოვრებაში, დანარჩენს კი წითელი სანთლის ალი გეტყვით. მაგალითად, როცა სანთელს აანთებთ და შავი ალი ავარდება, თქვენი ჩანაფიქრი ცუდად ასრულდება ან საერთოდ არ უწერია ასრულება; თუ სანთლის ანთებისთანავე ნაპერწკლები იყრება, ესე იგი, სურვილი ნამდვილად არ ახდება და უახლოეს მომავალში არც სიყვარულში გაგიმართლებთ. მაგრამ, თუ სანთლის ალი მკრთალია, გამჭვირვალე და მშვიდად იწვის, ესე იგი, ყველაფერი რიგზე იქნება და უახლოეს მომავალში ხელი მოგემართებათ. თუ სანთელი შავ კვამლს უშვებს, სასწრაფოდ ჩააქრეთ, რადგან, ეს იმაზე მიგანიშნებთ, რომ ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვალოთ, მაგალითად, მოთმინებით მოეკიდოთ ყველა საქმიანობას; დაივიწყოთ ის ადამიანი, ვისზეც ფიქრობთ, მშვიდად შეხედოთ მოვლენებს... ასე რომ, ამ დროს უნდა ჩააქროთ სანთელი და დაფიქრდეთ, რა გაქვთ შესაცვლელი ცხოვრებაში. სასწრაფოდ უნდა იმოქმედოთ, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. მაგრამ, თუ წითელი სანთლის ალი ციმციმებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ წინ რომანტიკული შეხვედრებიც გელით რჩეულთან, საქმეშიც გაგიმართლებთ, კარიერაშიც და პირად ცხოვრებაშიც. დამიჯერეთ, ყველას ვეუბნები, რომ, თუ ადამიანმა გულით იწამა რამე, ღრმად სჯერა და ითვალისწინებს წინაპრების ნაცად მეთოდებსა და გამოცდილებას, ყველაფერი გამოუვა. შემიძლია, ისეთი რჩევა-დარიგებაც მოგცეთ, რომლის გათვალისწინებითაც ფული არასდროს გამოგელევათ და შემოსავლის დამატებითი წყაროც ყოველთვის გექნებათ.

**არ დაჯდეთ მაგიდაზე, თორემ, დიდხანს მოგიწევთ ფულზე წუწუნი**

**– ეს ნამდვილად კარგი იქნება, რადგან ბევრი სწორედ ფინანსურ კრიზისს განიცდის და უფულობას უჩივის.**

– თბილისში, დიდ, ძველ იტალიურ ეზოში გავიზარდე, სადაც სომეხი, უკრაინელი, რუსი, იეზიდი და ბოშა მეზობლები მყავდა. ყველას ვუყვარდი, ხან – რას მჩუქნიდნენ, ხან – რას, მათ შვილებთან კი ვმეგობრობდი. მამა არ მყავდა, მარტო დედა მზრდიდა და, ალბათ, მეზობლებს ვეცოდებოდი კიდეც, გაჭირვებულად რომ ვცხოვრობდით. ბავშვობიდან მქონდა ასფურცლიანი რვეული, სადაც ხანში შესული ადამიანებისგან გაგონილ ამბებსა და რჩევებს ვიწერდი, მათ შორის – მკითხაობებს, სხვადასხვა რიტუალს, ეზოთერიკულ მეთოდებს... უამრავი ჩანაწერი დამიგროვდა. ამჯერად შემოგთავაზებთ რამდენიმეს, რაც ფულს ეხება და რაც ძალიან იოლი შესასრულებელია. მაგალითად: არ დაჯდეთ მაგიდაზე, თორემ, დიდხანს მოგიწევთ ფულზე წუწუნი; ნუ დადგამთ ცარიელ ბოთლს და ნუ დააწყობთ ცარიელ ჭურჭელს მაგიდაზე, თორემ, ფული სწრაფად გავა ოჯახიდან; თუ გსურთ, ჯიბეში ფული მუდამ გქონდეთ, მაგიდაზე დადეთ ფულის კუპიურები; ასევე, თუ გამდიდრებაზე ოცნებობთ, ნუ დაიბანთ თავს ორშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს და ნურც ფრჩხილებს დაიჭრით ამ დღეებში. ორშაბათ დღეს ნურც გაასესხებთ ფულს და ნურც ისესხებთ, თორემ, ვალებიდან ვერ დაიხსნით თავს. ასევე, არ გირჩევთ ღამით სახლის გამოხვეტასა და ნაგვის გარეთ გადაყრას – მას თქვენი ოჯახის ბიუჯეტიც გაჰყვება თან.

**– იმასაც ხომ ამბობენ, ახალ მთვარეს თუ ფულსა და ოქროს დაანახვებ, მთელი თვის განმავლობაში ფინანსები გარანტირებული გექნებაო?**

– დიახ, ამბობენ და ეს სიმართლეა. თუ ღამით ცაში აიხედეთ და ახალი მთვარე დაინახეთ, სასწრაფოდ ამოიღეთ ჯიბიდან ქაღალდის ფული და დაანახვეთ მას, თან ფული ხელში ატრიალეთ. თუ ოქროს სამკაულები გიკეთიათ, მოიხსენით, დაიჭირეთ ხელში და ისიც აჩვენეთ მთვარეს, ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ დროს ჩუმად, ხმადაბლა უნდა დაუსტვინოთ. ასეთ დროს ამბობენ, მთვარე სტვენის ხმას გაიგებს, თქვენს ფულსა და ოქროულს დაინახავს, მიხვდება, რასაც სთხოვთ და მალე ერთიორად დაგიბრუნებთო.

**ნონა დათეშიძე**

## წარმატების საწინდარი

ამბობენ, როგორც დაიწყებ დილას, დღეც ისეთი გამოგივაო. ანუ, „კეთილი“ დილა წარმატების საწინდარია. თუ დილის დასაწყისშივე მხნე და მხიარული ხარ, კარგი განწყობა საღამომდე დაგებედება, ეს კი უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. სხვათა შორის, ამის გაკეთება არც ისეთი ძნელია.

დავიწყოთ გაღვიძებითა და ადგომის რიტუალით – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როცა გაიღვიძებთ, აგრძნობინეთ ორგანიზმს, რომ ადგომის დროა.

რამდენჯერმე გაახილეთ და მაგრად დახუჭეთ თვალები. გაიზმორეთ, მოეშვით და მოდუნდით, დათვალეთ ათამდე და ისე ადექით საწოლიდან.

ორივე ხელით დაიზილეთ ჯერ ფეხისგულები, მერე ფეხის ცერი თითები – ამით გაიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას და განეწყობით სამუშაოდ.

ფეხშეველი დადექით იატაკზე. წამოიწიეთ ფეხის წვერებზე და ამ მდგომარეობაში გაიზმორეთ. ცოტათი რთულია, მაგრამ, ძალიან სასარგებლო.

ახლა იზრუნეთ ტვინზე – მიირთვით ყავა ან მაგარი ჩაი, ან, უბრალოდ, შეისუნთქეთ მათი არომატი.

გააკეთეთ ის, რაც მართლა გინდათ და გსიამოვნებთ: მოუსმინეთ საყვარელ მელოდიას. მიირთვით საყვარელი სასუსნავი, მოეფერეთ ოჯახის წევრებს, აგრძნობინეთ მათ, რომ გიყვართ და ზრუნავთ მათზე – ეს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი სერიოზულ პოზიტივად დაგიბრუნდებათ უკან – მოღრუბლული და წვიმიანი დღეც კი მხიარული და სასიამოვნო გახდება. შედეგად, სახლიდან კარგ განწყობაზე გამოხვალთ და მთელი დღე წარმატებული იქნება.

## არ დაკარგო ინტერესი

რა არ უნდა გააკეთოს ქალმა, რომ მამაკაცმა მის მიმართ ინტერესი არ დაკარგოს?! თუ ფსიქოლოგებს ვენდობით, ჩვენ ხშირად სრულიად გაუაზრებელ და მიუტევებელ შეცდომებს ვუშვებთ, თანაც უნებლიეთ.

შეეცადეთ, არ გამოიყენოთ მკვეთრი და გამომწვევი კოსმეტიკა. მამაკაცებს არც ძალიან გრძელფრჩხილებიანი და მკვეთრლაკწასმული ქალები მოსწონთ. თუმცა ცვლილებები საყვარელ ქალში ძალიან აინტერესებთ და ახალისებთ.

მამაკაცთა დიდი უმრავლესობა ამჩნევს, როცა ქალი უწესრიგოდ, ფეთხუმივით არის ჩაცმული. მართალია, ძალიან ცოტას ესმის ბრენდების და ნაკლებად ერკვევიან მოდაშიც, მაგრამ გემოვნება ხომ აქვთ?! ამიტომ შეეცადეთ, საყვარელმა მამაკაცმა იშვიათად განახოთ მოუწესრიგებელი. არავითარი ლაქა ტანსაცმელზე... ჩამოშლილი ქვედაკაბა ან უადგილოდ ჩაცმული მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. დიახ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი კარგია, მაგრამ გააჩნია, რას შეუხამებთ. ის თქვენი საერთო სტილიდან „ამოვარდნილი“ არ უნდა იყოს.

არ ილაპარაკოთ ძალიან ბევრი. სულერთია, ეს მამაკაცი უკვე ქმარია თუ მხოლოდ შეყვარებული. მით უმეტეს, თუ ის სერიოზული და მშვიდია, თქვენი დაუსრულებელი ლაქლაქი მხოლოდ გააღიზიანებს. მაგრამ, თუ ის ლაპარაკობს, შეეცადეთ, თავი მოაჩვენოთ მაინც, რომ ყურადღებით უსმენთ. კაცებს ეს ძალიან მოსწონთ.

არ იაროთ უბედური ადამიანის გამომეტყველებით. თუ ცუდად ხართ, თქვით ეს ან და წამალი დალიეთ. მაგრამ სისტემატურად ცხვირპირჩამომტირალი ქალი იშვიათად მოეწონება რომელიმე მამაკაცს. მათ მხიარული, იუმორის გრძნობით სავსე, მსუბუქი და უშუალო ხასიათის ქალები ურჩევნიათ. რას იზამთ, კაცები ეგოისტები არიან და ძალიან ეზარებათ ვინმეს დამშვიდება. თუნდაც ეს ვინმე საყვარელი ქალი იყოს.

ყველაზე მთავარი – მაქსიმალურად მოერიდეთ ემოციების მძაფრად და ისტერიულად გამოხატვას... ეს მართლაც მნიშვნელოვანია.

## ქალური შეცდომა

ამბობენ, მამაკაცებს ცუდად ესმით ქალების და არც ცდილობენ, უკეთ გაერკვნენ თუნდაც იმათში, ვინც კონკრეტულ მომენტში გვერდით ჰყავთ. სამწუხაროდ, ასეთ შეცდომას ქალებიც უშვებენ და ამას არ აღიარებენ.

მაგალითად, ქალები უფრო ღრმად „შედიან“ სტერეოტიპებში და მათ ტყვეობაში ექცევიან. „მას არ სჭირდება რომანტიკული ურთიერთობები... მხოლოდ სექსი აინტერესებს... შეიძლება, ენდო ასეთ მამაკაცს და დაუკავშირო ცხოვრება?!“ – არ არის საჭირო, განაჩენი გამოუტანო კარგ ადამიანს. ჯერ გაიცანით ის. თანაც, მამაკაცები რომანტიკულები არიან და ქალებზე არანაკლებ. მთავარია, თქვენ როგორ პოზიციას დაიჭერთ მის მიმართ. გაითვალისწინეთ, რომ მამაკაცური რომანტიზმი განსხვავდება ქალურისგან და ის სულაც არ ნიშნავს ბალიშზე გაშლილ ვარდის ფურცლებს. კაცს ურჩევნია, გმირობა ჩაიდინოს და ამით გიჩვენოთ თავისი განსაკუთრებულობა.

კიდევ არის ერთი ცუდი სტერეოტიპული მოსაზრება – ნებისმიერი მამაკაცი მზად არის შემთხვევითი რომანისთვის – არ არის ასე. შეეცადეთ, იმოქმედოთ არა სტერეოტიპების კარნახით, არამედ საკუთარი გულისა და გონების. ექსპერიმენტებზეც მხოლოდ მამაკაცების 40 პროცენტი თანხმდება.

მამაკაცებს მოსწონთ სულელი ქალები! – მხოლოდ სულელ კაცს შეიძლება მოეწონოს სულელი ქალი. მით უმეტეს, თუ სულელი არ ხართ, თავს შეგნებულად ნუ მოისულელებთ. ეს მართლა არავის მოეწონება!

## მოდი, ვილაპარაკოთ!

რაზე ლაპარაკობენ ქალები, როცა ერთად სხდებიან და ყავას მიირთმევენ? რა თქმა უნდა, კაცებზე! ფაქტია, რომ ლაპარაკობენ, თანაც საკმაოდ ბევრს. მამაკაცები ფიქრობენ, რომ ამ რეკორდის მოხსნა მათთვის მიუწვდომელია. სინამდვილეში, არც კაცები ამბობენ ლაქლაქზე უარს, თუკი შესაფერის გარემოსა და სიტუაციაში აღმოჩნდებიან. თუმცა, არსებობს უტყუარი ფაქტები:

ქალები მამაკაცებზე ბევრად სწრაფად ლაპარაკობენ. მაგალითად, ქალი წუთში 160 სიტყვას ამბობს. მამაკაცს მხოლოდ 100 სიტყვის თქმის უნარი აქვს. განსხვავება 60 სიტყვაა... ანუ, ორ წუთში სხვაობა 120 სიტყვას შეადგენს და ეს უკვე სერიოზული ამბავია... ფუჭად არ ვსაუბრობთ ამაზე. ჯობია, ჩვენ ვილაპარაკოთ, ვიდრე გაურკვეველი დარჩეს რამე.

კაცებს არ უყვართ ფუჭი ლაყბობა... კაცები ვერ უგებენ „ქალების ენას“, ანუ, რას ნიშნავს ეს – ჩვენ ხშირად გვინდა, მამაკაცი ნახევარი სიტყვიდან გვიგებდეს. არადა, კაცი ისეა მოწყობილი, მას მინიშნებებით ვერაფერს მიახვედრებთ. თანაც, რომ ვერ მიხვდება, გაბრაზდება კიდეც. ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან ინფორმაციის გაცვლის ფორმითაც განსხვავდებიან. კაცი თითქმის ყოველთვის პირდაპირ ამბობს სათქმელს (იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა ქალის „შებმას“ არ ცდილობს), ქალებს გვჩვევია შორს მიმავალი და ორაზროვანი ფრაზები... მრავალმნიშვნელოვნება თითქოს იდუმალების საბურველში გვხვევს – მაგრამ კაცებს ეს საერთოდ არ აინტერესებთ. თუ ლაპარაკი გვინდა, რა პრობლემაა – მოდი, ვილაპარაკოთ!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ფლექსი-დიეტა

*ფლექსი-დიეტა იმითაა უნიკალური, რომ თვენახევარში 7 კილოგრამით დაკლებასთან ერთად, შედეგად მიიღებთ 3,6 წლით სიცოცხლის გახანგრძლივების პერსპექტივას; ამასთან, მცირდება დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. არც ისე ცოტაა, ხომ მართალია?!*

*ფლექსიტარიანელობის შესახებ ოდესღაც უკვე გესაუბრეთ, მაგრამ ახლა უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ მის ღირსებებს.*

*ტერმინი „ფლექსიტარიანელი“ და ამ მეთოდით კვება (რაც მოიცავს მცენარეულ და ნახევრად ვეგეტარიანულ რაციონს) შეიმუშავა ცნობილმა ექიმმა, დიეტოლოგმა ჯეკსონ ბლატნერმა, დაახლოებით ათი წლის წინ. თავად სიტყვა „ფლექსი“ ინგლისურიდან (flexible) თარგმანში ნიშნავს დრეკადს, დამყოლს. ასე რომ, სახელწოდებიდან გამომდინარე, დიეტის არსი გასაგებია.*

**გთავაზობთ ამ დიეტის მთავარ პრინციპებს:**

### 1) განაახლეთ რაციონი

თუ თქვენი რაციონის მთავარი პროდუქტი ხორცია, ესე იგი, ორგანიზმს აკლებთ ანტიოქსიდანტების საჭირო რაოდენობას, რომელიც შედის ძირითადად ხილისა და ბოსტნეულის შემადგენლობაში. ბლატნერის აზრით, თქვენი ულუფა უნდა მოიცავდეს პროტეინების მაქსიმუმ 25 პროცენტს (რაც, შეგიძლიათ, ცეხვილი შავი პურით შეავსოთ), ბოსტნეული კი – 50 პროცენტს, ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ, სასურველია, ერთი ულუფა შედგებოდეს რამდენიმე სხვადასხვა ბოსტნეულისგან. რაც შეეხება არავეგეტარიანულ პროდუქტს, შემწვარი თევზის ნაჭერი შეცვალეთ მოხარშულით, ხოლო საქონლის ხორციან რაგუში ბოსტნეულის ხარჯზე შეამცირეთ ხორცის რაოდენობა – განსხვავებას ვერც იგრძნობთ.



### 2) დაიწყეთ მცირედან

პირდაპირ ვეგეტარიანულ კვებაზე ვერ გადახვალთ, ამიტომ, დაიწყეთ მცირედან, ანუ, კვირაში ერთი ან ორი დღე გამოყავით ასეთი კვებისთვის. იმ ერთ ან ორ დღეს მაინც თუ არ მიირთმევთ ჰამბურგერს ან რაიმე მსგავს „ბომბს“, ესეც საქმეა. რაციონიდან ხორცის მთლიანად „გაქრობას“ კი ბლატნერი არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმება.

### 3) აუცილებელია ცილები

არ გეგონოთ, რომ მოხარშული ხორცით საკმარის ცილებს მიიღებთ. 120 გრამი ქათმის ფილე (მოხარშული) მხოლოდ 28 გრამ პროტეინს შეიცავს, ეს კი ნორმის ნახევარია. ამიტომ, ხორცს უნდა დაუმატოთ ლობიო, ნიგოზი, სოკო, ოღონდ, ცხიმი მინიმალური რაოდენობით უნდა გამოიყენოთ.

### 4) მიირთვით კრეატიულად!

არ მოერიდოთ ექსპერიმენტებს ახალ პროდუქტებსა და ახალ გემოებზე. ახალ და შედარებით უცხო პროდუქტებთან „ნაცნობობა“ სასარგებლოც იქნება და სასიამოვნოც.

### 5) ჩაანაცვლეთ ხორცი სალათებით

თუ „ხორცის დღე“ საკმაოდ მსუყე გამოვიდა, ძალიანაც ნუ ინერვიულებთ – შემდეგი ორი-სამი დღე სალათებსა და ორთქლზე ოდნავ მოთუთქულ ბოსტნეულს დაუთმეთ. ცხადია, ხილიც არ უნდა დაგავიწყდეთ.

### 7-დღიანი ფლექსი-მენიუ

**ორშაბათი:**

9 საათი – 40 გრამ „მიუსლის“ დაასხით 1 ჩაის ჭიქა უცხიმო რძე + 1 პატარა ბანანი.

12 საათი – 100 გრამი მიწის (ან ჩვეულებრივი) თხილი.

14 საათი – უმი ხილისა და ბოსტნეულის სალათა (300 გრამი).

16 საათი – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი ან იოგურტი.

18 საათი – ქათმის მოხარშული ფილე (150 გრამი) და რუხი ბრინჯი (მზა სახით – 200 გრამი).

**სამშაბათი:**

9 საათი – 45 გრამი „მიუსლი“ + 1 ჩაის ჭიქა უცხიმო რძე + 1 ცალი ვაშლი.

12 საათი – 1 ფინჯანი რძიანი ყავა (უშაქრო) + 1 ჩაის კოვზი ჯემი.

14 საათი – ბოსტნეულის პიტა.

16 საათი – 1 ცალი ბანანი + 1 სადილის კოვზი ნიგოზი.

18 საათი – 150 გრამი მოხარშული თევზი + 100 გრამი ისპანახი + 1 საშუალო ზომის კარტოფილი.

**ოთხშაბათი:**

9 საათი – ერთად დააბლენდერეთ 200 გრამი უციხმო მაწონი ან იოგურტი + 1 სადილის კოვზი არაქისის კარაქი + 1 ცალი ბანანი.

12 საათი – 1 ცალი ვაშლი, 30 გრამი უმარილო ყველი.

14 საათი – მწვანე სალათის ფოთლები + ყველანაირი მწვანილი + 60 გრამი მოხარშული ლობიოს მარცვლები + 1 ცალი ვაშლი + 2 ჩაის კოვზი გახეხილი ყველი.

16 საათი – ცხელი შოკოლადი უცხიმო რძით (უშაქროდ ან ნახევარი ჩაის კოვზი თაფლით).

18 საათი – მუხუდოს სუპი მწვანილებით.

**ხუთშაბათი:**

9 საათი – 1 ჭიქა სიმინდის „ფანტელები“ + 170 გრამი უცხიმო მაწონი ან იოგურტი + 150 გრამი ნებისმიერი ხილი (ჩააჭერით).

12 საათი – 100 გრამი არაქისი, 4 მსხვილი ღერი ნიახური.

14 საათი – მწვანე სალათის ფოთლებით, ვაშლის ნაჭრებით, მოხარშული კვერცხითა და ცოტა მაიონეზით მომზადებული სენდვიჩი.

16 საათი – 100 გრამი თხილი.

18 საათი – მოშუშული ყვავილოვანი კომბოსტო + თითო ცალი კიტრისა და პომიდვრის სალათა.

**პარასკევი:**

9 საათი – 45 გრამი „მიუსლი“ + 1 ჭიქა უცხიმო რჩე + 1 ჩაის კოვზი დაფქული სელის თესლი + 1 ჩაის კოვზი თაფლი.

12 საათი – 1 ნაჭერი მაგარი ყველი + 2 ფირფიტა „ხლებცი“.

14 საათი – 100 გრამი მოხარშული ქათმის ფილე, 1 სადილის კოვზი ნაკლებმარილიანი სანებელი, 1 ცალი კიტრი, 1 ცალი ბოსტნეულის პიტა.

16 საათი – 1 სადილის კოვზი ქიშმიში.

18 საათი – 1 ცალი სტეიკი + 200 გრამი რუხი ბრინჯი.

**შაბათი:**

9 საათი – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი სოსისი, 150 გრამი ისპანახი.

12 საათი – 1 ჭიქა უცხიმო მაწონი ან იოგურტი.

14 საათი – 150 გრამი მოხარშული თევზი, 30 გრამი უმარილო ყველი, 50 გრამი მწვანე სალათის ფოთლები მწვანილით.

16 საათი – 150 გრამი უმარილო ყველი, 1 ცალი ვაშლი, 1 ჩაის კოვზი თაფლი.

18 საათი – მოხარშული მაკარონი სოკოთი.

**კვირა:**

9 საათი – ერთად დააბლენდერეთ 200 გრამი უცხიმო მაწონი ან იოგურტი, 100 გრამი ნებისმიერი ხილი და 1 ჩაის კოვზი თაფლი.

12 საათი – 1 სადილის კოვზი ქიშმიში.

14 საათი – ტრადიციული და ეგზოტიკური ხილისა და ბოსტნეულის სალათა + 1 ჩაის კოვზი ძმარი „ბალზამიკო“ + ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი.

16 საათი – რძიანი ყავა (უშაქროდ) + 1 ჩაის კოვზი ჯემი.

18 საათი – მოხარშული კარტოფილი და ისპანახი.

წყალი, ჩვეულებისამებრ, დღეში 2 ლიტრამდე; ნატურალური (ახალგამოწურული) წვენები – დღეში 2-3 ჩაის ჭიქა.

## კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა:** **ყოველ გაზაფხულზე თმის ბოლოები მეყოფა (ეგრეთ წოდებული „ბოლოჭამიები“ მიჩნდება) და ფრჩხილები ადვილად მტვრევადი ხდება. რა უნდა იყოს ამის მიზეზი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** როგორც ჩანს, თქვენს ორგანიზმს კალციუმი აკლია, რაც გაზაფხულზე უფრო მკვეთრად გამოხატული ხდება. ეს მინერალი პასუხს აგებს თმის, კანის, ფრჩხილებისა და კბილების ჯანმრთელობაზე, მაგრამ საკვების მეშვეობით მისი საკმარისი რაოდენობით მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, უნდა მიიღოთ სპეციალური პრეპარატები, მაგალითად: კალციუმ D3 ნიკომედი. დანიშნულება მიიღეთ ექიმისგან. ბოლოჭამიები კი აუცილებლად შეიჭერით, რომ უფრო მეტად არ გავრცელდეს.

**კითხვა:** **უკვე რამდენიმე თვეა, ფრჩხილების ზედაპირი არათანაბარი გამიხდა, ამობურცულია, ზოგან კი – ოდნავ ჩაზნექილი. ექიმთან მისვლის საშუალება არ მაქვს. იქნებ, თქვენ მითხრათ, რა მჭირს და რამე მირჩიოთ?**

**პასუხი:** ექიმთან მისვლა მაინც მოგიწევთ, რადგან თქვენი შეკითხვა კოსმეტოლოგიას ნაკლებად შეეხება. ზოგადად კი გეტყვით, რომ ასეთი ნიშნები ახასიათებს სოკოს, შაქრიან დიაბეტსა და სხვა დაავადებებს, რომლებიც გამოწვეულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევით. თუ ჩაზნექილობა ნემსით ნაჩხვლეტს ჰგავს, ეს უკვე ფსორიაზის ნიშანია. ფრჩხილებზე პერპენდიკულარული ღარები თუთიის დეფიციტზე მიუთითებს, პარალელური – ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებზე, ხოლო თეთრი წერტილები – რკინის ნაკლებობაზე, რაც რაციონში ხორცის ნაკლებობით არის გამოწვეული.

**კითხვა:** **ამას წინათ, ცელულიტების მოსაშორებლად შევიძინე სხეულის კორექციის საშუალება „ვენუსი“, რომლის შემადგენლობაში შედის: კოფეინი, ესცინი, ფუკუსი და ცენტელა აზიატკა. მაინტერესებს, რომელს რა ფუნქცია აკისრია?**



**პასუხი:** კოფეინი აქტიურად შლის ცხიმებს და, შედეგად, თანდათან, ვიზუალურადაც აქრობს კანზე ხორკლებს; ესცინი არის წაბლის გამონაწური, რომელიც ასტიმულირებს სისხლის მიკროცირკულაციას, ასევე, ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხისა და ტოქსინების გამოდევნას. ფუკუსი არის ზღვის წყალმცენარე, რომელიც მდიდარია ვიტამინებითა და მინერალებით. ასტიმულირებს კანში ნივთიერებათა ცვლას და ამცირებს ცხიმების „მარაგებს“. ცენტელა აზიატკას ექსტრაქტი ამცირებს ცელულიტით გამოწვეულ ამობურცულობებს, დაჭიმვებს და კანს ხდის ერთგვაროვანს, ელასტიკურსა და მკვრივს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ გაიზარდა სტალინის სიკვდილის შემდეგ ნამდვილი და თვითმარქვია ჯუღაშვილების რაოდენობა

იოსებ სტალინს შვილები განსაკუთრებულად უყვარდა, მაგრამ, მისი ხასიათიდან გამომდინარე, თავს ემოციების გამომჟღავნების უფლებას არ აძლევდა. ბელადს სამი შვილი ჰყავდა: იაკობი – პირველი ქორწინებიდან და ვასილი და სვეტლანა მეორე ქორწინებიდან. ბელადსა და მის შვილებს შორის დამოკიდებულებაზე ვისაუბრებთ, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

იაკობთან მამას ხშირი კონტაქტი არ ჰქონია. ისინი იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს. თუმცა, ბელადს ის ძალიან უყვარდა. ბევრი მიიჩნევს, რომ სტალინს უმცროსი ვაჟი – ვასილი უფრო უყვარდა. ამ ვერსიას იმით ასაბუთებენ, რომ ბელადმა სტალინის გვარის ტარების უფლება მისცა არა იაკობს, არამედ ვასილს. ეს ვერია არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან იოსებ სტალინის ბიოგრაფიიდან ცნობილია ასეთი ფაქტი. როდესაც ბელადი გარდაიცვალა და ტანისამოსი გახადეს, მას ტანზე კიტელის ქვეშ შავი ფერის მაისური ეცვა. სტალინის მომვლელმა ქალმა განმარტა, რომ ბელადი იაკობის დაღუპვის შემდეგ, მუდმივად შავი ფერის მაისურს ატარებდა.

შვილებიდან სტალინი ყველაზე უფრო ნაბოლარას – სვეტლანას ათამამებდა. სვეტლანა ხშირად იმყოფებოდა ხოლმე მამასთან ერთად კრემლის რეზიდენციაში, ან აგარაკზე. ვასილსაც გულთბილად ეპყრობოდა ბელადი, თუმცა არ ათამამებდა. ვასილმა მთელი ომი გაიარა როგორც მოქმედმა სამხედრო მფრინავმა და არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

იაკობი გერმანელების ტყვეობაში დაიღუპა. ვასილიც საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვისგან დევნილი და დამცირებული. რაც შეეხება სვეტლანას, ის ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

ბელადის სამი კანონიერი შვილის გარდა, კიდევ რამდენიმე ადასტურებდა, რომ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის შვილი იყო. ნამდვილ და თვითმარქვია ჯუღაშვილების რაოდენობა, ბელადის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მათ შორისაა ის ორი პიროვნებაც, რომლებზედაც ახლა ვისაუბრებთ. ისინი ციმბირში, სტალინის გადასახლების პერიოდში მოევლინნენ ქვეყანას. სოლვოჩეგოდსკის გადასახლებაში მყოფი სტალინი ახალგაზრდა ქვრივთან, მარია კუზაკოვასთან ცხოვრობდა. სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა მარიას უკანონო შვილი – კონსტანტინ კუზაკოვი. მოგვიანებით, როდესაც მარია კუზაკოვამ რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს შეიტყო, რომ სტალინი ახალ მთავრობაში დანიშნეს, დახმარების თხოვნით წერილი მისწერა. რადგან პასუხი ვერ მიიღო, მარია ლენინთან მივიდა. იმ დროს ჯერ ისევ მუშაობდა ლენინთან სტალინთან მეუღლე – ნადეჟდა ალილუევა. მას ქმრისთვის ამ ამბის შესახებ არაფერი გაუმხელია, ისე აღუთქვა დახმარება მარია კუზაკოვას. დიდ ბელადს კი, მოგვიანებით უამბო მარიასთან შეხვედრის ამბავი. წლების შემდეგ კონსტანტინ კუზაკოვი ლენინგრადის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, ამაში სტალინი დაეხმარაო. 1932 წელს მარია კუზაკოვას უკანონო ვაჟი შინსახკომში დაიბარეს და ხელი მოაწერინეს, რომ ის არავის გაუმხელდა თავის წარმომავლობას. ლენინგრადის სამხედრო-მექანიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კონსტანტინ კუზაკოვი სტალინის უახლოესმა ქვეშევრდომმა, ანდრეი ჟდანოვმა „ცეკას“ აპარატში აიყვანა სამუშაოდ. იცოდა თუ არა ჟდანოვმა კონსტანტინ კუზაკოვის წარმოშობის ამბავი, უცნობია. თავად კონსტანტინი მოგვიანებით, თავის მოგონებებში ადასტურებდა, რომ ჟდანოვმა ყველაფერი უწყოდა ამასთან დაკავშირებით. კუზაკოვი მხოლოდ ერთხელ შეხვდა მამას. „სტალინი შეჩერდა და შემომხედა. მინდოდა მისკენ გავქცეულიყავი, მაგრამ რაღაცამ შემაჩერა. მან კი თავისი ჩიბუხი დაიქნია და გზა განაგრძო,“ – წერს კუზაკოვი თავის მოგონებებში. მეორე მსოფლიო ომში კონსტანტინ კუზაკოვი ორდენოსანი პოლკოვნიკი იყო. დედამისი მარია – ლენინგრადის ბლოკადის დროს გარდაიცვალა შიმშილით. 1947 წლის ზაფხულში კუზაკოვი ჟდანოვის კაბინეტში გამოიძახეს. იქ მას საიდუმლო სამსახურის უფროსი, აბაკუმოვი დახვდა. აბაკუმოვმა კუზაკოვი, თავის მოადგილიანად, ამერიკის შეერთებული შტატების ჯაშუშობაში დაადანაშაულა. იოსებ სტალინმა მისი დაპატიმრების ნებართვა არ გასცა, თუმცა კონსტანტინ კუზაკოვი ამხანაგურ სასამართლოზე გაასამართლეს და პარტიიდან გარიცხეს. კონსტანტინ კუზაკოვი პარტიაში მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ აღადგინეს. მოგვიანებით, კუზაკოვი საბჭოთა ტელევიზიის დირექტორი გახდა და ამ თანამდებობაზე დიდი ხნის განმავლობაში იმუშავა. გარდაიცვალა – 1966 წელს.

**მოგვიანებით კუზაკოვი საბჭოთა ტელევიზიის დირექტორი გახდა და ამ თანამდებობაზე დიდი ხნის განმავლობაში იმუშავა**



კურეიკაში იოსებ სტალინი 1917 წლამდე იყო გადასახლებული, სადაც ის პერეპრიგინების ქოხში ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში შეეძინა ლიდია პერეპრიგინას უკანონო ვაჟი – ალექსანდრე. ამის შემდეგ, ძალიან მალე ლიდია პერეპრიგინა გათხოვდა მეთევზე იაკობ დავიდოვზე. დავიდოვმა საკუთარი შვილივით გაზარდა ალექსანდრე. ცნობისთვის, ალექსანდრე სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა დავიდოვის გვარს. ლიდიამ ალექსანდრეს გარდა, კიდევ რვა შვილი გააჩინა. ის პარიკმახერად მუშაობდა. ალექსანდრე დავიდოვს დედამ ბიოლოგიური მამის ვინაობა მრავალი წლის შემდეგ გაუმხილაო, იხსენებს ალექსანდრეს ვაჟი – იური. ლიდია პერეპრიგინა და მისი მეუღლე საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ამბავს. კურეიკაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა სიმართლე. ალექსანდრე კომკავშირის ინსტრუქტორად და ფოსტალიონად მუშაობდა. 1932 წელს ისიც გამოიძახეს შინსახკომში და მასაც ისეთივე ხელწერილი დააწერინეს, როგორიც კონსტანტინ კუზაკოვს. ალექსანდრესაც საიდუმლოდ უნდა შეენახა საკუთარი წარმომავლობა. ამის შემდეგ მას მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლა შესთავაზეს, რაზეც დავიდოვმა უარი განაცხადა. ალექსანდრე დავიდოვი მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, როგორც უბრალო ჯარისკაცი. ომის განმავლობაში ის სამჯერ დაიჭრა და მაიორობა მიიღო. ომის შემდეგ მას პატარა სასადილო ჰქონდა გახსნილი მეშახტეთა ქალაქ ნოვოკუზნეცკში. დავიდოვი ამავე ქალაქში დაქორწინდა. წყვილს 3 შვილი შეეძინა. ალექსანდრე დავიდოვი 1987 წელს გარდაიცვალა. მისი ვაჟი, იური დავიდოვი ამჟამადაც ნოვოსიბირსკში ცხოვრობს.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ უნდა გაიგოთ, რომელი ასტროლოგიური სტიქია ბატონობს თქვენზე და ვის ეკრძალება ძვირფასი ლითონის სამკაულის ტარება



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ადამიანები ზოდიაქოს ნიშანს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ასტროლოგიურ სტიქიებს, რაც არასწორი მიდგომაა. ყველამ იცის, რომ არსებობს ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი, რომელიც ოთხ ასტროლოგიურ სტიქიად არის დაყოფილი და საჭიროა, რომ ამ ოთხი სტიქიის ნიშან-თვისებები თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცოდეს, რათა, შესაბამისად, გაითვალისწინოს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ადამიანებთან ურთიერთობის დროს.

თითოეულ სტიქიაში ზოდიაქოს სამი ნიშანი ერთიანდება და ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ცეცხლის სტიქიაში ერთიანდებიან ვერძი, ლომი და მშვილდოსანი. ამ სტიქიის ქვეშ დაბადებულებს აქვთ ძალაუფლების მოპოვების, პირველობის, ხელმძღვანელი პირის რანგში და, ასევე, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი. მათ, აგრეთვე, ახასიათებს ეგოიზმიც. გარკვეული პარამეტრებით ისინი განსხვავდებიან, თუმცა, კარგად უგებენ ერთმანეთს. მათ ძალიან უყვართ ნათესავები, ოჯახის წევრები, ახლობლები და, ცხოვრების ეს საერთო პრინციპები მათ ერთმანეთთან აახლოებს.

ჰაერის სტიქიაში ერთიანდებიან ტყუპების, სასწორისა და მერწყულის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულები.

ზოგადად, ჰაერისა და ცეცხლის სტიქიების ქვეშ დაბადებული ადამიანები კარგად უგებენ ერთმანეთს. ჰაერის სტიქიის „წარმომადგენლები“ ძალიან ცნობისმოყვარეები, თავისუფლების მოყვარულები, გონებამახვილები და ინტელექტუალურები არიან. ასევე, გააჩნიათ განუსაზღვრელი ფანტაზიის უნარი, უყვართ მოგზაურობა, მუდმივად სიყვარულსა და სითბოს ეძებენ ადამიანებში; არიან კომუნიკაბელურები, იუმორით აღსავსე, დიპლომატიურები. ამ სტიქიის ნიშნები კარგად უგებენ ერთმანეთს.

წყლის სტიქიაში ერთიანდებიან მორიელის, კირჩხიბისა და თევზების ზოდიაქოს ნიშნები.

მათთვის ძირითადი დამახასიათებელი პარამეტრები და ნიშან-თვისებებია: უცნაური სიზმრები, ემოციურობა, სიღრმისეული ინტუიცია, სხვების დახმარება, გულმოწყალება, გადაჭარბებული რომანტიკულობა, გიჟმაჟური სიყვარული, წინასწარმეტყველების უნარი, საოცარი მგრძნობიარობა, დიპლომატიის უნარი, გულწრფელობა, სამართლიანობა, კოსმიური საკითხებითა და ამოუცნობი ფენომენებით დაინტერესება, ტრადიციებისადმი პატივისცემა, უფროსების რჩევა-დარიგებების გათვალისწინება.

მიწის სტიქიაში ერთიანდებიან კუროს, თხის რქისა და ქალწულის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებული ადამიანები.

მათ ახასიათებთ პრაქტიკულობა, არ აშინებთ ცხოვრებისეული სიძნელეები, არიან დისციპლინირებულები, ტრადიციულები, პუნქტუალურები, ორგანიზებულები, შეუპოვრები, მომთმენები, ნებისყოფიანები, სტაბილურები. კარგად ეწყობიან წყლის სტიქიის ქვეშ გაერთიანებული ზოდიაქოს ნიშნებით დაბადებულებს. მათ ბევრი საერთო თვისება აქვთ, რადგან, თავისი ფსიქოტიპით, მონათესავე სტიქიის ზოდიაქოს ნიშნები არიან. მაგრამ მიწის სტიქიის ქვეშ გაერთიანებული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ურთიერთობა უჭირთ ჰაერისა და ცეცხლის სტიქიების ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან.

ასევე, სამკაულებიც დაბადების სტიქიის მიხედვით უნდა შეარჩიოთ. ზოგი ადამიანი ოქროს სამკაულს ანიჭებს უპირატესობას, ზოგიც ვერცხლის ნაკეთობას ამჯობინებს, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ ცეცხლისა და ჰაერის სტიქიის ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის ასტროლოგიურად ოქროს სამკაულია უმჯობესი, თუმცა, აქაც არის გამონაკლისი, კერძოდ, ტყუპების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებისთვის კარგია როგორც ვერცხლის, ასევე ოქროს სამკაული.

მიწისა და წყლის სტიქიების ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის უფრო მეტად მისაღებია ვერცხლის სამკაული, თუმცა, გამონაკლისი აქაც არის. კერძოდ, კუროსა და სასწორისთვის მისაღებია როგორც ვერცხლი, ასევე, ოქრო.

მაღალი წნევის მქონე ადამიანებმა ოქროს სამკაული არ უნდა ატარონ, ვერცხლი კი მათ ნერვულ სისტემას დაამშვიდებს. ოქროს სამკაული კარგია იმათთვის, ვისაც ძლიერი ნებისყოფა აქვს, მაგრამ, ბავშვებს ნუ გაუკეთებთ, რადგან, ამ ლითონს ძალიან ძლიერი ენერგეტიკა აქვს და ბავშვის აურა ვერ უძლებს მისგან წამოსულ დიდ ენერგიას. ასევე, ოქროს სამკაული არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც, ჰიპერტონიული დაავადებების გარდა, აწუხებს, ნევროზი, ფსიქიკური აშლილობა და სხვა.

დაბალწნევიანებისთვის ოქროს ტარება კარგია.

რაც შეეხება ვერცხლის სამკაულს, ამ ლითონს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. კარგია, თუ ვერცხლს ატარებს ის, ვინც ეჭვიანია ან უძილობა აწუხებს.

თუ მიეკუთვნებით ცეცხლის სტიქიას და ენერგეტიკულად ძლიერი ხართ, არ უნდა ატაროთ ოქრო, რადგან, ისედაც ბევრი ენერგია გაქვთ, თქვენში მოჭარბებულია აგრესია და ოქრო ზედმეტ პრობლემას შეგიქმნით. ამიტომ, ასეთ ადამიანებს ესაჭიროებათ ვერცხლი, რომელიც მათ შინაგან ენერგიას გააწონასწორებს.

ვერცხლს უარყოფითი მხარეც აქვს, კერძოდ, ენერგეტიკულად სუსტი, მელანქოლიური ხასიათის მქონე ადამიანებისთვის ის საშიშია. ასეთებს ოქროს სამკაულების ტარებას ვურჩევთ, რათა მათში მეტად მოიმატოს ოპტიმიზმმა, ენერგიულობამ, აქტიურობამ.

ოქროს ნივთების ტარებისას მეტად გამოავლინეთ დაკვირვება, რადგან, არათითზე დიდი ხნის განმავლობაში მისი ტარება ორგანიზმში უარყოფით ცვლილებებს იწვევს. ამიტომ, დროდადრო დაასვენეთ თითები ოქროსგან.

ითვლება, რომ ვერცხლი სისხლს „აცივებს“ და, აქედან გამომდინარე, ის ხელს უწყობს გაციებას. ამიტომ, ვინც ადვილად ცივდება, ვერცხლის სამკაული არ უნდა ატაროს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **დავიბადე 1980 წლის 5 დეკემბერს, დილით. მინდა უცხოეთში გამგზავრება. იქნებ, მირჩიოთ, რომელი ქვეყანა ჯობია და, ასევე, მაინტერესებს, ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულთან მელის მშვიდი და ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრება?**

**პასუხი**: თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა თხის რქის, მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულის ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. უცხოეთის ქვეყნებიდან კი კარგია: მექსიკა, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, საბერძნეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, მაკედონია, ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი.

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 1998 წლის 27 დეკემბერს. უნდა უცხოეთში წასვლა, იქ სწავლა, მუშაობა. ასტროლოგიური თვალსაზრისით რომელი ქვეყნებია მისთვის მისაღები?**

**პასუხი**: უცხოეთი მისთვის დიდი წარმატებების მომტანი არ არის. თუმცა, იქ წასვლა და ძალების მოსინჯვა, ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, სინგაპური, მალაიზია.

**კითხვა**: **დავიბადე 1984 წლის 5 მაისს. მინდა, უცხოეთში ვცადო ბედი. ასტროლოგიურად, რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისია სწორედ უცხოეთს უკავშირდება. ამიტომ, იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა თქვენთვის აუცილებელია. ქვეყნებიდან მისაღებია: ინგლისი, ავსტრალია, დანია, შვედეთი, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი და პორტუგალია.

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 1992 წლის 21 იანვარს. რომელ სფეროში მიაღწევს სასურველ შედეგს?**

**პასუხი**: მისთვის კარგი და მისაღებია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, მთარგმნელობითი საქმე, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პოლიტიკა, სამართლებრივი ორგანოები, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა და პედაგოგიკა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

2 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

3 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

4 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

5 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

6 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

1 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

2 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ევროჯორჯია / ფრანგულის გაკვეთილები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგეშიძე, ვალერი კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაიშვილი, თეონა ქოქრაშვილი, კონსტანტინე როინიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

4 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

5 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვალერი კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ბახტრიონი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რომელ სარიტუალო საკვებს ამზადებნენ ჩვენი წინაპრები მიცვალებულთა მოხსენიების დღეს და იკრძალებოდა თუ არა მარხვის პერიოდში ღვინის სმა

**(მე-16 გვერდიდან)**

მუჯორსაც ამზადებდნენ, ეს იყო კანაფის ზეთმოსხმული სარიტუალო კერძი, ფაფის სახით, რომელიც მზადდებოდა ნათლისღების წინა დღეს, სარიტუალო კვებითი სისტემა, საწესო-სარიტუალო სუფრასაც მოიცავდა. ამ მხრივაც ქართველებს მრავალფეროვანი ასორტიმენტი გვქონდა. სვანეთში, მაგალითად, ბარბარობისთვის, რაც მარხვის დროს ემთხვეოდა, აცხობდნენ შესაწირავ სეფისკვერებს – „ლემზირებს”, რომლებშიც გულსართად დანაყილი ნიგოზი ან კანაფის თესლი და ზეთი გამოიყენებოდა. ლეჩხუმშიც აცხობდნენ ლობიანებსა და სამ ტაბლას, ჯვარგადასახულს და შიგ უსათუოდ უნდა ყოფილიყო ჩართული ლობიო ან ნიგოზი. სვანეთში შობის წინა დღესაც აცხობდნენ სალოცავ პურებს – ლემზირებს, ლობიანებს და კანაფის თესლისაგან დამზადებულ სარიტუალო შესაწირავს, რომლის სახელია „მუჯორ”, ასევე, ხარშავდნენ „თესლს”. ლეჩხუმში საშობაო რიტუალები ქრისტეშობის წინა საღამოდან იწყებოდა. ამ დღეს ერქვა „ჭანტილობა”, ანუ – „წანდილობა”. ხარშავდნენ ხორბალს და ამავე ქვაბში ყრიდნენ სამ-სამ ცალ მარცვლეულს: ლობიოს, სიმინდს, ცერცვს, ღომს, ფეტვს, ქერს. ნახარშს ქაფს მოხდიდნენ და ხეხილს წაუსვამდნენ, მოხარშულ მარცვლეულს კი გობში გადმოყრიდნენ და შეაზავებდნენ ნიგვზით და ხახვით, ან, ნიგვზის ნაცვლად – თაფლით, ეს არის „ჭანტილა”. საღამოს აცხობდნენ სამ პატარა კვერს, ჯვარგადასახულს, რომელსაც ნიგვზისა და ხახვის გული უნდა ჰქონოდა.

ჩვენდა სასიხარულოდ, კორკოტისა და წანდილის მოხარშვის ტრადიცია შემოინახეს თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმაც. ისინი, მოგეხსენებათ, მრავალი საუკუნეა მუსლიმანები არიან, მაგრამ, ეს ქართული ტრადიციული სარიტუალო ელემენტი მათ ყოფას შემორჩა. მათი ბაირამის (დიდი დღესასწაულის) დროს, რომელიც რამაზანს, ანუ, მუსლიმანურ მარხვას მოჰყვება, დილით, ადრე (ჯერ კიდევ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში, მათ შორის – მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებშიც არის ეს ტრადიცია შემონახული) ოჯახის დიასახლისი ხარშავს კორკოტს ხორბლისგან და ამ კორკოტს მეზობლებსაც უნაწილებს.

**– დიდმარხვაზე ვსაუბრობდით, რომლის ფინალიც არის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. რა საკონდიტრო ნაწარმი ცხვებოდა ამ დღესასწაულთან დაკავშირებით?**

– ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურა არსებობდა ქადეულისა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში აცხობდნენ ცხრაფურცელა ქადას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთ დიდ ქადას ხატს სწირავდნენ. სააღდგომოდ სხვადასხვა გამოსახულების კვერებს აცხობდნენ, მაგალითად, ხარ-ურემის, უღლის, კრუხ-წიწილის, ყურძნის გამოსახულებით. დიასახლისი ამ კვერებს გაიტანდა ეზო-კარმიდამოში, მარანს, კრუხ-წიწილს, ბაღჩას, ვენახს მიულოცავდა აღდგომას და ყველგან შესაბამისი გამოსახულების კვერს ჩამოკიდებდა. ცხვებოდა სააღდგომო ნაზუქები თონეში, განსაკუთრებით – ქართლსა და კახეთში.

**ეკა სალაღაია**

**როცა შავფაროსნების საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირებას ადევნებთ თვალს, იფიქრებთ, ისტორიულ წარსულში მოვხვდიო. თითოეული მათგანის ყოველი მოძრაობა ისეთი ჰაეროვანი და თავისუფალია, შეიძლება, მიბაძვის სურვილიც კი გაგიჩნდეთ, მაგრამ, არ გირჩევთ – უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოთ თავი... ამ ყველაფერს კიდევ უფრო განსაკუთრებულ ეფექტს სძენს ქალი შავფაროსნის გამოჩენა – ეს, ერთი შეხედვით, სიფრიფანა გოგონა ისეთებს ჩადის... ფილმს რომ უყურებდეთ ტექნიკის მაღალ ხარისხს მიაწერდით მის დამსახურებებს, მაგრამ, გინდა იჩქმიტეთ, გინდა თვალები მოიფშვნიტეთ – ის ცოცხალია, რეალურია, მართლა არსებობს! სწორედ, ამ ქალი შავფაროსანის გაცნობის სურვილმა მიმიყვანა ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნებში", სადაც შევიტყვე, რომ ეს გოგონა 26 წლის ანი ცინცაძე ყოფილა. ის ყველაფერთან ერთად, ძალიან საინტერესო რესპონდენტიც აღმოჩნდა.**

# როგორ მოიხმარდნენ კაბის ქვეშ დამალულ დანას ქართველი ქალები და რატომ გადაწყვიტა ანი ცინცაძემ ქართული საბრძოლო ხელოვნების „შავფაროსნებში" დაუფლება

– „მოძრაობის თეატრის" მსახიობი ვარ, შავფაროსანი, "ადამიანთა რესურსების განვითარების ფონდის" ტრენერი. ბავშვობაში განსაკუთრებით მიყვარდა ცეკვა. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის ცეკვებს ვსწავლობდი.

**– „შავფაროსნებზე" და ადამიანთა რესურსების განვითარების ფონდზე რას მეტყვით? რა საქმიანობით არიან დაკავებული ეს ორგანიზაციები და თქვენ როგორ აღმოჩნდით მათთან?**

– ფედერაცია „შავფაროსნები" ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილის – საბრძოლო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას ახორციელებს. ჩემი მეუღლეც, ნიკოლოზ მურმანიშვილი, შავფაროსანია და ამასაც ჰქონდა გავლენა ჩემს გადაწყვეტილებაზე. ყოველთვის მომწონდა საბრძოლო ხელოვნებები, თუმცა, ქართული საბძოლო ხელოვნება ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა, რადგან, ქართველი ვარ.

**– პროფესიით ვინ ხართ?**

– პროფესიით გახლავართ ფსიქოლოგი და „არგფოში" („ადამიანთა რესურსების განვითარების ფონდი") ვარ ჩართული ერთ საინტერესო პროექტში, რომელსაც ჰქვია „აფლატუნი" (ბავშვთა და ახალგაზრდობის სოციალური და ფინანსური განათლება). ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მისიაა, ხელი შეუწყოს ადამიანებს საკუთარი პოტენციალის მოვლენაში. მისი თავმჯდომარეა ბატონი ნოდარ სარჯველაძე.

**– სანამ მომავალ მეუღლეს გაიცნობდით, საბრძოლო ხელოვნების რომელიმე დარგი თუ გიტაცებდათ?**

– მომწონს და მაინტერესებს მოძრაობის ნებისმიერი სტილის დაუფლება, სხეულის ახლებურად ფლობა. თუმცა, ამას გარდა, შავფაროსნობა ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო თავისი ექსტრემალურობის გამო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის მეხმარება ყოველდღიურად განვითარებასა და გაძლიერებაში როგორც სულიერად, ასევე – ფიზიკურად.

**– მეუღლე როგორ გაიცანით? გასაგები ხდება, რომ ჯერ საბრძოლო ხელოვნებამ მოგხიბლათ და მერე – მომავალმა მეუღლემ.**

– ***(იცინის)*** საბრძოლო ხელოვნება მანამდეც მომწონდა, თუმცა, ნიკამ გაცნობის პირველივე დღეს მომხიბლა. ერთობლივი ღონისძიება გვქონდა „მოძრაობის თეატრსა" და „შავფაროსნებს" თელავში, სადაც გავიცანით ერთმანეთი მე და ნიკამ. ის უკვე 14 წელია, ამ საქმით არის დაკავებული.

**– წარმომიდგენია, როგორი საინტერესო დიალოგები გექნებოდათ... მალევე დაქორწინდით?**

– მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი, საკმაოდ დიდი ხნის მერე დავქორწინდით.

**– „შავფაროსნებს" როდის შეუერთდით, ეს ნიკას იდეა იყო თუ...**

– ერთი წელია, რაც „შავფაროსნებს" შევუერთდი. იდეა ამ ფედერაციაში გაერთიანებისა ჩემი იყო, ნიკასაც ძალიან გაუხარდა.

**– ალბათ, კარგია, როცა ცოლ-ქმარს საერთო ინტერესები აქვს.**

– კი, ნამდვილად. ეს, ალბათ, უფრო გვაახლოებს.

**– როგორი კონტრასტია: ასეთი ნაზი, სიფრიფანა ხართ და საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებით... სხვა გოგონებიც არიან „შავფაროსნებს" შორის?**

– არც ისეთი ნაზი ვარ ***(იცინის)***. ჩემმა გამოჩენამ „შავფაროსნებში" დიდი ინტერესი აღძრა გოგონებს შორის და ბევრს გაუჩნდა ჩვენთან შემოერთების სურვილი. რამდენიმემ უკვე დაიწყო ვარჯიში, რაც ძალიან სასიხარულოა.



**პირველი ქალი ვარ, რომელმაც ვარჯიში და ბრძოლა დაიწყო**

**– გამოდის, პირველი ქალი შავფაროსანი ხართ?**

– კი, პირველი ქალი ვარ, რომელმაც ვარჯიში და ბრძოლა დაიწყო. მანამდეც იყო რამდენიმე გოგო ადმინიტრაციული კუთხით ჩართული „შავფაროსნების" საქმიანობაში.

**– რომელი ილეთი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

– განსაკუთრებით მომწონს თუშური ფარიკაობა, რომელსაც ჩემს მეუღლესთან ერთად ვეუფლები. ამ სახეობაში გამოიყენება ორი ორლესული ხმალი და მოითხოვს ორივე ხელით იარაღის სრულყოფილ ფლობას, ძალიან მრავალფეროვანია ხმლის და სხეულის მოძრაობის ტრაექტორიებით. განსაკუთრებით იმიტომ მომწონს, რომ სხეულისა და გონების სისხარტესა და მოქნილობას ანვითარებს.

**– ცოლ-ქმარი შავფაროსანი ფარიკაობის დროს... „მისტერ და მისის სმიტების" ქართულ ვარიანტს მაგონებს...**

– ***(იცინის)*** კი, ეს ასოციაცია ხშირად უჩნდებათ ჩვენს მეგობრებსაც.

**– საინტერესოა, ისტორიულად, თუ ფლობდნენ ქართველი ქალები საბრძოლო ხელოვნებას?**

– პირველი ცნობები ქართველი მებრძოლი ქალის შესახებ გვხვდება ისტორიულ ნარკვევებში, რომლებიც ასახავს პომპეუსის ლაშქრობას ქართლში ძველი წელთაღრიცხვით 65 წელს. კერძოდ, აქ ასახულია ქართველი ქალების ბრძოლა, რომლებიც კაცებთან ერთად მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლის ლაშქარს არმაზციხესთან; არის თქმულებები მეთვრამეტე საუკუნის მებრძოლ ქალებზე, მაგალითად: თამარ ვაშლოვნელი, მაია წყნეთელი, თინა წავკისელი; ასევე, სულხან-საბა ორბელიანი თავის ნაშრომში „ლექსიკონი ქართული" („სიტყვის კონა") განმარტავს და აღწერს როგორც ვაჟის, ასევე ქალის საბრძოლო ვარჯიშს საკუთრივ სახელებით, რაც გვაფიქრებინებს ქართველი ქალის აქტიურ ჩართულობას საბრძოლო ვარჯიშებში და, აქედან გამომდინარე, საბრძოლო მოქმედებებშიც; არის სპეციალური ცნობები საბრძოლო იარაღის, კერძოდ, დანის შესახებ, რომელსაც ქართველი ქალი იყენებდა და განკუთვნილი იყო კაბის ქვეშ სატარებლად. ყოველივე ეს ქმნის საერთო სურათს, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ ქართველი მებრძოლი ქალის ისტორიულ არსებობაზე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

**– „შავფაროსნები" რატომ გქვიათ?**

– მტრის შემოსევის დროს, როდესაც ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი ურიცხვ მტერთან პირდაპირ შებმას ერიდებოდა, პატარ-პატარა ჯგუფებს მტერზე იერიში ძირითადად ღამით მიჰქონდათ. რაზმის წევრები ფარებს შავად ფერავდნენ, რათა მთვარის შუქი არ არეკლილიყო და მტრისთვის შეუმჩნევლები დარჩენილიყვნენ. ამიტომაც, მათ „შავფაროსნებად" მოიხსენიებდნენ. სწორედ შავფაროსნები იყვნენ ის მებრძოლები, რომლებიც მტერს ყველაზე დიდ ზიანს აყენებდნენ და უნიკალური საბრძოლო ოსტატობით გამოირჩეოდნენ.

**– ქართულ საბრძოლო ხელოვნებას თუ აქვს სხვა რომელიმე ქვეყნის საბრძოლო ხელოვნებასთან საერთო ან განმასხვავებელი ნიშნები?**

– ყველა საბრძოლო ხელოვნებას აქვს ბევრი საერთო, თუმცა, ქართულ საბრძოლო ხელოვნებას გააჩნია თავისებურებები, რითაც ის გამოირჩევა სხვადასხვა ქვეყნის საბრძოლო ხელოვნებებისგან. ამას განაპირობებს მისი თვითმყოფადობა, ადგილმდებარეობა, ხასიათი, დრო და ისტორია. ასევე, ჩვენ გვაქვს ჩვენი მრწამსი: სიბრძნე, სიმართლე და ძალა.

**– რა იარაღებით იბრძოდნენ „შავფაროსნები"?**

– „შავფაროსნებისთვის" ძირითადად დამახასიათებელი იარაღი იყო პატარა ფარი და ხმალი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ხელშუბი, ხანჯალი. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იმ დროისათვის არსებული იარაღი გამოიყენებოდა.

**– ინტერესდებიან თუ არა კარატეთი, ტაიკვანდოთი ან უშუთი დაინტერესებული ახალგაზრდები ქართული საბრძოლო ხელოვნებით?**

– ყოველთვის ძალიან სასიხარულოა, როდესაც ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ და სრულყოფისკენ სწრაფვა ამოძრავებთ. ამჟამად მრავალი ახალგაზრდაა ჩართული „შავფაროსნებში" მთელი საქართველოს მასშტაბით და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი საკუთარი კულტურის ფესვებს უბრუნდება, რაც ყველაზე სასიხარულოა.

**– როგორი ემოცია აქვს ხოლმე მაყურებელს, როდესაც საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირების დროს გიყურებთ?**

– საკმაოდ ემოციური. ჩემი პირველი საჩვენებელი ბრძოლის შემდეგ პატარა ბავშვი მომვარდა და მეკითხებოდა: „მოუგე? ხომ მოუგე?" სხვადასხვანაირ გრძნობას იწვევს მაყურებელში ჩემი გამოსვლის ნახვა. ძირითადად, ძალიან უკვირთ, თან, მოსწონთ. მერე იხსენებენ მაია წყნეთელს და მას მადარებენ ***(იცინის)***.

**– რომელიმე ფილმში თუ ჩაგიტარებიათ ქართული საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირება, ან, თუ გაქვთ ამგვარი შემოთავაზება?**

– ჯერ არა, მაგრამ, იმედია, მომავალში კარგ ისტორიულ ფილმში მივიღებ მონაწილეობას.

**ეკა სალაღაია**

# როგორ „გადააგდო“ „გრუ“ და გაიტაცა 830 ათასი მანეთი ქართველმა კაპიტანმა

### გაქცევა

1988 წლის 29 აპრილს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ტაშკენტის მახლობლად მდებარე მკაცრი რეჟიმის ციხიდან 35 წლის ნოდარ გოცირიძე გაუჩინარდა. მასთან ერთად გაქრა ციხის ცვლის უფროსი ახმად გალიევი. გოცირიძე ერთადგილიან საკანში იყო მოთავსებული და სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელოდა, რომელიც მას პოლკოვნიკის მკვლელობისთვის ჰქონდა მისჯილი.

ტაშკენტის მახლობლად მდებარე ციხე სამხედრო მოსამსახურეებისთვის იყო განკუთვნილი და იქ მძიმე დანაშაულში მხილებული ოფიცრები იხდიდნენ სასჯელს. კაპიტან ნოდარ გოცირიძეს კი პოლკოვნიკ ანტონ მალცევის მკვლელობის გამო მიუსაჯეს სიკვდილი. მალცევი საჰაერო-სადესანტო პოლკის პოლიტხელი იყო და გოცირიძეც იმავე ნაწილში მსახურობდა. მთვრალმა მალცევმა გოცირიძეს ჯერ დედა შეაგინა უმიზეზოდ, შემდეგ ტაბელური იარაღი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი გადატენა და ქართველ კაპიტანს დაუმიზნა. გოცირიძემ ვეფხვივით ისკუპა მალცევისკენ და იარაღის წართმევა სცადა. მალცევმა გაისროლა, ტყვია თვითონვე მოხვდა კუჭში და ადგილზევე გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გოცირიძე უდანაშაულო იყო, თანაც, დამსახურებული ოფიცერი და სამგზის ორდენოსანი, მას სამხედრო ტრიბუნალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ამ უსამართლობის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ მოკლული პოლკოვნიკი ეგორ ლიგაჩოვის უახლოესი ნათესავი აღმოჩნდა, ლიგაჩოვი კი მაშინდელი საბჭოთა მმართველი ელიტის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი იყო და სამხედრო სასამართლომ, ფაქტობრივად, მისი შეკვეთა შეასრულა.

ნოდარ გოცირიძისა და ახმად გალიევის ძებნა დილაადრიანად დაიწყო, მაგრამ, არანაირი შედეგი არ გამოიღო. იმავე დღეს გამოცხადდა მათი საკავშირო ძებნაც და გაუჩინარებულების სურათები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში დაიგზავნა. ეგორ ლიგაჩოვი ცოფიანს ჰგავდა და გოცირიძის შეპყრობას ან ლიკვიდაციას მოითხოვდა.

### ზესაიდუმლო დავალება

ნოდარ გოცირიძე მართლაც ახმად გალიევმა გააქცია ციხიდან, ციხის ცვლის უფროსს კი ორმოცდაათი ათას მანეთს შეჰპირდნენ, თუკი ის გოცირიძეს მშვიდობიანად გამოიყვანდა და ოცდახუთი ათასი მანეთი წინასწარ გადაუხადეს. გალიევს ვინმე ვიქტორი დაეკონტაქტა, რომელმაც გოცირიძის ახლო ნათესავად გააცნო თავი, სინამდვილეში კი „ვიქტორი“ იური მოროზოვი იყო, „გრუს“ პოლკოვნიკი, რომელმაც გალიევს უთხრა:

– ციხიდან რომ გამოხვალთ, მე ფურგონიანი „მოსკვიჩით“ დაგხვდებით და უსაფრთხო ადგილზე გადაგიყვანთ, იქ კი დანარჩენ ფულსა და ახალ საბუთებს მიიღებთ და, შეგეძლებათ, ავღანეთში გადახვიდეთ.

29 აპრილს, დილის 5 საათზე გალიევმა გოცირიძე უსაფრთხოდ გამოიყვანა ციხიდან. მათ ასიოდე მეტრი გაიარეს, ფურგონიან „მოსკვიჩში“ მოთავსდნენ და მანქანა ადგილიდან დაიძრა. ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ, „მოსკვიჩი“ გაჩერდა და გაქცეულები გადმოვიდნენ, მაგრამ უცებ მოროზოვმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო, გალიევს თავსა და გულში ესროლა, ადგილზევე მოკლა და გოცირიძეს უთხრა:

– გვერდით მომიჯექით, დრო არ ითმენს!

– რა ხდება? – იკითხა გოცირიძემ.

– განმარტებები – მერე. წავედით!

გოცირიძე და მოროზოვი წავიდნენ. მოკლული გალიევი კი ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა წინასწარ ამოთხრილ ძალიან ღრმა ორმოში ჩააგდო, ორმო მიწით ამოავსეს და „მოსკვიჩს“ გაჰყვნენ. 29 აპრილს, დილის 7 საათზე, უზბეკეთში მდებარე „გრუს“ საიდუმლო ბაზიდან ვერტმფრენი აფრინდა, რომელშიც პოლიციის გარდა გოცირიძე, მოროზოვი და ის ორი ახალგაზრდა ისხდნენ, რომლებმაც გალიევი დამარხეს. იმავე დღეს, ღამის 23 საათზე, გოცირიძე უკვე მოსკოვში იმყოფებოდა, „გრუს“ ერთ-ერთ კონსპირაციულ აგარაკზე. მას გენერალი ივან ზახაროვი ეწვია და უთხრა:

**ნოდარ გოცირიძე დღესაც ცოცხალია, მაგრამ რუსეთსა და საქართველოში არ ჩამოდის, რადგან მოკვლის ეშინია**

– ნოდარ, ვიცით, რომ უდანაშაულოდ იჯექი ციხეში. ისიც ვიცით, რომ პატრიოტი ხარ და, ამიტომაც აგირჩიეთ ამ ზესაიდუმლო დავალების შესასრულებლად. ჩვენი დიადი ქვეყანა იღუპება და მის გადასარჩენად მოღალატე მიხაილ გორბაჩოვი უნდა მოკვდეს. ეს მისია კი შენ უნდა შეასრულო...

### მისია

ნოდარ გოცირიძე კარგად იცნობდა გენერალ ივან ზახაროვს და ჯერ კიდევ ავღანეთში იბრძოდა მისი ხელმძღვანელობით. ზახაროვი დამსახურებული სამხედრო იყო, ამასთანავე, ძალიან ეშმაკი და ეს მშვენივრად იცოდა ქართველმა კაპიტანმა. გოცირიძე დარწმუნებული იყო, რომ, როგორც კი ის გორბაჩოვს მოკლავდა, მასაც იმავე დღეს გააქრობდნენ, როგორც ძალიან საშიშ და არასასურველ მოწმეს. ამიტომ, ამ შარისგან თავის დაღწევაზე დაიწყო ფიქრი, თუმცა, არაფერი შეიმჩნია და ზახაროვს სამხედრო წესით გამოეჯგიმა:



– მზად ვარ ნებისმიერი დავალების შესასრულებლად. ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

გენერალმა მხარზე ხელი დაარტყა გოცირიძეს, გაუღიმა და უთხრა:

– როგორც კი მისია შესრულდება, შენ საიმედო ადგილზე გადაგიყვანთ, ორიოდე თვის მერე კი, როცა ხელისუფლებაში პატრიოტული მთავრობა მოვა, შენ გამართლდები და სამსახურშიც დაგაბრუნებთ, რა თქმა უნდა, თანამდებობაზე და ბევრად მაღალი ჩინით.

– არის, ამხანაგო გენერალო!

– მოკლედ, ასე, ნოდარ: შენი კურატორი იქნება პოლკოვნიკი იური მოროზოვი და მისიისთვის სწორედ ის მოგამზადებს.

გორბაჩოვის ლიკვიდაციას „გრუ“ ამზადებდა, შემკვეთი კი შეთქმულ სამხედროთა ჯგუფი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა და მიაჩნდა, რომ ეს მხოლოდ გორბაჩოვის ფიზიკური განადგურებით იყო შესაძლებელი. განიხილებოდა რამდენიმე ვარიანტი, ძირითადად კი გორბაჩოვის მოკვლას სნაიპერული გასროლით აპირებდნენ, თუმცა, არც მის აფეთქებას გამორიცხავდნენ. ნოდარ გოცირიძეს სნაიპერული გასროლა უნდა განეხორციელებინა და მასთან ერთად სხვადასხვა პოზიციებს არჩევდნენ მოსკოვსა და ლენინგრადში. 12 მაისს გოცირიძე ლენინგრადში ჩაიყვანეს და იური მოროზოვმა მას უთხრა:

– ცხრა დღეში ობიექტი აქ იქნება და შენი მისია უნდა შეასრულო. მანამდე კი სასროლ პოზიციას კარგად შეისწავლი და მიეჩვევი.

გეგმის მიხედვით, ნოდარ გოცირიძეს სნაიპერული გასროლა №57 შემნახველი სალაროდან უნდა განეხორციელებინა, რომელიც ნევის გამზირზე მდებარეობდა. 21 მაისს გორბაჩოვს ფეხით უნდა გაევლო გამზირზე და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორუმი გაეხსნა.

1988 წლის 21 მაისს, დილის 9 საათსა და 45 წუთზე, მიხაილ გორბაჩოვი და მისი ამალა ნევის გამზირზე გამოჩნდნენ. ისინი ფეხით მოდიოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მათ მრავალრიცხოვანი დაცვა მოჰყვებოდა, გორბაჩოვი საკმაოდ ადვილი მოსახელთებელი იყო. იური მოროზოვი შორიახლოს მოეწყო და გოცირიძის სნაიპერულ გასროლას ელოდა. თუმცა, გორბაჩოვმა მშვიდობიანად გაიარა ხუთასიოდე მეტრი და იმ შენობაში გაუჩინარდა, სადაც ფორუმი იმართებოდა. როდესაც მოროზოვის ორი ხელქვეითი შემნახველ სალაროში შევიდა ამბის გასარკვევად, ნოდარ გოცირიძე იქ არ დახვდათ. სალაროში გაძარცული იყო ფულით სავსე სეიფიც, საიდანაც 830 ათასი საბჭოთა მანეთი იქნა გატაცებული. გაირკვა, რომ, გოცირიძის რჩევით, შეთქმულებმა შემნახველი სალაროს სეიფის სიგნალიზაცია გამორთეს, რათა ის შემთხვევით არ ჩართულიყო და მილიციის ყურადღება არ მიექცია...

ნოდარ გოცირიძეზე შეთქმულებმა ფარული ძებნა გამოაცხადეს, რომ მოეკლათ, მაგრამ, ვერ იპოვეს. 1988 წლის 2 აგვისტოს კი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტმა შეთქმულთა თორმეტკაციანი ჯგუფი აიყვანა და ისინი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა. ვერ მოიხელთეს გენერალი ზახაროვი – მან საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი...

***P.S.* *ნოდარ გოცირიძე დღესაც ცოცხალია, ამერიკის კონტინენტზე შეცვლილი გვარით ცხოვრობს და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გამოცემაში თავის მემუარებს აქვეყნებს. ერთ-ერთ პუბლიკაციაში გოცირიძემ განაცხადა, რომ მას რუსეთსა და საქართველოში ჩასვლის ეშინია, რადგან მას იქ მოკლავენ...***

**ნიკა ლაშაური**

# მრავალშვილიანი მამა ინვალიდი მეზობლის გაუპატიურებისთვის დააკავეს

49 წლის ივანე ფ-ძე სამართალდამცველებმა 27 წლის მანონ კ-შვილის გაუპატიურების ფაქტზე დააკავეს. მოძალადე მამაკაცს ბრალი ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის წაუყენეს, რაც ინვალიდი გოგონას მიმართ ერთი თვის განმავლობაში იძულებით სექსუალური კავშირის დამყარებას უკავშირდებოდა. დაკავებული თავიდან უარყოფდა ჩადენილ ქმედებას, მაგრამ, გამოძიების მიერ მოპოვებული სამხილებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ის მართლმსაჯულების წინაშე წარდგა.

გამოძიების მასალებით დადგინდა, რომ ივანე ფ-ძე ახალგაზრდა ქალთან, რომელიც დაბადებიდან ინვალიდი იყო, ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად ამყარებდა სქესობრივ კავშირს. ამის შესახებ სამართალდამცველებისთვის დაზარალებულის მშობლებისგან გახდა ცნობილი. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, გოგონას ოჯახი ივანე ფ-ძის მეზობლად ინციდენტამდე ერთი წლით ადრე გადავიდა საცხოვრებლად. ფინანსური პრობლემების გამო მათ მეზობელ სოფელში სახლი გაყიდეს და ივანე ფ-ძის მეზობლად შედარებით იაფი და პატარა სახლი შეიძინეს. ივანე ფ-ძეს ახალ მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, უფრო მეტიც, თავად მრავალშვილიანი მამა მანონ კ-შვილის მშობლებს თანაუგრძნობდა შვილის ფიზიკური მდგომარეობის გამო და სოფლის საქმეებშიც ეხმარებოდა. მანონი კ-შვილი, ფიზიკური მდგომარეობის გამო, საკუთარ თავში ჩაკეტილი და დეპრესიული ადამიანი იყო და მეზობლებთან კონტაქტი უჭირდა, თუმცა, ივანე ფ-ძესთან უფრო ახლო ურთიერთობა დაამყარა. მამაკაცი მის მიმართ ყურადღებას იჩენდა: როცა მანონის მშობლები სახლში არ იყვნენ, მასთან ხშირად მიდიოდა და დახმარებას სთავაზობდა. ივანე ფ-ძის მეუღლემ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო ქმრის მიერ ჩადენილი ქმედებების შესახებ და ამ საქციელის გამო ის სახლიდან გააგდო, მოგვიანებით სამართლადამცველებთან დაკითხვაზე აღიარა, რომ ივანე ფ-ძემ ინვალიდი გოგონა უცნაურად ამოიჩემა: „იმდენ დროს ატარებდა მის სახლში, ეჭვი გამიჩნდა, მაგრამ, ამას ვერ დავამტკიცებდი. ჩვენი უფროსი შვილი თითქმის მანონის ტოლია. სულ ვეუბნებოდი ივანეს, შვილის ტოლ გოგოსთან რა საერთო გაქვს-მეთქი, ის კი იმიზეზებდა, მეცოდება და იმიტომ ვარ ხშირად მის გვერდითო. ბოლოს მეზობლებისგან გავიგე, რომ ჩემს ქმარს მანონთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ეს ამბავი კაკო მ-ძისგან გასკდა სოფელში".

ივანე ფ-ძე დანაშაულის ჩადენის პერიოდში მარტო არ იყო. მას ჰყავდა თანამზრახველი, მეზობელი მარტოხელა მამაკაცი კაკო მ-ძე, რომელიც წარსულში ქურდობისთვის იყო ნასამართლევი. ციხიდან გამოსულს ცოლი გათხოვილი დახვდა და მას შემდეგ მარტო ცხოვრობდა. კაკო მ-ძე ალკოჰოლის აქტიური მომხმარებელი იყო და მასთან ხშირად იკრიბებოდნენ მამაკაცები და მანონ მ-შვილის გაუპატიურების პირველი შემთხვევა სწორედ მის ბინაში მოხდა. გამოძიების მიერ ჩატარებული სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა, რომ კაკო მ-ძის ბინაში ახალგაზრდა ინვალიდი გოგონა ივანე ფ-ძემ მიიყვანა. მან მასპინძელს ალკოჰოლი და საჭმელი მიუტანა და პირობაც ჩამოართვა, რომ, იმის შესახებ რაც მის სახლში მოხდა, არავის არაფერს ეტყოდა. კაკო მ-ძემ მეგობარსა და მეზობელს საიდუმლო მანამდე შეუნახა, სანამ დამნაშავე მოძალადე მას საკვებით ამარაგებდა. უფრო მეტიც, ივანე ფ-ძის დაკავების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მანონ მ-შვილთან სქესობრივი კავშირი რამდენჯერმე კაკო მ-ძესაც ჰქონდა. კაკო მ-ძემ ივანე ფ-ძე რამდენჯერმე დააშანტაჟა, რომ ამ დანაშაულს გაახმაურებდა, თუ მას მაღაზიის ვალებს არ გაუსტუმრებდა და შეუსრულა კიდეც მუქარა: იმის შესახებ, რაც მის სახლში ხდებოდა, ჯერ მეზობლებს, შემდეგ კი მანონ მ-შვილის მშობლებს გააგებინა.

სამართალდამცველებმა კაკო მ-ძეც დააკავეს. მეზობლებისა და მეგობრების დანაშაულებრივ ქმედებას დაკავებულის აღიარებითი ჩვენება მოჰყვა. თავიდან ის დანაშაულში მხოლოდ ივანე ფ-ძეს ამხელდა და აცხადებდა, რომ ინვალიდ მეზობელთან ინტიმური კავშირი მხოლოდ ივანე ფ-ძეს ჰქონდა, თუმცა ბოლოს აღიარა, რომ გოგონას თვითონაც აუპატიურებდა.

**მოძალადე თანამზრახველები ერთმანეთს სასამართლო პროცესზე დაუპირისპირდნენ**

ამონაწერი ბრალდებულ კაკო მ-ძის ჩვენებიდან: „როდესაც ივანემ მანონი პირველად ჩემთან მოიყვანა, მომატყუა, ნარგავები უნდა დავათვალიერებინოო. რა ვიცოდი, სინამდვილეში რა ჰქონდა დაგეგმილი. ივანე ნასვამი იყო და მთხოვა, რომ ცოტა ხნით სახლიდან წავსულიყავი. როცა სახლში დავბრუნდი, მივხვდი, რომ გოგონასთან ინტიმური კავშირი დაამყარა. მითხრა, არ გამთქვა და სასმელ-საჭმელს არ მოგაკლებო. თითქმის ყოველდღე გადმოჰყავდა გოგონა ჩემთან. რამდენჯერმე მეც მომცა მასთან ურთიერთობის უფლება – სულ ორჯერ მქონდა მანონთან ურთიერთობა, მერე ძალიან გავბრაზდი და ივანეს დავემუქრე, თუ ჩემთან კიდევ მოიყვან, მთელ სოფელს შევიყრი-მეთქი..."

კაკო მ-ძემ მოძალადე ივანე ფ-ძეს მუქარა აუსრულა – მან ამხილა ის გოგონას მშობლებთან.

თანამზრახველები სასამართლო პროცესზეც დაუპირისპირდნენ – ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ ჩადენილ დანაშაულს. სასამართლომ მოპოვებული მტკიცებულებების, მათ შორის, დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, ორივე მოძალადე დამნაშავედ ცნო, არ გაიზიარა ივანე ფ-ძის დაცვის შუამდგომლობა, რომ ბრალდებული მრავალშვილიანი მამა იყო და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 8 წლით პატიმრობა შეეფარდა მის თანაზმრახველს, კაკო მ-ძეს, რომელსაც, გაუპატიურების ფაქტთან ერთად, დანაშაულის დაფარვაც დაედო ბრალად.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

**31 მარტი**

1889 – პარიზში ოფიციალურად გაიხსნა ეიფელის კოშკი.

1901 – გასაყიდად გამოიტანეს „მერსედესის" მარკის ავტომობილი.

1967 – ჯიმი ჰენდრიქსმა პირველად დაწვა გიტარა თავის კონცერტზე (მას შემდეგ ყოველ კონცერტზე ასე იქცეოდა).

1987 – ლა-მანშის სრუტეში ჩაიძირა ბორანი, რომელზეც იმყოფებოდა 436 მგზავრი, 40 სატვირთო და 80 მსუბუქი ავტომანქანა.

**1 აპრილი**

1777 – ნიუორლეანელმა ბიზნესმენმა პოლოკმა გამოიგონა დოლარის ნიშანი – $.

1793 – მიწისძვრა მოხდა იაპონიაში, რომლის დროსაც კუნძული უნსენი გაიყო შუაზე, ამოიფრქვა ვულკანი და კუნძული 53 ათასი მოსახლით მთლიანად შთაინთქა ზღვაში.

1915 – ფრანგებმა გამოიგონეს მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა თვითმფრინავზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევიდან გასროლა.

1924 – „ლუდის პუტჩის" ჩავარდნის შემდეგ ხუთი წლით პატიმრობამისჯილმა ადოლფ ჰიტლერმა დაიწყო თავისი წიგნის – „მაინ კამპფის" წერა, რომელსაც რუდოლფ ჰესს ჰკარნახობდა.

1970 – სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე, აიათოლა ჰომეინმა ირანი გამოაცხადა ისლამურ რესპუბლიკად.

**2 აპრილი**

1794 – საფრანგეთში შეიქმნა მსოფლიოში პირველი საჰაერო ბურთების ავიაკომპანია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დაზვერვის საქმეში. 1799 წელს კომპანია დაიხურა.

1868 – გაიმართა უკანასკნელი სახალხო დასჯა: ინგლისში სიკვდილით დასაჯეს მკვლელი ქალი – ფრენსის კიდერი.

1912 – გამოსაცდელად ზღვაში ჩაუშვეს „ტიტანიკი". გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

1946 – რუსეთში გაიხსნა პირველი ბირთვული ცენტრი – „არზამას-16".

**3 აპრილი**

1881 – მოხდა მიწისძვრა ეგეოსის ზღვაში, კუნძულ სციოზე. დაიღუპა 7 ათასი ადამიანი.

1922 – სტალინი აირჩიეს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

1933 – თვითმფრინავმა პირველად გადაუფრინა ჯომოლუნგმას.

**4 აპრილი**

1147 – ივანე დოლგორუკმა დააარსა ქალაქი მოსკოვი.

1850 – ლოს-ანჯელესს მიენიჭა ქალაქის წოდება.

1919 – იტალიაში გაიხსნა სამგზავრო სადირიჟაბლო ხაზი – რომი-ნეაპოლი.

1949 – დაარსდა „ნატო."

**5 აპრილი**

1753 – დაარსდა ბრიტანეთის მუზეუმი.

1895 – ოსკარ უაილდმა წააგო სასამართლო საქმე მარკიზ კუინსბერისთან, რომელმაც ის ჰომოსექსუალიზმში დაადანაშაულა.

1933 – ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ გრენლანდია დანიის ტერიტორიად ცნო.

**6 აპრილი**

1453 – თურქმა სულთანმა მუჰამედ მეორემ ალყა შემოარტყა კონსტანტინეპოლს, რომელიც მაისის ბოლოს აიღო კიდეც.

1814 – მოკავშირეების: რუსეთის, ავსტრიის, პრუსიისა და დიდი ბრიტანეთის ჯარები პარიზში შევიდნენ. იმპერატორმა ნაპოლეონ პირველმა უარი თქვა ტახტზე.

1896 – ათენში დაიწყო პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები.

1909 – ამერიკელმა რობერტ პირიმ პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
> **გოეთე**

კითხვა: **როგორ უნდა გავარჩიო შეძენისას, ჯანსაღია თუ არა მცენარე?**

პასუხი: შეძენისას მცენარე კარგად უნდა შეამოწმოთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ჯანსაღია და კარგად გაიზრდება. თუ გამოცდილი მებაღე არ ხართ, გირჩევთ, ჩამოფასებულ განყოფილებაში გამოფენილი დაზიანებული ან ავადმყოფური შესახედაობის მცენარეები არ შეიძინოთ, თუნდაც ძალიან იაფი იყოს, რადგან, ასეთი მცენარე ძნელად თუ გადარჩება. აყვავებული მცენარის შეძენისას ის შეარჩიეთ, რომელსაც გასაშლელად გამზადებული ბევრი კოკორი აქვს, და დიდხანს დატკბებით მისი ყვავილობით. ფოთლები უკანა მხრიდან შეამოწმეთ, რადგან, შეიძლება, პარაზიტები ფოთლების ზურგზე, ღეროზე ან უბეებში ჰქონდეს ჩაბუდებული. ქოთნის ძირიდან გამოშვერილი ფესვები იმის ნიშანია, რომ მცენარეს დიდი ჭურჭელი სჭირდება. თუ ასეთ მცენარეს იყიდით, მაშინვე უნდა გადარგოთ. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ყვავილების მაღაზიაში შეძენილი მცენარე შინ შეფუთული უნდა მიიტანოთ, რადგან, შეიძლება, ცივმა ჰაერმა ფოთლები ან კვირტები ჩამოაყრევინოს.

კითხვა: **რა სინათლე და ტემპერატურა მოსწონს ჭორიკანას?**

პასუხი: ეცადეთ, ეს მცენარე კაშკაშა სინათლეზე დადგათ, რადგან, მზის შუქზე ფოთლები კარგ ფერს იღებს და მცენარეც უხვად ყვავილობს. მისთვის იდეალურია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ხოლო ზამთრის მინიმალური ტემპერატურა 12 გრადუსი უნდა იყოს. ჭორიკანა საკიდ კალათაში უნდა მოათავსოთ.

კითხვა: **რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყა სტრომანტე?**

პასუხი: ზრდის პერიოდში სტრომანტეს მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ, შემდეგ კი მორწყეთ ორ კვირაში ერთხელ, გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქით. სიგრილე და ჩრდილიანი ადგილი მცენარეს დაბალ ტენიანობასთან ბრძოლაში ეხმარება. სითბოში ზრდა დაჩქარდება, მაგრამ, ტენიც მეტი დასჭირდება.

კითხვა: **ბინაში მაქვს სელაგინელა. იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვუარო?**

პასუხი: სელაგინელას ვნებს სიმშრალე, ამიტომ რეგულარულად დანამეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. დაფესვიანებული ყლორტები თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეგიძლიათ დაყოთ და ახალ ქოთანში გადარგოთ. მას ჩრდილიანი და უმზეო ადგილი უყვარს. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. სიცხესა და სიმშრალეში მას ფოთლები უხმება. სჭირდება ტენიანი გარემო, ამიტომ, ყველაზე სასურველი ადგილი სააბაზანო ან სამზარეულოა.

კითხვა: **როგორ პირობებში ხარობს უკეთ მადაგასკარული ჟასმინი?**

პასუხი: ამ მცენარეს კაშკაშა სინათლეზე ყოფნა მოსწონს, მაგრამ მზის გულს მოარიდეთ. იდეალურია სტაბილური ტემპერატურა, დაახლოებით 30 გრადუსი. უფრო მაღალ ტემპერატურაზე კი მეტი ტენი სჭირდება. ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებასა და დაბალ ტენიანობას, ამიტომ, უმჯობესია, მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ. დანამეთ რეგულარულად. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრის თვეებში მორწყვა შეამცირეთ და მიწას შეშრობა აცადეთ, ოღონდ, მთლიანად ნუ გამოაშრობთ.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
> **ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **ადამიანმა, რომელსაც ჩემი ვალი აქვს, გამოიცვალა სახელი და გვარი. შესაბამისად, აღარ არსებობს ის ადამიანი, რომელიც სესხის ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული ჩემს მოვალედ. გთხოვთ, მაცნობოთ, იმოქმედებს თუ არა ეს გარემოება იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ამ ადამიანს აქვს ჩემ მიმართ?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. ამასთან, პირი მოვალეა, მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა, უვარგისი პროდუქციის მომწოდებელი პირი ჩაითვალოს მწარმოებლად და დაეკისროს პასუხისმგებლობა?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი ჩაითვლება მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ის დაზარალებულს მოთხოვნიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს მწარმოებელს ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წესი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, სად ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების რეგისტრაცია?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ეგრეთ წოდებული არასამთავრობო ორგანიზაცია ანუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში რა იგულისხმება კონკრეტულად „პროდუქტის" ცნებაში?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ შემთხვევაში „ნივთი" არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი," ასევე, მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა ის უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისთვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ვინ შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებელ პირად?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მწარმოებლად ითვლება პირი, რომელმაც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად მიიჩნევა, ასევე, ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით თავისი საქმიანობის სფეროში, კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა**: **ვარ დამწყები მძღოლი და მაინტერესებს, „ოფროუდისთვის" რა განსხვავებაა დიზელისა და ბენზინის ძრავებს შორის და რომელი ჯობია?**

**პასუხი**: ჯერ ერთი, გააჩნია, რა ტიპის „ოფროუდისთვის" უნდა გამოიყენოთ – უგზოობაში სასიარულოდ თუ შეჯიბრებისთვის. ორივე ტიპის ძრავას აქვს თავისი პლუსი და მინუსი. მაგალითისთვის, ბენზინის ძრავა, მით უმეტეს, ხუთიდან ზემოთ ასაკის ავტომობილის შემთხვევაში, გაცილებით მძლავრია, ვიდრე დიზელის ძრავები. თანამედროვე მოდელებში კი ეს მეტ-ნაკლებად დარეგულირდა და დიზელის ძრავა ბენზინის დაწევას ცდილობს. თუმცა, სიმძლავრით მაინც ბენზინის ძრავა სჯობნის, რაც „ოფროუდისთვის" ძალიან დაგჭირდებათ – იქნება ეს რთულ აღმართზე ასვლა, ლაფში გავლა, დიდ თოვლში გასვლა თუ სხვა. განსხვავებები დეტალებში ძალიან ბევრია, მაგრამ, ამ პასუხში აქცენტს ყველაზე მსხვილ განსხვავებაზე ვაკეთებ. ასე რომ, გეტყვით, დიზელს თავისი პლუსები აქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას წყალში გავლის არ ეშინია; მთავარია, დააზღვიოთ საჰაერო მილი, საიდანაც ძრავა ჰაერს იღებს, რომ წყალი არ შევიდეს. სხვა შემთხვევაში, დიზელს წყალში ბოლომდე ჩაყვინთავაც კი შეუძლია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა**: **გთხოვთ, ამიხსნათ, რა განსხვავებაა გადაცემათა კოლოფებში ვარიატორსა და მართვის ავტომატურ კოლოფს შორის; რას ნიშნავს ვარიატორი და რომელი მართვის სისტემით აღჭურვილი ავტომობილის ყიდვას მირჩევთ, ანუ, რომელი უფრო გამძლე და უკეთ შესანახია? ვარ ახალგაზრდა მძღოლი და ვაპირებ „ჰონდა ჰაშერვეს" შეძენას. წავიკითხე, რომ თქვენც დადებითი აზრის ხართ მასზე. რა არის მისი მთავარი სისუსტე და რას მივაქციო ძირითადად ყურადღება?**

**პასუხი**: ვარიატორსა და ავტომატურ კოლოფს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ, ავტომატიკის შემთხვევაში, ხდება სიჩქარეებში გადართვა სპეციალური ავტომატური მოწყობილობით, ვარიატორის შემთხვევაში კი, ბრუნთა რიცხვის მომატებასთან ერთად, იზრდება სპეციალური ხელსაწყოს გარშემოწერილობა, რომელსაც ძრავას ბრუნები ბორბალთან მიაქვს, ანუ, არ ხდება გადართვა. წარმოიდგინეთ სფერო, რომელიც პატარა იყო და ბრუნების მომატებასთან ერთად გადიდდა. მასზე გადადებული ღვედი, ერთსა და იმავე ბრუნზე, იმის გამო, რომ სხვადასხვა გარშემოწერილობა აქვს, ავტომობილის თვალს სხვადასხვა სიჩქარით აბრუნებს. ვარიატორი მოიგონეს სრული კომფორტისა და ეკონომიურობისთვის – ძრავა ზუსტად იმდენ ბრუნს აკეთებს, რამდენი სიჩქარეც იმ მომენტში სჭირდება. ანუ, კოლოფების არსებული სისტემებიდან ყველაზე ეკონომიურია და აჩქარებისას ძრავას ოპტიმალურ ბრუნებს იყენებს. ვინაიდან სისტემა შედარებით ახალია, მას მინუსებიც აღმოაჩნდა: საჭიროებს ზედმიწევნით ხარისხიან და დროში ზუსტ სერვისს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ არის ბოლომდე დაზღვეული, რომ მწყობრიდან არ გამოვიდეს. კარგი იქნება, თუ ყოველ ორმოცი ათას კილომეტრზე კოლოფის ზეთს გამოცვლით და ხარისხიან ზეთს ჩაასხამთ.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რომელი ცხოველები ავადდებიან ყველაზე ხშირად ცოფით?**

**პასუხი**: ყველაზე ხშირად გარეული ცხოველებიდან ავადდებიან მელიები და მგლები, ხოლო შინაური ცხოველებიდან – ძაღლები და კატები, რომლებიც ინფიცირდებიან გარეული ცხოველების დაკბენით, ან მათი ნერწყვის მოხვედრით დაზიანებული კანის ნაწილზე. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვირუსი დასნებოვნების ადგილასაა, შემდეგ კი მიჰყვება ნერვულ დაბოლოებებს და ამ გზით ხვდება ჯერ ზურგის, შემდეგ კი თავის ტვინში. დაავადების სიმპტომები ვლინდება მას შემდეგ, რაც ვირუსი გავრცელდება მთელ ორგანიზმში. დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მისი ფარული, ანუ ინკუბაციური პერიოდი. ცხოველი აღნიშნულ პერიოდშიც საშიშია. ხშირად ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10-14 დღის განმავლობაში, ხოლო ადამიანში მისმა ხანგრძლივობამ შეიძლება ერთ წლამდეც გასტანოს. მოხდება რა ცოფის ვირუსი თავის ტვინში, იქიდან, ისევ ნერვის გავლით, ხვდება სანერწყვე ჯირკვალში, სადაც ხდება მისი აქტიური პროდუცირება და გამოყოფა ნერწყვთან ერთად. კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 10 დღით ადრე შეიძლება, დაიწყოს დასნებოვნებულმა ცხოველმა ვირუსის გამოყოფა.

**კითხვა**: **თუ შეიძლება, მცირე ინფორმაცია მოგვაწოდოთ ტრიქოფიტოზზე? ძაღლი მყავს სახლში და მაინტერესებს, როგორ აისახება ის ცხოველზე და რა სახის მკურნალობა ესაჭიროება ამ დროს?**

**პასუხი**: ტრიქოფიტოზი ძაღლებში ხასიათდება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული ლაქების გაჩენით, სადაც საერთოდ არაა თმის საფარველი ან ძალიან უმნიშვნელოდ. კლინიკური ნიშნებიდან მიკოსპოროზისგან განმასხვავებელი ისაა, რომ ახასიათებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩირქოვანი ექსუდაცია, რისგანაც წარმოიშვება ფუფხის საკმაოდ სქელი შრე. ამის გამო ღრმად ზიანდება კანის საფარველი და გამოჯანმრთელების შემდეგ, საერთიდ არ ამოდის ბეწვი ან რჩება დეპიგმენტირებული კანის ლაქები. აღნიშნული სიმპტომების გამოვლინებას ძაღლი აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ვეტერინართან, რომელიც დაავადების კლინიკური ნიშნების მიხედვით და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას. სამკურნალოდ გამოიყენება დერმატოფიტოზების სამკურნალო და პროფილაქტიკური ვაქციები, სოკოს საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები, იმუნოსტიმულატორები და ვიტამინები. მკურნალობის სქემა აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რადგან აღნიშნული პრეპარატები მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა და ახასიათებს მთელი რიგი უკუჩვენებები. მიკოზების პროფილაქტიკისთვის სასურველია, ცხოველს ყოველწლიურად ჩაუტაროთ დერმატომიკოზების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. ცხოველი უნდა უზრუნველყოთ სრულფასოვანი, დაბალანსებული საკვებით, რომელიც მდიდარია ვიტამინებით. ასევე, მკაცრად დაიცავით სანიტარული და ზოოჰიგიენური წესები მოვლა-შენავისას და მოარიდეთ თქვენი ცხოველი ქუჩის მაწანწალა ძაღლებსა და კატებთან კონტაქტს.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

მახინჯი
ბილიკი
დიდი ველი რუსეთში



დიდი იტალიელი მევიოლინე
აშშ-ს შტატი
ევროპის ქვეყანა
ვივიენი
ხაზი
თვითმფრინავების სადგომი
სასწორის თეფში

საუნჯე
საგანგებო ტერიტორია
დაბმული ნავი
ქართველი რეჟისორი

რეჟისორი და თეატრ. მოღვაწე დოდო....
ავსტრიის დედაქალაქი
შვილი, მემკვიდრე

ერთი ქირურგიის წინაა
გრამატ. კავშირი
(.....) ბრედბერი

დიდი ქართველი მოჭიდავე
რუსული არხი (.....)-TV

ქალაქი ესტონეთში
ვიმყოფები, ვარსებობ....
ძირითადი ანუ როგორი?
"სამი" ნარდის ენაზე

ოსური ცეკვა
ხიფათი გზაში
მხედველობის ორგანო
მსუბუქი ძილი
პისტოლეტი

გამძლე ანუ?
შხამი, გესლი
ჯადოსნური, დაუჯერებელი
გაზაფხულის მახარობელი

პატარა ნიანგი
ჯოყოლას ცოლი
ცარიელი ქურქელი

სალბუნი
უკრაინ. პოეტი (.......) ბაჟანი
დიდი ქვა
(.......) ქირარდო
ბავშვების საყვარელი სიტყვა

გოჩაც და ნაიაც „გვადი ბიგვაში"
ასეთია აპრილი პოეზიაში
ახალი, ქორფა
ვირს არ აქვს, ვაზს აქვს

მსახიობის საქმე
პირველი წყვილი
კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა

შავი ლეოპარდი
ბულგარელი ნათელმხილველი
(.....)-მოდელი
წელიწადის დრო

ქალაქი ესპანეთში
აბაშის სოფელი
აფთიაქარი

ბრაზილიელი მწერალი
ქიმიური ნაერთი
პოეტი (.....) ფხოველი
„9" ინგლისურად

ცნობილი დავითაშვილი
სტილი არქიტექტურაში
რელიგიური რიტუალის დამამთავრებელი სიტყვა

ქართველი პოეტი
ბანქოს "ქალი"
წონის ერთეული
მაუგლის პითონი

გოზინაყის „ხილი"
ეკვადორის დედაქალაქი

შიდა ქართლის ქალაქი
ერი გულადი, (......)
წუხილი, ვარამი
ნაწვიმარზე ამოდის
სიმინდის ყვავილედი

მთა თბილისთან
რიცხვითი სახელი
ჰომეროსის პოემა
ამირანის დედა

Column clues (top to bottom):

| Col | Clue |
|---|---|
| 1 | 2 |
| 2 | 4 |
| 3 | 2 5 |
| 4 | 3 4 1 |
| 5 | 9 |
| 6 | 9 |
| 7 | 10 |
| 8 | 11 |
| 9 | 2 1 16 |
| 10 | 3 1 18 |
| 11 | 4 23 |
| 12 | 4 17 1 |
| 13 | 5 6 4 1 |
| 14 | 5 1 3 |
| 15 | 5 1 3 |
| 16 | 5 3 |
| 17 | 19 |
| 18 | 5 2 1 |
| 19 | 5 1 |
| 20 | 5 2 |
| 21 | 5 |
| 22 | 4 |
| 23 | 4 |
| 24 | 3 1 2 |
| 25 | 2 3 4 |
| 26 | 12 |
| 27 | 12 1 |
| 28 | 1 1 13 |
| 29 | 4 15 |
| 30 | 4 15 |
| 31 | 2 2 5 14 |
| 32 | 3 2 5 3 9 |
| 33 | 1 1 2 2 3 2 2 |
| 34 | 1 1 2 2 2 |
| 35 | 6 3 |
| 36 | 19 |
| 37 | 6 2 1 |
| 38 | 1 1 2 1 |
| 39 | 1 1 2 2 |
| 40 | 6 |

Row clues (left to right):

| Row | Clue |
|---|---|
| 1 | 1 1 |
| 2 | 9 9 |
| 3 | 13 2 3 1 |
| 4 | 15 11 |
| 5 | 15 2 3 1 |
| 6 | 17 12 |
| 7 | 1 1 1 13 |
| 8 | 3 1 1 1 |
| 9 | 3 1 1 |
| 10 | 7 1 4 1 |
| 11 | 3 1 5 1 |
| 12 | 3 1 6 1 |
| 13 | 4 1 4 1 |
| 14 | 4 1 5 1 |
| 15 | 5 1 3 1 |
| 16 | 6 3 5 3 |
| 17 | 12 11 |
| 18 | 12 1 10 1 |
| 19 | 11 4 8 4 |
| 20 | 8 6 |
| 21 | 9 6 |
| 22 | 10 8 |
| 23 | 10 10 |
| 24 | 8 9 |
| 25 | 8 3 2 |
| 26 | 5 3 3 2 |
| 27 | 4 3 3 2 |
| 28 | 4 3 2 2 |
| 29 | 3 3 3 4 |
| 30 | 3 4 4 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 1 | 9 | | 3 | 2 | 5 | |
| 6 | | 8 | | 1 | 5 | | 9 | |
| | 3 | | 2 | | | 8 | 4 | 1 |
| 5 | 1 | 4 | | 3 | | 9 | | |
| | 6 | | 1 | | 9 | | 8 | 4 |
| 8 | | 3 | 7 | | 2 | 1 | | 5 |
| | 8 | | 6 | 7 | | 5 | | 9 |
| 1 | | 6 | 3 | 9 | | 4 | 2 | |
| | 7 | 9 | | | 4 | | 1 | 8 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 3 | | 7 | | | | 4 |
| 7 | | 8 | | | 5 | | 2 | |
| | 2 | | | 9 | | 3 | | 7 |
| 8 | | 2 | | 6 | | | 9 | |
| | 3 | | | 8 | | | | 2 |
| | 6 | | 1 | | 3 | | 4 | |
| | 7 | | | | | | | 5 |
| 3 | | | 7 | | | | 1 | |
| | | | | 3 | | 4 | | 9 |

# ვინ იყავი წინა ცხოვრებაში?!



*საკმაოდ სახალისო ტესტია, რომელიც საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში დაგეხმარებათ.*

**1. რამდენი ადამიანია თქვენ გვერდით?**

ა) საკმაოდ ბევრი. დრო ყველასთვის მყოფნის – 10;

ბ) საკმაოდ არიან, მაგრამ მათთვის დრო არ მყოფნის – 5;

გ) 2-3 უახლოესი ადამიანი – 0.

**2. მეგობრებთან ერთად ხართ და ერთი თავის ნაცნობთან გაყოლას გთავაზობთ.**

ა) თუ ვიცნობ იმ ადამიანს, გავყვები – 0;

ბ) გავყვები, თუ ეს მეგობარი ჩემთვის ძვირფასია – 5;

გ) სულ ერთია სად წავალ, მთავარია, მეგობრებთან ვიყო – 10.

**3. არომატი თქვენთვის არის...**

ა) კოლოსალური მნიშვნელობის – 5;

ბ) დიდ ყურადღებას არ ვანიჭებ – 0;

გ) მნიშვნელოვანი და ინტიმური რამ – 10.

**4. როგორ იცვამთ?**

ა) მოდურად, თუმცა არა შოკის მომგვრელად – 5;

ბ) მეგობრების მსგავსად – 10;

გ) ისე, რომ არავის აგრესია არ გამოვიწვიო – 0.

**5. ყოველთვის სიამოვნებით შეჭამდით...**

ა) გემრიელ, ყუათიან რამეს – 5;

ბ) რაიმე ეგზოტიკურს – 10;

გ) საკვებს მნიშვნელობას არ ვანიჭებ – 0.

**6. რა ასოციაცია გაქვთ სიტყვა „მეგობარზე"?**

ა) მე და ჩემი ოჯახი – 10;

ბ) მე და ჩემიანები – 5;

გ) სისულელეა, რა ასოციაცია – 0.

**შედეგები:**

***60-35 ქულა** – თქვენ, ალბათ, იყავით კოლექტიური მწერი. რას ნიშნავს ეს? მაგალითად, ფუტკარი ან ჭიანჭველა. აქედან მოდის თქვენი კომუნიკაბელურობა, შრომისმოყვარეობა, თქვენთვის გარემო და მეგობრები აუცილებელია. მარტო არაფრად ვარგიხართ.*

***34-16 ქულა** – ერთგული ძაღლი. სხვა ცხოვრებაში ძაღლი იყავით. ერთგული, ძლიერი, ნებისყოფიანი და ჭკვიანი. ზედმეტმა ერთგულებამ, მით უფრო არასათანადო იდეალებისადმი, შესაძლოა, გზას აგაცდინოთ. თქვენთვის საშიშია უიმედო სიყვარულიც.*

***15-0 ქულა** – ჩიტი. ალბათ ჩიტი იქნებოდით. თქვენში შერწყმულია ინდივიდუალიზმი და უნარი, ერთი თვალის შევლებით ფართო პერსპექტივა დაინახოთ. მართალია, თქვენი თვისებები ადამიანებს ზიანს არ აყენებს, მაგრამ მარტოს ძალიან გაგიჭირდებათ.*

## ზოლიანი, როგორც იღბალი!



დიდი ხანია, ზოლიანი მაისური საზღვაო ფორმად და ატრიბუტად არის მიჩნეული. ის ყველა მეზღვაურის სავიზიტო ბარათია. საინტერესოა, იცოდეთ, რომ ზოლიანი მაისური, როგორც ჩაცმულობის ელემენტი, მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის ფლოტში გაჩნდა. ინგლისის სამხედრო ფლოტი იმ პერიოდში ლიდერი იყო ზღვაზე. ესპანელები და ჰოლანდიელები ვერ ბედავდნენ მასთან პირისპირ შეხვედრას. ინგლისურ ფლოტში უმკაცრესი დისციპლინა და სამხედრო წესები იყო... გემის სისწრაფე დამოკიდებული იყო იალქნების მოხერხებულად დაკეცვა-გაშლაზე, თანაც, უმოკლეს დროში. ინგლისელი მეზღვაურებიც მაიმუნებივით დაცოცავდნენ ანძებზე, მაგრამ, მათი თეთრი პერანგები თეთრივე იალქნების ფონზე არ ჩანდა და ეს პრობლემებს ქმნიდა. პრაქტიკულმა ინგლისელებმა თეთრი პერანგები ზოლიანებით შეცვალეს. ახლა კაპიტანს ადვილად შეეძლო, თვალყური ედევნებინა იალქნებზე გადაადგილებული მეზღვაურებისთვის და შესაბამისი მითითებები გაეცა მათთვის. სხვათა შორის, პირველად ზოლიან მაისურებს მეზღვაურები თვითონ ქსოვდნენ და კერავდნენ. ძალიანაც ეზარებოდათ, მაგრამ, მანუფაქტურებმა საკმაოდ გვიან დაიწყეს მათი წარმოება. მეზღვაურის ნამდვილი ზოლიანი მაისური იქსოვება შერეული ტექნოლოგიით: თეთრი ფერის ზოლები ნატურალური შალის უნდა იყოს, შავი ზოლები კი – უმაღლესი ხარისხის ბამბის ძაფის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს ის თავის ჭეშმარიტ მისიას: სიცხეში იქნება გრილი და თავისუფლად გაატარებს ჰაერს, ხოლო სიცივეში სხეულს სითბოს შეუნარჩუნებს. ეს პრინციპი დღემდე დაცულია.

## უკვდავი ფაიფური

ლეგენდარული თიხა-ფაიფური გამოიგონეს კორუფციის წყალობით...

ფაიფური ხელოვნური მარილისგან შეიქმნა: ეს არის თიხის, კვარცის და რაც მთავარია, კაოლინის ნარევი... შემდეგ უკვე შეფერილია კაშკაშა სალებავებით – ძალიან ლამაზი და ელეგანტური. ფაიფურს გაჩენისთანავე დაუკავშირდა უამრავი მითი და გამოცანა.

ფაიფურის წარმოება პირველებმა ჩინელებმა ისწავლეს. ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინათ, სავარაუდოდ, ხანის დინასტიის დროს. თუმცა, ის ფაიფური მაინც არ იყო კლასიკური ფაიფური. ის დაიხვეწა და სრულყოფილებას მიაღწია მხოლოდ მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებში. საქმე ისაა, რომ ფაიფურის გამოწვას ძალიან მაღალი ტემპერატურა სჭირდება, 1370-1430 გრადუსი მაინც. ამ ტიპის ღუმელები მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში გამოიგონეს და უმაღლესი ხარისხის ფაიფურიც ამ დროს გაჩნდა. ჩინეთში ფაიფური ძვირი არ ღირდა. ევროპელი ჯაშუშები ცდილობდნენ, ჩინეთიდან გაეტანათ ფაიფურის წარმოების საიდუმლო, მაგრამ დიდხანს – საკმაოდ უშედეგოდ.

ამიტომ, ევროპელებმა თავად დაიწყეს ექსპერიმენტების ჩატარება. პირველად წარმატებას ფლორენციელმა ბერნარდო ბუონტალენტიმ მიაღწია – მედიჩის კარის არქიტექტორმა. თუმცა, პირველი ფლორენციური ფაიფური მსუბუქი და გამჭვირვალე არ იყო.

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს აფთიაქარის ნორჩმა მოსწავლემ იოჰან ბიოტერიმ ქიმია კარგად შეისწავლა და ვერცხლის მონეტები ოქროთი დაფერა. პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ პირველმა მოისურვა, ასეთი კარგი ალქიმიკოსი გვერდით ჰყოლოდა. მაგრამ, ბიოტერი საქსონიაში გაიქცა, კიურფიურისტ ავგუსტთან. სწორედ იქ, საქსონიაში, კიურფიურისტის დაჟინებული მოთხოვნით, შეიქმნა იშვიათი ფაიფური, რომელმაც საქსონიას საუკუნეების განმავლობაში გაუთქვა სახელი.

იოჰან ბიოტერი 1719 წელს გარდაიცვალა 38 წლის ასაკში. მაშინ, არც მას და არც სხვას, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა სახიფათო იყო სიცოცხლისთვის ის ქიმიური ცდები, რომელსაც იოჰანი თითქმის 12 წლის განმავლობაში ატარებდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ლოგიკა იმარჯვებს

## ერლი სტენლი გარდნერი

აივენჰოში ყველაზე მსხვილი და ერთადერთი კომპანიის – „ჯებსონ კომერშელ კომპანიის“ სეიფი გაძარცვეს. მეორე დღეს თანამშრომლებისთვის ხელფასები უნდა დაერიგებინათ. სეიფში ას ორმოცდაათი ათასი დოლარი იდო. ვიღაცამ სიგნალიზაცია გამორთო და მოძველებული სეიფი ამოჭრა. გვერდითა ოთახში დარაჯს ღრმად ეძინა. სასწრაფოდ გამოიძახეს კომპანიის დანიშნული დირექტორი ფრენკ ბერნელი. კომპანიის ბუღალტერი რალფ ნესბიტი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა. მან ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მოახსენა ახალ დირექტორს, რომ სეიფი მოძველდა და გამოცვლას



საჭიროებდა, მაგრამ ბერნელი ხარჯებს მოერიდა – მხოლოდ დარაჯი აიყვანა და სეიფს ახალი სიგნალიზაცია დაუყენა. შეატყობინეს ჩიკაგოს მთავარ ოფისს, მივიდა კრიმინალური პოლიცია და, ბოლოს, ერთი ეჭვმიტანილი დააკავეს...

ადვოკატ მეისონს უყვარდა უიმედო საქმეებზე ხელის მოკიდება. როცა გააფრთხილეს, „ჯებსონ კომერშელ კომპანის“ თანამშრომლის დაცვა შენს დიდებას ჩრდილს მიაყენებს, რადგან, დამნაშავეაო, პირიქით, აზარტი მოემატა და თავის მდივანს უთხრა, მისთვის ამ საქმის ყველა მასალა მიეწოდებინა.

– ახლა უკვე აღარ, მაგრამ წეღან რომ ძველებური კლიჩკა დამეძახა შენთვის, ნამდვილად მუშტს მივიღებდი ყბაში. შენი მუშტი კი მტერს მოხვდა. ამათმა გითხრეს ხომ, უფრო სწორად კი, ყბედალომ.

მე და ნოკაუტას ხმა არ ამოგვიღია, ყბედალომ კი უპასუხა:

– როგორ გამოიცანი, შე ჩემა. მართლა მე ვუთხარი, დაანოკაუტე-მეთქი.

– მოხარშულს გიცნობთ და ისე, – უდიდესი თვითკმაყოფილებით თქვა ხუჭუჭამ, – შემდეგ კი ნოკაუტას მხარზე ხელი დაჰკრა.

– ჯიგარი ხარ, ძმაო. არანაირი ძუნწი კარაპეტა არ ხარ. ნამდვილი ნოკაუტა ხარ, რადგან შენმა საქციელმა უმუშტოდ ჩამაგდო ნოკაუტში.

იმ დღის შემდეგ ხუჭუჭას ნოკაუტასთვის ძუნწი კარაპეტა აღარ დაუძახია. ან ბესოთი მიმართავდა ან ნოკაუტათი. ბესო ნოდიამ თავისი ბავშვობის ოცნება სრულად განახორციელა და სკოლის დამთავრებისთანავე, მოსკოვში გაემგზავრა. იქ ის ჯერ ჯიბგირობდა, შემდეგ კი ცეხავიკობა დაიწყო, ბოლოს მსხვილი ბიზნესმენი გახდა. ძალიან დიდი ქონება დააგროვა და დღეს რუსეთში საკმაო გავლენით სარგებლობს. ამას წინათ თბილისში საქმეზე იყო ჩამოსული და ჩემი მასპინძელი იმიტომ მთავაზობდა მასთან დაკავშირებას, რომ ნოკაუტას არალეგალურად გავეყვანე საქართველოდან. მას დიპლომატიური პასპორტი აქვს და ჩემს დახმარებაზეც არ დაიხევდა უკან, მაგრამ ძალიან სარისკო საქმე იყო და უარიც ამიტომ ვთქვი. ჩემი აზრით, აქედან ჩემი გაყვანა ყველაზე მეტად ხუჭუჭას შეუძლია და იმაზე უკეთ ვერავინ გააკეთებს ამას. თუმცა, მე არა მარტო საქართველოში მემუქრება საფრთხე, არამედ ყველგან. იმიტომ რომ, მე სერგოს სამიზნე ვარ. მას კი იმდენი გავლენა და ფული აქვს, თავისუფლად შეუძლია, მკვლელი დედამიწის ნებისმიერ

წერტილში მომიგზავნოს. ნურავინ იფიქრებს, რომ სიკვდილის შიშით საზნის ქვეშ შევძვერი და ვკანკალებ. მაგრამ, არც შეწირული ცხვარივით ვაპირებ ვინმეს სამსხვერპლოზე მორჩილად გავყვე – ბევრს უკან გავიყოლებ... მე არც ტერორისტი ვარ და არც სპეციალურად მომზადებული სუპერმენი, მაგრამ იმდენს მაინც მოვახერხებ, ჩემს მოსაკლავად გამოგზავნილი „შაკლები" ნაკუწებად ვაქციო. თუ როგორ მოვახერხებ ამას, მე ვიცი, მაგრამ ყველა ჩემმა მტერმა გაიგოს, რომ ამას მე ნამდვილად შევძლებ. მართალია, ასეთ მდგომარეობაში პირველად ვიმყოფები, მაგრამ ადრეც ვიცოდი, თუ რა არის ეს. ერთხელ ურალის მკაცრი რეჟიმის ზონაში შემასახლეს, რომელშიც რვაასი ადამიანი იხდიდა სასჯელს და „ბესპრეძელშჩიკური პალაჟენია" სუფევდა. იქ მე ერთადერთი ქურდი ვიყავი. იყვნენ ქურდული „მასტებიც", მაგრამ „გალავარეზები" სჭარბობდნენ და თითქმის ყოველდღე ხდებოდა შეტაკებები. მართალია, ჩვენ არ გვერჩოდნენ, მაგრამ ძალიან მცირე გავლენა მქონდა და ბესპრეძელშჩიკებისთვის რეალურ საფრთხეს არ წარმოვადგენდი. თუმცა, ნელ-ნელა ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ზონა გამეშავებინა. ერთ მშვენიერ დღეს ზონაში დიმა კოროლიოვი, მეტსახელად „ბარსი" შემოასახლეს. ის ცნობილი ლენინგრადელი ბანდიტი და მძარცველი იყო და შავ სამყაროში პატივს სცემდნენ. ბარსს კარგად ვიცნობდი. ის პირდაპირ ჩემთან მოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– კობრა, ძმაო, როგორ ხარ?

– კარგად. შენ?

– ცუდად. ჩემი საქმე ტრაკისკენაა, მაგრამ ამ ბოზებს ასე იოლად არ დავნებდები, ორ-სამ ბოზს მაინც გავიყოლებ უკან.

ბარსი რომ არ მცნობოდა, ვიფიქრებდი, შეშლილს ველაპარაკები-მეთქი. დიმას თვალები გაფართოვებოდა და ჩახმახზე შეყენებულ თოფს ჰგავდა, რომელმაც შეიძლება, ყოველ წამს დუპლეტი გაისროლოს. იმავდროულად, ყველა პატიმართან ორმეტრიანი დისტანცია ეკავა და ჩემ გარდა არავის იკარებდა. ეს ყველაფერი რომ დავაფიქსირე, დიმას ვკითხე:

– დალაგებულად მითხარი, რა გჭირს?

– რა და ცოცხალი სამიზნე ვარ.

– ცოცხალი სამიზნე?

– კი.

– რატომ?

– მილიციის მაიორი დავბრიდე და იმიტომ.

– დახვრეტას როგორ გადაურჩი? პერესტრელკისას შემოგაკვდა?

– პერესტრელკაშიც რომ მომეკლა, მაინც დახვრეტას მომისჯიდნენ. მე კი მას ჩავუსაფრდი და წინასწარი განზრახვით მოვკალი.

– მით უმეტეს. ასეთი საქციელი პირდაპირ დახვრეტას ითვალისწინებს და როგორ გადარჩი?

– აბაროტი ავულე. მან ჩემი უდანაშაულო ძმა მოკლა, მართლაც შემთხვევით, რადგან მე ვეგონე. მე კი შური ვიძიე და ეს პირდაპირ განვაცხადე სასამართლოზე, რაც გაითვალისწინეს და თხუთმეტი წელი მომისაჯეს. მაგრამ, რად გინდა? აქ იმიტომ გამომიშვეს, რომ პატიმრების ხელით დამბრიდონ. მაიორის ძმაკაცები დამემუქრნენ, არ გაცოცხლებთო და აი, აქ ვარ.

– ჰო, აქ საშინელი ბესპრეძელია. ყოველდღე სტიჩკები ხდება და კაცის მოკვლის ორგანიზება რთული არაა.

– იმიტომაც არავის ვენდობი და ორ მეტრზე ახლოს არავის ვიკარებ შენ გარდა.

– მარტო ეს ვერ გიშველის.

– აი, – მითხრა ბარსმა და პირიდან



ბრიტვა გამოიღო, ქამრიდან კი ალესილი ფოლადის ნაჭერი ამოაცურა. მერე ისევ უკან დააბრუნა და თქვა, – ესენიც მაქვს.

– ვერც ეგენი გიშველის.

– ვიცი, მაგრამ რამდენიმე კაცს ხომ მაინც გავიყოლებ თან.

– სხვა გზა უნდა ეძებო.

– რა სხვა გზა?

– უნდა გაიქცე.

– აქედან?

– სხვაგვარად დაგბრიდავენ. ასე, აქ დიდხანს ვერ გაძლებ. რადგან ძაღლებმა მეტკა დაგადეს, არ მოისვენებენ და თუ თავის გადარჩენა გინდა, უნდა გარისკო. მაინც ცოცხალი სამიზნე ხარ და რისკმა შეიძლება, გაგიმართლოს.

– ახლავე დავიწყებ ჩალიჩს.

– მალე იჩალიჩე. დრო არ ითმენს და შეიძლება, ყოველ წამს მოგიწყონ პროვოკაცია, – ვუთხარი ბარსს და მართალიც აღმოვჩნდი.

დიმა კოროლიოვი სულ რაღაც სამი დღის მოყვანილი იყო ზონაში, ათამდე პატიმარი რომ დაესხა თავს. ბარსი მამაცურად იბრძოდა – მისი „შტირი" ყველამ იგემა და ბრიტვაც აამოქმედა. საბოლოო ჯამში, ორი თავდამსხმელი გარდაიცვალა, სამი მძიმედ დაიჭრა, დანარჩენებმა კი, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს. თავად ბარსი თორმეტ ადგილზე იყო „დაშტირული" და ძალიან მძიმე მდგომარეობაში წაიყვანეს საავადმყოფოში. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა, მაგრამ ცოცხალი დარჩა, სამი თვის შემდეგ კი საავადმყოფოდან გაიქცა, თავს უშველა. დიმა კოროლიოვის ისტორია ამით არ დასრულებულა. მან ლენინგრადში შემნახველი სალაროს ინკასატორი გაძარცვა და დიდი ფული გაიტაცა. შემდეგ ერთ-ერთი მილიციელიც მოკლა, რომელმაც ზონაში მისი მკვლელობა შეუკვეთა. ბარსი დღესაც ცოცხალია, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ციხეში ზის და ბანკის შეიარაღებული ძარცვისთვის ოცდაათწლიან სასჯელს იხდის... მართალია, ბარსი თავისუფალი არ არის, მაგრამ შეიძლება ითქვას, გაუმართლა. თუმცა, პირიქითაც ხდება და ზოგჯერ ბედისწერა სხვაგვარად განკარგავს ადამიანის ბედს.

მრავალი წლის წინ, როცა ორთაჭალის ციხეში ვიჯექი და სასამართლოს განაჩენს ველოდებოდი, ჩვენს საკანში ვახო ასათიანი შემოასახლეს. ვახო მძარცველი იყო და თბილისში, ინკასატორზე თავდასხმის გამო დააპატიმრეს. ძარცვის დროს ინკასატორი დაილუპა. ამ გახმაურებულ საქმეში ვახო მარტო მოქმედებდა და დიდი კუშიც აიღო, რომელსაც მილიციამ ვერ მიაგნო. ვახო მოგვიანებით დააპატიმრეს და ინკასატორის მკვლელობასაც მას აბრალებდნენ. სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა და „აძინოჩკაში" გადაიყვანეს – სარდაფში მდებარე დასახვრეტთა კორპუსში გაამწესეს. გასვლის წინ ვახო ყველას გამოგვემშვიდობა, მე კი მითხრა:

– მშვიდობით კობრა. ალბათ, იმქვეყნად შევხვდებით. ახლა მე უკვე სამიზნე ვარ.

ვახომ ორი თვე გაატარა სიკვდილმისჯილთა საკანში და მისი ადვოკატის მიერ დაწერილ შეწყალების განცხადებასაც მოაწერა ხელი. ორი თვის შემდეგ, ერთ დილას ვახო ასათიანის საკანთან ციხის უფროსი, მისი ადვოკატი და ზედამხედველი მივიდნენ. ზედამხედველმა „კარმუშკა" გაალო და პატიმარი იხმო. ვახო ასათიანმა კი ზედამხედველს კალმისტარი შეარჭო ბოლომდე მარცხენა თვალში და ადგილზევე მოკლა... არა და, ეს ხალხი იმიტომ მივიდა ვახო ასათიანთან, რომ


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჟანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



მისთვის ეთქვათ, შეგიწყალესო... ვახო ორ დღეში გაასამართლეს და დახვრიტეს. მას უკვე ველარაფერი უშველიდა, მაგრამ მეტი ნებისყოფა რომ გამოეჩინა, ცოცხალი გადარჩებოდა... შავი სამყარო, ექსტრემალური გარემოა და თუკი მაგარი ნერვები და ნათელი გონება არ გაქვს, იქ თავის გატანა, მით უმეტეს, ავტორიტეტის მოპოვება, შეუძლებელია.

შეიძლება, ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ, ვფიქრობ, ქურდი ან შავი სამყაროს ნებისმიერი გამორჩეული წევრი, არა ნაკლებად ძლიერი პიროვნებაა, ვიდრე მტრის ზურგში მომუშავე მოუხელთებელი მზვერავი. ორივე არალეგალია, ორივე მუდმივი ძებნისა და მეთვალყურეობის ქვეშაა და უფსკრულის პირას დადის. ორივე კარგად ორგანიზებულ სტრუქტურებს უპირისპირდება და მათ ცხვირწინ უწევს „ჩალიჩი" – მუდმივი სტრესისა და ჩავარდნის საფრთხის წინაშეა. ჩემი აზრით, შავი სამყაროს წევრი ბევრად ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე მზვერავი, რადგან, მზვერავს ათასი დამზღვევი და ხელის შემწყობი ჰყავს, რომლებსაც სახელმწიფო უგზავნის. შავი სამყაროს წევრს კი არავინ აზღვევს და ყველა პლუსის მოპოვება მას თითქმის მარტო უწევს. მართალია, ჩვენი არალეგალური, საიდუმლო კავშირები და სტრუქტურა ქურდებსაც გაგვაჩნია, მაგრამ ბევრად მეტი ძალისხმევაა საჭირო. ამიტომ, ნებისმიერი მოუხელთებელი „პრისტუპნიკი" ძლიერი პიროვნებაა. ამას საკუთარი თავის შესაქებად არ ვამბობ: „რა მაგარი ვარ-მეთქი", არა... ჩემზე მაგრები და მოუხელთებლებიც არიან და მე, უბრალოდ, ფაქტს ვუსვამ ხაზს. ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ მზვერავს დიდი ხნის განმავლობაში სპეციალური პროგრამით ამზადებენ. ჩვენ კი, თვითონ ვამზადებთ საკუთარ თავს და მომზადებას ქუჩასა და საპყრობილეებში გავდივართ. ანუ, პრისტუპნიკის მხოლოდ პრაქტიკულ მომზადებას გადის და ყველაფერი საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი.

ციხე და ზონა – აი, ჩვენი სასწავლო დაწესებულებები და ჩვენს სამყაროში რომ ფეხი მოიკიდო, სრული „სასწავლო კურსი" უნდა გქონდეს გავლილი. მართალია, ბოლო დროს ისეთი ქურდებიც მომრავლდნენ, გისოსებს მიღმა ერთი საათიც რომ არ გაუტარებიათ, მაგრამ ქურდებად იწოდებიან და საკმაოდ დიდი ამბიციებიც გააჩნიათ. ჩემი აზრით, მათ კრიმინალური განათლება აკლიათ, ყალბი დიპლომები აქვთ და ტყუილად გვედრებიან... თავს არ ვიქებ, მაგრამ, სანამ ქურდი გავხდებოდი, ორი „სროკი" გავატარე ციხეში „ოტ ზვანკა, დო ზვანკა". მანამდე კი ქურდულ ხელობას დავეუფლე, საქმეებს ვაკეთებდი და გამოცდილებას ვიძენდი. ერთხელ, რუსთავის ზონაში ერთ ძალიან ცნობილ ქურდთან ახალმოყვანილი პატიმარი მივიდა და უთხრა:

– მე ქურდობა მინდა და საქმის კურსში უნდა ჩაგაყენო.

ქურდმა ყურადღებით შეათვალიერა ახალმოსული, რომელიც საკმაოდ თამამი ჩანდა და ჰკითხა:

– რა გქვია?

– ზაურა, – მიუგო ქურდს ახალმოსულმა.

– რამდენი წლის ხარ?

– ოცდაათის.

– ცოტა გვიან კი მაყენებ საქმის კურსში, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, ქურდული მასტი იყო. რისთვის ზიხარ და რამდენი მოგისაჯეს?

– რვა წელი ამკიდეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის, – ამაყად მიუგო ქურდობის მსურველმა და მისი პასუხიდან უკვე ყველაფერი ნათელი იყო. ქურდს გაეცინა და უთხრა:

– დააკონკრეტე. ზუსტად მოყევი ყველაფერი.

– კაროჩე, უნივერმაღში ვმუშაობდი საქონელმცოდნედ და ლიფებზე გავიჭედე... ოცდაათი ათასის ფრანგული ლიფი ლევად გავატანე ერთ ბარიგას სურამში. იმას კი ძაღლები ასხდნენ კუდზე და რომ დაიჭირეს, მეც ჩამიშვა. ერთი სიტყვით, ბოზმა გამიჩალიჩა, – მიუგო ქურდს ახალმოსულმა.

ქურდმა თვალი ჩაგვიკრა, ქურდობის მსურველს კი ჰკითხა:

– შენ რა, ჩვენება დაწერე? რა უთხარი ძაღლებს, ლიფები ვისიაო?

– რომ მეთქვა, ჩემი არ არისო, არ დამიჯერებდნენ. ამიტომ, ვუთხარი, ჩვენი საწყობისაა, მაგრამ მომპარეს და კიდევ კარგი, იპოვეთ-მეთქი.

– მერე, დაგიჯერეს?

– რომ დაეჯერებინათ, ახლაც ხომ საწყობში ვიმუშავებდი, – ნაღვლიანად თქვა ქურდობის მსურველმა – იცი, რა მაყუთს ვლუნავდი?

– ბევრს შოულობდი?

– საკმაოდ.

– ქურდობა რად გინდა, სროკს რომ ჩაათავებ, ისევ ძველი პროფესიით დაიწყე მუშაობა.

– არ გამოვა. ხუთი წლით პროფესიით მუშაობა სასამართლომ ამიკრძალა. ან, სად ვიშოვი ასეთ ადგილს. მაინც რვა წელი უნდა ვიჯდე ციხეში და ჯობია, ქურდი გავხდე.

ქურდობის ტიტულის მაძიებელი დაუნი ნამდვილად არ ჩანდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ვილაცამ მაგრად დააბოლა და დააგოიმა. სავარაუდოდ, ეს პატიმრებმა გააკეთეს ციხეში და ქურდმა მას ჰკითხა:

– ქურდობა ვინმემ გირჩია თუ თვითონ მიხვედი ამ გადაწყვეტილებამდე?

ზაურამ თავი გვერდზე გადასწია და მიუგო:

– რა თქმა უნდა, ბოლო სიტყვა ჩემზე იყო, თუმცა ციხეში ბიჭებმა მირჩიეს ეს. „ბენდერა" გაგიგია?

ბენდერა ნახალოვკელი აფერისტი იყო და ზაურამ რომ ის ახსენა, ნათელი იყო, საქონელმცოდნე მან დააბოლა. ამიტომ ქურდს გაეღიმა და უთხრა:

– როგორ არა, ვიცნობ.

– ჰო და, ბენდერამ მირჩია, ქურდობაზე იჩალიჩეო. ყველაფერი ზუსტად ამიხსნა და გზაზე დამაყენა. მოკლედ, გადაწყვეტილი მაქვს და უნდა დამეხმარო.

ზაურას ზურგს უკან მდგომი პატიმრები ქურდს ანიშნებდნენ, ეკაიფეო. ქურდს კი ზაურა შეეცოდა და უთხრა:

– არა, ძმაო, ეგ საქმე არ გამოვა და ვერც მე დაგეხმარები. ქურდი შენგან არ გამოვა. ისე კი, შეგიძლია, ჩვენთან იყო და ჩვენთან იახლობლო.

– ქურდი რატომ არ გამოვა ჩემგან?

– ზაურ, ძმაო, ბენდერა ჩათლახი აფერისტია და გეკაიფებოდა. ქურდი რომ გახდე, არც ჯარში უნდა იყო ნამყოფი, არც სადმე ნამუშევარი და უნდა ქურდობდე, ქურდულად ცხოვრობდე. შენ კი საქონე-

## მამია ბუაჩიძის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა, ორმოცი მძიმე, სევდით, ტკივილითა და მონატრებით გაჯერებული დღე... ვერ ვეგუებით იმას, რომ აღარ ხარ. ყველგან ისევ ვხედავთ შენს ღიმილიან, სიკეთით სავსე თვალებს. უკვე ვხვდებით, რომ ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენი წასვლით დაგვიტოვე. ღირსეულად იცხოვრე. არასდროს გიღალატია საკუთარი თავისა და კაცურკაცობის პრინციპებისთვის. ყველასთვის საყვარელი, მზრუნველი და მოამაგე იყავი... რატომ არ გვასწავლე, როგორ გაგვეძლო უშენობისთვის?!. უშენობა მოგვერია და უსაშველო მონატრებად ჩაგვისახლდა გულში...

ადამიანად ყველა იბადება, მაგრამ პიროვნებები ჩვენ გარშემო არც ისე ბევრია. სახელს დამსახურება უნდაო... რა თქმა უნდა... გარდაცვალების შემდეგ ხომ მხოლოდ სახელი რჩება და, კიდევ, ნათელი მოგონება იმ სიკეთისა, რაც სიცოცხლეში დაგვითესავს.

**ახლობლები**

ლმცოდნედ მუშაობ.

– გასაგებია, – ნაღვლიანად თქვა ზაურ-ამ და გასასვლელისკენ წავიდა. ქურდმა კი უთხრა:

– ჩვენთან იცხოვრე და იძმაკაცე, არ გინდა?

– მერე, შეიძლება?

– რა თქმა უნდა, – გაუღიმა ზაურას ქურდმა და კოიკაზე მიუთითა, – აი, ეგ იქნება შენი ადგილი და მოეწყვე.

ქურდი, რომელზეც მე ვლაპარაკობ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოკლეს ერთი ახალი ფორმაციის ქურდის შეკვეთით, რადგან მისთვის ტიტულის ჩამორთმევას აპირებდა და სხოდკა უნდა შეეკრიბა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, იმ ქურდს მოსკოვში შევხვდი და მითხრა:

– სინდისს ვფიცავ, ზაურა უფრო იმსახურებდა ქურდობას, ვიდრე ზოგიერთი ძალად ჩვენი ძმა. წარმოგიდგენია, კობრა, როგორ იქცევიან? ქურდები არიან თუ ვაჭრები, ვერ გაიგებ. უფრო სწორად კი ქურდები არ არიან და სულ მალე მათ ყურებს ავუწევთ და ტრაკში პანღურებს ამოვცხებთო...

სამწუხაროდ, როგორც უკვე ვთქვი, ჩემი ნეპმანელი კოლეგა ქილერის ტყვიამ შეიწირა და თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო. თუმცა, არც მისი მკვლელობის შემკვეთს დაადგა კარგი დღე. ის მოსკოვის მახლობლად მდებარე ტყეში თავმოკვეთილი აღმოაჩინა მილიციამ, ოთხ პირად მცველთან ერთად. მსგავსი თავზრუდამხვევი სიუჟეტი, ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვითარდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საბჭოთა სივრცის კრიმინალურ ავტორიტეტებს ხან ნიუ-იორკში კლავენ, ხან ლონდონში, ხან პარიზში და ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, მოსკოვსა და ლენინგრადში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მკვლელის ტყვიას შეეწირა ორასზე მეტი უავტორიტეტულესი ქურდი, ანუ, შავი სამყაროს ელიტა და მხოლოდ ამის მერე შესძლეს ახალი ფორმაციის ქურდულმა კლანებმა დიდი გავლენის მოპოვება უზარმაზარ სივრცეზე. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, თანამედროვე ქურდულ კლანებში ძალიან გამოცდილი, ავტორიტეტული, წარსულში ნეპმანური ყაიდის ქურდებიც არიან გაერთიანებულები და ძირითადად მათზე დგას ეს გაერთიანებები. უმეტესი მათგანი კავკასიური წარმოშობისაა და მათი უმრავლესობა ქართველი ან საქართველოში დაბადებული და გაზრდილია.

ამას წინათ, ურთიერთდაპირისპირებას ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ქურდის სიცოცხლე შეეწირა, რომელიც მანქანაში ჩაცხრილეს. მისმა მკვლელობამ კი უფრო მეტი სისხლი მოიტანა და კიდევ ექვსი ქურდი მოკლეს. ჩაცხრილული ქურდის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ და პირობითად მას ელდარს ვუწოდებ... ჰოდა, ეს ელდარი, კომუნისტების პერიოდში გახდა ძალიან გავლენიანი ფიგურა და უკვე მაშინ მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. მას ლამის ვასია ბრილიანტის, ცალხელასა და ზურას გვერდით აყენებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს წინასწარმეტყველება ახდა და ელდარი ძალიან ცნობილი, გავლენიანი გახდა. მაგრამ, ძირითად ქურდულ პრინციპებს არღვევდა, ნარკობიზნესში იყო ჩართული და არალეგალურ ფულს ლეგალური ბიზნესით ათეთრებდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ელდარა



გაბარიგდებოდა, თანაც ნარკოტიკებს გაყიდდა?! საბჭოთა კავშირის დროს ქურდული სამყარო ცალსახად უარყოფითად იყო განწყობილი ნარკომოვაჭრეების მიმართ და მათ უკიდურესად ჩაშვებულ, ნაძირალა არსებებად თვლიდნენ. ამ კატეგორიის ადამიანებს „პრისტუპნი მირში" ყოვლად შეუბრალებლად, სასტიკად ეპყრობოდნენ და ქათმებთან იყვნენ გათანაბრებულები. მახსოვს, ერთხელ ციხეში ცნობილი ნარკობარიგა, ვინმე „მორფინა" მოიყვანეს. ამ მეტსახელს მას პირობითად ვუწოდებ და მის ნამდვილ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მისი შთამომავლები დღემდე თბილისში ცხოვრობენ. მორფინა ძალიან ცნობილი ბარიგა იყო, მილიციასთან შეკრული და არავინ იჭერდა. ის თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ცხოვრობდა, მისი სახლი ციტადელს ჰგავდა და ახლოსაც კი ვერ მიეკარებოდი. მე და ბერძენას მისი ბაითის გაქურდვის გეგმა ჯერ კიდევ ჩვენი ქურდად კურთხევამდე გვქონდა შემუშავებული და იმიტომ ვერ განვახორციელეთ, რომ ორივე სხვა საქმეზე დაგვიჭირეს. ერთი სიტყვით, ეს ხელშეუხებელი ნაძირალა იმის გამო დააპატიმრეს, რომ მისი წამლით ერთი კომუნისტი მაღალჩინოსნის შვილი გარდაიცვალა. ის საცოდავი კაიფში გაიპარა. მილიციამ საქმე აღძრა. იძულებულები იყვნენ, ობიექტური გამოძიება ჩაეტარებინათ და მორფინა დააპატიმრეს, გაასამართლეს და ციხეში გაამწესეს. როდესაც ის კორპუსზე შემოიყვანეს, მთელი ციხე ბობოქრობდა. ამიტომ, ადმინისტრაცია იძულებული გახდა, მორფინა სიკვდილმისჯილებში ჩაეყვანა და „აძინოჩკაში" გამოემწყვდია. ეს ამბავი რომ „გაიასნდა", კვლავ მთელი ციხე აბობოქრდა და ერთხმად ვყვიროდით: „სა-ქათ-მე-ში, საქათ-მე-ში!..." ადმინისტრაცია იმდენად შეაშინა ბუნტმა, რომ ჩვენს ნებას დაჰყვა და ცნობილი ნარკობარიგა საქათმეში შეაგდეს. იქ კი მას შესაბამისად მოექცნენ, იმაზე მეტად დაამცირეს, ვიდრე ამას რიგით ქათმებს უშვებოდნენ. ამიტომ მორფინას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდა და რესპუბლიკური საავადმყოფოს შესაბამის განყოფილებაში გადაიყვანეს ქალაქში. დროთა განმავლობაში, მორფინა ყველას დაავიწყდა და ის ჯერ რუსეთში გაუშვეს ეტაპით, იქ კი დიდი ფული გადაიხადა და პატიმრობიდან გათავისუფლდა. ყველაზე ტრაგიკომიკური ფაქტი კი ისაა, რომ მორფინა მოგვიანებით პოლიტიკოსად მოევლინა ქვეყანას და საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, მთელი რიგი თანამდებობებიც კი ეკავა მთავრობაში. სხვათა შორის, ციხის „შუმოკი" მორფინას წინააღმდეგ ელდარას მოწყობილი იყო და ელდარა სწორად მოქმედებდა. მოგვიანებით კი, როდესაც ელდარა თავად გახდა ნარკობარიგა, ერთ-ერთმა ქურდმა მას უთხრა:

– ელდარ, ძმაო, მორფინას ამბავი გახსოვს?

– მერე? – კითხვითვე მიუგო ელდარამ.

– რაღა მერე. თუ ის ბაითიდან ბარიგობდა წამლით, შენ მთელ პარტიებს კრიშავ და, რა განსხვავებაა ჩვენ შორის?

ეს სიტყვები ელდარასთვის უდიდესი შეურაცხყოფა იყო, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვდა პასუხს. ამიტომ, არც აცია, არც აცხელა, „ტეტეს" სისტემის პისტოლეტი გააძრო, შეურაცხმყოფელს მთელი მჭიდი დააცალა და კბილებში გამოსცრა:

– მე ქურდი ვარ, ის – ქათამი, შენ კი – ტრუპი. აი, რა განსხვავებაა...

დაცხრილულ ქურდს სული ამოსდიოდა და, სანამ მოკვდებოდა, თქვა:

– ელდარ, შე ბოზო! შენი დედაც. შენც მალე ჩაძაღლდებიო...

ელდარამ მკვლელობის საქმე ფულით მოაგვარა – მილიციაც მოისყიდა და შემთხვევის ადგილზე მყოფი ადამიანებიც, რომელთა შორის ორი ქურდი იყო. ელდარამ ის ქურდები ჯერ თავის ბიზნესში ჩართო და ფული აშოვნინა, შემდეგ კი თავიდან მოიშორა და ქილერს მოაკვლევინა. აი, ასეთი ვერაგული, მაფიოზური მეთოდებით მოქმედებენ გადაგვარებული ქურდები და, ჰგონიათ, რომ ყველაფერი შერჩებათ. მართალია, მსოფლიო იცვლება და პროგრესი თავისას მოითხოვს, მაგრამ, ვერაგობა, სიხარბე, ღალატი და სხვა მსგავსი სისაძაგლეები ნამდვილად ვერ ჩაითვლება პროგრესად და სულაც არ ამართლებს ახალი ფორმაციის ქურდების საქციელს.

საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ, უკვე ყველასთვის ნათელი იყო, რომ დაიშლებოდა და სწორედ იმ პერიოდში ვიმყოფებოდი როსტოვში ვასია ბრილიანტთან და ძია ვასიამ მოულოდნელად მითხრა:

– კობრა, ძმაო, არ გინდა, ახლა ბავშვი იყო და სადმე ლურჯი ზღვის სანაპიროზე იწვე და ოცნებობდე?

– ეეჰ, ძია ვასია, რა დროს ჩემი ბავშვობაა. ის დრო წავიდა, გაქრა და არასდროს დაბრუნდება, – მივუგე ბრილიანტს, მან კი თქვა:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ვინ დაინტერესდა ქართველი კანონიერი ქურდების საფლავებით

ქართული საფლავის ფენომენზე რამდენიმე დოკუმენტური ფილმი არსებობს. ამ თემით ისეთი წონიანი მედიებიც კი დაინტერესდნენ, როგორებიცაა „ბიბისი“, „ევრონიუსი“ და სხვები. ჩემთვის, როგორც ამ გარემოში გაზრდილი რიგითი ქართველისთვის, ამაში განსაკუთრებული არაფერი იყო, თუმცა, ჩემთვისაც კი აღმოჩენა გახდა ქართლში საფლავებზე წამოჭიმული ქანდაკებები და გალექსილი სადღეგრძელოები, რომლებიც



გიული ლაჭავას, მეტსახელად „ბადრის“ საფლავი ხონში



ვახო ხატისკაცის საფლავი ქუთაისში

სიმბოლური ვარსკვლავი



შოთა გაგუას საფლავი ხონში

გარდაცვლილის ცხოვრებას და ამ ცხოვრების ტრაგიკულად დასრულებას ეძღვნება. როგორც ჩანს, ამ მხრივ იმ დონეზე კრეატიულები და მრავალფეროვნების მოყვარულები აღმოვჩნდით, რომ ზოგიერთ სასაფლაოზე ორ ერთანირ დაფას კი არა, ჯვარსაც კი ვერ ნახავთ. არ ვიცი, რამდენად მძიმეა ეს თემა – იქნებ, ყველაფერს ისეთივე იუმორით უნდა შევხედოთ, როგორც ეს „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ ხდება. ან, იქნებ, რელიგიურმა უვიცობამ და კერპების სიყვარულმა, რამაც მსგავსი ფენომენი წარმოშვა, თავისთავად, ნელ-ნელა, მეტი ინფორმაციით, მეტი განათლებით, ისე წაშალოს ჩვენი კულტურიდან ეს „უცნაურობები,“ რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთმა მოქალაქემ არ თქვას, ტრადიციებსა და საფლავებს გვართმევენო.

სინამდვილეში ამ ყველაფერს ქართულ ტრადიციასთან, ქართულ უბრალოებასა და სისადავესთან კავშირი არ აქვს, ის თავიდან ბოლომდე საბჭოთა კულტურასთან და მახინჯ ტრადიციებთანაა დაკავშირებული. მასალა, რომელიც პოპულარულ გამოცემა „ლენტა.რუ“-ზე დაყრდნობით მოვამზადეთ, ეხება ცნობილი საბჭოთა კრიმინალური ავტორიტეტების, ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდების“ საფლავებსა და მათ შთამბეჭდავ ვიზუალს. აი, რას გვიყვება „ლენტა.რუ”:

„რუსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში მოღვაწე „კანონიერი ქურდების“ საკმაოდ სოლიდურ რიცხვს შეადგენდნენ ქართული წარმოშობის კრიმინალური ავტორიტეტები. მათ შორის, წარმოშობით საქართველოდან იყო დედ ჰასანი, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში ყველაზე გავლენიან ავტორიტეტად ითვლებოდა. დედ ჰასანი 2013 წელს იქნა მოკლული.

საქართველოში 1990-იან წლებში „კანონიერ ქურდებს“ საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ჯაბა იოსელიანია, რომელმაც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ჩამოგდებაში მიიღო მონაწილეობა და სახელმწიფო მმართველობა ჩაიგდო ხელში.



რეზო „ბათუმსკის“ საფლავი ხონში

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა: ახალმა ხელისუფლებამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა კრიმინალურ ავტორიტეტებს. კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ადამიანს იჭერდნენ იმის გამო, რომ ის თავს ქურდად აცხადებდა. ამ პირობებში ქურდების დიდი ნაწილი ან ციხეში აღმოჩნდა ან დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად ძირითადად რუსეთში გადავიდა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებზე დგას იმ ავტორიტეტების პატივსაცემი მონუმენტები, რომლებიც დაიღუპნენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




დავით დანელიას საფლავი ქუთაისში



შოთა გაგუას საფლავი ხონში. 1996 წელს ის მოკლეს ქალაქ ენგელსკში

კანონიერი ქურდის მალხაზ მინდაძის, მეტსახელად „მალხაზას“ საფლავი ქუთაისშია, საფიჩხიაზე. მალხაზ მინდაძე 2008 წელს საბერძნეთში მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცოლი ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს, მისი გამოსახულება დაფაზე მაინც არის.



თეიმურაზ (მერაბ) სინატაშვილი მეტსახელად „მაფია“ – ქუთაისი

კანონიერი ქურდის, გივი ფარცხალაძის, მეტსახელად „დუდუკას“ საფლავი ქალაქ ხონშია. დუდუკა 1998 წელს ქალაქ ჟიგულევსკაში დაქირავებულმა მკვლელებმა დაცხრილეს.

კანონიერი ქურდის, ელგუჯა კიკაჩეიშვილის, მეტსახელად „მახოხიას“ საფლავი ქალაქ ხონშია. მეხოხია 2009 წელს მოსკოვში გარდაიცვალა.

კანონიერი ქურდის, გოჩა ჩიხლაძის, მეტს-



მალხაზ მინდაძის საფლავი



გიორგი მანაგაძის საფლავი ქუთაისში



გივი ფარცხალაძის საფლავი ხონში





ახელად „ჭიას" საფლავის დაფა ქუთაისში, ოგასკურას სასაფლაოზე დგას. გოჩა ჩიხლაძე 2004 წელს მოსკოვში, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.



ელგუჯა კიკაჩეიშვილის საფლავი ხონში

კანონიერი ქურდის, გიორგი მანაგაძის, მეტსახელად, „გია ქუთაისელის" საფლავი ქუთაისში, ჩომას სასაფლაოზეა. გიორგი მანაგაძე 2010 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. საფლავის დაფაზე გია ქუთაისელი ცოლთან ერთად არის გამოსახული.

გოჩა ჩიხლაძის საფლავი ქუთაისში







კანონიერი ქურდი, ნიკოლოზ თუთბერიძე, მეტსახელად „მაცი" 2003 წელს კიბოთი გარდაიცვალა. საფლავი ქუთაისშია.



ნიკოლოზ თუთბერიძის საფლავი ქუთაისში

კანონიერი ქურდის, ზურაბ ლოსაბერიძის, მეტსახელად „ლოსკას" საფლავი ქუთაისშია, საფიჩხიაზე. ის 1993 წელს გარდაიცვალა. მისი საფლავის დაფას სისხლი სდის.



ზურაბ ლოსაბერიძის საფლავი ქუთაისში

კანონიერი ქურდის, ბაგრატ უგულავას, მეტსახელად „ბათუს" საფლავი საფიჩხიაზეა, ქუთაისში. ბაგრატი 1996 წელს მოკლეს ამსტერდამში.



ბაგრატ უგულავას საფლავი ქუთაისში

კანონიერი ქურდის, ავთანდილ ჩიხლაძის, მეტსახელად „კვეჟოს" საფლავი ქუთაისშია, ოგასკურაში. ავთანდილ ჩიხლაძე 1994 წელს მოსკოვში საკუთარ ბინაში ჩაცხრილეს.





ავთანდილ ჩიხლაძის, მეტსახელად „კვეჟოს" საფლავი ქუთაისში

კანონიერი ქურდის, ანზორ კვირკველიას, მეტსახელად „გოგიტას" საფლავი ქუთაისშია, ოგასკურაში. ანზორ კვირკველია 1997 წელს მოკლეს ჩებოქსარში.



ანზორ კვირკველიას, მეტსახელად „გოგიტას" საფლავი ქუთაისში

კანონიერი ქურდის, რევაზ ციციშვილის, მეტსახელად „ციცკას" საფლავიც ქუთაისშია, ოგასკურაში, ციციშვილი 2001 წელს გულის უკმარისობით გარდაიცვალა ხაბაროვსკში.



რევაზ ციციშვილის, მეტსახელად „ციცკას" საფლავი ქუთაისში



**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

**„ჩვენს საოპერო თეატრს უნდა მიეცეს საშუალება, უმაღლესი კლასის თეატრი გახდეს. ეს უნდა იყოს ქართველი ადამიანის სახე და ქვეყნის სავიზიტო ბარათი," – ამბობს ოპერისა და ბალეტის ახლად არჩეული სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი. მან საქართველოში ყველაზე ახალგაზრდამ (26 წლის ასაკში) იდირიჟორა, ახლა კი გეგმავს, რომ ქვეყნაში უამრავი სიახლე შემოიტანოს და დანერგოს... დავით კინწურაშვილმა თავის განვლილ, ურთულეს გზას ჩვენთან ერთად გადაავლო თვალი...**

# რატომ დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა 25 წლის ასაკში ყველაფერი თავიდან და როგორ მიაღწია მან თავბრუდამხვევ წარმატებებს

**– დღეს ძალიან წარმატებული ხართ, მაგრამ, როგორც ვიცი, ძალიან ეკლიანი გზა გამოიარეთ, სანამ ამდენს მიაღწევდით...**

– თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია დავამთავრე. ექვსი წელი ვსწავლობდი საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე და ამ წლების განმავლობაში სულ ვოცნებობდი, გერმანიაში წავსულიყავი. როგორიც გერმანიაა, ასეთი კულტურის ქვეყანაში შეიძლება საორკესტრო დირიჟორი გამოხვიდე. საქართველოში ამის ბაზა არ იყო და, ამიტომ ვფიქრობდი, გერმანიაში მოვხვედრილიყავი, მაგრამ, ამის არანაირი ფინანსური საშუალება არ არსებობდა. შემდეგ ელისაბეტ გასტის ფონდი დამეხმარა და გერმანიაში სწავლის საშუალება მომეცა, თუმცა, ადვილი არ იყო. 50 ადამიანი აბარებს და ერთი ადგილია მთელ ბავარიაში საორკესტრო დირიჟორის ფაკულტეტზე, ან, არ არის საერთოდ. ურთულეს კონკურსზე გამარჯვებაა საჭირო, რომ ელიტურ უნივერსიტეტში მოხვდე. გამიმართლა იმ მხრივ, რომ საქართველოში ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა. დირიჟორობას ვსწავლობდი ავთანდილ რევიშვილთან, რომელმაც ყველა „გასაღები" მომცა საგუნდო და, ასევე, საორკესტრო დირიჟორობისთვის. ფორტეპიანოს მასწავლიდა ნათელა ციმაკურიძე, რომელმაც ძალიან ბევრი საფორტეპიანო კონცერტი ჩამატარებინა საქართველოში. საორკესტრო დირიჟორისთვის აუცილებელია, კარგი პიანისტიც იყო... საორღანო კლასის პედაგოგმა, პროფესორმა ეთერ მგალობლიშვილმა მუსიკის მთელი გერმანული სტილისტიკა შემასწავლა. ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, ასევე, კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილს... ამ ადამიანებს ვუმადლი ამხელა ბარიერის გადალახვას... გრევა რომ შევძელი და ის ერთადერთი ადგილი მოვიპოვე, რომელიც ძალიან ძვირი უჯდება გერმანიის სახელმწიფოს... საქართველოდან მაგისტრატურის დიპლომით წავედი, მაგრამ, მიუნჰენში, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან დავიწყე და, ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ეს 25 წლის ასაკში მოხდა. პერიოდულად ძალიან მნიშვნელოვანი კონცერტები მქონდა. ამის მერე კიდევ უფრო გამიმართლა – მიუნჰენის მუსიკის უმაღლეს სკოლაში ჩაბარების შემდეგ, გავიცანი ელისაბეტ გასტი და იმ დღიდან ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. მისი ფონდის წყალობით, როგორც სტუდენტს, საშუალება მომეცა, მთელი დრო სწავლისთვის დამეთმო. მანამდე კი ყველაფერი დამოუკიდებლად მოვაგვარე.

**– ალბათ, საკონცერტო მოღვაწეობაც ურთულესი იყო...**

– საქართველოდან, ფაქტობრივად, გამოუცდელი ორკესტრის დირიჟორი წავედი. მხოლოდ ტელევიზიის ორკესტრთან გავიარე პრაქტიკა – გივი აზმაიფარაშვილთან. მიუნჰენში მესამე სემესტრიდან დავიწყე სწავლა და მაშინვე მომიხდა მიუნჰენის ცნობილი ორკესტრის – „მიუნჰენერ სიმფონიკერის" დირიჟორობა – ძალიან ცნობილი ფილმის კომპოზიტორების მუსიკა შევასრულეთ. კონცერტი ბავარიის რადიოს პირდაპირი ეთერის საშუალებით გადაიცემოდა. გამოუცდელი დირიჟორისთვის ეს ძალიან რთული იყო. ბევრი დრო არ მქონდა მოსამზადებლად, მაგრამ დღე და ღამე ვმეცადინეობდი. კონცერტზე ბევრი ნაწარმოები ვიდირიჟორე, მაგრამ, აღსანიშნავია კომპოზიტორ მარშელ ბარსოტის „საოცრება ბერნიდან". ამ ფილმმა მაშინ „ოსკარი" მიიღო. კომპოზიტორი თავად ჩამოვიდა იტალიიდან და კონცერტს ესწრებოდა. ამ კონცერტის შემდეგ „ეგზოტიკური დირიჟორი" დამარქვეს. ალბათ, ჩემი ქცევების, განსხვავებული ენერგეტიკის გამო, სხვანაირი გამოვჩნდი გერმანელ დირიჟორებთან შედარებით.

**– სვაროვსკის ფირმა რა შუაშია თქვენთან?**

– სვაროვსკის ფირმაზე მცდარი ინფორმაციაა... ინტერვიუში ვთქვი, რომ გამიმართლა, რადგან, ბრუნო ვალის მოწაფე ვიყავი. ბრუნო ვალი ევროპაში წამყვანი დირიჟორია – ერთადერთი დირიჟორი, ვისაც ბოლო პერიოდში კარაიანის ასისტენტობა შეეძლო. კარაიანს ძალიან ბევრი ასისტენტი ჰყავდა, მაგრამ, როცა იგი ავად იყო, მის სპექტაკლებს მხოლოდ ბრუნო ვალი დირიჟორობდა... ჩვენ ევროპაში კარაიანის შვილიშვილებს გვეძახდნენ (სულ, მუსიკის უმაღლეს სკოლაში ვიყავით 7 დირიჟორი, რადგან ბრუნო ვალს წელიწადში ერთი დირიჟორი აჰყავდა). სწორედ პოპულარობის გამო გვიწოდეს ჟურნალისტებმა პრესაში „კარაიანის შვილიშვილები." ბრუნო ვალი ამბობდა, რომ ეს მცდარი სახელ-



**დახმარებას სულ ვცდილობდი... უცხოეთიდან ჩამოვიყვანე გამოცდილი მენეჯერები და მუსიკოსები. ამას კეთილი ნებით ვაკეთებდი, რადგან, მსურდა, აქაური საშემსრულებლო დონე აწეულიყო**

წოდება იყო, რადგან, კარაიანის დრო და სტილი გარკვეულწილად წარსულს ჩაბარდა. დღეს აბსოლუტურად ახალი ესთეტიკაა. ამ ახალი მიმართულების დამფუძნებელია კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე ვენაში და დირიჟორი – ჰანს სვაროვსკი. ეს გახლავთ დიდი თეორეტიკოსი მუსიკოსი; დირიჟორი, რომელმაც გაზარდა დღეისთვის ცნობილი ყველა დირიჟორი მუსიკოსი ევროპაში. ის არნოლდ შომბერგისა და მოგვიანებით ანტონ ვებერნის მოსწავლე და რიჰარდ შტრაუსის მეგობარი იყო. მისი აღზრდილი დირიჟორებიდან აღსანიშნავია: კლაუდიო აბადო, ჰარნონ კური, ზუბინ მეტა, პეტერ შნაიდერი და ბრუნო ვალი... ეს ერთი სკოლაა და ჩვენ ვამაყობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სვაროვსკის სკოლის წარმომადგენლები. ამიტომ აერიათ, რადგან, ფირმისა და დირიჟორ სვაროვსკის სახელი ორივე ავსტრიას უკავშირდება. სვაროვსკის სკოლა იმდენად ახალია, რომ ევროპაშიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და, შეიძლება ითქვას, არის ძველი მუსიკის ახლებურად გაგება.

**– ცნობილია, რომ თქვენ ოთხი კონსერვატორია დაამთავრეთ...**

– დიახ, სწორი ინფორმაციაა: თბილისის კონსერვატორია მაგისტრატურით, შემდეგ – მიუნჰენის უმაღლესი მუსიკისა და თეატრის აკადემია; შემდეგ – ჰამბურგში ვიყავი ერთდროულად ჰამბურგის კონსერვატორიის სტუდენტი და ჰამბურგის მუსიკის უმაღლეს სკოლაში სტუმარი-სტუდენტი; ჰამბურგის კონსერვატორიაშიც ვსწავლობდი და, ამავდროულად, ვმუშაობდი ძალიან საინტერესო პროექტებზე. პარალელურად, ვსწავლობდი რიგაში, ინტერნაციონალური კულტურისა და მედიის მენეჯმენტის მაგისტრატურის ფაკულტეტზე. სამი მაგისტრი მაქვს, დანარჩენი დიპლომებია. დღეს ყველა მუსიკოსს ევროპაში აგენტი სჭირდება და მხოლოდ აგენტიც ველარ შველის საქმეს.

**– როგორც ვიცი, თქვენ ძალიან ახალგაზრდა ასაკში იდირიჟორეთ სპექტაკლი თბილისის ოპერაში.**

– დიახ. გერმანიაში სწავლის პარალელურად, მომეცა საშუალება საქართველოში ოპერები მედირიჟორა. მე ვიყავი ყველაზე ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი, რომელსაც საშუალება, ჰქონდა, ოპერაში ედირიჟორა. 26 წლის ასაკში ვიდირიჟორე სპექტაკლი „აიდა". ბედნიერი ვიყავი, ზაზა აზმაიფარაშვილი რომ მენდო... შემდეგ კიდევ არაერთი სპექტაკლი ვიდირიჟორე.

**– თქვენი ყოველდღიური ცხოვრება როგორია ევროპაში?**

– ძალიან მრავალფეროვანი და გადატვირთული. ურთიერთობა და შემოქმედებითი კავშირები მაქვს საორკესტრო, საოპერო და საგუნდო კოლექტივებთან; ასევე, ძალიან ინტენსიური ურთიერთობა მაქვს ქართველებთან. მიუნჰენში მყავს ქართველებისგან შემდგარი საკუთარი გუნდი. ყოველთვის მსურდა, ქართული კულტურა ევროპაში წარმომედგინა. გერმანიასა და შვეიცარიაში ლექციებს ვკითხულობდი ქართულ კულტურაზე, ქართულ სიმღერაზე, ქართული სიმღერის პოლიფონიურობაზე... როდესაც მიუნჰენში ჩავედი და სწავლა საორკესტრო ფაკულტეტზე დავიწყე, ძალიან მენატრებოდა ქართული სიმღერა და, საერთოდ, ქართველები. მიუნჰენში, წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში, ქართველთა გუნდი აღმოვაჩინე, მათ „დავეძგერე" და მათთან ერთად დავიწყე მუშაობა... 2008 წლიდან ქართულ გუნდად ჩამოვაყალიბეთ და „იბერისი" დავარქვით. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უწმიდესის საგალობლებს ვმღერით.

**– რამდენიმე დღეა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნეთ. ძალიან რთული მდგომარეობაა დღეს თეატრში, არსებობს გარკვეული დაპირისპირებაც...**

– ჩემს მოსვლას ოპერაში წინ ძალიან დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღვის. 2005 წლიდან თბილისის ოპერაში ყველა სეზონზე ვდირიჟორობ, როგორც სტუმარი-დირიჟორი. ამ ათი წლის განმავლობაში კარგად ვიცი საქართველოში განვითარებული მოვლენები. თავადაც ვიღებდი მონაწილეობას ყველა იმ მოვლენაში, რაც აქ მუსიკალურ სფეროში ხდებოდა. ვიცი, როგორ ხდება მართვა, დაგეგმარება, განსაკუთრებით – მენეჯმენტის მიმართულებით. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, დახმარებას ვცდილობდი... უცხოეთიდან ჩამოვიყვანე გამოცდილი მენეჯერები და მუსიკოსები. ამას კეთილი ნებით ვაკეთებდი, რადგან, მსურდა, აქაური საშემსრულებლო დონე აწეულიყო. როდესაც შევისწავლე კულტურისა და მედიის მენეჯმენტი, კიდევ უფრო დავინახე საქართველოში ჩემი გამოცდილების საჭიროება... ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა საშუალება, საქართველოსთვის დავიხარჯო, რადგან, თავადაც ქართველი ვარ და კარგად ვიცი ქართველების ფსიქოლოგია, ამბიცია.. ძალიან ემოციურები ვართ, რასაც მივესალმები. ამ ემოციას მუსიკისკენ მივმართავ და არა ერთმანეთთან

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

# როდის იჩენს პრეტენზიებს ლიზი წიგნაძე და როგორ ბიჭებთან ურთიერთობა არის მისთვის მიუღებელი

***რამდენიმე წელია, 18 წლის ლიზი წიგნაძე მოდელია და ამჟამად სამოდელო კარიერას სააგენტო „ბესტ მოდელში" განაგრძობს, სამომავლოდ კი იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებს ჩაბარებას.***

**ლიზი წიგნაძე**: მსახიობობა მომწონს, მაგრამ, ალბათ, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარებ. მხიარული ადამიანი ვარ, თუმცა, ზოგადად, სერიოზული და მკაცრი ხასიათიც მაქვს, რომელიც მომავალ პროფესიაში აუცილებლად დამეხმარება.

**– ვის მიმართ იჩენ ძირითადად სიმკაცრეს?**

– ბიჭების მიმართაც და გოგონებისაც. სიმკაცრეს, ძირითადად, ქცევით გამოვხატავ. მაგალითად, ასეთ დროს ბიჭს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, იგნორს ვუკეთებ.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– ადამიანი, პირველ ყოვლისა, გარეგნობით ფასდება; მით უმეტეს, როცა ბიჭია, თავიდან რაღაცით ხომ უნდა მიიქციოს ყურადღება. სიმპათიური უნდა იყოს და არა ძალიან ქართული ტიპაჟი. უცხო გარეგნობა უნდა ჰქონდეს: ქერა უნდა იყოს, ცისფერ ან მწვანეთვალება. მაღალი, სპორტული აღნაგობის. ფეხბურთი და რაგბი არ მიყვარს, ამიტომ, არც ფეხბურთელები და არც რაგბისტები. კალათბურთი უფრო მომწონს. ბიჭი ნავარჯიშევი უნდა იყოს და ეს გარეგნულად უნდა ეტყობოდეს, სუსტი ბიჭები არ მომწონს, თუმცა, არც ბოდი-ბილდერი არ უნდა იყოს. იშვიათია ტიპაჟი, ვისზეც შემიძლია, ვთქვა, რა კარგი ბიჭია-მეთქი. ძალიან პრეტენზიული ვარ და ორ წუთში შემიძლია, ადამიანს ნაკლი ვუპოვო; ასევე, ორ წუთში გეტყვი, როგორი ხასიათის არის.

**– როგორი ხასიათის უნდა იყოს?**

– უპირველეს ყოვლისა, უნდა მიგებდეს, მხიარული უნდა იყოს, არ მიყვარს ძალიან სერიოზული ბიჭები. კაცური ტიპაჟი უნდა იყოს და არა ისეთი, დღეს რომ არიან. როდესაც ადამიანთან ურთიერთობა გაქვს და შეყვარებული ჰქვია, მან შენ შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს და შენც უნდა იცოდე მის შესახებ. მაგრამ, ასეთ დროს სიმკაცრის გამოჩენა – შენ იქ არ წახვალ, ან აქ არ წახვალ – ჩემთვის მიუღებელია. ასეთი მკაცრი არ უნდა იყოს. აკრძალვები საშინლად არ მომეწონება.



**– მოგწონს ეჭვიანი ბიჭები?**

– არა, ეჭვიანი ბიჭი საშინელებაა. მეც არ ვარ ეჭვიანი, დაქალზე კი მიეჭვიანია, მაგრამ, ისეთი არაფერი. პირდაპირი ადამიანი ვარ და, როდესაც რამე არ მომწონს, პირდაპირ მიყვარს ამის თქმა, არასდროს არ ვმალავ. მირჩევნია, პირდაპირ პირში ვუთხრა, ვიდრე გულში დავმალო ან ზურგს უკან ვილაპარაკო. ჩემი პირდაპირობის გამო, ბევრი მეგობარი არ მყავს. კი ვმეგობრობ ბევრთან, მაგრამ, ისე ხდება, რომ მერე სადღაც „ფეხი დაუცდებათ" ხოლმე ჩემს, ასე ვთქვათ, დაქალებს. როდესაც ადამიანს ერთხელ დაუცდება ფეხი, მეორედაც, მაშინ, ჯობია, თავისთვის იყოს, ცალკე. ამიტომ, მხოლოდ საუკეთესო მეგობრები მყავს.

**– როცა ბიჭებს ეშლებათ შენთან ურთიერთობაში რაღაცეები, მაშინ როგორ იქცევი?**

– არ მაქვს ბიჭებთან ასეთი ახლო ურთიერთობა. როცა არ მომწონს ადამიანი, პირდაპირ ვეუბნები, რომ მასთან არ მინდა ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ დღეს ბიჭების უმეტესობა არ არის კარგი ადამიანი, სხვანაირები არიან, ამიტომ, პირდაპირ ვიშორებ თავიდან.

**– რა უნდა გააკეთოს ბიჭმა, რომ თავი მოგაწონოს?**

– სიურპრიზებიც უნდა იყოს და ყურადღებაც. კარგი ქცევებით უნდა მომაწონოს თავი, არ მიყვარს ქუჩური, ძველი ტიპები. უნდა იყოს კარგი, კეთილი ადამიანი, ცოტა მკაცრი და კარგი ხასიათის; გაწონასწორებული, რომელიც სიმკაცრის დროსაც სიმშვიდეს ინარჩუნებს. ყურადღებაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია – ყურადღების გარეშე, არ მგონია, რამე გამოვიდეს. მეც მიყვარს სიურპრიზების კეთება მეგობრებისთვის.

**– როდის დაიწყე მოდელობა?**

– პატარაობისას და იმის მერე აღარ გავჩერებულვარ. პატარა რომ ვიყავი, დედას ქუსლიან, 13-სანტიმეტრიან ფეხსაცმელებზე ვდგებოდი და ისე დავდიოდი. მერე ქუჩაში ერთ-ერთი სააგენტოს ხელმძღვანელმა დამინახა და დედას შესთავაზა სააგენტოში ჩემი მიყვანა. მას მერე სულ ვმოდელობ, სხვადასხვა კონკურსებშიც მიმიღია მონაწილეობა. ახლა ვაპირებ, უფრო სერიოზულად მივუდგე ამ საქმეს. ეს პროფესია თავის წარმოჩენაში მეხმარება. პოდიუმზე რომ დგები, პოდიუმი შენი მომავალი ცხოვრების გზა გგონია და ამ დროს ძალიან თავდაჯერებული ხარ. ახლა „ბესტ მოდელი" აპირებს კონკურსის – „მის თბილისის" ჩატარებას და, მინდა, მონაწილეობა მივიღო. ასევე, ვმონაწილეობდი სარეკლამო გადაღებებში, ჩვენებებში და ამ მხრივ „ბესტ მოდელი" ძალიან მეხმარება, გვერდში მიდგას. თან, ჩემი გარეგნობაც ბევრ რამეში მეხმარება, ასეთი გარეგნობა რომ არ მქონდეს, ამბიციაც არ მექნებოდა.



## „რუსთავი 2-ზე" მუსიკალური შოუ „X-ფაქტორი" იწყება

„რუსთავი 2-მა" თავის საეთერო დრო კიდევ ერთ პოპულარულ შოუს – „X-ფაქტორს" დაუთმო, რომლის პირველი შესარჩევი ტურის ჩაწერა 26 მარტს, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ჟიურის წევრები პირველი დღით კმაყოფილები დარჩნენ. რაც მთავარია, შესარჩევი ტურების ჩაწერა კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდება, საბოლოოდ კი, კონკურსანტების გაცხრილვის შემდეგ, ცოცხალ კონცერტებს მაყურებელი უკვე 26 მაისიდან უყურებს. მანამდე, ანუ 14 აპრილიდან, ტელევიზიით შესარჩევი ტურის ჩანაწერები გავა. პირველივე ჩაწერას სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია, რამაც თავად ჟიურის წევრებიც გააკვირვა, რომლის შემადგენლობაც ასეთია: მუსიკალური პროდიუსერი სტეფანე მღებრიშვილი, საბერძნეთში მოღვაწე ქართველი პოპ-ვარსკვლავი თამთა გოდუაძე, მომღერალი და მუსიკოსი, ჯგუფ Eldrine-ს სოლისტი სოფო ტოროშელიძე და ტელეწამყვანი გიორგი გაბუნია. გადაცემის წამყვანები კი ია სუხიტაშვილი და გეგა ფალავანდიშვილი იქნებიან.

**თამთა გოდუაძე**: სიმართლე გითხრათ, მეგონა, უარესად გამომივიდოდა ჟიურის წევრის როლში ყოფნა, ვინაიდან, ქართული სიტყვების ისეთი მარაგი არ მაქვს, როგორიც მინდა, რომ მქონდეს. თუმცა, მგონი, ნელ-ნელა ავუღე ალღო.

პირადად მე, ვეძებ ისეთ შემსრულებლებს, რომლებსაც ექნებათ ყველაფერი ერთად, ანუ, იმიჯი, სითამამე, რაც სცენას აუცილებლად სჭირდება და, რა თქმა უნდა, კარგი ვოკალური მონაცემები. კონკურსანტები ცოტა შებოჭილები არიან, საკუთარი თავის რწმენა აკლიათ. ამიტომ, ვურჩევ, უფრო ამაყად, ღიმილით, თავდაჯერებულები გამოვიდნენ სცენაზე.

**სტეფანე**: ჯერ მონაწილეთა მხოლოდ მცირე ჯგუფი ვნახეთ და მათ შორის რამდენიმე ფანტასტიკური იყო. ეს ძალიან კარგია. ნებისმიერი ჟანრის შემსრულებელი საინტერესოა ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის. მთავარია, ჰქონდეთ ინდივიდუალიზმი".

## ვინ იქნებიან „ერთი ერთში" ახალი სეზონის მონაწილეები

16 აპრილს ტელეკომპანია „ჯიდიესი" თავის ყველაზე რეზონანსულ, მასშტაბურ და რეიტინგულ შოუს ახალ სეზონს იწყებს. პირველი სეზონის ხარისხმა ვარსკვლავების ყურადღება მიიქცია და, თუ პირველ ეტაპზე ისინი უფრთხოდნენ შოუში მონაწილეობას, გაზაფხულის სეზონზე ნამდვილი ვარსკვლავთცვენაა.




მეორე სეზონზე მონაწილეობას იღებენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ორჯონიკიძე, ვერიკო ტურაშვილი, ბორის ბედია, ნათია დუმბაძე, ნინო ძოწენიძე, ლევან მასპინძელაშვილი, იოანე არაბული. პირადად მე მოუთმენლად ველოდები დუტა სხირტლაძისა და ქეთი ორჯონიკიძის გარდასახვებს, რაც, წინასწარი პროგნოზით, არაჩვეულებრივი სანახავი იქნება.

ჯერჯერობით არხი არ ახმაურებს, ვინ შევა ჟიურის ახალ შემადგენლობაში, თუმცა, შემიძლია, აღვნიშნო, რომ ზაკ რისი – შოუს ქორეოგრაფი და ერთ-ერთი ყველაზე ხალისიანი ადამიანი, კვლავ პროექტშია და, სავარაუდოდ, ჟიურის წევრადაც მოგვევლინება. ასევე, არ შეიცვლებიან პროექტის წამყვანებიც – 16 აპრილიდან, ყოველ ოთხშაბათს შოუს დამატებით ხიბლს შესძენენ თორნიკე გოგრიჭიანი და ანი მამულაშვილი.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიით, დიდი იმპერიები (რომი, ირანი, ბიზანტია, არაბთა ხალიფატი, თურქ-სელჩუკები, მონღოლები) მუდმივად ინტერესდებოდნენ. საქართველომ შეძლო მათი შემოტევის მოგერიება, მაგრამ, მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესდა: ერთიანი ქართული სამეფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა და სამხრეთით მდებარე ორ ძლიერ სახელმწიფოს – ირანსა და ოსმალეთს, ქვეყნის დაპყრობის შანსი გაეზარდა. ამ ურთულესი პერიოდის შესახებ გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

# როგორ დასაჯა შაჰ-აბას პირველმა ურჩი კახეთი

**– რით იყო განპირობებული დიდი იმპერიების დაინტერესება საქართველოს ტერიტორიით?**

– სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიით დიდი იმპერიების დაინტერესებას განაპირობებდა რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა. აქ გაბატონებით ირანი და ოსმალეთი დიდ სტრატეგიულ უპირატესობას იღებდნენ.

**– რაც შეეხება მეთხუთმეტე საუკუნის საქართველოს, რით იყო ეს საუკუნე გამორჩეული?**

– ამ პერიოდისთვის ერთიანი ქართული სამეფო სულ უფრო სუსტდებოდა, ხოლო, ცოტა უფრო ადრე, სამხრეთში ჩამოყალიბდა ორი ძლიერი სახელმწიფო: ირანი და ოსმალეთი. ორივეს სასიცოცხლო ინტერესები ითხოვდა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში გაბატონებას.

**– რატომ მაინცდამაინც საქართველოში?**

– ცხადია, ირან-ოსმალეთის დაპირისპირება მხოლოდ საქართველოს გამო არ დაწყებულა. ამ ორ სახელმწიფოს ომები ჰქონდა მთლიანად მახლობელ აღმოსავლეთში უპირატესობის მოსაპოვებლად. საქართველო ერთ-ერთი იყო იმ რეგიონთა შორის, სადაც ირანი და ოსმალეთი დათმობას არ აპირებდნენ. ვინც საქართველოში გაბატონდებოდა და ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსასვლელებს დაეპატრონებოდა, ის დიდ უპირატესობას იღებდა.

**– რა ხდებოდა ჩრდილო კავკასიაში ასეთი მნიშვნელოვანი?**

– თვით ჩრდილოეთ კავკასიაში ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა, მაგრამ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოიწევდა გაძლიერებული რუსეთი. ირანის შაჰებმა და ოსმალეთის სულთნებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი კავკასიის ქედის გადმოლახვას შეეცდებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მათ ინტერესებს. ეს ვარაუდი სავსებით სწორი აღმოჩნდა. რუსეთი ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში ჯერჯერობით ვერ ერეოდა, საქართველოს ტერიტორიისთვის ბრძოლას ორი სამხრეთელი მეზობელი იწყებდა.



ზოჰაბის ზავით, ქართლი და კახეთი ირანს დარჩა, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია – ოსმალეთს

**– კონკრეტულად, როგორ განვითარდა მოვლენები?**

– 1514 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი. მართალია, ომის ძირითადი ფრონტი საქართველოდან საკმაოდ შორს გადიოდა, მაგრამ, ორივე მხარე ძალას არ იშურებდა ქართლისა და მესხეთში გასაბატონებლად. საქართველოს სხვა კუთხეებს ჯერჯერობით არ ეხებოდნენ დამპყრობლები, თუმცა, მტრის გაბატონება ქართლსა და მესხეთში სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა მთელი საქართველოსთვის. ამას კარგად გრძნობდნენ ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი და იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე. ამ მეფეების ერთობლივი ძალისხმევით, ერთხანს ოსმალები სასტიკად დაამარცხეს სამცხეში, მაგრამ, საბოლოოდ, ოსმალეთმა მაინც იმძლავრა და სამცხე დაიკავა. ირან-ოსმალეთის ომი დიდხანს გაგრძელდა. ზავი მხოლოდ 1555 წელს დაიდო სომხეთის ქალაქ ამასიაში. საზავო მოლაპარაკებისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება. ზავის თანახმად, ქართლი და კახეთი ირანს ერგო, ხოლო იმერეთი, სამეგრელო, გურია და ლაზეთი – ოსმალეთს. მესხეთის დათმობა არც ერთ მხარეს არ უნდოდა. საბოლოოდ, მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება: აღმოსავლეთ მესხეთი ახალციხის ჩათვლით, ირანს ერგო, ხოლო დასავლეთ მესხეთი – ოსმალეთს.

**– რა მოჰყვა შედეგად ამასიის ზავს?**

– დიდი იმპერიები მიღწეულით იშვიათად კმაყოფილდებიან და, როგორც წესი, ზავის დადების დღიდანვე ახალი ომისათვის ემზადებიან. ასე მოხდა ამჟამადაც: 1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი განაახლა და საქართველო კვლავ იქცა ორი დიდი იმპერიის დაპირისპირების ასპარეზად. ოსმალები ცდილობდნენ მესხეთზე სრული ბატონობის უფლების მოპოვებას. მესხეთში შემოსულმა ოსმალეთის ჯარმა ჩილდირის ველზე ბრძოლაში ირანის ჯარი გაანადგურა, რის შემდეგაც თბილისიც დაიკავა. ოსმალებმა წარმატება მოიპოვეს დასავლეთ საქართველოშიც და რიონის შესართავში ფოთის ციხე ააგეს. ირანის შაჰისთვის ცხადი გახდა, რომ ომის ბედს ველარ შემოაბრუნებდა და ზავი ითხოვა. ირან-ოსმალეთის მეორე ზავი 1590 წელს დაიდო სტამბულში. ამჯერად საქართველოს ტერიტორია ასე გადანაწილდა: ქართლი და კახეთი ირანს ერგო; იმერეთი, სამეგრელო, გურია და მთელი მესხეთი კი – ოსმალეთს.

**– ჩამოაგდო თუ არა ამ ზავმა ირან-ოსმალეთს შორის მშვიდობა?**

– არა. ირანის შაჰი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ახალი ომისთვის ემზადებოდა. 1603 წელს შაჰ-აბას პირველმა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ომის მთავარ ასპარეზს სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა. ირანმა რევანშის აღება მოახერხა და, დამარცხებული ოსმალეთი იძულებული გახდა, ზავზე დათანხმებულიყო. ეს ზავი 1612 წელს დაიდო სტამბულში. მიუხედავად იმისა, რომ ომი ირანის უპირატესობით წარიმართა, ოსმალეთმა შეძლო მთელი მესხეთის შენარჩუნება. ქართლი და კახეთი კვლავ ირანს დარჩა, ხოლო იმერეთი, სამეგრელო და გურია – ოსმალეთს.

**– ირან-ოსმალეთის სამივე საზავო მოლაპარაკებაზე, როგორც ვხედავთ, ძალიან მწვავე იყო მესხეთის საკითხი. რით იყო ეს განპირობებული?**

– ისტორიული მესხეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი შედიოდა სამცხე-საათაბაგოში, რომლის მთავრები ჯაყელები იყვნენ. სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამცხიდან შეიძლებოდა შეტევის განვითარება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლისა და კახეთის) ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს) მიმართულებით. ვინც გაბატონდებოდა სამცხე-საათაბაგოში, ის ხელსაყრელ პლაცდარმს იგდებდა ხელთ მთელი საქართველოს დასაპყრობად. ასე რომ, მესხეთისთვის ბრძოლას სავსებით რეალური საფუძველი ჰქონდა.

**– ცხადია, ირან-ოსმალეთის ომებმა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს. კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს?**

– ამ ომებმა საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა. ირან-ოსმალეთის პირველი ომის დროს ქართლში შაჰ-თამაზის რამდენიმე ლაშქრობამ ქვეყანა გააჩანაგა; მესამე ომის დროს, შაჰ-აბას პირველმა ურჩი კახეთის დასჯა გადაწყვიტა: ოთხი გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად ქვეყანას უდიდესი ზიანი მიაყენა, სამასი ათასი ქართველი კი ფერეიდანში გადაასახლეს. 1605 წელს შაჰ-აბას პირველმა კახეთის მეფე – ალექსანდრე და მისი ვაჟი – გიორგი მოღალატურად მოაკვლევინა და კახეთის ტახტზე ალექსანდრეს გამაჰმადიანებული ვაჟის, კონსტანტინეს დასმა მოინდომა. თუმცა, კახელები ამას ვერ შეურიგდნენ, აჯანყდნენ და კონსტანტინე მოკლეს.

**– მესამე ზავის შემდეგაც არ დამყარდა მშვიდობა?**

– სამწუხაროდ, არა. 1618 წელს ოსმალებმა ირანის წინააღმდეგ ომი განაახლეს, მაგრამ, საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე არ განახლებულა. იმავე წელს მეომარმა მხარეებმა დროებითი ზავი დადეს, რომლის მიხედვითაც, ძალაში დარჩა საქართველოს ტერიტორიის ძველი გადანაწილება. საბოლოო ზავის დასადებად ირანისა და ოსმალეთის დელეგაციები 1619 წელს შეხვდნენ ერთმანეთს სტამბულში. ოსმალეთის დელეგაცია ყველანაირად ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს შენარჩუნებას და მიაღწია კიდეც ამას.

**– რით დამთავრდა საქართველოს ტერიტორიის გადანაწილებისთვის ბრძოლა?**

– 1623 წელს ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ირანის ჯარმა ახალციხე დაიკავა რის შემდეგაც შაჰ-აბას პირველმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ დაემორჩილებინა ქართლი და კახეთი, თუმცა, მის ამ განზრახვას ასრულება არ ეწერა – 1625 წელს მარტყოფის ველზე ქართველებმა ირანის არმია გაანადგურეს. მართალია, იმავე წელს მარაბდის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შაჰს ქართლსა და კახეთში ლაშქრობა 60 ათასი მეომრის სიცოცხლე დაუჯდა. ირანის არმიის საქართველოში გადმოსროლით ისარგებლეს ოსმალებმა და ახალციხე დაიკავეს. მართალია, ირანმა მალე ახალციხე კვლავ დაიბრუნა, მაგრამ, ოსმალებმა ისევ იმძლავრეს და სამცხეში გაბატონდნენ.

1639 წლის ზოჰაბის ზავით დამთავრდა ირან-ოსმალეთის 1514 წელს დაწყებული ომების სერია. ამ ომებმა საქართველოს დიდი უბედურება მოუტანა. ზოჰაბის ზავით, ქართლი და კახეთი ირანს დარჩა, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია – ოსმალეთს.

ირან-ოსმალეთის დაზავება არ ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიისთვის ბრძოლის შეწყვეტას, პირიქით, მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდან ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში რუსეთი ჩაერია და, ამჯერად, საქართველო უკვე სამი იმპერიის ბრძოლის ასპარეზად იქცა.

**ეკა სალაღაია**

# განახლებული „კაიზერი“ - გამორჩეული და საუკეთესო ხარისხის ბავარიული ლუდი!

## ლუდის ტრადიცია და თანამედროვეობა

არც ერთ სხვა მხარეს დედამიწაზე არ გააჩნია ლუდის ხარშვის ბავარიაზე ხანგრძლივი ტრადიცია. ბავარიაში შეგვიძლია ვნახოთ ევროპაში ლუდის ხარშვის უძველესი მტკიცებულებები: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 800 წლით დათარიღებული კელტური ლუდის ამფორა; ასევე, შემორჩენილია ალაოს უძველესი საწარმო და ლუდსახარში, სადაც ლუდი თანამედროვე ტექნოლოგიით მზადდება, საწარმო კი თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვის 179 წლით (ბავარიის ოკუპაციის პერიოდი რომაელთა მიერ).

**ლუდი ყველგან სასიამოვნო სასმლად ითვლება. საშუალოდ, ბავარიელი წელიწადში დაახლოებით 150 ლიტრ ლუდს მოიხმარს, რითაც ბავარია გერმანიის მხარეებს შორის ლუდის მოხმარების სიის სათავეშია**

ბავარიაში ლუდი სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოში სხვაგან არსად იგრძნობა ისეთი მჭიდრო კავშირი ხალხსა და ლუდს შორის, როგორც ბავარიაში. ლუდი და ბავარია თითქმის სინონიმებია. ამგვარად, ბავარიული ლუდსახარშები მარტო კომერციული საწარმოები როდია, ისინი, ასევე, კულტურის აუცილებელი ნაწილის მცველებიც არიან.

ლუდი ყველგან სასიამოვნო სასმლად ითვლება. საშუალოდ, ბავარიელი წელიწადში დაახლოებით 150 ლიტრ ლუდს მოიხმარს, რითაც ბავარია გერმანიის მხარეებს შორის ლუდის მოხმარების სიის სათავეშია.

ზაფხულში ყველა გზა საბოლოოდ ლუდის ბარისკენ მიდის. სწორედ აქ ელოდებათ ძალზე პოპულარული და „ყვითელ ოქროდ” წოდებული გამაგრილებელი სასმელი როგორც ტურისტებს ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს. სწორედ აქ, დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, ბევრი ბავარიელი ირჩევს დასვენებას მეგობრებთან და კათხა ლუდთან ერთად.

ბავარიული ლუდი განსაკუთრებულად უყვართ საქართველოშიც. „გემრიელი, მსუბუქი და სასიამოვნო დასალევი...“ – ასე ახასიათებენ ქართველი მომხმარებლები ლუდ Kaiser-ს, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ქსელის დახლზე, განახლებული შეფუთვით გამოჩნდა.

ლუდი Kaiser-ის ისტორია კი 1522 წლიდან იწყება, როდესაც პრინც ეპისკოპოსმა Bamberg-დან Weigand von Redwitz-მა ოფიციალური ლუდის ხარშვის ნებართვა აიღო სოფელ Neuhaus-ში. პერიოდულად, გერმანიის სხვადასხვა რეგიონში იმართებოდა ტრადიციული ლუდის ფესტივალები. ერთ-ერთი შეჯიბრების გამარჯვებულად ბავარიის გარეუბანში მცხოვრები ლაუსის საგვარეულო რეცეპტით დამზადებული ლუდი გამოვლინდა. ლუდი აღიარეს როგორც „სამეფო ლუდი.” 1929 წელს ლუდ „კაიზერს” ოფიციალური კომერციული რეგისტრაცია მიენიჭა და დღეს მისი ქარხანა წარმოდგენილია კომპანია Kaiser Brau GmbH & Co.KG-ის სახით, Neuhaus-ში.




ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას

**ცოტა ხნის წინ „იმედზე“ ახალი მუსიკალური პროგრამა – „ორი ვარსკვლავი“ დაიწყო, სადაც მაყურებლის წინაშე ბევრი ცნობილი ადამიანი სხვა ამპლუაში წარდგა, მათ შორის, „მის საქართველო“ – ირინა ონაშვილია, რომელსაც პარტნიორობას გიორგი მახარაშვილი უწევს. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი წყვილია, თავისი ვიზუალით, ხასიათითა და სიმღერით.**

# როგორ უვლიან ერთმანეთს ირინა ონაშვილი და გიორგი მახარაშვილი და რას უკონტროლებს ირინა თავის მეწყვილეს

**ირინა ონაშვილი**: ესე იგი, კონცერტის წინ ვსვამ „კორსიზს“ და კიდევ სხვა დამამშვიდებლებს, გულის წამლებს. მერე ვსვამ ერთ ყლუპ კონიაკს, რომ ყელის იოგები გაახუროს.

**გიორგი მახარაშვილი**: ამას ერთი ყლუპი სჭირდება და მე?!

**– პროექტამდე არ იცნობდით ერთმანეთს?**

**ირინა**: არა, არ ვიცნობდი. ორგანიზატორებმა მითხრეს ვილაცეების სახელები, მაგრამ, არ მინდოდა უკვე ძალიან ცნობილ მომღერალთან ერთად სიმღერა. ამიტომ გიორგი „გუგლში“ მოვძებნე.

**გიორგი**: არა, „დამაიუთუბა“. ჩაწერა – მაღალი, კარგი მომღერალი ბიჭიო და ჩემი სახელი ამოუგდო.

**ირინა**: ჩავწერე, რომ უნდა ყოფილიყო მინიმუმ ამდენი სიმაღლის, გარშემოწერილობა, მოკლედ, ყველა მონაცემი და ვიპოვე გიორგი. ძალიან კარგი ხასიათის ბიჭია, ძალიან საყვარელი.

**გიორგი**: ჩვენ რომ დავძმაკაცდით, ასე ვერავის დავუძმაკაცდებოდი.

**ირინა**: ისიც არ ვიცოდი, გიორგი მახარაშვილი ვინ იყო, პირველად „იუთუბიზე“ მოვუსმინე.

**გიორგი**: არ იცოდი, ვინ იყო გიორგი მახარაშვილი? ხოდა, მეც არ ვიცი, ვინ იყო ირინა ონაშვილი.

**ირინა**: მოკლედ, „იუთუბიზე“ რომ მოვუსმინე, მომეწონა მისი ხმის ტემბრი და უსუფთავესი ბგერები, რომელიც კარგად მოაქვს ჩვენამდე. მომეწონა, როგორ მღერის და, პლუს, ამას დაემატა ისიც, რომ მაღალია. თუმცა, მიუხედავად ამისა, სულ „ჭედავს“ და მეუბნება, არ ჩაიცვა ქუსლიანიო.



**ირინა: „ბევრი თაყვანისმცემლი ჰყავს და ცოტა გატუტუცებული, განებივრებული ბიჭია“**

**გიორგი**: ქუსლებზე როცა დგას, თან, თმასაც ისე იკეთებს, რომ ჩემზე მაღალი ჩანს. ეს კი არ მაკომპლექსებს, უბრალოდ, არც ერთი გოგო არ ყოფილა აქამდე ჩემზე მაღალი.

**ირინა**: ბევრი თაყვანისმცემლი ჰყავს და ცოტა გატუტუცებული, განებივრებული ბიჭია.

**– გიორგი, ირინა ჯდება შენს პარამეტრებში?**

**გიორგი**: მე მისი სიმაღლე და სიგანე არ შემიმოწმებია. უბრალოდ, მითხრეს, რომ მღეროდა და, გამახსენდა, „თბილისო“ რომ იმღერა. გამიხარდა, რომ შეეძლო სიმღერა. შეიძლება, ადამიანს არ ჰქონდეს სმენა, ეს ცუდი კი არ არის, ყველა ხომ ვერ იმღერებს, მაგრამ, ჩემთვის უფრო საწვალებელი იქნებოდა და ბევრი კარგი სიმღერა არ გამოვიდიოდა ისეთი კარგი. სმენა, გემოვნება – ყველაფერი მაღალ დონეზე აქვს. რასაც ეუბნებიან: ასე იმღერე, ასე გააკეთე, – ყველაფერს ითვალისწინებს, ადვილად აკეთებს და, რაც მთავარია, შეუძლია.

**– ცეკვაში აშკარად დაგჯაბნა.**

– კი, რადგან, სცენაზე ვკომპლექსდები, თუმცა, ასეთი ხეც არ ვარ.

**ირინა**: არ არის ხე, ისეთ მაგარ რაღაცეებს აკეთებს, ვილაცეების პაროდიებს.

**გიორგი**: მაგრამ, არ ვიცი, ეს ყველაფერი სცენაზე როგორ უნდა გავაკეთო.

**ირინა**: ხანდახან მგონია, რომ და-ძმა ვართ. სადმე რომ ვართ, ორივე სულ ვმაიმუნობთ, არც მე ვარ დაკომპლექსებული, არც ეს. სცენაზე რომ გამოვდივართ, ზუსტად ერთნაირები ვხდებით – ორივე ვშეშდებით.

**გიორგი**: კიდევ იმაში ვგავართ ერთმანეთს, რომ ჭამა გვიყვარს ორივეს. დილის 11 საათზე სახინკლეში რომ წახვალ და ირინა ონაშვილი, „მის საქართველო“ დილის 11 საათზე, რომ ხინკალს შეჭამს... მოკლედ, ჩემს ჭკუაზე გადმოვიყვანე.

**ირინა**: სულ ერთად ყოფნა გვიწევს – რეპეტიციები, ჩაწერები... ისედაც ვცდილობთ, ერთად მეტი დრო გავატაროთ, რომ მერე სცენაზე არ დაგვემართოს: გამარჯობა, როგორ ხარ? მე ირინა ვარ, შენ გიორგი, ხომ?

**გიორგი**: თან, ისე ვუვლით ერთმანეთს...

**ირინა**: „ფეისბუქზე“ რომ ვნახულობ, გვიან სადღაც არის „დაჩექინებული“, მინდა, მალე მივიდეს სახლში და ვურეკავ: „მიდი სახლში!”

**გიორგი**: დილის 5 საათზე „მაკდრაივში“ შევალ და რეკავს: „არ ჭამო.”

**ირინა**: ძალიან კარგი, წესიერი ბიჭია, კარგად აღზრდილი. ასაკთან შედარებით, ძალიან ზრდილობიანი, კარგ ოჯახში გაზრდილი ბავშვია, რაც დიდ კომფორტს მიქმნის. ყოველთვის თავის დროზე მოდის რეპეტიციაზე.

**გიორგი**: მოდისო, რომ ამბობს, კი არ იტყვის, როგორ გავუვლი ხოლმე. ისე, არც ერთი არ ვართ პუნქტუალური. რეპეტიციას ხან ისეთ დროს დაგვინიშნავენ ხოლმე, რომ ძლივს ვასწრებთ გაღვიძებას. სამაგიეროდ, რომ მივალთ რეპეტიციაზე, მერე იქიდან წამოსვლა აღარ ვიცით: ჯერ პირველ სართულზე ვრეპეტიციობთ, მერე მეორეზე, მანქანაში; სულ ვუსმენთ ახალ სიმღერას და ვმღერით. ირინა ჩემზე მალე სწავლობს მელოდიას, ტექსტს. საერთოდ, ტექსტებში პრობლემა მაქვს, ირინას ბოლო დღემდე არ უჭირავს დაწერილი ტექსტი, მაგრამ მე ლამის ასე გავიდე სცენაზე. რაც მთავარია, ირინა გემოვნებით მღერის, თორემ, შესწორებებს პედაგოგებისგან ორივე ვიღებთ. ერთადერთი, მოძრაობა რომ მაქვს, იქ „ვიჭედები,” რადგან, აქამდე სულ ვიდექი და ისე ვმღეროდი. ახლა დგომასთან ერთად უნდა ვიმოძრაო კიდეც. შებოჭილი ვარ ამ დროს.

**ირინა**: რომ მეუბნებიან ხოლმე, შენ რა გიჭირს, შენ მღეროდიო, ვერ ვიხსენებ, სად ვმღეროდი აქამდე. ერთხელ იყო „ჯეოსტარი“, მაგრამ, მაშინ ძალიან გამოუცდელი ვიყავი. არასდროს მქონია რეპერტუარი. ერთადერთი, „მის მსოფლიოსთვის“ „თბილისო“ მოვამზადე, დავღეჭე და ვიმღერე, ეს იყო და ეს. ახლა რომ მეუბნებიან, რამე სიმღერა ამოარჩიე, როგორ არ იციო, მართლა არ ვიცი არც ერთი სიმღერა. რაც ვიმღერეთ აქამდე, ყველა თავიდან ბოლომდე ვისწავლე.

**– ცეკვის ნიჭიც აღმოგაჩნდა.**

– მთავარია, პლასტიკა გქონდეს, მაგრამ, ერთად სიმღერა, ცეკვა, დადგმა რომ გახსოვდეს და არაფერი შეგეშალოს, ძალიან რთულია. დუეტში სიმღერაა კიდევ ძალიან რთული. თუ მყარი სმენა არ გაქვს, შეიძლება, ისე ახვიდე და ჩახვიდე, რომ ვერც მიხვდე.

**გიორგი**: მაგრამ, ირინა არ „ადის” და არ „ჩადის” ხოლმე. კმაყოფილი ვარ ირინათი, მაგარი გოგოა ძალიან.

**ირინა**: ყველა მეკითხება, შენ ასე მღეროდიო?! ოჯახის წევრებიც კი შოკში არიან, ისინიც ამას მეკითხებიან. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მე და გიორგი ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი ვართ. ზოგჯერ წყვილებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები უჩნდებათ, ჩვენ – არა.

**გიორგი**: ჯერ არაფერზე გვიჩხუბია, სერიოზული კამათიც არ გვქონია, ჩემი ჭკუის არის.

**ირინა**: ერთადერთი ის არის, რომ გიორგი საშინელი ექსტრემალია და, უნდა, რომ მეც ამიყოლიოს: ხან რალიზე წამიყვანა, ხან გუდაურში, თან, სიმაღლის მეშინია და გაგიჟებული ვუყურებდი.

**– ცხოვრების რიტმიც შეგეცვლებოდა, ალბათ, ოჯახისთვის ბევრი დრო აღარ გრჩება.**

– ფაქტობრივად, ველარ მხედავენ ოჯახის წევრები. დაღლილი რომ მივდივარ სახლში და, მინდა, დავჯდე, საბა მეძახის: „დეე, ადექი!..” უნდა, რომ ავდგე, ვიხტუნაო მასთან ერთად, მაგრამ, აღარ მაქვს ამის თავი. სამაგიეროდ, ლადო ძალიან მეხმარება. ძიძა რომ მიდის, ბავშვს იტოვებს, ხშირად მას დაუძინებია, როცა

ვამზადებ პროფესიონალ და პერსპექტიულ კონდიტერებს, შეგასწავლით უახლესი რეცეპტებით ევროპული ტორტებისა და ნამცხვრების ცხობას, გაფორმებით.
მიღებული ცოდნით შექმნით შედევრებს.
**შეფ-კონდიტერი ნიკა.**
**ტელ: 595-404-183; 555-295-491.**


# „ფონდი ნატახტარი“ მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის - „იზრუნე მომავალზე“ წარმატებაში

„ფონდი ნატახტარის“ მიზანი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაა. 2012 წლიდან მოყოლებული, ფონდმა შეძლო და მხარი დაუჭირა 162 მზრუნველობამოკლებულ მოზარდს. ორი წლის განმავლობაში 240 000 ლარის ჯამური ბიუჯეტით ფონდმა მოახერხა, თითოეული ბენეფიციარისთვის გაეწია ფსიქოლოგიური მომსახურება; საჭიროებების მიხედვით, პედაგოგების დახმარებით მოემზადებინა მოზარდი სასკოლო საგნებში, უმაღლესში ჩასაბარებელი გამოცდებისთვის; დახმარებოდნენ მათ კოლეჯის დამთავრებასა და პროფესიის დაუფლებაში. ფონდის ფარგლებში მოზარდებმა გაიარეს სპეციალიზებული და ანაზღაურებადი სტაჟირების კურსი.

ფონდის უპირატესობა მის ინდივიდუალურობაში მდგომარეობს: თითოეულ მოზარდს აქვს ინდივიდუალური შესაძლებლობები და, სწორედ შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხდება თითოეულისთვის პროგრამის შემუშავება. ნიშანდობლივია, რომ პროგრამა გრძელდება, ვიდრე მოზარდი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სრულიად არ იქნება მზად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის 18 წლის გახდა. ორი წლის განმავლობაში 16-მა მოზარდმა დატოვა ფონდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეძენილი პროფესიით შეუძლიათ თავის რჩენა.

„ფონდ ნატახტარს“ სურს, მადლობა გადაუხადოს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ წარმატებაში. ფონდი მადლობა უხდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. დიდი მადლობა ასოციაციას – „ჩვენი სახლი - საქართველოს“ და ფსიქოლოგების გუნდს, რომელმაც განუსაზღვრელად დიდი წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებასა და წარმატებაში. მათმა ყოველდღიურმა შრომამ ნამდვილად უკეთესობისკენ შეცვალა მოზარდების მომავალი. ასევე, განსაკუთრებული მადლობა აუდიტორულ კომპანია Pricewater House-ს იმისთვის, რომ უზრუნველყოფენ ფონდის ფინანსურ გამჭვირვალობას. თუმცა, ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერის გარეშე ფონდის პროექტის განხორციელება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ გვინდა, მადლობა გადავუხადოთ მათ ერთგულებისა და მხარდაჭერისთვის. თითოეული ბოთლი ლიმონათის ყიდვა (ნოემბერი-თებერვლის განმავლობაში) ბავშვების დახმარებას ნიშნავს. 2013-2014 წლებში საზოგადოების ჩართულობა თანხის შეგროვების პროცესში რეკორდული იყო – ჩვენ, ყველამ ერთად, 183,742 ლარი შევაგროვეთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში ფონდში შეგროვებული თანხა აღემატება 420 000 ლარს. ეს დიდი გამარჯვებაა ფონდის ყველა ბენეფიციარისა და თითოეული ჩვენგანისთვის. ჩვენ შეგვიძლია, ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილები მომავლის მიმართ, რადგან, ერთად ვეხმარებით მზრუნველობამოკლებული მოზარდების ცხოვრების გაუმჯობესებას.

**ორი წლის განმავლობაში 16-მა მოზარდმა დატოვა ფონდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შექმნილი პროფესიით შეუძლიათ თავის რჩენა**










ხედავს, რომ არაფრის თავი არ მაქვს.

**– ლადოს მოსწონს შენი სიმღერა?**

– ლადოს თავიდანვე ვკითხე აზრი, თუმცა, ისე მინდოდა სიმღერა, ისე მიყვარს და ისე მქონდა გადაწყვეტილი რომ, ვთქვი, „მინდა და ვსიო“ და, აღარც ყოფილა დამატებითი კითხვები. თავიდანვე მიჩვეულები ვიყავით, რომ ლადო არასდროს იყო სახლში, მეც ვერ ვხედავდი ხშირად, ამიტომ, ამ მხრივ არაფერია ახალი. თან, სცენაზე რომ მნახა ძალიან მოეწონა. ბოლო დროს გადაწყვიტა, რომ რეპერტუარიც შემირჩიოს – ეს ხომ არ მოგიხდებაო.

**გიორგი**: კარგი გემოვნება აქვს ლადოს, მშვენიერ სიმღერებს გვთავაზობს. გავიცანი საბაც და ლადოც. საბა ისეთი საყვარელია, ფოტოს რომ უყურებს, ამბობს: „ირინა, გიორგი.“ ერთად რომ გვნახა და ვკითხე, ვინ ვარ-მეთქი, მიპასუხა: ირინა, გიორგი.

**– როგორია ლადოს შეფასებები?**

**ირინა**: სიმღერაში საერთოდ ვერ ერკვევა, თუმცა გემოვნებიან მუსიკას უსმენს, მაგრამ არ მღერის. ძალიან კმაყოფილია. ისეთ აზარტშია, რომ ბოლო კონცერტის შემდეგ მითხრა, აუტსაიდერებში რომ გნახო, შეიძლება, გავგიჟდეო, არადა, არ არის ასეთი ემოციური.

**– თქვენ მიმართ, მაყურებლის მხრიდან, ძირითადად, დადებითი ემოციები მოდის.**

– ახალი ფან-კლუბი მყავს და, მახსენდება, ათი წლის წინ „მის საქართველო” რომ გავხვდი, როგორ მხვდებოდა ხალხი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანების აზრი და ახლა „ინბოქსში” ისეთ საყვარელ მესიჯებს მწერენ, რომ მთელი დღე კარგ ხასიათზე ვარ. გიორგის ფან-კლუბში ძირითადად გოგონები არიან.

**გიორგი**: „ჯეოსტარის“ შემდეგ ასეთი ამბავი არ ყოფილა, „ახალი ხმის“ მერე კი ჩემგან ძალიან კარგ გამოსვლებს ელოდებიან. მწერენ, მაქებენ, ვუყვარვარ ხალხს და ძალიან მსიამოვნებს.

**ირინა**: რა გასაკვირია, რომ ფანები ჰყავს – ძალიან კარგი ბიჭია, მათთან ურთიერთობაში ძალიან კარგად იქცევა. გიორგის ოჯახიც გავიცანი და მივხვდი, როგორი კარგი მშობლების გაზრდილია. ორივე ძალიან მონდომებულები ვართ. ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე ცოტა პასიური რეჟიმი მქონდა და ახლა გააქტიურდა. ალბათ, იმას უფრო ვერ შევეგუები, რომ ასეთი აქტიური რეჟიმი აღარ მექნება და ამის გამო, შეიძლება, დავითრგუნო.

**გიორგი**: ჰოდა, ირინა რომ არ დაითრგუნოს, ამიტომ, ხალხმა უნდა დაგვიმესიჯოს ნომერზე: 95-208.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ფრანკლინი**: უფრო იოლი პირველი სურვილის ჩაქრობაა, ვიდრე ყველაფერ იმის, რაც მას მოჰყვება.

**კონფუცი**: ძველად სწავლობდნენ, რომ სრულყოფილებისთვის მიეღწიათ, ახლა სწავლობენ იმისთვის, რომ სხვები გააკვირვონ.

**საადი**: ერთ კაცს ჰკითხეს: უმოქმედო სწავლული რას წარმოადგენსო? უპასუხა: უთაფლო ფუტკარსო.

***

პირუტყვს კაცი სჯობია ბრძნული სიტყვის უნარით, მაგრამ ჭკუით ღარიბსა სჯობს პირუტყვი მდუმარი.

**თაგორი**: სატანჯველი – ჩვენი ძვირი საზღაურია ამ ცხოვრებაში მიღებული ისეთი ფასეულობების სანაცვლოდ, როგორებიცაა: ძალა, სიბრძნე და სიყვარული.

**ვიტგენშტეინი**: არანაირი სიგნალი უბედურებისა არ შეიძლება იყოს იმაზე დიდი, ვიდრე ერთი ადამიანის ყვირილი.

**ჰორაციუსი**: თუ შენი მეგობრის სახლი იწვის, უბედურება შენც გემუქრება.

**კონდილიაკი**: რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით უფრო მოუთმენლად ცდილობს, განსაჯოს.

**მირაბო**: ეშმაკობა ეგოისტების ტალანტია. მან, შეიძლება, მხოლოდ ბრიყვები მოატყუოს, რომლებსაც ცბიერება ჭკუა ჰგონიათ, სერიოზულობა – კეთილგონიერება, ურცხვობა – ტალანტი, სიამაყე კი – ღირსება.

**ბომარშე**: ეჭვიანობა სიამაყის სულელი ბავშვია, ან – უჭკუოს ავადმყოფობა.

**შარდენი**: ირგვლივ ყველა ცხოვრება სხვა ცხოვრებისგან იბადება, ყველა თავისუფლება კი – სხვა თავისუფლებისგან.

**სენეკა**: სისასტიკე ძირითადად სუსტებისა და უგულოებისგან მოდის.

**ლონდონი**: თუ მალავ სიმართლეს, გამოდის, რომ ულალატე მას.

**ბეკონი**: სამართლიანობა ნაკლოვანებებს ვერ ანადგურებს, მაგრამ, დიდ ზიანს აყენებს.

**ფულერი**: თუ მეგობარი რამე შენიშვნას გაძლევს, ჩათვალე, რომ მას ყველაფერი არ უთქვამს.

**ბიასი**: ვისაც უნდა, რომ უნაკლო მეგობარი ჰყავდეს, ის უმეგობროდ დარჩება.

**არისტოტელე**: მადლიერება მალე ბერდება.

**სვიფტი**: ჩვენ ერთმანეთს იმიტომ ვგავართ, რომ ერთი და იგივე ავადმყოფობა გვაწუხებს.

**პლუტარქე**: სხვას რომ აძაგებ, დაუკვირდი, თავად მისგან შორსა ხარ?

**როსტანი**: გამომგონებლის სიამოვნებაა – აუწიოს ბუნებას კაბა.

**ვოლტერი**: ადამიანები სინდისის ქენჯნას არ განიცდიან თავიანთი საქციელის გამო, თუ ის მათ წეს-ჩვეულებაშია.

**ლაროშფუკო**: შური უფრო ულმობელია და დაუნდობელი, ვიდრე სიძულვილი.

**ტოლსტოი**: ცოდნა ამშვიდებს დიდ ადამიანს, აოცებს საშუალოს და ბერავს პატარა ადამიანს.

**გოეთე**: ცოდნათა შეძენა კიდევ არაა ადამიანისთვის საკმარისი; საჭიროა ცოდნის სარგებლით გაცემის ცოდნაც.

**პოლენოვი**: მთავარი მედიკამენტები – სუფთა ჰაერი, ცივი წყალი, ხერხი და ნაჯახია.

**ვოვენარგი**: ქალები არასდროს არიან ისეთი ძლიერები, ვიდრე მაშინ, როცა შეიარაღებულნი არიან თავიანთი უსუსურობით.

**უაილდი**: ქალებს კარგი მამაკაცები მოსწონთ – სწორედ ეს გვალიზიანებს მათში.

# თუ გამოიცნობთ

1. მოლეკულური ბიოლოგიის შესწავლის მთავარი ობიექტი ის ორმაგი სპირალია, რომელიც ნებისმიერი ორგანიზმის საფუძველია. მის შემადგენელ ორ ჯაჭვს მისი სტრუქტურის აღმომჩენი მეცნიერების სახელები – უოტსონი და კრიკი დაარქვეს. **რა აღმოაჩინეს მათ?**

2. როგორც ცნობილია, რუკებზე არის ნიშნები, რითაც აღინიშნება ფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული ტყეები. შუასაუკუნეებში ესპანეთის იმ რუკებზე, რითაც ხელმძღვანელობდნენ სამხრეთ ამერიკის ათვისების დროს, იყო სპეციალური ნიშანი, რომლითაც ერთ-ერთი ფოთლოვანი ხის ჯიში აღინიშნებოდა. ეს ნიშანი შემთხვევით არ შექმნილა, ამ ხის პოვნა ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამასთან, ის თითო-თითოდ იზრდება. **რომელი ხე?**

3. მარქს-ენგელს-ლენინის სწავლების შემოქმედებითი განვითარების პროცესში სტალინი მივიდა იმ აზრამდე, რომ საბჭოთა კავშირში პროლეტარიატი არ არსებობს და ამ დასკვნის საფუძველიც ჩამოაყალიბა. **როგორ?**

4. ამ ადამიანმა, როდესაც ფსევდონიმს არჩევდა, შეეცადა, ეჩვენებინა, რომ ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცნობილი რომაელი ექიმი და ბუნებისმეტყველი ცელსიუსი. **ვინ შეირჩია ამ პრინციპით ფსევდონიმი?**

5. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ლონდონის უნივერსიტეტებში ბრიტანეთის მფლობელობაში მყოფი აზიური ქვეყნების ბევრი მუსლიმანი სტუდენტი სწავლობდა: პენჯაბიდან, კაშმირიდან, ინდოეთიდან, ავღანეთიდან. როგორც ამტკიცებენ, სწორედ მათგან გამოვიდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ლიდერთა უმეტესობა, რომელთაც სახელი მოუგონეს ახალშექმნილ ქვეყანას. **რომელს?**

6. იმ ადგილზე პორტის აშენებას სრულიად შეუფერებლად მიიჩნევდნენ. გრაფ რასტოპჩინს კი დანაშაულადაც მიაჩნდა. მშენებლობის წინააღმდეგი იყო პავლე პირველი და მშენებლობის შეწყვეტაც კი ბრძანა. მაგრამ ქალაქის მაგისტრმა იმპერატორს 3 000 ფორთოხალი გაუგზავნა და ასე აშენდა ქალაქი... **რომელი?**

7. მოუსავლიან წლებში გვინეის ხელისუფლება მოსახლეობას ნებას აძლევს, იმით ირჩინოს თავი, რაც რუბენსს თავის ცნობილ ტილოზე აქვს გამოსახული. **დაასახელეთ, რა ჰქვია ამ ნახატს?**

8. 1788 წელს ვენის პრემიერაზე მოცარტის მიერ მასზე შექმნილი ოპერა ჩავარდა. აღსანიშნავია, რომ ის ჯოჯოხეთში ვარდება ყოველ წარმოდგენაზე, არ აქვს მნიშვნელობა მოცარტის იქნება ის, მოლიერის თუ პუშკინის. **ვინ?**

9. **დაასახელეთ ის,** რისი კლუბის პეტერბურგული ემბლემა კვადრატული ტვინია, ხოლო ოქსფორდისა კი – ოთხი გვირგვინი.

10. პოლ სეზანი მიიჩნევდა, რომ ბუნება უნდა განვიხილოთ სფეროს, კონუსისა და ცილინდრის ფორმით. ამის მიუხედავად, სახვითი ხელოვნების მოდერნისტულ მიმართულებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია გეომეტრიული ფიგურების პირობითი ფორმების გამოყენება და ადრე სეზანური ერქვა, სულ სხვა სახელი ეწოდა. **რა?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# ეპიტაფიები გამოჩენილ ადამიანთა საფლავებზე

**ფრანც-პიტერ შუბერტი** – ეპიტაფია საფლავზე: „სიკვდილმა აქ დაასამარა დიდი განძი, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი იმედი“.

**კაზანოვა** – მსოფლიო მნიშვნელობის ავანტიურისტი და მექალთანე. დაკრძალულია ჩეხეთში (ბოჰემია). მისი საფლავის რკინის ღობე ისეა მოწყობილი, რომ მისგან გამოსული კაუჭები აუცილებლად მოედება ქალბატონების კაბის ბოლოებს. ამ შემთხვევაში, სიმბოლურად გატარებულია აზრი, რომ ის საფლავშიც ქალებზე ნადირობს.

**დიოგენე** – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. ეპიტაფია საფლავზე: „შენს დიდებას მარადისობა ვერ მოიტაცებს, რადგან შენ ერთმა ასწავლე მოკვდავთ მცირედით დაკმაყოფილება და მიუთითე ადამიანებს ცხოვრების ყველაზე იოლი გზა.”

**ეპიქარპე**: ბერძენი პოეტი და კომედიოგრაფი. ეპიტაფია საფლავზე: „მკვდარი ვარ მე, მკვდარი ნეხვია და დედამიწაც სრულად ნეხვია, ხოლო, თუ დედამიწა ღვთაებაა, მაშინ მე მკვდარი კი არა, სწორედ ღმერთი ვარ“.

**დემოსთენე** – ორატორი. ეპიტაფია საფლავზე: „დემოსთენეს რომ ჰქონოდა ისეთი ძალა, როგორც მის სიტყვას, ელადაში ძალაუფლებას ვერ აიღებდა მაკედონელი არესი (ალექსანდრე მაკედონელი).”

**მალკოლმი ფორბსი** – ამერიკელი მულტიმილიონერი, ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი. ეპიტაფია საფლავზე: „ის ცოცხლობდა მანამ, სანამ ცოცხალი იყო“.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. კუh6-g7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– მარო, მეტი აღარ შემიძლია, უნდა გაგეყარო...




– მიხო, ეგრე არ გამოვა... როგორც ქვრივი მამიყვანე, იგრე ქვრივი უნდა დამტოვო...

***

მატარებლის კუპეში ახალგაზრდა შევიდა. იქ ასაკოვანი კაცი დახვდა. მოეწყო ახალგაზრდა და თანამგზავრს ეკითხება:

– უკაცრავად, რომელი საათია?

კაცი ჩუმადაა. რამდენჯერმე გაუმეორა კითხვა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დაიძინა ახალგაზრდამ. დილით, თბილისში რომ ჩამოვიდნენ, ვერ მოისვენა ახალგაზრდამ და ჰკითხა:

– წუხელ რატომ არ გამეცით პასუხი, ვხედავ, რომ საათი გაქვთ, არც მუნჯი ბრძანდებით...

– იცი, კითხვაზე პასუხს თუ გაგცემდი, მეორეს შემეკითხებოდი, შევყვებოდით საუბარს და სამ საათამდე არ დავიძინებდით. დილით კი, უკვე ნაცნობები, ტელეფონის ნომრებს გავცვლიდით. მერე, ვისთანაც მიდიხარ, ალბათ, სახლში არ დაგხვდებოდა, სასტუმროში ნომერი არ იქნებოდა თავისუფალი და მე დამირეკავდი. რა თქმა უნდა, მოგიწვევდი და ჩემთან დაგტოვებდი – ეს არაა პრობლემა. ლამაზი ქალიშვილი მყავს, შეაცდენდი და გადაიკარგებოდი – არც ეს არ არის პრობლემა, სად წახვალ?! გიპოვი, მაგრამ, მინდა მე ისეთი სიძე, საათი რომ არ აქვს?!

***

– შენ რა, შეყვარებულს დაშორდი?

– სრული დებილია. ვუთხარი, საპარსი ქაფი გამომელია-მეთქი, საფულე გაცვეთილი მაქვს... იმან კიდევ დაბადების დღეზე ნოუთბუქი მიყიდა...

***

მთავარი ქალში მკერდი კი არა, თვალებია... არ შემეკამათოთ, მერწმუნეთ, უთვალებო ქალი გაცილებით ცუდი სანახავია...

***

– თუ განყოფილება კარგად იმუშავებს, ბანბანერკა ჩემზე იყოს...

– ბატონო დირექტორო, ხელფასი გვირჩევნია...

– უკვე ვიყიდე ბანბანერკა...

***

გაბრაზებულმა დიასახლისმა მოსამსახურე გააგდო. წასვლისას მოსამსახურემ ძაღლს საყელოში ფული ჩაუკუჭა.

– ეს რას ნიშნავს? – უყვირა დიასახლისმა.

– დაიმსახურა. ძალიან მეხმარებოდა – რაც თქვენთან ვმუშაობდი, თეფში არ გამირეცხავს, სულ ეს ლოკავდა...

***

– ვერ გამიგია: არავინ მომიკლავს, არავინ გამიძარცვავს, ცუდი არავისთვის გამიკეთებია, არავინ მომიტყუებია და, რატომ ვცხოვრობ ასე გაჭირვებულად?

– შენს კითხვაზე თავად გაეცი პასუხი...

***

როცა კოტე სამი წლის იყო ეზოში ფეხში-




შველა დარბოდა. ახლა ნახევარლიტრიანი არაყი ეხმარება მას, დაბრუნდეს ბავშვობაში...

***

– გეიგე, მოსახლეობის აღწერა იქნებაო?

– მოასწრონ, ძამა, მოასწრონ, თორე, კიდევ რამდენიმე წელი ასეთი ფასები და, ასეთი ხელფასები თუ შენარჩუნდა, მოსახლეობის აღწერის მაგივრად მოსახლეობის გადაძახილი იქნება...

***

– ყველაფერს დავანებე თავი – მოწევას, სმას, ცოლს...

– ცოლს რატომღა?

– არ დაიმსახურა ასეთი ბედნიერება...

## ცნობილი ადამიანების იუმორისტული გამონათქვამები

მეფე ერეკლეს ვაჟკაცობის ამბავი დუნიას რომ მოედო, ერთმა მთიელმა მოხუცმა გადაწყვიტა მისი ნახვა. მოხუცს ერეკლე ახოვან ვაჟკაცად წარმოედგინა, ნამდვილად კი ერეკ-




ლე ხომ ჩია ტანისა იყო, აკი ამიტომაც შეარქვეს სიყვარულით პატარა კახი (ნაპოლეონისა არ იყოს. „პატარა კაპრალს" რომ ეძახდნენ ჯარისკაცები). ეს რომ უნახავს მოხუც მთიელს, წამოუძახია:

– ქება სჯობდა ნახვასაო...

***

1917 წლის 27 თებერვალს დაემხო ნიკოლოზ მეორის ხელისუფლება. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა კარლო ჩხეიძემ პეტროგრადიდან გამოგზავნილი კონსპირაციული დეპეშით აცნობა მომხდარი ამბავი თავის თბილისელ სოციალ-დემოკრატ თანაპარტიელებს:

„მთავრობაძე გარდაიცვალა. აცნობეთ ნათესავებს და ნაცნობებს".

***

ერთხელ არა-ახოვანი ტანის პატრონი, ბატონი ჭ-ია ამბობდა ვიღაცაზე: ისეთს გულზე მომიყვანა, რომ კინაღამ გავარტყიო; თუ არ გავარტყი, მარტო მისთვის, რომ...

– ახლოს სკამი არ იყო, რომ ზედ შემდგარიყავიო, – დაუმატა აკაკიმ.

***

ერთხელ ერთი ქართველი არტისტი, რომელიც ცნობილია, ვითარცა უიმედო ტრფიალი თეატრისა და ხშირად ფრიად უგემური მოთამაშე, ეუბნებოდა აკაკის:

– ვერ წარმოიდგენ, აკაკი, რა რიგად მიყვარს სცენა! როცა მე არა ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, სულ ჟრუანტელი მივლისო!

– წარმოიდგინე, რომ მეც მაგ მდგომარეობაში ვარო, უპასუხა აკაკიმ.

– შენ რათაო? – ჰკითხა გაკვირვებულმა არტისტმა.

– შიშისაგანო, – მიუგო აკაკიმ.

– რისი გეშინიაო?

– იმისა, ჩემო კარგო, რომ სცენაზედ კარი არ გაიღოს და შენ არ შემოხვიდეო, – აუხსნა შეუბრალებლად აკაკიმ.

***

„შევიდეთ საწყალი კაცის აფთიაქში – სამიკიტნოში!" – გალაკტიონის საყვარელი გამონათქვამი იყო და ხშირადაც იყენებდა მას.

## როგორ გამოათვრეს კრასნოდარში ფეხბურთის მატჩის წინ თბილისის დინამოელებმა ედუარდ სტრელცოვი

1986 წელია. მე უკვე ვეტერანებში ვწერივარ. მერედა, რაა ამაში ცუდი? ვეტერანთა გვერდით ვარ. ვეტერანთა გვერდით... მიშიკოს, სლავას, კალოევის გვერდით. მოხდა ისე, რომ ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრა დაინიშნა კრასნოდარში. მატარებლით მივდივართ. ხუმრობა ხომ არაა... კალოევის, მესხისა და მეტრეველის გვერდით ვარ. ეს უდიდესი წარმატებაა. უდიდესი სიამაყე.




თბილისიდან დაიძრა მატარებელი. თბილისელ ვეტერანებს კოლეგა ვეტერანებთან შეხვედრა უხარიათ, თორემ, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, უკვე აღარ გვაღელვებს. გულით გვიხარია სსრკ-ს ყოფილ მეტოქეებთან შეხვედრა, წარსული გულისძგერის გახსენება და მოფერება: „კაკ პაჟივაეშ, ბიჩო!“ მონწყურებული გადახვევები, ძმური სიყვარული. ნაკრებში ერთად განცდილი სიხარული და სინანული. ვალმოხდილები „მსუბუქად“ ვუბერავთ ლიანდაგის ტაკიტუკში და ეს თავისებური რომანტიკაა. ჩემთვის, ამ ბუმბერაზ ფეხბურთის მეფეებთან ყოფნა ალმაფრენაა და აღტაცების უსაზღვრო დონე.

ფეხბურთელები ყოველთვის კონიაკს ვარჩევდით დასალევად. თბილისიდან დაიწყო სმა კუპეში.

მიშა მაგრად სვამდა. არ იმჩნევდა დათრობას. იყვნენ ისეთი ფეხბურთელებიც, ბლომად რომ სვამდნენ.

მოკლედ, გორში პურმარილი „ამოვიდა“ ჩვენს კუპეში, ხაშურში – ისევ, ზესტაფონში – ხომ და ხომ... აღარაფერს ვამბობ სამეგრელოზე...

კრასნოდარში რომ ჩავედით – დავიქადეთ, ჩემპიონები გავხვდებითო. მივედით კიდევაც ფინალამდე. აქ კი იჩინა თავი ალკოჰოლმა მთელი ძალით. ფინალში მოსკოვის „ტორპედოს“ ვხვდებით. მოსკოვის „ტორპედოში“ მაშინ „მსოფლიოს რისხვა“ ყუმბარისებრი დარტყმების ოსტატი – ედუარდ სტრელცოვი თამაშობდა. ესაა დაბრკოლება „სტრელცოვი უნდა გაითიშოს“, – იყო დავალება. სტრელცოვს დალევა არ სძულდა. დავითრიეთ მატჩის წინ და „ბრატოკ, ბრატოკის ძახილში“ ორი ბოთლი (მარტო მას) კონიაკი „გრემი“ დავალევინეთ. „გაბრუვდება, აბა, რას იზამს?“

გამოვიდა სტრელცოვი და ორი ბურთი შეგვიგდო მთვრალმა. წავაგეთ 1:2.

– მივქარეთ, – ვთქვით მატჩის შემდეგ, სამი ბოთლი უნდა გადაგვეყლაპებინა.

სლავა მეტრეველს ჩაეცინა:

– კარგი გიქნიათ, რომ ორი დაალევინეთ. სამი რომ დაგელევინებინათ, 1:3 იქნებოდაო.

**თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელის – გიორგი ჭილაიას ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## როგორ მოატყუეს არაბმა ბავშვებმა ქართველი პოლკოვნიკი

2008 წელი. ბაღდადის ქართულ ბაზაზე რამდენიმე არაბული ოჯახი ცხოვრობდა. ძირითადად ესენი იყვნენ ბაზის მომსახურე პერსონალისა და ადგილობრივი მაღაზიის მეპატრონეები ოჯახებით.

აღნიშნული ბაზა ქართველ სამხედროებს 2005 წლიდან ჰქონდათ დაკავებული და აქაურ არაბთა უმრავლესობას ქართული კარგად ესმოდა, ხოლო ქართველი ჯარისკაცების ხელში წამოჩიტული პატარები, თავისუფლად ლაპარაკობდნენ ქართულად. იმის გამო, რომ ერაყში ძირითადად დასავლეთ საქართველოში განლაგებული ბატალიონები ცვლიდნენ ერთმანერთს – პატარა არაბებიც გვარიანად უქცევდნენ იმერულად.

ქართველ ბიჭებს ძალიან უჭირდათ არაბული სახელების დამახსოვრება და გამოთქმა, ამიტომ ყველა იქ მცხოვრებ არაბს ქართული სახელები დაარქვეს. ასე გაჩნდნენ ბაზაზე არაბები: მაყვალა და ლეილა, რამაზი და ჯუმბერი.....

საღამო ხანს სასადილოდან გამოვედი და ჩქარი ნაბიჯით სასახლისკენ გავემართე. რომელიღაც ქართულ არხზე მძაფრი ამერიკული სერიალი იწყებოდა, ამიტომ სასადილო სხვებზე ადრე დავტოვე, თან წვენის პაკეტები და ხილი წამოვიყოლე.

სასახლის ფოიეში შევედი და ვხედავ ორ პატარა შავტუხა ბიჭს კიბეებზე სატელიტური თეფში ჩამოაქვს. არ გამკვირვებია, რადგანაც სასახლეს არაბი ხელოსნები ემსახურებოდნენ და პატარები ხშირად ეხმარებოდნენ მშობლებს.

– ბიჭებს გაუმარჯოს! – შევძახე ხელის აწევით.

– გამარჯობა, ბიძია! – ლაზათიანმა იმერულმა ზარივით გაიწკრიალა მარმარილოს თაღებში.

– გენაცვალეთ თქვენ! – ამიჩუყდა გული – რა გქვიათ?

– მე ვარ სულიკო, ეს ალეკო – ყოჩაღად მიპასუხა უფრო მაღალმა.




– გაეზარდეთ დედათქვენს! – ველარ შევიკავე თავი. სულიკოს წვენის პაკეტი ჩავუდე დაძონძილი ჯინსის ჯიბეში, ორი ფორთოხალი ალეკოს ერგო.

– მადლობა - „ო” გააგრძელა მორცხვად თავჩაღუნულმა ალეკომ.

– წადით ბავშვებო! წადით და ფრთხილად იარეთ! – გზა დავულოცე „ომის შვილებს” და ოხვრით და თავის ქნევით ჩემი ოთახისკენ გავემართე.

მალე ჰუსეინის დროინდელ ლამაზ სავარძელში მოკალათებულმა ტელევიზორის პულტს ხელი მოუთმენლად დავაჭირე. ეკრანმაც წამსვე გაანათა და.. უიმედოდ აციმციმდა.

– ოხხ თქვენიიი...!!! – დავიღრიალე და რაციას ვეცი.

„ომის შვილები” დიდხანს არ უძებნიათ, 20 წუთში კარი აქოშინებულმა სერჟანტმა შემოაღო.

– ვიპოვნეთ ბატონო პოლკოვნიკო, უკვე აიტანა მამამისმა ანტენა.. ახლავე ჩამოვლენ და გაასწორებენ.

– ისინი სად არიან!!

– ვინ ბატონო პოლკოვნიკო?

– ვინ და ის ძმები – სულიკო და ალეკო..

– არა ბატონო პოლკოვნიკო, მოგატყუეს სახელები ამ მაიმუნებმა – გაეღიმა სერჟანტს – სულიკო და ალეკო მაღაზიის მეპატრონის ბავშვები არიან. თქვენი ანტენის ქურდები კი ელექტრიკოსი რომ არის მამუკა, იმის შვილები არიან მერაბი და სოსო..

**მოამზადა**
**გიორგი გოგიჩიამ**

(70-ე გვერდიდან)

ბრძოლისკენ. კონფლიქტი ძალიან კარგი რამ არის. შემდეგ წელს კონსერვატორიაში „კონფლიქტის მენეჯმენტის” კურსები მექნება. თუ რას ნიშნავს კონფლიქტი, კონფლიქტის მართვა და ასე შემდეგ... კონფლიქტი არ არის ცუდი რამ, მთავარია, მართვა შეგვეძლოს – ამის შემდეგ იბადება სალი აზრი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ კონფლიქტი, მაგრამ, არა ჩვენეული, ემოციური, არამედ, ის კონფლიქტი გვაქვს სასწავლი, რომელიც საღ აზრამდე მიგვიყვანს.

– **იკლო ინტერესმა მთელი მსოფლიოს კლასიკური მუსიკის მიმართ და ევროპაში ხალხის მისაზიდად ვულგარულ სპექტაკლებს დგამენ. თქვენ როგორ აპირებთ მაყურებლის მოზიდვას?**

– მსოფლიოში სხვადასხვა ტიპის ტენდენციებია, ჩვენ კონკრეტული ტრადიციები გვაქვს.

## რატომ დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა 25 წლის ასაკში ყველაფერი თავიდან და როგორ მიაღწია მან თავბრუდამხვევ წარმატებებს

ჩვენს საოპერო თეატრს უნდა მიეცეს საშუალება, უმაღლესი კლასის თეატრი გახდეს. ეს უნდა იყოს ქართველი ადამიანის სახე და ქვეყნის სავიზიტო ბარათი. როდესაც დედაქალაქს ასეთი საუკეთესო თეატრი აქვს, მას აქვს ტრადიციების გაგრძელების უზარმაზარი პასუხისმგებლობაც. ძალიან ფრთხილი პროცესი იქნება, რასაც კი მსმენელს შევთავაზებთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყო სკანდალებზე გათვლილი, ისე, როგორც ახლა ევროპაშია. არანაირი პრობლემა არ გვაქვს იმის, რომ ხალხს ვერ მოვიყვანთ. ქართველი ადამიანის თეატრში მოყვანა საკმაოდ ადვილია, უბრალოდ ჩვენთან მარკეტინგი არ იყო სწორად გათვლილი. დარწმუნებული ვარ, თეატრი ყოველთვის გადაჭედილი იქნება მაყურებლით, რადგან, ყოველთვის მართალ პროდუქციას შევთავაზებთ.

– **საუბრის დასასრულს, თუ შეიძლება, პირად ცხოვრებაზეც გკითხოთ...**

– პირად ცხოვრებაში საინტერესო არაფერი ხდება... დასაოჯახებელი ვარ. ამ 13 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სწავლით ვიყავი დაკავებული და პირადი ცხოვრებისთვის არც მეცალა. სავარაუდოდ, ვერც ამ წლებში მოვიცლი, წინ იმდენი საქმე მელოდება...

**კატო ჟღენტი**

**ლევან სუხიტაშვილი მკითხველმა ჯერ ჯგუფ „სფინქსიდან“ გაიცნო, შემდეგ კი რეალითი შოუდან „ამტანები“, სადაც მან მომავალი მეუღლე, მაკა ვასაძე გაიცნო და დღეს მათ ორი უსაყვარლესი ბიჭი ჰყავთ. ლევანი, რომელსაც სამსახიობო კარიერაში დიდხნიანი პაუზა ჰქონდა, ცოტა ხნის წინ გამოჩნდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები.“**

# რატომ დაჰყვება თან შარი ლევან სუხიტაშვილს და რას დებდნენ საკუთარ ტოტალიზატორში ფსონებად ის და გიორგი სუხიტაშვილი

**– ლევან, გამიხარდა სერიალში შენი გამოჩენა. ვიმედოვნებ, კიდევ ბევრჯერ გიხილავთ, როგორც მსახიობს და არა მხოლოდ ამ სერიალში.**

– შენ იმიტომ გაგიხარდა, რომ გიყვარვარ. ვიღაცეებს კი არ გაუხარდათ. ჯერ არ შემოსულა აფთიაქებში ბოლმის წამალი, დეფიციტში იყო, მაგრამ, მალე შემოვა. ყველას გარშემო არიან ასეთი ადამიანები, მაგრამ, მე არ ვაქცევ ყურადღებას, პირიქით, იმის ძალებს მიორმაგებენ, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად დავაჩქარო მათი მდგომარეობა. ზოგადად, არ მიყვარს ისეთებთან ურთიერთობა, რომლებიც სხვა ადამიანებს თამაშობენ. იმასთან, რომელსაც თამაშობს, ვერ მექნება ურთიერთობა, რადგან, ვიცი, რომ თამაშობს და არც ისეთთან, როგორიც სინამდვილეშია. ადამიანების გაშიფვრის დიდი ნიჭი მაქვს – რენტგენი მიდგას თვალებში. საკმარისია, რამდენიმე მოქმედება დავიჭირო და უკვე ვიცი, ვინც არის, ჯერ არ შემშლია ამ მხრივ არაფერი. თავიდანვე ვიცი, რომ ეს ადამიანი რაღაცას „მიპოდლებს“, თუმცა, გარკვეულ ეტაპამდე მაინც შევყოლივარ და ზუსტად ისე მოქცეულა, როგორც თავიდანვე ვვარაუდობდი. მე რომ ყველას ვენდობი, მგონია, რომ, ურთიერთობაში, ან რაღაც პერიოდის განმავლობაში, სხვებიც გამოსწორდებიან, მაგრამ, არა, ვინც თავიდან იყო, საბოლოოდ მაინც იგივე დარჩენილა. სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს ჩემს მეგობრებთან ყოფნა. სამი-ოთხი დღე რომ გავა და ვერ ვნახავ, მენატრება მათთან ურთიერთობა, შეკრება. მიყვარს ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც უხამს იუმორში, ზოგჯერ გაფრენებში მომყვებიან; ჩემთან საუბარში ბოლომდე რომ უყვართ შემოტოპვა, გამოყოლა, ანუ, ბარიერები რომ არ აქვთ.

**– შენი იუმორისა და გაფრენების გამო შეგქმნია ადამიანებთან პრობლემები?**

– სერიოზული პრობლემებიც მქონია. ცოტა ხნის წინ მეგობრები და მათი მეგობრები შევიკრიბეთ. რომ ვთვრები, მერე უხამსობას ვუმატებ. ერთი შამხანა გავიკეთე შარვალზე წინიდან და ასე ვიდექი. ვინც მიცნობს, ყველამ გაიგო, მაგრამ, ერთი უცხო ტიპი იყო და მითხრა: ცოლთან ერთად ვარ, ძმაოო, – მოკლედ, გაწევ-გამოწევები იყო. საერთოდ, ვცდილობ, კონფლიქტებს თავი ავარიდო, მაგრამ, არის რაღაცეები, რასაც თავს ვერ ავარიდებ.

**– თუმცა, ბოლო დროს არაერთ შარში გაეხვიე.**

– ბავშვობიდან სულ თან დამყვება შარი. თვე არ გავა, რომ რაღაც სიტუაციას შარი არ მოჰყვეს. ადრე ამას მეც მივყვებოდი, მაგრამ, ახლა ვაანალიზებ და სიფრთხილეს ვიჩენ – ოჯახი მაქვს, შვილები მყავს.

**– როდესაც შენ და მაკამ ოჯახი შექმენით, შეყვარებულები იყავით, იმ დროს თქვენს ურთიერთობას ბევრი არ აღიქვამდა სერიოზულად. არადა, იმის მერე ბევრი წელი გავიდა და თან, ორი უსაყვარლესი ბიჭი გყავთ.**

– დღესაც ბევრს უკვირს: თქვენ ისევ ერთად ხართ? რა კარგია! ეს ყველაფერი, ალბათ, ჩემიდან მომდინარეობს – ჰგონიათ, რომ არასერიოზული ადამიანი ვარ, არასერიოზულად ვუდგებოდი ამ საქმეს. რა თქმა უნდა, მიყვარდა მაკა და ახლა მეამაყება, რომ ჩვენს შვილებთან ერთად აქამდე მოვედით – ძალიან კარგი ოჯახი მაქვს. ჩვეულებრივი მეუღლე ვარ, ზედმეტად ყურადღებიანი არა. შეიძლება, თვე გავიდეს და დუნედ მივდიოდე, მაგრამ, ორი დღე გავიდეს და ისეთი სირობა ჩავიდინო, რომ მთელი ოჯახი და მათ შორის მაკაც, პირღიები დარჩნენ. მაკა, რა თქმა უნდა, შეეგუა ამ ამბავს, თუმცა, პროტესტის გრძნობა დღემდე აქვს. ისე, ადრე უფრო ჰქონდა, მაგრამ, რომ მიხვდა, კუზიანს სამარე გაასწორებსო, დამანება თავი. რაც ვარ, ეს ვარ, ვერაფრის გამო ვერ შევიცვლები.

**– როგორი მამა ხარ? იოანე ძალიან ჭკვიანი, გონიერი და ზრდილობიანი ბავშვია.**

– ვცდილობ, დრო გამოვნახო და ერთად წავიდეთ ხოლმე სადმე. ახლა კინოში წასვლა გვაქვს დაგეგმილი. მე, იოანე, იოანეს ცოლი და მარიამი, ანუ ჩემი უფროსი შვილი, მივდივართ კინოში.

**– 6 წლის იოანეს უკვე ცოლი ჰყავს?**

– ჩემი ძმაკაცის და უყვარს. ჩვენთან უკვე ევროპაა, გამისწრო შვილმა, ჩემზე უფრო განვითარებული და წინ წასულია.

**– დიდი პაუზის შემდეგ გამოჩნდი ეკრანზე. როგორ მოხვდი „ჩემი ცოლის დაქალებში“ და როგორი იქნება შენი პერსონაჟი?**

– ეს პაუზა ცხოვრებამ მოიტანა, რადგან, გარკვეული პერიოდი მომიწია, მთელი დრო ოჯახისთვის დამეთმო. შეიძლება, აკეთო შენი საქმე, მაგრამ, ოჯახი ვერ არჩინო, ამიტომ, რაღაც ეტაპზე გიწევს არჩევნის გაკეთება. ხელოვანი ადამიანები კი ამ დროს შინაგანად ძალიან იტანჯებიან, რადგან თავის საქმეს ვერ აკეთებენ. თუმცა, იმედი არასდროს დამიკარგავს, 50 წლის რომ გავხდები, ჩემი რაღაცა მექნება გაკეთებული. ან ამ მხარეს უნდა წახვიდე, ან ოჯახს არ უნდა მოეკიდო. რაც შეეხება სერიალს, ბათუმში ვიყავი, როდესაც დამირეკეს. მეგონა, ქასთინგი იქნებოდა, ტრადიციული – „დაგირეკავ”. საქართველოში, ხომ იცი, როგორ ხდება: ვიღაცა ვიღაცის ნაცნობია, მიდი სთხოვე. ასეთი რაღაცეები არასდროს მიყვარდა და არ შემიძლია. ამ თვისებამ ბევრ რამეში დამწია უკან, მაგრამ, არ შემიძლია, ვინმე შევაწუხო. მოკლედ, ყველაფრის გარეშე, დამტკიცებული ვიყავი როლზე. ჯერ არ ვიცი, რა იქნება, თან, სერიალებში ადამიანი აძლევს მსახიობს მიმართულებას. ზოგადად, მიყვარს საკუთარი ძალების სხვადასხვა რაღაცეებში მოსინჯვა; თან, არ მიყვარს ერთი და იმავეს კეთება – რაღაც რომ მომბეზრდება, მერე მინდა, სხვა რაღაცაში მოვსინჯო ძალები, ანუ ისეთი რაღაც მინდა, რაც მერე სტიმულს მომცემს კიდევ სხვა რაღაცის გასაკეთებლად. ასეთ დროს მოუსვენრად ვგრძნობ თავს და, სიახლე თუ მომაკლდება, მერე დეპრესიას ვიკიდებ. მქონია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი კვირა ჩავმჯდარვარ სახლში და მთელი კვირა ფეხბურთი მითამაშია კომპიუტერში, რადგან, რაღაც მინდოდა და ვერ მივხვდი, ეს როგორ უნდა გამეკეთებინა. ერთი კვირის შემდეგ, შეიძლება, გავიდე მაღაზიაში, ახალი შარვალი ვიყიდო და ამან გამომიყვანოს მდგომარეობიდან, მერე რაღაც მოვიყვანო ქმედებაში და ასეთი რაღაცეები შემდეგში მაძლევს სიცოცხლის უფლებას. როცა არ მაქვს ის, რაც მინდა, იმ დროს ხალხთან კონტაქტსაც ვერიდები; თან, რომ მეკითხებიან, რატომ ხარ ასეთი, რამე მოხდაო? – ეს საერთოდ „მგრუზავს“. არ შეუძლიათ ისეთი ლევანას აღქმა, რომელიც არ იცინის, კარგ ხასიათზე არ არის, ვიღაცას არ ართობს – „საყვარელი, კარგი ტიპი ლევანა“ შემოაკლდებათ ხოლმე. მაგრამ, მეც ვიღლები ზოგჯერ ამ „კარგ ტიპ ლევანად“ ყოფნით და „ჩემთვის ტიპი ლევანა“ ვარ ხოლმე.



**ჩემს შვილს ჩემი ძმაკაცის და უყვარს. ჩვენთან უკვე ევროპაა, გამისწრო შვილმა, ჩემზე უფრო განვითარებული და წინ წასულია**

**– როდის იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი?**

– ყველაზე რთული პერიოდი, ალბათ, მაშინ მქონდა, როდესაც ოჯახს მომწყვიტეს, ანუ როცა ციხეში ვიჯექი, რადგან, იმ დროს ორმაგად ცუდი პერიოდი მქონდა: მეც განვიცდიდი და ჩემი ახლობლებიც ცუდად იყვნენ. რაც მთავარია, მე ამ საქმეში დღემდე ვერ ჩავთვლი თავს დამნაშავედ. ზოგადად, წესრიგს ყოველთვის ვიცავ, არ მახსენდება მომენტი, როდესაც წესრიგი დამირღვევია; პირიქით, მაღიზიანებს, როდესაც სხვები არღვევენ წესრიგს და აქეთ მავიწროებენ. მაგრამ, როცა ჩემთან მოდის ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა, მას ფორმა აცვია თუ გვირგვინი ადგას თავზე, თუ დედას შემაგინებს, ის ჩემთვის ხულიგანია. მაშინ ასეთ ფორმიან ხულიგნებს ჩვეულებრივ „აპრავებდნენ“. შენი სიმართლე რომც გქონოდა, მაინც ვერაფერს დაამტკიცებდი – ან უნდა გეთქვა „ხო,” ან დაგტოვებდნენ, ან გარკვეულ თანხას დაგაკისრებდნენ, უნდა გადაგეხადა და მერე გამოგიშვებდნენ. ორი თვე ვიყავი. ამ დროს ყველაფერს იხსენებ, დღეში, შეიძლება, სამჯერ ჩაგიაროს თვალწინ შენმა ცხოვრებამ, ბევრი დრო გაქვს ფიქრისთვის.

**– და რა დასკვნები გამოიტანე?**

– ალბათ, ბევრ რამეს შევცვლიდი ან სხვა მიმართულებას მივცემდი. ჩემი მიზეზით რაც დამიკარგავს, აღარ დავკარგავდი. შეიძლება, რადიკალურად სხვანაირი ვყოფილიყავი, თუმცა, არ ვარ უკმაყოფილო იმით, ვინც ვარ. ჩემი ცხოვრების წესი მომწონს – არ დამიშვია ისეთი შეცდომა, რომ უკან მოხედვის შემრცხვეს.

**– არ დაუბრუნდები სიმღერას?**

– არ ვიცი, თუმცა, ყოველთვის მაკლია ეს მომენტი და გული მწყდება. მაგრამ, დღესაც რომ მითხრან, წამოდი, იმღერეო, არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. მინდა, უბრალოდ კი არ ვიმღერო, ორიგინალური, „რაღაცნაირი“ ვიყო – ეს დღემდე ვერ მოვიფიქრე, თორემ, გავაკეთებდი – მორიდებისა და კომპლექსის მომენტი საერთოდ არ მაქვს.

**– გიორგი არ არის ასეთი ტიპი, ანუ ის უფრო მეტად ითვალისწინებს საზოგადოების აზრს.**

– გიორგი უფრო ბევრ რამეზე ფიქრობს, მე ნაკლებად ვითვალისწინებ საზოგადოების აზრს. მთავარია, მე ვიგრძნო, რომ ეს კარგია, მე მომწონდეს. ზუსტად ვიცი, ორი-სამი ადამიანი მაინც გამოჩნდება, რომლებსაც მოეწონებათ ის, რასაც მე ვაკეთებ და ეს უკვე მსიამოვნებს. ამის გამო მე და გიორგის ხშირად გვაქვს საუბარი. გიორგი ზოგჯერ ვერ ამტვრევს რაღაც ჩარჩოებს და ვეუბნები, დაიკიდე, გააკეთე-მეთქი. მე ვფიქრობ, რომ ეს რაღაც კარგია, იმავდროულად, ვფიქრობ, რომ გიორგიმაც იცის, რომ კარგია, მაგრამ, ჩარჩოებს ვერ ამტვრევს, რაღაცას ვერ სცილდება, თუმცა, მისი დარწმუნება გამორიცხულია. ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ, ასეთ რაღაცეებში ძალიან განვსხვავდებით. მე სხვისი აზრი სულ მაინტერესებს, გადაწყვეტილი რომ მქონდეს, მაინც ვკითხულობ სხვის აზრს. ბავშვობაში ბევრს ვჩხუბობდით კიდეც, ფეხბურთის თამაშის დროს ხომ, საერთოდ, ომი გვქონდა. ორ სხვადასხვა გუნდს ვირჩევდით, თუ ჩვენი გუნდები არ თამაშობდნენ, იქ იწყებოდა ომი. წესებსაც ვადგენდით, რომელიც ძალიან მკაცრი იყო. პატარა ტოტალიზატორი გვქონდა, ოღონდ, ფსონები დასჯა იყო.

**ნათია უტიაშვილი**



რა სასიამოვნო სიახლეა მაია დოგორჯგინიძისა და გოგა ბარბაქაძის ოჯახში

გვ. 22



როდის ჩავა მშობლიურ ოზურგეთში „ოსკარით“ ხელში ირაკლი ინწკირველი და როგორ გახდა ის რუსეთის „ვოისის“ ყველაზე საყვარელი კონკურსანტი

გვ. 19



რატომ არ ჰყოფნის ბესო ცინცაძეს დღე-ღამეში 24 საათი და რით გაითქვა მან მთელ მსოფლიოში სახელი

გვ. 42

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 71

როდის იჩენს პრეტენზიებს ლიზი წიგნაძე და როგორ ბიჭებთან ურთიერთობა არის მისთვის მიუღებელი

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბი… ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №13 (692) * 31 მარტი – 6 აპრი… * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge